

გრანჯა (ვანტანბ)  
ქიბიშაური

არსოტული მოგონებები  
და  
ლექს-ანდრეზები

*ვუძღვნი ძმის —  
გოგი ქიბიშაურის ხსოვნას*

თბილისი

2013

რედაქტორი: **გიგი ხორნაული**  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
მწერალი

ტექნიკური  
რედაქტორი: **ნინო ბურდული**

გარეკანის  
დიზაინი: **ირაკლი ხუციშვილი**

ISBN

© გრანჯა (ვახტანგ) ქიბიშაური

## წინ-წინ სათქმელი

*„ჩაგხედავ ჩემო არხოტო, ადგილო ნაპირისაო,  
ინროო ჩვენო ჭალო, ძლივ ჩასავლელო წყლისაო,  
მირგვლივ ნახვევო მთა-წვერო, რო გალავანო კლდისაო,  
წინიდგე სისხლით მასვრილო ჩვენი და ქისტებისაო,  
ვაჟი ნადირთკე წასული, ბევრა შალვარდა მზირსაო,  
ბევრა მაართევს დედასა, გულს ნატყვიარი სჭირსაო,  
ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულდიდად მზისაო.“*

ასე სხარტად, ასე ლამაზად ვერავინ დაახასიათებდა არხოტს არხოტიონის მეტი.

არხოტი პირიქითი, კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა არსებული ხევსურეთის ერთი ნაწილია, მდინარე ასას სათავეში ჩაბუდებული თემი. ასა აქედან ინგუშეთში გადის და ინგუშეთია სწორედ არხოტის მოსაზღვრე ქისტეთი. მისი მეორე პარალელური ხეობა არდუნისაა, შატილისა და მუცო-არდოტის თემებით, რომელთაზე ჩავლილი წყალი ჩეჩნეთში გადის, შატილის მოსაზღვრე ქისტეთში.

არხოტი და შატილი – ეს ორი სალკლდეებიანი ჭიშკარი საქართველოსი რკინისებურად ჰქონდათ ჩაკეტილი არხოტიონ-შატილიონთ, რომელთა საარაკო სიმამაცეს აღტაცებაში მოჰყავდა მტერიცა და მოყვარეც. მართო ერთი მუჭა შატილივნების სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა რად ღირს შამილის ერთ-ერთი განთქმული ნაიბის ახვერდი-მაჰმადის ხუთიათასიან ჯართან, რომელსაც საქართველოში შემოჭრა ჰქონდა განზრახული. არყის ხის ნახშირისაგან დამზადებული თოფის წამალი ბალნის ტომრებით ედგათ, მიწაში ნათხარი ტყვია-ბაკნებით და სამ დღეს ხოცეს მტერი. მესამე დღეს ერთი ტყვია გულზე მოსულ ბელადსაც მიანვდინეს და განზილებული გაბრუნდა ჯარი, ვინც ჯვარ-მედლებით მკერდშეჯიჯლულ რუსის გენერლებს კუდით ქვას ასროლინებდა.

მტერთან შეუპოვარი და სახელ-სირცხვილისთვის თავდაუზოგავი სიკვდილი ერთია, მაგრამ არხოტიონთ ფშავლებისაგან და პირაქეთელ ხევსურებისაგანაც კი გამოარჩევდა განსაკუთრებული

ნიჭი პოეზიისა, ანდრეზებისა. ამას აძალებდა მათ „ჯიხვ-არწივებისა და კლდის ვეფხვებთან ერთ „ბინაში“ ცხოვრება, მუდმივად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა, სიკვდილიცა და სიცოცხლე აქ ყველაზე ძვირად ფასობდა სახელის მძებნელ კარგ ყმებს ესახელებოდათ კი არა, თითქოს უხაროდათ მტრისთვის შეკვდომა, რაკილა იცოდნენ მათ „ნაქნარს“ ქალ-ზალი ფანდურსა და „ბუზიკაზე“ დაამღერებდა – „სათემოდ შესამღერი“ იქნებოდა.

სწორედ აქ, ამ გარემოში უნდა შექმნილიყო არხოტული ცხოვრების ერთგვარი სიმბოლო, ქართული ხალხური პოეზიის მწვერვალი „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ და შეიქმნა კიდევც. აქ უნდა შექმნილიყო „ცოცხალი“ მითი ხოგაის მინდისა და .... დღესაც დგას არხოტის სოფელ ამლაში მისი ნასახლარი. ეს არხოტული მითი დაუდო საფუძვლად თავის „გველის-მჭამელს“ ვაჟა-ფშაველამ, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ერთ-ერთ ამავე სახელწოდების მოთხრობას. კიდევ ბევრი სხვაც რამე იყო აქ მიმზიდველი და საყურადღებო, თუნდაც „გაბურთ ეშმას“ ანდრეზი. ლექსები ხომ ზღვა! ქალი, კაცი, დიდი, პატარა ისე იყვნენ „ლექსებით გაჟღენთილნი, როგორც ღრუბელი წვიმითა“ (ფოთოლათ მერცხალა).

1930-40-იან წლებში ჯერ კიდევ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა არხოტი. ამლა, ჭიმაღა, ახიელას სამ სოფელში საშუალოდ 80 კომლი ცხოვრობდა, ორი მცირე სოფელი კვირინმინდა და კალოთანა ადრევე დაცარიელდა.

1950-იან წლებში რუსეთის იმპერიამ იმავე რიგით, რა რიგითაც ჩეჩენ-ინგუშები გაასახლა, ძალით აპყარა მთელი პირიქით ხევსურეთი და ბარად, სოფ. მლაშესა და სამგორის გლუვ ადგილებში ჩამოასახლა, როგორც სჩვევია „ბოროტების იმპერიას“, ეს კეთდებოდა კეთილდღეობაზე ზრუნვის ნიღბით. სინამდვილეში კი ქართველთა მაგარი ზურგის მოშლასა და ორი „რკინის კარის შესხნას“ ისახავდა მიზნად. შური იძიეს ხევსურებისა 1924 წელს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლის გამო. მართალია, თითო-ოროლამ შესძლო დარაჯად დაყენებულ მილიციას გაჰპარვოდა, აღედგინა თავისი აფეთქებული და ჭერ-აყრილი მიწური სახლი, მაგრამ იმ ტრადიციათა აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო. იკარგებოდა კიდევ

ბევრი რამ ზეპირსიტყვიერებისა, იმაზე ბევრად მეტი, რაც თავის დროზე დიდმა აკაკი შანიძემ გადაარჩინა. მის გარდა სხვასაც თუ ვინმეს უხილავს ის დაურღვეველი არხოტი, ყველა ალტაცებაში მოსულა იქ ნანახითა და მოსმენილით.

ცნობილი მომღერალი ნოდარ ანდლულაძე 1947 წელს თავის თანაკურსელ გოგა ოჩიაურთან ერთად დიალექტური მასალის ჩასანერად გადასულა არხოტში. ხშირად მომისმენია მისგან ის „ენით აუნერელი შთაბეჭდილება“ (მისი სიტყვებია), რაც არხოტის მკვიდრთ მასზე მოუხდენია: „მანამდე ვფიქრობდი, რომ ვაჟა ფშაველას პოემების პერსონაჟები: ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ზვიადაური, მინდია... ყაზბეგის ხევისბერი გორია... მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირები იყვნენ, რომ მსგავსი ადამიანები ცხოვრებაში, მთაშიაც კი არ არსებობდნენ. არხოტში ეს პერსონაჟები ცოცხლად ვიხილე, მათ სახელები ერქვა: ხიზანათ გაბრიელი, გარსია ოჩიაური, ამლიონი გიგი წიკლაური, მაისტელ წიკლაური, თორელ წიკლაური და სხვანი. მათ ისე შევცქეროდი, როგორც შუა საუკუნეებიდან თუ მითოსიდან გადმოსულ მითიურ გმირებს, ღმერთკაცებს, გარდასულ დროთა ლანდებს. შემდეგში საოპერო სცენაზე განსახიერებულ გმირების – მინდიას, დონ ხოზეს, კავარადოსის, ტურიდუს, მანრიკოს, რადამესის და სხვათა ხორცშესხმისას სულ თვალწინ მედგა მათი სახეები.“ პირადად მეც კიდევ მოვესწარი ტრადიციების გამგრძელებელ „უკანასკნელ მოჰიკანს“ ციცქა ჯაბუშანურს, ქორძო ნაროზაულს, არჩილ ოჩიაურს, ობოლა წიკლაურს, გოგი ქიბიშაურს, ვახტანგ ბალიაურს... ბევრ რამეს საინტერესოს ვისმენდი მათგან და გულს მატკიებდა იმის გაფიქრება, რომ ამას ყველაფერს საფლავში ჩაიყოლებდნენ. ვთხოვდი იქაურ ახალგაზრდებს, ეთავათ მათი ჩაწერის საქმე და ზამთრის რვათვიანი მწყვედეულობის ჟამს მონყენილობა ამ საქმით გაექარვებინათ. შემპირდებოდნენ, თვით ციცქამაც კი თქვა თანხმობა ბოლოს, მაგრამ ამაოდ.

2009 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა გადასახლებაში დაღუპული მწერლის, ლადო ბალიაურის ერთადერთი ქალი ლამარა ბალიაური. ბარისახოში გერმანულის მასწავლებლად მუშაობის შემდეგ (სამოციან წლებში), თბილისში გოგებაშვილი სახელობის

ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მის პანაშვიდზე ხევსურები გვიანობამდე ვრჩებოდით და უმთავრესი სასაუბრო არხოტივნების, ლამარას მამა-ბიძების ბრძოლისა და თავგანწირვის ამბები იყო ქვეყნის უკვე სხვა უდიდეს მტერთან. ჩემი დედუღეთისა მეც საკმაოდ ბევრი რამ ვიცი, სხვამაც, მაგრამ მთავარი მთხრობელი მაინც გრანჯა იყო, არხოტში დაბადებულ-გაზრდილი კაცი. მან იმდენი და ისეთი ამბები, ისეთი ლექსები მოაყოლა, რომლებიც არც მე და არც სხვებს მოსმენილი არა გვქონდა, ან არ გვახსოვდა.

ჩვენ ბარისახოს სკოლა-ინტერნატიდან მოყოლებული ერთად მოვდივართ და ისიც ვიცოდი, რომ ამ ლექსებს შესანიშნავად ამღერებდა ფანდურზე. რაკი პროფესიით ბიოლოგია და ამ საქმისთვის არ ეცალა, არ შემითავაზებია ის, რასაც სხვებს ვთავაზობდი. ახლა კი, როცა შემომჩივლა, ცუდი ყოფილა პენსიონერობა, უსაქმოდ ყოფნაო, ვიფიქრე ჩემი „ამაო სათხოვარი“ ეხლა გრანჯასთან მომესინჯა. ვუთხარი, მოდი ეს შენი რეპერტუარი მაინც გადაიტანე ქალაქზე, რითიც შენ იმაზე მეტს თუ არა, ნაკლებ სასახელო საქმეს არ გააკეთებ, რაც „მცენარეთა დაცვაში“ გაგიკეთებია-მეთქი. ვნახოთო, – მიპასუხა. ერთი კვირის მერე დამირეკა, ეს რა მიყავი, ღამე ძილს ველარ ვიძინებ, სულ ეს მინდა, სანერ მაგიდას ვეჯდე, ეს რა კარგი რაღაცეები მცოდნიაო!

მენიშნა! ხევსური და მითუმეტეს არხოტიონი, რომელიც გნებავთ „სხვა“ პროფესიისა იყოს, შინაგანად პოეტი თუ არა, პოეზიის დიდი მოყვარული მაინც არის, დაბადებითვე ფილოლოგობა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ფილოლოგიური ფშაველ-ხევსურთა ფაკულტეტია. ზოგიერთი შემთხვევით „გზასაცდენილი“ თუ მოხვდება სხვა ფაკულტეტზე. ერთი მათგანი იყო გრანჯა ქიბიშაური. მისი ბიოლოგობაც შემთხვევით მოხდა.

ერთ ზაფხულს არხოტში გადასულა ბიოლოგი დედიკა ოჩიაური, პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე თამარ ჯიქიძესთან ერთად. მათ დაუვალეობათ გრანჯასათვის ხევსურეთის პურეულ და სამღებრო მცენარეებზე მასლების შეგროვება და მოსწავლეთა კონფერენციაზეც ჩაიყვანეს თბილისში. აქედან დაიწყო ბიოლოგობა.

ნოდარ ანდლულაძე არხოტის პირველ შთაბეჭდილებებიდან ასეთ რამესაც იხსენებდა ხშირად:

„ჩვენი არხოტში გადასვლის კიდევ ერთი მიზანი იყო ისიც, რომ გოგი ოჩიაურს „სახელოს“ უხდიდნენ მშობლები ახიელის მთავარ სალოცავში – „გორულ ჯვარში“. ათენგენობამდე ერთი კვირა „სამ-ანმინდროდ“ ნიშთან უნდა ეთია, სოფელში ჩამოსვლა ეკრძალებოდა, მეც მასთან ვიყავი. სოფლიდან საჭმელს გვიზიდავდა 13 წლის გრ-ანჯა და ისაც დღედაღამე ჩვენთან იყო, სამწყემსურში ველარ გაგზავნეს. მის მაგივრად და მწყემსავდა. და აი მაშინ, მთელი ერთი კვირა გვეუბნებოდა არხოტულ ლექსებს და მთელ „ვეფხისტყაოსანს“.

– მაშინ ჩამაგონა ნოდარმა, – აგრძელებს გრანჯა, – სწავლა აუცილებლად უნდა გააგრძელოო. სამი კლასი ახიელის სკოლაში მქონდა დამთავრებული. მეტზე არც ჩემი მშობლები ფიქრობდნენ, რადგან საქონლის მწყემსი იყო საჭირო. „ქალაღმისად ჩახედვა“ ხევსურეთში ბევრს ისევ არაკაცურ საქმედ მიაჩნდა. კარგი იარაღი მქონიყო, ის უფრო მაინტერესებდა. ყური მოვკარ ხათუთა (გიორგი ჯაბუშანურის ცოლი, იმის ვინც „ვეფხვისა და მოყმის“ ლექსი განავრცო) „წვერამდე დანერილ“ ხანჯარს ჰყიდისო და იმაზე ავეუტყდი მშობლებს, ის ვაყიდვინე ხუთ ძროხად. ნოდარის ჩაგონებით გამიჩნდა ინტერესი სწავლისა და მშობლებს ვეუბნებოდი: – ნოდარმა მითხრა, სწავლა უნდა გააგრძელო და ბარისახოს გადამიყვანეთო.

1949 წლის ზაფხულში ალექსი ოჩიაური იყო გადმოსული არხოტში, შემომისვა ცხენის გავაზე და გადმომიყვანა შუაფხოში, თავისთან. იქ თვეზე მეტხანს დასასვენებლად ამოსულ ნოდართან ერთად მამეცადინებდნენ დავიწყებულ პროგრამის აღსადგენად.

მოიყვანეს გრანჯა ბარისახოში და ჩვენ პირველი დღიდანვე დავმეგობრდით. მერე იყო ბიოლოგების დავალება და პიონერთა სასახლეში ჩაყვანა ნოდარისაგან პატრონობა. (ნოდარმა ასე ბევრ ხევსურს უპატრონა შემდეგში და მათ შორის მეც!) სკოლის დამთავრების შემდეგ იმავე ინერციით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დატოვეს „მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“, დაიცვა ხარისხი, დაოჯახდა და...

დღემდე ვაგრძელებთ არხოტული სულით სუნთქვას. დღემდე არც ნოდარ ანდლულაძესთან „არხოტის ჯვარის“ ყმასთან (ოფიციალურად, საკლავ-საწირითა და ყოველგვარი რიტუალის დაცვით მოხდა მისი მიღება ოჩიაურთ „გორულ ჯვარშივე“). გაგვიწყევტია კავშირი მის „სამ უმცროს ძმას“ უძმოს ძმებს თენგიზ ბალიურს, გრანჯა ქიშიბაურს, გიგი ხორნაულს. ადრე ბევრი სხვა ხევსური და სვანი იყო ჩვენი მოცილე ნოდარის ძმობაში. ეხლა თითქმის ჩვენ სამნილა შემოვრჩით. დაგვიბერდა ერთ დროს ხარჯიხვივით წინმავალი „კლდიან შიბ-ბილიკებზე“ ჩვენი გზამკვლევი და იმედი, ჩვენც წალიკას მივეყვებით ახლოსვე. აღარც ის მუხლია და აღარც ის ძალა.<sup>1</sup>

არსებობს ბესარიონ გაბურის მიერ ჩანერილი „ხევსურული მასალები“ (პრო. აკაკი შანიძის რედაქციით), რომლებიც გამოქვეყნდა „ქართულ-საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში“ 1925 წ. დართულ წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე ძალზე საინტერესო ცნობას გვანვდის ბესარიონ გაბურთანა და ამ მასალების ჩანერასთან დაკავშირებით:

როდესაც 1914 წ. მსოფლიო ომი ატყდა, ბრძოლის ველიდან პეტერბურგში დაჭრილებს დაუწყეს ჩამოყვანა და საავადმყოფოებში მოთავსება მოსარჩენად. დაჭრილებთან მნახველები დადიოდნენ და ვისაც რითი შეეძლო ეხმარებოდნენ. დაჭრილებს შორის ერივნენ აგრეთვე ქართველებიც, რომელთაც მზრუნველობას არ აკლებდნენ იქაური ქართული კოლონიის წევრები. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გადმომცეს (მან 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს პროფესორად მომზადებისათვის – გ. ხ), რომ ობუხოვის საავადმყოფოში ერთი ხევსური ნევსო. ნავედ და ვნახე და აღმოჩნდა ჩემი ნაცნობი ბესარიონ გაბური, რომელიც მობილიზაციის წესით ჯარში გაენვიათ, ბრძოლის ველზე გაეგზავნათ, დაეჭრათ გერმანიის ფრონტზე, ჩაეყვანათ პეტერბურგში და მოეთავსებინათ ობუხოვის საავადმყოფოში. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში იგი დორპატში (იურიევში) გადაიყვანეს, სადაც მან დაყო იანვარი და თებერვალი. პეტერბურგში ყოფნის დროს

---

1. ნ. ანდლულაძე გარდაიცვალა 2013 წლის 30 იანვარს

ბესარიონს ინტერესი აღუძარი ხევსურული ამბების წერისადმი... წერა მან განაგრძო აგრეთვე დორპატშიც, საიდანაც ფოსტით გზავნიდა თავის ნამუშევრებს...

ბესარიონ მარტიას ძე გაბური არხოტელია (1911 წელს სტუდენტი აკ. შანიძე ფაკულტეტმა მიავლინა ფშავსა და ხევსურეთში დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად და ჩანს, მაშინ გაიცნო ბესარიონი გ. ხ.) მას მცირეოდენი განათლება აქვს მიღებული და დიაკვნადაც ნამყოფია არხოტში. 1914 წ. როცა მე იგი უკანასკნელად ვნახე იქნებოდა ასე 25-26 წლის კაცი. რა მოუვიდა მას მერე, ან სად არის ამჟამად, არაფერი ვიცი” (გვ. 120)

1914 წლის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც მძიმე კვალი დატოვა, კერძოდ ხევსურეთსა და არხოტზეც. ბევრი ახალი ლექსი შეიქმნა, რომელთაგან დიდი უმეტესობა ა. ოჩიაურმა გამოაქვეყნა, მაგრამ ბევრიც ჩაუნერელია. ამბების მცირე ნაწილი დაფიქსირდა ასევე ძველი დროების მომსწრე და თვითმხილველი ნათელა ბალიაურის „ხევსურულ ქრონიკებში”, რომელიც 1995 წელს კი გამოიცა, მაგრამ დაწერილი ადრეა. ბუნებრივია, ვერც ბესარიონ გაბურის და ვერც გრანჯა ქიბიშაურის შეკრებილი მასალები ვერ მოიცავს მთელ არხოტულ ზეპირსიტყვიერებას. გაბური უფრო შეზღუდული იყო – მხოლოდ არხოტული. გრანჯა კი ძველს ამატებს გვიანდელსაც, ახალსაც და მთელ ხევსურეთში გაგონილ „კარგ” ლექსებსაც. ამასთან გრანჯა გვანჯდის ისეთ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ფაქტებს, რომლებიც თავის დიდ „აღწერებში” ალექსი ოჩიაურსაც არა აქვს დაფიქსირებული და არც ნიკო მაკალათიასა და მელანო ბალიაურის ნაშრომებშია მოხსენიებული.

ასე და ამრიგად გრანჯა ქიბიშაურის ეს პატარა წიგნი პატარა საქმე არ არის. ჯიხვ-არწივების საბუდარიდან გადმოფრენილი კიდევ ერთ „მართვია” კაცის გულის გამხარებელი, ნამეტნავად კი ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტებისა. მამა-პაპათა ადათ-წესების მკვლევარ-გამომძიებელთა, ტრადიციების მოყვარულთა და დამცველთა.

*გიგი ხორნაული*



## ავტორისაბან

ცნობილი ფოლკლორისტი ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს: „პოეზია ზღაპრული ჭა არის, რამდენიც უნდა ილო წყალი, მაინც არაფერი აკლდება“. ჭეშმარიტად, მანამ სანამ შემავსებელი ნაკადულები კვებავენ მას. მათი დანრეტის შემთხვევაში კი...

ჯერ კიდევ 1911 წელს, დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ნიკო მარს ერთი თვით მოუვლინებია ფშავ-ხევსურეთში. დაბრუნებული იგი ნ. მარს სწერდა: „ხალხური სიმღერები აქ, მთებში, უმაღლეს განვითარებამდეა მისული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ხევსურეთში არასასურველი, მზაკვრული ამბები ხდებოდა. დაიწყო კუთხის ნგრევა, მათი გადასახლება ბარში, რომელიც ნახევრად იძულებით ხასიათს ატარებდა. გაჩნდა ნასოფლარები ან გათითოკაცდა სოფლები. გაქრობის პირას მივიდა ხევსურთა ცხოვრების რიტმი. მთქმელები იკარგებოდნენ, იკლო ჯვარ-ჯვარის კარზე მედლეობე, მეხვენური ხალხის სიარულმა. შეწყდა სანესჩვეულებო პოეზია: აღარ ითხზებოდა საქალვაყო, სტუმარმასპინძლური, საგმირო თუ სახელ-სირცხვილის ამსახველი ლექსები. საჭირო იყო ჯერ კიდევ შემორჩენილი ხევსურული ყოფის: ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და პოეზიის ნიმუშების ფიქსაცია, რაც იმ დროს მეხსიერებას შემორჩა, ამჟამად დაცარიელებულ არხოტიდან. აი ამის მცდელობის სურვილით დაინერა ეს პატარა კრებულები.

დიდად დავალებული ვარ და მადლობას მოვახსენებ გიგი ხორნაულს ამ საქმეში ნაქეზებისა და მუდმივად მხარში დგომისათვის. ასევე დიდ მადლობას მოვახსენებ მანანა მაკალათიას იმ გულწრფელი დახმარებისათვის, რომელიც მან გამიწია.



## ჩემი ტაბრუცი

შვიდი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა, ხალხის კეთილდღეობის ზრუნვის საბაზით, ხევსურთა კუთხის ნგრევა დაიწყეს და ამ ტრაგედიის მიზან-შედეგებს ჯერ კიდევ მკვლევართა კალამი არ შეხებია, საშური კია. ნახევრად იძულებით გადასახლებას მოჰყვა ის, რომ თანდათან გაუკაცურდა და გათითოკომლდა სოფლები, მომრავლდა ნასახლარები. იშვიათად რომ პირიქით და პირაქეთ ხევსურეთის სოფლებში ერთ-ორ კომლზე მეტი ცხოვრობდეს. გაჩნდა ნასოფლარები, რამაც გამოიწვია ცხოვრების მუხტის შენელება. გაფერმკრთალდა, გაუფერულდა მტკიცე ადამ-წესები. ხევსურეთის დაუნერელი კანონის მცოდნენი, რჯულის კაცები, ჯვართ გამძღო ხუცეები, კაცთ კითხულნი პაპები, რომელნიც მთის ყოფას განაგებდნენ ერთობ შეთხელდნენ. ზაფხულობით დღეობებზე თუ ახმაურდებოდა ჯვარ-ჯვარის კარი, ბარში განთესილი მეძღვნე-მეხვენურის სახით და კუთხის დაცარიელებისთანავე მომრავლდნენ ქალაქიდან თუ ბარის სოფლებიდან ჩარჩ-ვაჭრები თუ სიძველის მოყვარული გადაწყიდველები, რომლებმაც დაიწყეს კუთხიდან გატანა ყოველივე იმისა, რითაც ამაცობდა ხევსურეთი. საჩუქრის სახით თუ ჩალის ფასად უვარდებოდა ხელში მედროვე ხალხს: მამაკაცის პერანგები, ჟილეტები, მასრით განწყობილი ჩოხები, ბაჭიჭები, სანვივეები (წვივსაკრავები), საქალამნე თუ ე. წ. შიბაიანი თათები (წინდები), აგრეთვე მანდილოსნების სადიაცოები, ქათიბები, ქოქლოები, ქალის თათ-ბაჭიჭი, თუ მანდელ-სათაურა. ასევე ხელში უვარდებოდათ ხევსური ვაჟების სიამაყე აბჯარი. იძარცვებოდა ხევსურეთი: გაჰქონდათ ხმლები თუ ხანჯრები, ჯაჭვის პერანგები თუ ჩაჩქანი, ფარები თუ სამკლავები, ბალთიანი სარტყლები, ვერცხლის ქამრები. კარგა ხანია დავიწყებას მიეცა უბის ფარები და ე. წ. სტამბოლის ოქროთი მოვარაყებულკაჟიანი ხირიმის თოფები თუ უნგრული წარმოშობის მადიარული მაჟარი. ლიტერატურაში არის მონაცემები იმის შესახებ, რომ რუსი მეცნიერები: რადე, უვაროვები და სხვები, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შედიოდნენ გამოკვლევის მიზნით და ადგილობრივ

ხევსურებს სძალავდნენ ეგზოტიკისა და ნივთიერი კულტურის უძველეს ნივთებს უცხოეთის მუზეუმებისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ კუთხეში იყო შემორჩენილი.

XX საუკუნეში კი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობის შემდეგ საბჭოთა მილიცია ხევსურებს ართმევდა ყოველგვარ იარაღს.

ვანო კუცია, რომელიც ომის პერიოდში არხოტის თემის ბავშვებს გვასწავლიდა, მერე ბარისახოს მილიციაში მუშაობდა, ათეული წლების შემდეგ მიყვებოდა: „ერთხელ რაღაც საქმის შესამოწმებლად, სოფელ ქმოსტში გავგზავნე ჩემი წარმომადგენლები, რომლებიც სახლში არავის შეუშვია. მერე მე გავიყოლე მილიციელები, ქმოსტი ალყაში მოვაქციეთ, ყველა სახლში შევედით, ხმლები შევკრიბეთ და წამოვიღეთ. ვიღაც ქმოსტელმა მომაკითხა ბარისახოში და მთხოვა, ერთი ხმალი დამებრუნებინა. მისივე თქმით, მსგავსი ხმალი ხევსურეთში მეორე აღარ მოიპოვებოდა, მაგრამ მე უკვე ადრევე მქონდა გაგზავნილი დუშეთის შინსახკომში ყველა ხმალი.“

ერთხელ მიყვებოდნენ, ვიღაც თბილისელი, რომელსაც ეტყობა კარგად ესმოდა ძველი ნივთების ღირსება, სოფელ მლაშეში ხევსურებთან აბამდა კავშირს და პირდებოდა „ვოლგას“ (რომელზედაც თვითონ იჯდა) მას, ვინც მოუძებნიდა რუსეთის მეფის საოჯახო ფოტოს, რომელიც მას ხევსურეთში ეგულებოდა.

როცა დავინახე ხევსურეთი იცლებოდა ყველა იმ უნიკალური ნივთისაგან, რაც მხოლოდ და მხოლოდ იქ იყო შემონახული, გვიან, მაგრამ მაინც გადავწყვიტე შემეკრიბა ჯერ კიდევ აქაიქ შემორჩენილი სიძველენი. პატარაობიდანვე მიყვარდა სხვადასხვა ნივთების მოძებნა-შეგროვება. მქონდა ერთი ტაგარუცი, სადაც ვინახავდი ცხენის ნალ-ლურსმანს, სათაგურებს, კვერს, გაზს, ცარიელ მასრებს და სხვა. ისე, რომ ჩვენებს თუკი რამ საყოფაცხოვრებო ნივთი დასჭირდებოდათ, მაშინვე ჩემს სახიმატრეს მოაპირქვავენდნენ და იქ პოულობდნენ.

ვიქნებოდი რვა-ათი წლის, ბიძაჩემი წისქვილიდან მოვიდა და თქვა: ხათუთა დამხვდა გზაში და მთხოვა, ხანჯარი დაჟან-

გებულა ქარქაშში და იქნებ ამოაგოო. ამოვაგე და ულამაზესი, ნვერამდე დანერილი „შაეხლის“ ხანჯარი იყო. ბავშვს ეს ჩამივარდა გულში და ავტყედი – ეს ხანჯარი მიყიდეთო. მამიდურმაც მხარი ამიბა და ერთ ცხვრად შეიძინეს ჩვენებმა. მოხევე მწყემსს გავატანეთ ძაუგში და იქ გაუკეთეს ძვლის ტარი და ვერცხლის ბუნიკი. შავტარა და შავ კემუხტში ჩასმული ხანჯარი კი მაჩუქა ჩემმა სიძემ არჩილ ოჩიაურმა. მას კი მირთმეული ქონდა კაი ყმისაგან, ხახონისაგან, ძმობილობისას. მანვე დამითმო იშვიათი დავითფერული ხმლის პირი, რომელიც ქარქაშში ჩავასმევიინე იარაღის ოსტატს არნოლდ თეთრაშვილს. თავის დროზე ხევსურეთში თხუთმეტი ძროხად იყიდებოდა. ფარები ხევსურეთში უფრო გვიანობამდე შემორჩა. ჩამომქონდა, ვჩუქნიდი, მხოლოდ ერთი ფარი დავიტოვე აბჯრისათვის. ფარს თუ დავაკვირდებით, კიდევზე კარგად ემჩნევა ჩხუბის დროს ნაკეჭნები. უბის ფარს ვერსად ვერ მივაგენი. იყო კიდევ ერთი ფარი, რომელსაც ხარის ტყავისგან ამზადებდნენ, ხის რგოლზე გადაჭიმავდნენ ნყალში კარგად დამბალ ხარის ტყავს. გამხმარ ხარის ტყავს იარაღი ძნელად ჭრიდა და ადვილი სახმარიც იყო სიმსუბუქის გამო.

სამკლავეები, ქართული თოფის პატრონტაჟი, ყანიმიანი სამხარილლიო მასრებიტა და სპილოს ძვლის სანყაოთი, სოფელ არხილოსკალოში დამითმო რომკიდან ჩამოსახლებულმა მიხა ნიკლაურმა. სამოცდაათიან წლებში სოფელ ზეისტეჩოში მოხვდვი და იქ მცხოვრებმა ხვთისომ (ეშმა-ხიჩლა) მაჩუქა ვერცხლის ყანიმიანი, ხმლის სამხარილლიო.

არხოტისკენ მიმავალმა ბარისახოში წინხადუელ თოთიათ ნიქას გამოველაპარაკე, რომელიც შემპირდა: „თუ როგორმე წინხადულს მოხვდები, ჩაჩქანს დაგითმოზო“. იმავე გზობაზე არხოტიდან წელთგზაზე კი არ წამოვედი, არამედ კალოთანინდან, გამოვიარე შიტუ-ლორლუ, გადმოვედი წინხადულს და წამოვიღე შემპირებული ჩაჩქანი. გიორგინმინდელ მეგობარს, მამუკა გოგოჭურს ვთხოვე დამხმარებოდა აბჯრის შეგროვებაში, და აი ერთხელ, მამუკას სოფელ ლებაისკარში შეუმჩნევი ბაღში დაკიდებული ბელურების საფრთხობელა, რომელიც ძლიერი ქარის დროსაც არ ირ-

ხეოდა. დაინტერესებულა და უთქვამთ, რომ იგი ჯაჭვის პერანგი იყო. აი, ეს „საფრთხოებელა“ გამომიგზავნა მამუკამ შატილიდან, რომელიც ახლა ჩემს აბჯარს ამშვენებს. ე. წ. მაღალკბილიანი ღაჯია, რომელიც ჩვეულებრივ ჩხუბში იხმარება, მომცა ახიელაში ხვთისო ცისკარაულმა. სანადირო წრიაპი ერთ-ერთ სახლში მიტოვებული ვიპოვე, ხოლო მათარა, რომელიც ასევე მონადირის თანამგზავრია, სოფელ ამლაში გოგიელა ნიკლაურმა დამითმო.

ხევსურეთში მრავლად იყო თითების სამშვენისი, სხვადასხვა ფორმის სათითე. სათითეს ბეჭედსაც ეძახდნენ. ერთ-ერთი სათითე, ე. წ. „გველისთავიანი“ საქართველოს არცერთ კუთხეში არ მოიპოვება, თვინიერ ხევსურეთისა. აი ეს „გველისთავიანი“ ბეჭედი ერთადერთი იყო არხოტის თემში, რომელიც ჩუა ოჩი-აურმა მაჩუქა და ამჟამად ჩემთანაა. ისტორიკოსების ცნობით, ამ სათითეს, როგორც თილისმას, ატარებდა ალექსანდრე ბატონიშვილი, როდესაც სპარსეთიდან დაბრუნებული ცდილობდა საქართველოდან რუსების განდევნას. ბოლოს იგი შატილში აფარებდა თავს, საიდანაც ჩეჩნეთში გადაიხვეწა. ეთნოგრაფებს ჯერ-ჯერობით ვერ აუხსნიათ, მაინცდამაინც ხევსურეთში რატომ შემორჩა ეს ისტორიული „გველისთავიანი ბეჭედა“ და საქართველოს სხვა კუთხეში არა.

სოფელ ახიელის ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში მივაგენი თოთხმეტ სხვადასხვა ფორმის ყალიბს. სამი განსხვავებული ფორმის ყანიმების ყალიბი აღმოჩნდა (მახსოვს ადრე ხმლების უმრავლესობას ყანიმიან სამხარილლიო ამშვენებდა). მატრიცების დათვალიერებისას ჩემმა დამ ელენამ წამოიძახა: „ეს ხომ მყვრის (ბაყაყი) თვალა არისო, რომელიც სადიაცოს ფარაგს ამშვენებდაო“. ადგილობრივმა უფროსებმა მითხრეს, რიგი ყალიბების ფორმის სამკაულებით რთავდნენ ცხენის უნაგირსა თუ აღვირ-ავშარასო. როგორც ჩანს, ძველად, ზემოხსენებული ყალიბებით სამკაულ-სამშვენისების დამზადება ადგილობრივ ინარმოებოდა, მაგრამ ვინ აკეთებდა ამას და როდის, ეს უფროსებმაც აღარ იციან. ხელში ჩამივარდა აგრეთვე მეფის რუსეთის ჩინოვნიკების, სტარშინა-ბოქაულების ბეჭდები წარწერებით:

„შატილის სუდია“, „შატილ-არდოტის საზოგადოება“, „შატილის საზოგადოების სტარშინა“, „შატილის საზოგადოებისა“ და „ახიელის საზოგადოების“ ლითონზე დამზადებული ბეჭდები. აქედან მხოლოდ „შატილ-არდოტის საზოგადოების“ ბეჭედია ქართულენოვანი.

ხევსურეთში, როგორც ცნობილია ადგილზე იქსოვებოდა და იქარგებოდა კაცისა თუ ქალის ტალავარი. ადგილობრივ, ნამდვილ ნაჭრელას (ნაქარგს) დღესაც განცვიფრებაში მოყავს მნახველი, ამიტომ მასაც არ მოკლებია თავისი მუშტარი. იმ დროს აბრეშუმის ძაფით იქარგებოდა და მძივებით ლამაზდებოდა, რაც უნიკალურ ელფერს აძლევდა ნაჭრელას, ამიტომ ვცდილობდი აქა-იქ შემორჩენილ ადგილობრივ მქარგავთა ნაწარმისათვის მიმეგნო და შემეგროვებინა. მაქვს პერანგი, წვივსაკრავი (საწვივე), სათამბაქოე (სათუთუნე). სათამბაქოესა და საწვივეს სწორფერი უქარგავდა სწორფერს და თავისი თმის მონაჭერსაც ჩაუკერებდა, როგორც სიყვარულის სიმბოლოს. საქალბნე თათები, ამოკერებული ანუ შიბიანი თათები (წინდები), რომელიც მაჩუქა ამლელმა დავით წიკლაურმა და რომელსაც მხოლოდ სახლში იცვამდნენ. ხევსური ქალის თავსაბურავი მანდელ-სათაურა დამითმო ჩემმა დამ – ელენე ქიბიშაურმა. ხევსურული ქუდი, რომელიც საუკუნის ექსპონატია და ხევსურეთში დიდი ხანია აღარ მოიპოვება, გადმომცა არხილოსკალოს ჩასახლებულმა ბაბუა წიკლაურმა. ხევსურული ტალავარი ამჟამადაც იქარგება მოყვარულთაგან, აბრეშუმის მაგივრად ხმარობენ მულინეს ძაფებს, მაგრამ ეს მდარე, როგორც ხევსურეთში იტყოდნენ, ნათალიც არ არის იმ გარდასულ ოსტატთა ნახელავისა.

## არხოტის ჯვარის ჯვარი

ცნობილია, რომ ხევსურეთის ჯვარ-სალოცავები უნიკალურ, საუკუნეების წინანდელ სამუზეუმო ექსპონატებს ინახავს განძის სახით. ბევრ მათგანზე წარწერების დათარიღება აღნიშნულია არა არაბული ციფრებით, არამედ ნუსხური ასოებით, რაც მათ სიძველეზე მეტყველებს. ერთ-ერთი ასეთი უნიკალური, ისტორიული ხმალი არხოტის თემის მთავარ სალოცავში – არხოტის ჯვარში ინახებოდა. მის შესახებ ცნობებს ვხვდებით სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მასალებში. ვ. ბარდაველიძის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადოებრივ კულტურული ძეგლები, ტ. II, ხევსურეთი, თბილისი, 1982 წ. გვ. 148), სადაც ნათქვამია: „ქვეყურ ჯვარში ინახება ხმალი, ხუთღარიანი პირით, პირზე წარწერით – V, ვერცხლის ქარქაშით“. უცნობია როგორ მოხვდა საქართველოში იტალიაში დამზადებული ხმალი. გადმოცემის თანახმად ამ ხმლის პირველი მფლობელი ყოფილა ბადა წაროზაული, რომლისთვისაც გუდამაყრელ ძმობილს უჩუქებია. ბადა წაროზაულისა და ხმლის შესახებ შემორჩენილია ხიზანა წაროზაულის ნაამბობის ფრაგმენტები, რომელიც ბადას შთამომავალთა მეხუთე თაობას ეკუთვნოდა (ბადას შთამომავლობა დღესაც მის სახელს („ბადანი“) ატარებს).

ბადა ხევსურულ პოეზიაში იხსენიება:

*„სიკვდილმ თქვა სულეთ ჯვარს შავყრი,  
წარწერის ვაჟებისასა,*

*ბადათ მოუკლავ ბადასა, კულას დაფუნგრევ ქვისასა“.*

გადმოცემით, იგი მეფე ერეკლესთან დაახლოებული ხევსურთაგანია, რომელსაც ადასტურებს ნათელა ბალიაური (ნ. ბალიაური „ხევსურული ქრონიკები“, თბ., 1995 წ. გვ., 36).

ხიზანას გადმოცემით, ბადას სიკვდილის შემდეგ ხმლის პატრონი მისი ძმა გელიკა გამხდარა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხმალი არხოტის მთავარ სალოცავში იდებს ბინას. ამავე პერიოდში ხატის სახსრებით ხმალს გაუკეთდა ვერცხლის ქარქაში და მოირთო ვერცხლის მონეტებით. ბოლო ასი წელი იგი

არხოტის ჯვარის საგანძურს ამშვენებდა. მახსოვს, ათენგენობაზე ჯვარის თას-განძთან ერთად ხმალიც გამოჰქონდათ. ყვებოდნენ შხამინაო, ციკანს ყური მოაჭრეს და მაშინვე მოკვდაო. დღეობებზე ხუცესი ხმალს მხარ-ილღივ გადაიკიდებდა და რიტუალს ისე ატარებდა.

გერმანიასთან ომის დროს არხოტიდან მიმავალმა რუსმა ჯარისკაცებმა ხატიდან მოიპარეს და სოფელ ბლოში პურის ლავაშზე გაუცვალეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. უკან დადევნებულმა ხვთისო ცისკარაულმა მეორე დღესვე დააბრუნა ჯვარში.

გერმანელ მწერალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ალფრედ კურელას, პირველი მოგზაურობისას, მეუღლე ელპიტე კურელა დაეღუპა სოფელ ახიელიდან ოთხ-ხუთ კილომეტრში. ელპიტე ცხენმა ჩამოაგდო, იქვე დაკრძალეს. ალფრედს უთქვამს ჩვენ პირობა გვქონდა დადებული, რომ მოგზაურობისას სადაც კი მსგავსი მარცხი შეგვემთხვეოდა, იქვე უნდა დაგვეკრძალა გარდაცვლილი. ცირცლოვანაში, გზის პირას მის საფლავს დღესაც ამშვენებს ქართულ და გერმანულ ენებზე წარწერით მარმარილოს ფილა. ამის შემდეგ შვილებთან ერთად თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა არხოტში ალფრედ კურელა. ერთ-ერთი მოგზაურობისას კურელას ათენგენობაზე ჯვარში უნახავს ეს ხმალი, წაუკითხავს წარწერა ხმალზე და უთქვამს: აქ წერია „ჩვენ სამნი ძმანი ვართო“. და დაუყოლებია – ერთი ამისი „ძმა“ ლონდონის და მეორე ნიუ-იორკის მუზეუმში ინახებო. მესამე ეს ხმალი დაკარგული იყო და დაინტერესებულა აქ საიდან მოხვდაო. კურელას ჯვარში შეუწირავს ვერცხლის თასი, რომელშიც ჩაუსვამს ელპიტეს სისხლიანი სურათი. მე როცა ვნახე, სურათი დაზიანებული იყო. მითხრეს რაიონიდან ჩამოვიდნენ უშიშროების წარმომადგენლები და ამ სურათის უკან რაღაცას ეძებდნენო.

დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდია მ მეუღლესთან, მირანდასთან ერთად 1967 წ. იმოგზაურა გერმანიაში, მათ სხვებთან ერთად ალფრედ კურელაც მასპინძლობდა. მწერალი იგონებს: „ალფრედის ვილა შესანიშნავად მოურთავს მის ახალ მეუღ-

ლეს სონიას. ნოხები და გობელენები, სურათები და ქანდაკებები, ნიგნები, წიგნები და კიდევ ნიგნები. როცა სონია რაინული ღვინის მოსატანად გავიდა, ალფრედი ხმადაბლა ეუბნება მირანდას – „ჩემი გულის ნახევარი ხევსურეთში მაქვსო დამარხული“.

ირაკლი ოჩიაურმა კურელას გაუგზავნა ბეჭედი, რომელზედაც ტორებზე შემდგარი ცხენი ალპურ ყვავილებს თელავს. კმაყოფილ კურელას უთქვამს – „ამას ალბათ მხოლოდ ქართველი თუ გააკეთებდაო“.

1960-იან წლებში, როცა არხოტის თემი თითქმის მთლიანად დაცარიელდა, სალოცავები და მისი განძი უპატრონოდ დარჩა. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ბედავდა ხატის სინმინდეებისათვის ხელის შეხებას და უსაფრთხო ადგილზე შენახვას. სამაგიეროდ იყო ბევრი ეგზოტიკით დაინტერესებული „სტუმარი“, რომელთაც ხელი მოითბეს უპატრონო განძზე და სინმინდეებზე. სწორედ ამ პერიოდში დაიკარგა ხმალიც სხვა განძთან ერთად და იგი ალბათ ამჟამად კერძო პირის ხელშია, რომელმაც მისი მნიშვნელობა არ იცის.

## ქველი აგზავი

ჩვენს ბანზე ფეხნობის დროს სოფელში ორი კაცი შემოვიდა. ხალხი წამოიშალა, სტუმრებს ადგილი დაუთმეს. ლაპარაკი მესმოდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე და ეს უფრო ამძაფრებდა მათდამი ინტერესს. არ მახსოვს, საიდან გაჩნდა მათ ხელში საპარსისამართებელი და საპარსველი. მივიდნენ ბაიჭაურ ცისკარაულთან, რომელიც ყოველთვის წვერმოშვებული დადიოდა და წვერი შეკრიჭეს. ესენი აღმოჩნდნენ ლილლოდან, კერძოდ, შავანიდან გადმოსული ქისტები. ჩემთვის გვიანობამდე გაუგებარი დარჩა, თუ რატომ დაიმსახურა ბაიჭაურმა ასეთი პატივი ქისტებისაგან. შემდეგში უხუცესმა სვიმან ცისკარაულმა მომითხრო ყოველივე ამის შესახებ. მისი თქმით, ლილლოდან საარხოტოდ წამოსულ ლაშქარს, ყიზილას და დოლას მეთაურობით, გზა არევია და ჯუ-

თას დასაცემიან. ჯუთელთ ართხმოვლებიც დახმარებიან და ლაშქარიც გამოუბრუნებიათ, თუმცა მსხვერპლი მაინც ყოფილა. გამობრუნებული ლაშქარი ცირცლოვანაზე წამოსულა არხოტზე დასაცემად. ამიტომ ჯუთიდან მაცნე უფრენიათ არხოტის გასაფრთხილებლად. მას სამთრეხლოზე გადმოსვლით დროზე უცნობებია არხოტისათვის. არხოტივნები ჭიმლის კლდეთ ძირ, ცირცლოვან დახვედრიან და თოფის სროლით შეუჩერებიათ მათი წინსვლა. ლაშქარი ვერც წინ მიდის თურმე და ვერც უკან. ამ ადგილას ჭიმლის კლდე ყურეს ქმნის და ლაშქარი შიგ შემდგარა. დღესაც ამ ადგილს „ლაშქრის შანადგომს“ ეძახიან. პიტალო კლდეზე ასვლა შეუძლებელია, დაბლიდან არხოტივნები ესვრიან, ურჯულო ხაფანგშია. მხოლოდ სამმა ქისტმა დააღწია თავი სიკვდილს.

*„მერცხალაშვილის ხირიმი შუე ღილღოს ჩაჰყრის ხმასაო, გუე მარტო არ მოვიდოდა, ორთ მიიყოლებს სხვათაო“.*

სვიმანის თქმით, სამივეს ფეხით ტერფები დანით დაუსერიათ, რომ გამონადენი სისხლი კლდეს მიჰკროდა და წრიაპობა გაენია. დანარჩენ ქისტებს კი დანებება მოუხდათ; ფუნჩაისძე ასულა ქისტებთან, თოფები ჩამოურთმევია და ტყვე ლაშქარიც ჩამოუყვანია:

*„წინ ფუნჩაისძე დაუდგა, ჩამაიყვანა ლაშქარი, გადუკიდებავ მხარზედა, მააქე ქისტების აბჯარი, ამობდა: უნდა დაგიდგათ, ქისტებო ძაღლის სასვარი...“*

ლაშქრის ნარჩენი ქისტები ახიელაში ცისკარაულების სახლში გამოუკეციათ. ცისკარაულებს რამდენიმე ქისტი ღამე, ჩუმად გაუპარებიათ, ნეთხიროს მხრიდან და მიუსწავლებიათ შავანისკენ მისასვლელი გზები. დარჩენილი ქისტები ამოუხოცავთ.

სვიმანის თქმით, ქისტები ვაჟკაცი ხალხია, მათ თუ სიკეთე გაუკეთე, არ დაივიწყებენ. გადარჩენილი ქისტების შთამომავლობა თაობიდან თაობას გადასცემდა ცისკარაულების გვარის სიკეთეს. ჩვენი სტუმრები შავანიდან აღმოჩნდნენ. ფეხონში მისვლისას მათ უკითხავთ: „ცისკარაულების გვარის თუ ვინმედა ცხოვრობსო ახიელაში?“ მიუთითებიათ ბაიჭაურზე. მათ მად-

ლიერების ნიშნად წვერი გაუკრეჭიათ. სვიმანის მიხედვით, ის ბიჭები გადარჩენილი ქისტების ალბათ მერვე-მეათე თაობა თუ იქნებოდაო, ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარა და ახლა ანდრეზად არის შემორჩენილიო.

## შეხვედრა ჯირჩლათ ბენინასთან

ბენინა ნიკლაური არხოტიდან 60-იან წლებში ბიძაშვილებთან ერთად ჩასახლებულა დედოფლისწყაროში. ვიცოდი, ბევრის მცოდნე კაცი იყო და მაინტერესებდა მასთან გასაუბრება. იგი სპორტის მოყვარული აღმოჩნდა და ჩემს კითხვაზე, თუ ძველად რა სახეობებში ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდები არხოტში, მიპასუხა: დიდი ქვების შორს გადაადგილებაში, მძიმე ქვების აწევაში და ბეჭებზე მოგდებაში. სოფელ ამლის დაბლა ხიდთან დიდი ლოდია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კოჭლათ ბერდიამ ასწია მუხლებამდეო. მას შემდეგ მრავალი ახალგაზრდა ეჯაჯგურა მას, მაგრამ ძვრა ვერავინ უყოო. მამა-პაპათაგან გამიგონია, რომ ამდელი გრძნეული კაცი ხოგაიას მინდი ისეთი მსუბუქი ყოფილაო, რომ ამ ხიდზე გავლისას ქვებს თურმე უბეში იდებდა, ქარმა არ გადამაგდოსო. დღესაც არსებობს მისი საცხოვრისი, რომელსაც საბეკურს ეძახიან და წმინდა ადგილად ითვლება. ამდლები სადღეობო ლუდს საბეკურში ვხარშავდით და იქვე ვაყენებდითო. ხოგაის მინდის შესახებ სხვადასხვა ვარიანტების სახით ლექსადაა მოთხრობილი ხევსურულ პოეზიაში. არხოტივნების მზირი ხოგაის მინდთან ერთად ჯარეგაში ჩასულა. ქისტის ქალს შეუტყუებია ისინი ციხეში, კარი გამოუჯარია და ჩაუკეცია. შეუტყობინებია ქისტებისათვის. აი, ერთ-ერთი ვარიანტი:

*„არხოტით მზირი ნავიდა, განყრომით გაჰყვა ჯვარია,  
ჩავიდეს ჯარეგაშია, მონადირენი რვანია,  
გამეეგება ერთ ქალი: „მოსულან ჩემნი ძმანია“,  
გაუძღვა, ციხეს შაყარნა, გამაუჯარა კარია,  
ტერელოს კაცი ვაგ ზაენა: ეხლა გვიჭირეთ მხარია!*

*მოვიდეს ქისტის შვილები, გარს შემოარტყეს ჯარია,  
ხოგაის მინდი გვიჩვენე, ბევრი გვიმართავ ვაღია,  
ყველა იძახის ამასა, ქისტის ქალი და რძალია,  
პატარამ ნანაისძემა ვინროდ გაბანდა ჯღანია,  
ციხიდან გამოუარდა, შუა ჩახია ჯარია,  
ხოგაის მინდომ იძახა, აბა, მიჭირეთ თვალია!  
ძალღნო, მიდგეხართ კარზედა, გინდოდათ ჩემი თავია,  
საკემისას გამოუფრინდა, გამაიყოლა ხმალია.  
თორმეტი მოკლა იმითა, გავარდა ნიავე-ქარია,  
ვერავინ დასწვდა სახმლედა, ვერც კი ვინ მაჰკრა თვალია,  
ამბობდენ ქისტის შვილები „ხომ არ შეებნეს მხარნია“.*

დამინტერესა, ბეჭებზე მოგდება როგორ ხდებოდა. მისი თქმით, ორი ახალგაზრდა ქაზდარზე (მინის იატაკი) ან ბანზე დაჯდებოდა, ბეჭებს ერთი-მეორეს მიაყრდნობდნენ და ფეხებს გაჭიმავდნენ. მათ მკერდზე შემოახვევდნენ, შებოჭავდნენ საბლით და რომელიც გადმოსძალავდა, ბეჭებზე მოიგდებდა, გამარჯვებულს ის იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევა – ყველა ბენინა – ახიელიდან გიგია ოჩიაურმა ამღაში, ფეხონში მოაგდო გაოფლიანებული ცხენი და ჩემს ძმას გრანჯას ეხვეწებდა, ოღონდ ახლა გამომყვივი, უარს ნუ მეტყვი და არაყს გამოგინურავო. თურმე ახიელაში ნათესავებთან სოფელ ბლოდან გადმოსულა ვილაც ღონიერი კაცი (თუ არ ვცდები აბა), რომელსაც ყველა ახიელელი ახალგაზრდა ბეჭებზე წამოუკიდებია და დაუმარცხებია. მცირე ყოყმანის შემდეგ, გრანჯა წიკლაური გიგიას ნაჰყვა და მეც როგორც პატარა ბიჭი, მათ ავედევნეო. ფეხონში რომ მივედით, გრანჯამ და აბამ მოიკითხეს ერთმანეთი. მერე დაიწყო შეჯიბრი. წესისამებრ ისინი ბეჭებით ერთიმეორის მიყრდნობით და ფეხებგამართულება დასვეს ბანზე. მკერდზე შემოახვიეს მუშის საბელი და დაიწყო შეჯიბრი – ვინ ვის. პირველად დაიძაგრნენ. მერე სახეზე წამონითლდნენ, ერთხანობას ასე გაირინდნენ და ბოლოს გრანჯამ მოიგდო ბეჭებზე და გაიმარჯვა. წამოდგომისას აბამ თქვა: „ეხ, დავბერებულვარო“.

გრანჯა წიკლაური მამიდაჩემის მეუღლე იყო, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა.

ბენინა ნიკლაურის ლექსს „არნივ-ჯიხვები“ აკაკი შანიძის დიდი მონონება დაუმსახურებია. დიდი მეცნიერი თავის „ხევსურულ პოეზიაში“ შენიშნავს: „ლექსს უთუოდ ატყვია მნიგნობრული გზით შექმნილი ცოდნაო“. ბენინამ მომითხრო, ამლის პირდაპირ ზეთუკის მთაზე ცხვარს ვაძოვებდი და მოულოდნელად ჩემს თავზე ჰაერში მობოინე არნივი (მხარკვერიანი) შევნიშნე. თვალი გავაყოლე და მივაყოლე კიდეცო:

*„თვალეებს გაყოლებ არნივო, ჰაერის მონადირეო,  
ლალო, გუთნებით მძიმეო, შეკრულო, ტანად მცირეო;  
შენთა საზრდოთა ელდაო, ცის კიდეთ მონადირეო,  
დახკივლებ, მთებსა დარაჯობ, წვერებზე მოსადილეო,  
ყინვარს კალთაზე ჯიხვები უწევს, ვით დედას ბაღლია,  
ასამოვნებს ჭიუხი, როგორც ბულბულებს ბაღია,  
დროთ თვლად მნიშვნელად რქათაზე ნაზარდი აქვ და დაღია,  
– ჯიხვო, ყინვარში ნაზარდო, მუდამ უვალოდ მტრიახო,  
ნიავ გიზიდავს ამბავსა, თავი არ დააზიანო.*

*ე შენი ტილიგრამანი, ყველაის მხრისკე დიანო,  
არხოტის ვინრო ხევებო, შეღებილებო სისხლითა,  
წინიდგე ძალით ნაჯერნო, თოფით, ხმლითა და ისრითა,  
სრუ ჩვენ რადა გვაქვს უღელი, გადაუტანი კისრითა,  
ჩვენს ჭირად დაფარულია, როგორც ქვეყანა ნისლითა.”*

არ ვიცი, ეს ლექსი რამდენად მნიგნობრულია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ბენინამ „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად იცოდა, ქეიფის დროს წამოიმღერებდა. ამღელი ას წელს მიტანებული აბიკათ ბაბუა დიდი გამადიდებელი შუშით კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“. მამაჩემი წერა-კითხვის უცოდინარი კაცი იყო. ლექსები ბევრი იცოდა. ასევე მოსმენით იმახსოვრებდა „ვეფხისტყაოსნის“ სავაჟკაცო სტროფებს, რომლებსაც წარმოთქმისას თავისებურ თხრობით კილოს აძლევდა: „ქაჯებმ თქვესავ, ტარიელისადავ ეს საქმეივ მისეულიავ, ჩვენ კლიტივ ჩაბალახე-ბივ, მინდორთ ხურავავ დასრეულიავ“. მოცალეობის ჟამს მამა ყოველთვის მაკითხებდა „ვეფხისტყაოსანს“.

## არხოტის ჭირისუფალი

ხევსურეთს, და განსაკუთრებით არხოტს კაი ყმები არასოდეს ჰკლებია, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ თემის დაუნერეულ კანონებს და, რიგ შემთხვევაში ეწირებოდნენ კიდეც მას. სოფელმა მათი ფასი იცოდა და პატივსაც სცემდა. რჩეულს ყოველთვის „სამამაცოს“ თავში მიუჩინდნენ ადგილს, საკარგყმოს სთავაზობდნენ. მათი ვაჟკაცობის შესამკობად საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ:

„მაშინ კაია კაი ყმა, დილა რო ბინდზე დგებოდეს,  
იცვამდეს გრილსა რკინასა, „ომს ვიქამ“ – ემზადებოდეს,  
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა, ნალმა-უკულმა დგებოდეს“.

სხვა სოფელს მოუწოდებს:

„კას ყმას ნუ შურობთ, სოფლელნო, კაი ყმა სოფლის ფასია,  
კაი ყმის ცხენი, აბჯარი, თავ-და თავ ცუდის ფასია“.

ან

„შაუპატიეთ კას ყმასა ჯვარზედა დიდის თასითა  
რახან გაჭირდას, კაი ყმა საყიდ ას დიდის ფასითა“.

კაი ყმა სოფლის ფარად უნდა მდგარიყო. თოფ-იარაღი ტახტზე უნდა ჰკიდებოდა, რომ ღამე თოფის ხმაზე მყისიერად ადევნებოდა მტერს, რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევა იყო არხოტის ყოფაში.

თომა ბალიაური კაი ყმებს შორის რჩეული იყო, გამიგონია მისი თანამედროვე უფროსებისაგან. მის ღამაზე ფიზიკურ მონაცემებს თან დაჰყოლია ვაჟკაცისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება: სიმამაცე, გამბედაობა, სიმტკიცე და მიღებულ გადანყვეტილებათა სისრულეში მოყვანა. ახლახან მიაგნეს მის სახლის კედელში ჩატანებულ ბოთლს, რომელშიც აღმოჩნდა მისი ავტობიოგრაფიული წერილი, საიდანაც ჩანს, რომ მას მონაწილეობა მიუღია ოსმალეთის ფრონტზე, როგორც მოხალისეს. რევოლუციას რუსეთში მოუსწრია და როგორც მენშევიკი საქართველოში დაბრუნებისას, გზაზე, მრავალჯერ გა-

დაურჩენია თავი დაპატიმრებისაგან. თბილისში მოხალისედ შესულა ფურცელადის რაზმში და უბრძოლია ოსების, ხოლო კერესელიძის რაზმში ყოფნის დროს შულავერში სომხების წინააღმდეგ. ბათუმამდე გაუცილებია საქართველო განძი. ამის შემდეგ დაუწყია თბილისში არალეგალური მუშაობა, ხოლო გამლავნების შემდეგ რვა კაციანი რაზმით გადასულა თიანეთში. რაზმი დაიშალა, ხოლო თომა ბალიაური და ალექსანდრე სულხანიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს ალვანის მიდამოებში შეუერთდნენ. თომამ ქაქუცას ნდობა დაიმსახურა. მერე მისი დავალებით გადავიდა ხევსურეთში აჯანყების მოსაწყობად. 1922 წელს ხევსურეთის აჯანყებას იგი ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ, როდესაც შეფიცულთა რაზმის ბრძოლა მარცხით დამთავრდა, მათმა უმრავლესობამ საფრანგეთს შეაფარა თავი. თომა ბალიაური არხოტში გადავიდა, დაიწყო პედაგოგიური მუშაობა. წერა-კითხვას ასწავლიდა როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს. გახსნა სამკითხველო. მუშაობდა სოფლის საბჭოს მდივნად. თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო იგი არხოტში იყო ჩაკეტილი. იმავე წლებში იქ გადადის მილიციელი, ვინმე ჩიქოვანი, ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად. იგი აბუჩად იგდებდა ხევსურეთის ადათ-წესებს, ანგრევდა სამრელოებს, ქალებს უკრძალავდა იქ მისვლას. ყოველივე ამას თომასწინაირი ვაჟკაცი არ აპატიებდა. არხოტის ქალაზე, ერთ-ერთ წყაროსთან ხანჯლით მოკლა, ამას შესწრებია კოჭლათ ბერდია (ცისკარაული) და მისი ცხედარი არხოტის არაგვისთვის გაუტანებიათ. დღესაც ამ წყაროს „ჩიქოვანის მონაკლავს“ ეძახიან.

თომას თაოსნობით მოხდა ხევსურეთის სამართალში (რჯული) სისხლ-მესისხლეობის უმკაცრესი კოდექსების შეცვლა უფრო ჰუმანური წესებით. ამ დროს არხოტში მხოლოდ მკვლელს კი არა, ბიძაშვილებსაც უხდებოდათ სოფლის დატოვება, გაზიზვნა. შეიძლებოდა ბიძაშვილებზე ცეცხლით შური და ეს გადადიოდა თაობიდან თაობაზე, რომელსაც ბევრი კაი ყმა ეწირებოდა. არხოტში თომა ბალიაურის ინიციატივით თავმესისხლეობის შესახებ მოწვეულ ყრილობაზე დაადგინეს: „ალიკვეთოს ყოველგვარი დევნა

და სისხლის აღება მკვლელის ძმასა და ბიძაშვილების ოჯახის წევრებზე”. თომა ბალიაურის წინადადება: „შემსუბუქდეს შინშის შევიწროება და ის არ იყოს მოვალე სოფლიდან დროებით აყრისა” – ყრილობამ მიიღო.

არხოტის მთავარანგელოზის ჯვარში ჩაგდებულ იქნა სამანი წარწერით: „1927 წელს ივნისის 18 დღეს სამანი ჩაგდებულია არხოტის მოსახლეობისაგან თავ-სისხლის შესახებ, პირი დადგენილებისა ინახება ყველა ჯვარში – თომა ბალიაური”.

იმ დროს არხოტის ცხოვრებაში თომა ბალიაური ქარიშხალივით შემოიჭრა, როგორც ახლებურად მოაზროვნე. მან მალევე დაიმსახურა ხალხის პატივისცემა და სიყვარული, რამაც სოფლის (ახიელის) თავკაცად აქცია. ამლაში კი სოფლის თავკაცი ბენიკა ნიკლაური იყო. ფრიად პატივცემული კაცთ-კითხული, პურადი, ძველი ადათ-წესების მცოდნე და დამცველი. ამის გამო ბიძა-დისშვილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ამლაში ჩხუბის დროს თომას დამამცირებელი სიტყვებით მიუმართავს ბენიკას ვაჟისათვის, წვრილასათვის. განაწყენებულ წვრილას, გერმანიას სახლში სკამზე მჯდომ თომასათვის ფანჯრიდან დაუკრია თოფი. სასიკვდილოდ დაჭრილი ახიელაში მარხილით მიუყვანია. მოსაკითხად მისულ გარსია ოჩიაურს ხმამაღლა ჩაულაპარაკებია, – „რამ ას თუ თოფ დაჰკრეს თომას, ბევრ ტყვია გაუკურნებავ და მაგასაც გაიკურნებ-სო”, თომას გაუგონია ეს სიტყვები და უთქვამს: „ვერავ გარსიაო, ვერავ, ღვიძლს სჭირსავ, ღვიძლსავ” – მიამბო ჩუათ გურამმა, დედამისის, ნათელას მონათხრობი. თომას მკვლელობის ამბავი გაიგო მისმა ბიძაშვილმა ლადო ბალიაურმა პეტერბურგში, სწავლა მიატოვა, ჩამოვიდა და თავის ბიძაშვილ ვახტანგთან ერთად ბენიკა მოკლა, ასე შეინირა სიკვდილმა ძველი და ახალი თაობის ორი გამორჩეული თავკაცი. გამიგონია ორივეს მენინავეობა, თემში უფროსობა უნდოდაო. არხოტი კი გლოვამ მოიცვა. ამჭირის ამბავს ლექსით გამოეხმაურა ალექსი ოჩიაური:

*„რას ბორჟილობენ ღრუბელნი, რას-რა ბობოქრობს ქარიო,  
იცრემლებიან ნისლები, თითქო ტირიან მთანიო,*

ატირდეს ცა და ღრუბელნი, მთათ ცრემლად დასდვეს ნამიო,  
ქვითინებს არხოტის თავი, დაბლა ბარმ მისცა ბანიო,  
იმდგვლევის დედამინაი, კლდე გულზე გასქდა სალიო,  
მთათა დაწურეს ცრემლები, ასტეხეს ნიაველვარიო,  
მიდის, მიანგრევს კლდე-ღრეთა, ბრაზობს არხოტის წყალიო,  
ვინა სთქვით, რა სათქმელ იყვა, არხოტს დაგვეცნეს ცანიო,  
დაიქცა სიმაგრეები, ირღვევის გალავანიო,  
იხოშებიან ცრემლითა, იგლოვს ქალი და ზალიო,  
ამლას აღარ ჰყავს შამილი, არხოტის ერთკიმხარიო,  
ახიელ სუხუმიანი, შეახსნა რკინის კარიო,  
რას ფიქრობთ არხოტივნებო, მტერმ რო გაბედას ძალიო,  
დაგჭირდასთ მაგრად შამქცევი, ხმამალლად მაუბარიო,  
ერთად კი მაგვონდებიანთ, ის დისწულ-დედიძმანიო,  
ორთავ ლომივით თვალები, ერთფერ კულაის ტანიო,  
ერთმანეთ გადაიტანეს, ორთავივ მაგათ ბრალიო,  
მოუხდა ბედსა-წერასა, ბევრსალ იტყვიან სხვანიო,  
ყველას გულ კი ატირდა, ყველას სწყინ სწყინარიო,  
იკითხავთ, რაში გჭირდებათ, ამაგის მაუბარიო,  
ორი დაიქცა ციხეი, ორივ მეტკინა მხარიო”.

## შემთხვევა სანადიროში

ძველი დროიდან მომდინარეობდა ქისტებისა და არხოტივ-  
ნების დაუნდობელი ბრძოლა. ორივე ცდილობდა მტრისთვის  
ზიანი მიეყენებინა, სამაგიერო გადაეხადა, სისხლი აეღო. ეს  
შურისმაძიებლური მტრობა ხშირად თაობებს გადაეცემოდა და  
გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში – „ქისტებსა, არხო-  
ტივნებსა, შუა სისხლის წყალ უდისა”. მეფის რუსეთი და კომუ-  
ნისტური რეჟიმიც ამას კარგად ხედავდა, მაგრამ რაკი „დაყავი  
და იბატონეს” პრინციპში ჯდებოდა, ყურსაც არ უგდებდა.

ზოგჯერ მოსისხარ მტრებს შორის გაუგონარი ურთიერთ-  
დობა იღვიძებდა და დახმარების ხელსაც უწვდიდნენ. ასე მოხდა

ახიელაში, როდესაც ტყვედაყვანილ სამი ქისტი ცისკარაულებმა გააპარეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამ მხრივ არც ქისტები რჩე-ბოდნენ ვალში. საარაკოა ნეთხელთა თანაგრძნობა და ნდობა.

ცხრაასიან წლებში ჭიმღელი ადუა გაბური და ახიელელი გიგია ცისკარაული სანადიროდ „შაენყალ“ წასულან. ეს საჯიხვე ღილ-ლოს მხარეზეა, არხოტს ძალიან დაშორებული, მიყვებოდა არჩილ ოჩიაური. ჯიხვების თოფვისას ადუას ნასროლი ტყვია შემთხვევით გიგიას ფეხში მოხვედრია. სასონარკვეთაში ჩავარდნილმა ადუამ გიგიას თოფი მიუბრუნინა – დამკარიო. გიგია არ დაიბნა და სიფრ-თხილისაკენ მოუწოდა. ადუამ ფეხი შეუხვია, აკიდებული დაბლა ტყის პირას ვაი-ვაგლახით ჩამოიყვანა, ცეცხლი დაუნთო, ჩოხა გაიხადა და გიგიას ჩააცვა, თვითონ პერანგის ამარა გაათია.

არხოტი ძალიან შორსაა, ხოლო მოსისხლე ქისტების სოფელი ნეთხა ძალიან ახლოს და ადუა ნეთხაში კარზე მიადგა ასმათს, არხოტივების დაუძინებელ მტერს. ქისტს მაშინვე შეუცვ-ნია არხოტიონი და სახტად დარჩენილს მიუხლია: „არხოტიონი კაცი ჩემ კარზედ რამ მოგიყვანაო?!“ ადუას აუხსნია საჯიხვეში შემთხვევით როგორ დაჭრა ამხანაგი ფეხში და ახლა დახმარებას სთხოვს. იტყოდნენ, გაჭირვებაში დასახმარებლად ქისტებს ბა-დალი არა ჰყავთო. ასმათი მაშინვე ექვსი ქისტის თანხლებით გაჰყოლია ადუას. ასმათს დაუჟინია, არხოტამდე შორია, მე კი ახლოს ვცხოვრობ, ამიტომ ჩემთან წავიყვანოთო. ჭრილობასაც შევუხვევ, მოვასვენებ და ხვალ დილით არხოტში წავიყვანოთო. მართლაც მეორე დილით ქისტი ცხენით გაუგზავნიათ არხოტში, რათა მოხმარებოდნენ, ხოლო ასმათს და სხვა ქისტებს დაჭრილი გიგია არხოტისკენ წამოუყვანიათ. არხოტიდან გაგებისთანავე მთელი ახალგაზრდობა წამოსულა და „ოჯახის სათიბესთან“ (ადგილი არხოტის ქალაზე) შეხვედრიან ერთმანეთს. ქისტე-ბისთვის დიდი მადლობა გადაუხდიათ დახმარებისთვის.

გამიგონია, ასმათი ძალიან ფრთხილი კაცი ყოფილა. თურმე ფიქრობდა, არხოტივებმა „მზირი“ არ დამახვედრონ სადმე გზა-ზეო და მოუნდომებია მთა და მთა წასვლა, სანადირო „ჩორეხით“ ჩასვლა ნეთხაში. არხოტივებს ეს უგრძვნიათ და ქისტებისათვის

მიუმართავთ: „ნეთხისაკენ მიმავალ გზიდან არც ერთი ნაბიჯით არ გადაუხვიოთო, დღეს თქვენი მტერი ჩვენი მტერიაო“. კაცურ სიტყვას ენდნენო ქისტები და უკან გზას გაუდგნენო.

დღეს აღარც არხოტის მოსაზღვრე ლილლო არსებობს და არხოტიც დაცარიელდა. მომავალმა თაობებმა კი უნდა იცოდნენ, რომ მიუხედავად მტრობისა, მათ შორის მაინც არსებობდა ნამდვილი ადამიანური ნდობა, გაგება და თანაგრძნობა. ამ ამბავთან დაკავშირებით არის ნათქვამი ეს ლექსი გრანჯა ნიკლაურის მიერ:

*„ტილო, ჩვენო ტერლაო, მიჯნაო ქისტებისაო,  
სრუ მუდამ ძალით ნაჭერო, წინიდგეს ვაჟებისაო,  
შიბ-წვერო გასახედაო, მაგლილო ჯიჯვებისაო,  
პირიქითისკე შავწყალო, ფერი გძე სიმაგრისაო,  
გარდმადის არხოტივნები, სანადიროო სხვისაო,  
ადუამა და გიგიაო, ფერი დაიდვეს მგლისაო,  
შამაგარეს შავწყალო, ბოლოვო გორებისაო,  
მვართა სხავ ბერდენკეები, ჯარ უწყავ გილდებისაო,  
მაგანოკნესთ, ოჯერნო, არ დაგიფერესთ სხვისაო,  
მაუვამც ჩემსა დამწყევსა, ხიფათი ეშმაკისაო!  
ამხანავს თოფი მაუხვდა, დრო დადგა ცოდო-ბრლისაო.  
ოღინათასა გიგიას გული სდებოვა ქვისაო,  
ისევე თოფევედა ნადირთა, ვითომ სრუ არა სჭირსაო.  
მარტიათი ადუა დასანანებ ას მტრისაო.  
დამრჩალან რაჯელს ალაგსა, შავწყალ იმ წვერის ძირსაო,  
ზედაც ესწრობის ლამეი, ხანია ბნელობისაო,  
აეგრ ითრევენ ერთუცსა, რო დედა თავის შვილსაო.  
დამდგარან ველი-ველადა, ვერც ეს მაჯელეს კლდისაო,  
თავს ადგას ცუდი სიცივე, თვე დგება იანვრისაო,  
ამაწე, ნულარ გვიანობ, ცისკარო თენებისაო!  
გათენებს პერანგიანი, დიდო ლამეო სთვლისაო.  
გათენებისად მაგია, სოფელო ქისტებისაო.  
ამაგის მალექსებელი საბოსლოს კარზე ზისაო,  
ჯელში უჭერავ ფანდური, ლექსებს ადვილად თვლისაო,  
სალექსოდ გამამიტანეთ თითო გილდ ხაზინისაო“.*

## არხოტივნებისა და ქისტების შერიგება

ცნობილია, რომ გვიანობამდე ჩეჩნეთ-ინგუშეთი ქრისტიანობის მიმდევარი ყოფილა. მუსლიმანური სამყაროს, პირველ რიგში სპარსეთისა და ოსმალეთის ზეწოლით შეუცვლიათ რელიგია და მაჰმადიანობა მიუღიათ. ამის შემდეგ დაწყებულა ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ კახეთში ლეკთა თარეში, თუ ხევსურეთის ჩრდილოეთიდან ჩეჩენ-ინგუშების შემოსევები. ღიღო რომ საქრისტიანოს ნაწილი ყოფილა, ამას გვიდასტურებს ქისტეთის პირველი სოფლის გომტიკაურთას განაპირა ნახევრადდანგრეული მართლმადიდებლური ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ფასადზე, ქვათა წყობით გამოხატული დიდი ჯვარი, რომელიც მწერალ გიგი ხორნაულსაც აქვს აღწერილი წიგნში „ნეტამც მოგეკალ“ (თბ., 1996 წ.).

ღიღლოში ჩასახლებებისა ჩემთვის იმ დროს გაუგებარი იყო ისლამი და მართლმადიდებლობა, მაგრამ პატარას მაინც დამამახსოვრდა ხალხის ლაპარაკი: „ამ ქრისტიანულ ეკლესიას რა უნდა საურჯულოში“.

ორი განსხვავებული რელიგიის მქონე ხალხის მეზობლური ცხოვრება არცთუ სახარბიელო აღმოჩნდა. ხშირ შემთხვევაში შურისძიების მიზნით კაცის კვლა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ხევსურეთის საგმირო პოეზიამ მრავლად შემოგვინახა არხოტივნებისა და ქისტების სისხლიანი ამბები. ყოველივე ამას რუსეთიც ხელს უწყობდა.

პირველი შერიგების მცდელობა ცხრაასიანი წლების დამდეგს უნდა მომხდარიყო. არხოტისა და ღიღლოს წარმომადგენლებს კრება „ტერლის კარ“ მოუწყვიათ, მაგრამ ქისტებს არხოტის თითოეულ კომლზე სამ-სამი ცხვარი მოუთხოვიათ მათგან ნახოცი ქისტების სისხლის გასაბრელად. არხოტივნები არ დათანხმებულან და კრებაც უშედეგოდ დამთავრებულა. ამღელ მოღექსეს მინდია ნიკლაურს მოუწოდებია:

*„არ გასტყდათ არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა,  
ვინაც მაკვდების, დავმარხათ, სხვა კიდევ გაიზრდებისა“...*

ამის შემდეგ ჩვეულებრივ გრძელდებოდა მტრობა და სისხლისღვრა მეზობლებს შორის.

არხოტის ბოლო დალაშქვრა ელამარძას მიერ 1924 წ. მომხდარა. ქისტების ერთი რაზმი შავანით გადმოსულა, ჭიმლა გამოუვლიათ. ჭიმლელთაგან წინააღმდეგობა არავის გაუწევია და ელამარძას ამიტომ უთქვამს – „ჭიმლას წერილაზეით ერთი ძნაც კი არ უნდა ჩამოვარდესო“. გამთენიისას ჩამოსულან ახიელაში და სოფლის გარშემო სათვალთვალო სამზირებში განლაგებულან, რომ სოფლიდან ვერავის ვერ გაეღწია. ერთ-ერთი ასეთი სათვალთვალო საყუჩი გაბრიელ ნაროზაულმა გვიჩვენა სოფლის ზევით „ტყეთ თავ“, რომელიც სოფელს ისე ჩახედავს, როგორც ჯამში. ამ დალაშქრობისას ქისტებს არხოტივებმა მხოლოდ ერთი კაცი მოუკლეს. ხიზანა ნაროზაული გვიყვებოდა: „ლაშქარი რომ გაბრუნდა, ტყვეები მივყავდით და ამლის ბოლოს ცხენზე დაკრულ ქისტის ცხედარს წინიდან შემოვუარე და სისხლი შუბლიდან ჩამოსდიოდა“. ამლაში ობოლა ნიკლაურს სოფლიდან გასვლა მოუხერხებია, მაგრამ ქისტებს შეუნიშნავთ და სროლა აუტეხიათ, მას კი წისკვილისთვის შეუფარებია თავი და იქიდან მოუკლავს ღილღველი. ქისტებს ამლაში დავით ნიკლაური მოუკლავთ, ორწყალთანას კი შიტუდან მომავალი ქალი შემოკვდომიათ. შემდეგში მოხვევ ვასუას უთქვამს ქისტების ნათქვამი: „ახიელაში სოფლის თავში რომ სახლია, იქ ერთი დიაცი შუბმომართული დაგვიხვდა და სახლში არ შეგვიშვაო, ქალს ხომ არ მოკვლავდითო“. ეს იყო სარეკათ მზექალი, ჯუთელთ ქალი, არჩილ ოჩიაურის დედა.

პირველი შერიგების მცდელობიდან ორმოცი წლის შემდეგ მაინც მოხერხდა არხოტივებისა და ქისტების შერიგება. ამის მოთავე და, როგორც იტყვიან, სულისჩამდგმელი იყო არხოტის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გაბრიელ ნაროზაული (ხიზანათ გაბრიელი). მომყავს მისივე მონათხრობი დაზავებასთან დაკავშირებით:

ეს იყო 1939 წ. მაშინ არხოტის საბჭოს თავმჯდომარედ ვმუშაობდი. მოსვენებას არ მაძლევდა ის ამბავი, რომ ჩვენსა და ქისტებს შორის მტრობა კვლავ გრძელდებოდა, რომელსაც თავის

დროზე რუსებმაც ხელი შეუწყვეს. ორივე ხალხს მობეზრებული ქონდა ასეთი ურთიერთობა, ვხედავდი საჭირო იყო რაღაცის გაკეთება, რომ ჩვენს შორის შერიგება მომხდარიყო. დავწერე მოხსენებითი ბარათი, ჩვენი რაიონის (დუშეთი) დეპუტატ ვალერიან ხატიაშვილის სახელზე, რომელიც იმჟამად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად მუშაობდა. ვასაბუთებდი ჩვენი შერიგების აუცილებლობას. პირველად დუშეთის რაიკომს მივაკითხე, მაგრამ იქ ყურადღება არ მომაქციეს. მითხრეს, ეს შენი საქმე არ არისო. ჯობია დაბრუნდე არხოტში და კულტბრიგადას დახვდე, რომელიც არხოტში მიემგზავრებაო. მე ჩემი არ დავიშალე და თბილისში წავედი. მივაკითხე გაბრიელ ჯაბუშანურს, ავუხსენი საქმის ვითარება და მოხსენებითი ბარათიც ვაჩვენე. ვთხოვე, თვითონ შეედგინა, ან შეემონებინა, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა. გაბრიელმა მითხრა – გაბო, ამ მოხსენებით ბარათს არაფრის დამატება არ სჭირდება და მოდი ახლავე ხატიაშვილთან წავიდეთო. წავედიტ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. გ. ჯაბუშანურმა ამცნო მისვლის მიზეზი. ხატიაშვილმა გვთხოვა დავლოდებოდით, კორესპონდენტებთან თათბირი მაქვსო. როგორც კი გათავისუფლდა, დაგვიძახა, მოგვისმინა. ნაიკითხა მოხსენებითი ბარათი. მოიწონა ჩვენი ინიციატივა, დაინტერესდა თუ ვისი დანერგილი იყო მოხსენებითი ბარათი. მე დავწერე-მეთქი, ვუთხარი. მკითხა – რა განათლება გაქვსო? ვუპასუხე – ოთხი წელი მუშფაკში ვსწავლობდიო. გვითხრა – ეროვნებათა საბჭოს დეპუტატია შალვა დადიანი, შევხვდები მას და მე და ამხ. შალვა დავწერთ მოხსენებით ბარათს ფილიპე მახარაძის სახელზეო. შეგყრით ერთად თქვენაც და ქისტებსაც და მტრობაც დამთავრდებაო.

არ გასულა დიდი ხანი და არხოტში ჩამოვიდა კომისია. თავმჯდომარე იყო პავლიაშვილი, ბარისახოს საშ. სკოლის დირექტორი. კომისიის წევრები იყვნენ შაქრო ნათაძე (მილიციიდან) და ნიკუშა ვაჩნაძე. არხოტიდან შევუერთდით: მე, გარსია ოჩიაური, ბერდია ნიკლაური (ჭიჩლათ ბერდია), რომელმაც ქისტური ენაც იცოდა, წვრილა ნიკლაური და დავით გაბური (ბაბოთ დავითი). გავემგზავრეთ ქისტეთისაკენ. ჯერ ქისტეთის პირველ სოფელში გომ-

ტიკაურთაში, მერე კი რაიონული ცენტრისკენ – მუჟიჩიისაკენ გავნიეთ. გოშტიკაურთელმა ქისტებმა ამის გამო ძალიან გაიხარეს. ილბიზრუყომ მესამის დეკეული დაკლა – ასე ნუ იხარჯებითო – ვუთხარით. გვიპასუხა – „საქონელი იმისთვის მყავს, რომ სტუმარს დავუკლა და თქვენისთანა კარგი სტუმარი სხვა ვინლა მეყოლებათ“. იმ ღამით იქ დავრჩით. მეორე დღეს ჩავედით მუჟიჩიაში. მოგვინყვეს დიდი შეხვედრა, ჩატარდა ბიუროს სხდომა, საზეიმო მიტინგი, შემდეგ კი კლუბში კონცერტი. ქართველები წინა რიგში ვისხედით, ქისტები გახარებულები იყვნენ ამ შერიგების გამო. ყველა ცდილობდა ხევსურების დანახვას და გაცნობას. ბევრი მათგანი პირველად ხედავდა ცოცხალ ხევსურს, რომლის შესახებაც ალბათ ბევრი ავი და კარგი გაეგონათ. დასაძინებლად დელეგაციის წევრები ოჯახებში დაგვანაწილეს. ხალიჩების ტევა არ იყო, ყველა მამაკაცს ეხურა ძალიან ძვირფასი ბუხრის ქუდი. არხოტის ღარიბული ყოფა მათთან მოსატანიც არ იყო. მეორე დღეს გაიმართა ბანკეტი. ქისტები არყით გაგვიმასპინძლდნენ. შეისვა ქისტებისა და ხევსურების მეგობრობის, სტალინის სადღეგრძელოები. აქ ერთი კურიოზი მოხდა. როდესაც სტალინის სადღეგრძელო ისმებოდა, გარსიამ, რომელიც კარგად შეზარხოშებული იყო, თქვა: „სტალინთან ერთად ჟორდანიასაც გაუმარჯოსო!“ ქისტებმა ალბათ ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ვაჩნაძე კი ძალიან გაბრაზდა – ამ მენშევიკის სადღეგრძელოთი თავი მოგვეჭრაო. მეორე დღეს გარსია ნირნამხდარი იყო. იმ დროს ამგვარი საქციელი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. ცხადია ეს ამბავი რაიონის უშიშროებისთვისაც უცნობი არ დარჩებოდა. მოგვიანებით უშიშროების ოპერატორმა მითხრა, შენ იქ იყავი და მომიყევი როგორ იყო საქმეო. ვუთხარი, ყველანი ნასმები ვიყავით და გარსიაც მთვრალი იყო. მართალია მან თქვა ჟორდანიას გაუმარჯოსო, სინამდვილეში ფილიპე მახარაძე ჰყავდა მხედველობაში და გვარი აერიო. გაუნათლებელი ხევსური კაცია და ძველი და ახალი მთავრობის თავმჯდომარეების გვარები ერთმანეთში აერიო. გაიცინა: – კიო, კიო! შემდეგში გარსია ამ ამბის გამო აღარ შეუნუხებიათ. კეთილი კაცი იყო და ჩემი ნათქვამი ირწმუნა.

მესამე დღესაც გრძელდებოდა ჩვენი შეხვედრები, გადაწყდა, ახლა ქისტების დელეგაცია უნდა წამოსულიყო არხოტში, მე რამდენიმე კაცით არხოტისკენ გამოვნიე, რომ შეხვედრისთვის მოვმზადებულიყავით. მეოთხე დღეს ჩვენი დელეგაციის წევრებთან ერთად შვიდი-რვა ქისტიც მოვიდა არხოტში. ამლის ყანათბოლოს აღმართი რომ იწყება, კლდესთან დაგხვდით. მისასალმებელი სიტყვა ვანო კუციამ წარმოთქვა, რომელიც იმ დროს არხოტში მასწავლებლობდა. ქისტები ყველანი წარმოსადგენი იყვნენ, ლამაზად ეცვათ, ყაბალახები მხარილლივ ჰქონდათ განასკული. მოვინვიეთ სტუმრები. სამი-ოთხი საკლავიც დაფუკალით. ქეიფი არც ჩვენ დაგვიკლია, მაგრამ ქისტებმა მაინც გვაჯობეს. აბა სად რაიონული ცენტრი და სად არხოტი.

სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ღილღველ-არხოტიონთა სიამტკბილობა – სულ ხუთი წელი და ჭიმღელმა აბაისძემ (ბესარიონ გაბურმა) არხოტს ამცნო ღილღოს ტრაგედია. მახსოვს ახიელაში გაოგნებული ხალხს როგორ უყვებოდა, – სოფელ შოგტიკაურთას რომ შევედი, ხალხის ჭაჭანება არ იყო. დიაც-ყმანვილთათვისაც არ მომიკრავს თვალი. ავედი სოფელ ხადაკეში და ჩემს ნაცნობ მასპინძელთან მივედი, დაფუძახე; ჰეი, მაჩვიაო! მაჩვიას სახლიდან რუსი გამოვიდა და მეუბნება – „какой Мачвия“-ო, მერე ამაყად მიყვებოდა, თუ როგორ გადაასახლეს ინგუში ხალხი შუა აზიაშიო.

საბჭოთა მთავრობამ 1944 წელს ქისტები შუა აზიის ტრამალებში იძულებით გადაასახლა და მათ დაცარიელებულ სოფლებში არხოტის თემის მცხოვრებლები ჩაასახლა. ინგუშების რეაბილიტაციის შემდეგ ხევსურებმა უკან დაბრუნებულ ხალხს საკუთარი ნებით დაუბრუნეს სახლები და დროებით სარჩო-საბადებლის გარდა, ზოგმა ცხვარი და ზოგმა ძროხა დაუტოვა თავის მამულში ახალმოსახლებებს, რასაც ინგუშები დღესაც მადლიერებით იხსენებენ. უკან დაბრუნებული არხოტივები კი ე.წ. „გეგმიან“, ნახევრად იძულებით ჩასახლებაში მოყვნენ, რამაც არხოტის მცხოვრებთა ბარის სოფლებში განთესვა და კუთხის დაცარიელება გამოიწვია.

## აკიზოდი ღილღოს ცხოვრებიდან

არხოტიონთა ჩასახლება ღილღოს დაცარიელებულ სოფლებში გასული საუკუნის 1946 წლიდან დაიწყო. ხოლო დავლაზე სიარული უფრო ადრე. მოჰქონდათ ცხენზე აკიდებული თუნგები, თულუხები, ვარცლები და სხვა საოჯახო ნივთები. ყოველივე ამას ოჯახს ასხლეტილი ქისტები უმართავდნენ ხელს. მათ უწყოდნენ, რომ ეულად დარჩენილებს ისევე ხევესურები თუ მიაწვდიდნენ სარჩო-საბადებელს. მდინარე ასას მარჯვენა მხარის სოფლებს: გომტიკაურთას, არიებს, ისმაილთასა და ტარგამეს თითო კილომეტრი თუ აშორებს ერთი-მეორეს. ამ სოფლების გარშემო გაშლილია სახნავ-სათიბი მინდორი, სადაც მხოლოდ სიმინდი ითესებოდა. ჩვენები პირველად ტარგამეს ჩასახლებულან და მალევე ისმაილთას გადმოსულან, სადაც მეც დავდიოდი. ვიქნებოდი ათი წლის, სოფელ ფალალიკესა და ლუდეში დავლის საქებნელად მეც მიყოლებდნენ. ინგუშების დაცარიელებულ სახლებში მინახავს საჩეჩი სავარცხალი, კბილებში შერჩენილი მატყლის ფთილებით ისევე მდგარი, როგორც მიატოვებინეს ქისტის ქალს უეცარი გადასახლების დროს. აკვნიდან ჩვილი ისე მყისიერად ამოუნვდიათ, რომ საგებელი ოდნავ იყო აშლილი. რიგ სახლებში ლუმელზე დადგმული საჭმელით სავსე ქვაბი იყო მიტოვებული.

ღილღოს ნოტიო, თბილი კლიმატია, სადაც თოვლი იშვიათად, მცირე ოდენობით მოდიოდა და ხვნა-თესვისათვის იდეალურ პირობებს ქმნიდა. ერთხელ ჩემმა ძმამ გოგიმ და ჯირჩლა ოჩიაურმა ერთად დაიწყეს სასიმიინდე ყანის ხვნა. დილაა, მზე ამოვიდა, ირგვლივ სიჩუმეა, ახლო სოფლების საძოვარზე ნახირი გაიშალა. ამ დროს იქუხა თოფმა და ბუჩქებიდან ჩვენს გარშემო მოულოდნელად შეიარაღებული ქისტები გამოჩნდნენ – მიყვებოდა გოგი. მათ სასწრაფოდ ნახირს მოუყარეს თავი თავის მწყემსებთანად, ჩვენი ხარებიც უღლიდან ახსნეს და გარეკეს ფალალიკე-ლუდეს მიმართულებით, ჩხორეგის ხორხებისაკენ. შემთხვევით მათი დამპურებელი გიგიას ხარებიც გაუყოლებიათ. გზაზე ინგუშები

გოგისაგან ისე დაჟინებით მოითხოვენ ვილაც ჯირჩლას ვინაობის გაგებას, რომ გოგი დაეჭვდა და იცრუა აქ ჯირჩლა არავინ არისო. ამ დროს ჯირჩლა გვერდზე მიყვება და ყველაფერი ესმის. გზა და გზა გოგის ყველა გამყოლის სახელი ათქმევინეს და ჯერი ჯირჩლაზე რომ მიდგა ხმამაღლა უთხრა – ივანე ქვიაო. ეს ჯირჩლამაც გაიგონა და სხვებმაც. შემდეგში გვერდით გაუყვანიათ გოგი და უთხოვიათ, – „თუ აქ არის, გვითხარი, შენს საქონელს გამოვარჩევინებთ და უკან გარეკეო“. იმავე დღეს საქონელი ლუდეს კუდებში, უღრან ტყეში შეურეკიათ, ხოლო „გამცილებლები“ უკან დაუბრუნებიათ.

ლილლოში ჩასახლებულ არხოტივნებს მთავრობა იძულებით აიარალებდა „ბანდიტი“ ქისტების წინააღმდეგ, იქმნებოდა რაზმებიც. სოფელ არიხის ქვევით, მდინარე ასაზე გადებულ ხიდთან, ღამე დაცვა დგებოდა. ერთ საღამოს ძმები ჯირჩლა და გაბრიელ ოჩაურების მორიგეობისას ხიდზე გადმოსულან ქისტები. ამტყდარა სროლა, სიბნელეში ძმებმა ერთი-მეორე დაკარგეს. გაბრიელმა დაინყო ყვირილი – ჯირჩლავ, სადა ხარ? ამ დროს გაუგონიათ ინგუშებს მისი სახელი და ეძებდნენ, სამაგიეროს გადახდის მიზნით.

მთავრობის ვერსია იყო ხევსურებსა და „ბანდიტ ქისტებს“ შორის მტრობის ჩამოგდება. ვინაიდან მათ უწყოდნენ, რომ ლილლოს ჩასახლებული არხოტივნები ჩუმად თანაუგრძნობდნენ ყაჩაღებს და მათი ასავალ-დასავალიც უკეთ იცოდნენ. რაზმების შექმნით რომ არაფერი გამოუვიდათ, ისინი მილიციის ფორმით შემოსეს, რომელსაც ფატალური შედეგი მოყვა. სოფელ ულათასთან ქისტებმა მილიციის მცირე რაზმი ამოხოცეს, რომელსაც ორი ხევსური შეენირა. ამ კუთხით ბოლო მსხვერპლი იყო ჯუთელი დავით არაბული. სოფელ ისმაილთას, ჩაჩაურთ გიგიას სახლში სამი ქისტი მივიდა დასაპურებლად. ორი სახლში შევიდა და ერთმა გარეთ კარებთან მათი უსაფრთხოება დაიცვა. მთავრობა ეჭვობდა რა გიგიას ურთიერთობას ქისტებთან, მასთან ღამ-ღამობით ჩუმად მილიციელს აგზავნიდა. ამ დროს გადაეყარა დავითი კარებთან დაყუდებულ ქისტს, რომელმაც სიბნელეში

იგი იმსხვერპლა. მიუხედავად ამისა, მილიციამ მაინც ვერ შეძლო ქისტებისა და ხევსურების დაპირისპირება.

პატარაობისას ლილლოში არაერთხელ მომისმენია ქისტების სინანული ხევსურებთან უნებლიე შემთხვევებთან დაკავშირებით. რაც შეეხება გიგიას და ყაჩაღი ქისტების ურთიერთობას, ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ არ ხმაურდებოდა. ზოგიერთი ქისტის სახელები (იბა, კვიშტანა, იდრისი) ყველას პირზე ეკერა და უთანაგრძნობდნენ, ისინი მუსრს ავლებდნენ მათ მადევარ ჯარის ნაწილებს.

## სტუმრად ბაცუციათ ბერდიასთან

ბარისახოდან არხოტისკენ მიმავალს, სოფელ ქმოსტში მომიხდა ღამის გათევა ბაცუციათ ბერდიასთან. ბერდია მოგვიანებით ცოტა ნაქეიფარი დაბრუნდა სახლში და ამბავი მკითხა. ხალიჩა მოატანინა, სამამაცო სკამზე გამიშალა და დაბრძანდით, მითხრა. მანამდე მსგავსი რამ არც მენახა და არც გამეგონა. თხუთმეტი წლის ვიქნებოდი და იმას კი მივხვდი, რომ ეს დიდი პატივისცემა იყო. მერე ის იყო ჩვენსას ქეიფში სოფლის უხუცესებმა მოიყარეს თავი. ოჩიაურებმა, თათართ ბაბუამ, სარექაულმა, გარსიამ, ბაჯამ და გერგეტელმა. ნაროზაულებმა: ხიზანამ, იმედამ და ივანემ. ჯაბუშანურებმა: გიორგიმ და უნცრუამ. ბაიჭაურ ცისკარაულმა და სხვებმა.

მახსოვს, უფროსებმა ძველად არსებულ სტუმარ-მასპინძლობაზე ჩამოაგდეს საუბარი. გამახსენდა რა ჩემი სტუმრობა ქმოსტში, მათ მოვუყევი. იღიმებოდნენ მოხუცები და მიყვებოდნენ: „კი, ძველად ყოფილა წესი „გულის სტუმარს“ სანამეტნაო პატივისცემის ნიშნად სამამაცო სკამზე დაგებულზე სვამდნენო“. დანოლისას სტუმარი ოჯახს დალოცავდაო: „ღმერთო, შენ უშველე ოჯახს, სტუმრიანობას ნუ მოუშლი“ – მასპინძელი კი ეტყოდა: „გასვენება მოგცეს ღმერთმა“. მასპინძელი, თუ მას ამის საშუალება ჰქონდა, სტუმარს ტახტის გვერდზე არყიან ჭურ-

ჭელს დაუდგამდა და ეტყოდა: „წყალ თუ მაგწყურდა, გვერდზე გიდგას“. მეორე დილით გამთენიისას მასპინძელი საწოლში მიაკითხავდა სტუმარს, არყიანი ყანნით ხელში, „თავ-ხმელად შეუმღერნებდა“ საგმირო ლექსს, რაც მისი გვარის მიმართ იყო გამოთქმული და წინწარაქალს დააღევიანებდა. შუღლიც კი ხდებოდაო სტუმრის გადაპატიჟებასთან დაკავშირებით. წილს „კენჭს“ ყრიდნენ. და ვისაც მიერგებოდა, სტუმარიც მას მიჰყავდა ღამის გასათევად“.

სმის დამთავრებისას ყველა ფეხზე წამოდგა ქუდებით ხელში და უხუცესს სთხოვდნენ, პირველად მას დაეხურა ქუდი: „ღმერთმა ოჯახს ნუ მოუშალოს ლხინის ტაბლა, თქვენ კი ნასვამთ გამომოთ“ – დაამთავრა უხუცესმა. უფროს-უმცროსობის მიხედვით ყველამ დაიხურა ქუდი და ოჯახს დაემშვიდობნენ.

## ერთი დღე ღვინით გაგურთან

დავითი მოხდენელი აღნაგობის, ძლიერი, ულამაზესი კაცი იყო. დიდი პატრიოტი, რომელიც იმ დროს ნაციონალისტად ინათლებოდა. უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მასზე ლეგენდები ვრცელდებოდა. სტუდენტობის დროს, ინგილო მარლენ ყულოშვილი მიყვებოდა – ერთხელ გუნებაზე მყოფი ცოცხით ქუჩას გვიდა და თან გაიძახოდა: „საქართველოდან რუსები უნდა გავგავო“. ბერიას დაპატიმრების შემდეგ, რესტორანში სკამზე შემდგარმა დალია მისი სადღეგრძელო. ბარისახოში, შუაფხოელ უგემურს, რომელიც კოლმეურნეობის დავალებით მიწას ხნავდა, უღლიდან ხარები ააშვებინა, – „ხევსურის ყანასთან ფშაველს რა ხელი აქვსო“. ყოველივე ამის გამო გაბური დაჭერილი იყო სხვადასხვა დროს. მთლიანობაში 25 წელი ჰქონდა ციხეში გატარებული. დავითს გარეთ რომ დანახავდნენ, თურმე ეკითხებოდნენ: რამდენი ხნით გაგათავისუფლესო. ბარისახოში მასწავლებელმა, არჩილ ტერეპოვმა, მიაბზო: გეოგრაფიის გაკვეთილზე „გზები და ხიდები“

გაბური გამოვიძახე. იგი ადგა და დაიწყო „ე გზები და ხიდები ნატან-ნამატანისა და ნაღებ-ნამოღების საშუალება არისო“ – და დაჯდაო.

მიუხედავად მისი უცნაურობებისა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები თურმე დიდ პატივს სცემდნენ. განსაკუთრებით დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე, რომელმაც მამამისი ბესარიონ გაბური ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ნახა პეტერბურგის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ბესარიონი დაჭრილი მკურნალობდა. ათეული წლები გრძელდებოდა მათი მეგობრობა. ბესარიონი ხევსურული პოეზიის უამრავ მასალას აწვდიდა მეცნიერს, რაც უხვადაა წარმოდგენილი მის მიერ შედგენილ ხევსურულ პოეზიაში. გამიგონია, თავის დროზე დიდი მეცნიერი სიძე-დაც კი ნირავდაო ნიჭიერ ახალგაზრდა სტუდენტს.

და აი უკვე შუახნის დავით გაბური, სტუდენტობის პერიოდში, გასული საუკუნის 60-იან წლებში შემხვდა სტუდენტობაში და შემომთავაზა ქალაქში გასეირნება. ავედით ავტობუსში. მოკალათდა. სიგარეტს მოუკიდა და ასანთის ღერი იქვე მდგომ ახალგაზრდას გადასცა, გადააგდეო. მანაც დანდობილად გამოართვა, მაგრამ მისი მეგობარი ბიჭები აიმრიზნენ, რატომ გამოართვი, ეგ ვინ არისო. გაბურმა მათ ირონიული ღიმილით გადახედა. სასტუმრო საქართველოს წინ მივსეირნობდით. სასტუმროდან ვილაც გაფხორილი გამოვიდა. კარგად მორგებული კოსტიუმით, ღიპზე მოფრიალე ქრელი ჰალსტუხით, რომლის ქიპი ქამარს ფარავდა, გაბური მოტრიალდა და მეუბნება – აი, ამასავით არ გადაგვარდეო.

მთხოვა ავტოსადგურში ჩავიდეთო, იქნებ ნაცნობ ვინმეს მოვკრა თვალიო. დავეშვით ელბაქიძეზე. დუშეთის ავტობუსი დაიძრა, შეაჩერებინა, მძლოლი გააფრთხილა, ვიდრე არ გეტყვი, ადგილიდან არ დაიძრეო. ავტობუსში ნაცნობი არავინ აღმოჩნდა. აქედან უკვე რუსთაველზე მივსეირნობთ. სასურსათო მაღაზრიაში შევიდა და მაშინვე დახლში აღმოჩნდა. სომეხმა, პატარა ტანის გამყიდველმა ეს გოლიათი დახლში შესული რომ დაინახა, უფრო დაპატარავდა. დავითმა ნამოავლო ხელი მოზრდილ სტა-

ფილოს გაისვ-გამოისვა სახელოებზე და ჭამა დაიწყო. დახლი-დან გამოსულმა ფული გადაიხადა და გამოიყოლა მჟავე კიტრის ქილა, ხვალე გამომადგებო.

მერე ჩვენ დავშორდით. დავით გაბურჩი შეუშოვარი, ამაყ არ-ხოტიონთა შთამომავალი ვერ ეგუებოდა კომუნისტების რეჟიმს და ვერც მათგან დაბეჩავებულ-დამონებულ ხალხს პატიობდა სი-ლაჩრესა და მხოლოდ ჭამისათვის არსებობას. ბარის, თბილისის უზნეო საზოგადოებას ექცეოდა ასე, თორემ მთაში ყველას პატი-ვისცემით ეპყრობოდა, დიდსა და პატარას. არ ყოფილა შემთხვე-ვა, რომ მისი უზარმაზარი ძალა ხევსურეთში ვინმეს წინააღმდეგ გამოეყენებინოს. მისი საქციელი, რალა თქმა უნდა, გაუგებარი რჩებოდა და ისე ყვებოდნენ როგორც გიჟის ნამოქმედარს. რუს-თაგან მოთვინიერებულ-გახედნილ ხალხში ჩვეულებრივი მოვლე-ნა იყო „ვაი ჭკუისაგან“. ჭკვიანსა და პატრიოტს უსათუოდ გიჟის სახელს დაუდებდნენ, ჭორებს გაუვრცელებდნენ, ციხეში სვამდ-ნენ, ციმბირში ასახლებდნენ და ხვრეტდნენ კიდევც.

## **არხოტის დალაშქვრა პირაქეთი ხევსურების მიერ**

წინათ არამარტო ღილღველთა თავდასხმების მოგერიება უხდებოდათ არხოტივნებს, არამედ პირაქეთი ხევსურებისაც. ერთხელ გუდანელთ, ბაცალიგოელთ და ხახმატელთ გადაუნყ-ვეტიათ არხოტის დალაშქვრა:

*„ქადაგობს გაბიდაური: „ბრძანებს გუდანის ჯვარია,  
სათენგენოდ გამიძღვან, სამის ბატონის ყმანია,  
სამი ამიბან დროში, სამი შააბან ზარია,  
გაბეგრან არხოტივნები, კვამლზე აიღან ცხვარია!“  
გაიგა არხოტის ჯვარმა, ნელზე შაირტყა ხმალია:  
მე სხვაკნით ამაქე ბეგარი, დამპალო, სად მიხვალა?!“*

კვირინმინდელნი შუქიაურის ციხეში შეიხიზნულან და იქიდან ჩამოუძახიათ ლაშქრისათვის: ახიელ გაიარეთავ, სადილს იქ გაჭმევენთავ და ვახშამს შამავლისას ჩვენ მაგომზადებთავ. ახიე-

ლაში მცხოვრებთ ჯარათ ციხესა და ჯაბუშანურთ ქვიტკირში შეუსწრიათ. ლაშქრის უფროსი თამარისძე შესულა ჯარათ სახლში, ქვაბში დარჩენილი ფაფა ამოუჭამია და მეციხოვნეებისთვის ამოუძახებია: „ფაფა ქვე ამაგიჭამეთავ და ყვერფში კი მავისაქმევ!“ ციხიდან ჩამოუძახებია: „არ მოგვდისავ, ცოტად წამაჩინდივ თუ მხდალ არ ხარავ!“ მხადლობა არ დამწამონო, გაბრიყვებულა გათამამებული ხევსური და ღიად გამდგარა. ციხიდან ივანეურს „ბუჩა“ ჩამოუხლია სათოფურიდან, ტყვიას ბანის სანაპირო სიპიც დაუმტვრევია და თამარისძეც მოუკლავს. ამაზეა ნათქვამი:

*„შავხენე კვირინმინდასა – ყროლანი გამადიანა!  
არ დაიჯერეს ყროლათა სოფლადავ შამადიანა,  
აქა ნუ მაზდით, ყროლანო, გულს სისხლი ვადამდიანა,  
ციხით დასჭეენა „ბუჩამა“ ყანიმნი ლაფში ხყრიანა,  
ამადე თამარისძეო! მანმიდარს გეტყოდიანა  
ჩამაჴე, ივანეურო, ყმანვილას ვაქებდიანა!“*

ლაშქარი დაიბნა, გორის იქითამდე გასასვლელი გზები ციხის სათოფურის არეში ხვდება. მოხუც ხევსურის ქალს აგუნდას, ურჩევია, მე ამიკიდეთ ზურგზე თითოეულმა და გადადით გორის იქითო. მე რომ დამინახავენ, სათოფურიდან თოფი არ გავარდებო. მორიგეობით აგუნდააკიდებული ლაშქარი სამშვიდობოს გადავიდა. გაბიდაურს თურმე დროშა და აგუნდა ორივე მხარზე გაედო. მერე თურმე ხალისობდნენ: „გადადიან ხევსურები აგუნდას დანერბულები“.

დაპირებისამებრ ერთი მოლაშქრე კვირინმინდელებს, შუქიასურებს მოუკლავთ. პირაქეთ ხევსურეთში ერთი არხოტელი ხმით მატირალინათულა ყოფილა გამოთხოვილი. მამამთილს უთხოვია – თვალს აღარ მიჩინსო, აბა გახედე, ზალო, ლაშქრის მოსვლის დროა, ჭერემეებს (ძროხებს) თუ მოგვილაღავენ არხოტიდანო? ზალს უთქვამ – ჭერემეებს ვერსად ვხედავ, ორ მკვდარს კი საკაცით მოასვენებენო. მეორე დღეს გლოვაა. ტირიან თამარისძეს. არხოტელი ქალი ტირილში არ მივიდა – სიმართლით ვიტყრებ და არავის მოეწონებაო. ქმარს ურჩევია, იტირეო. ნათულას ჳმით ნატირალი:

*„თამარისძეო, მახვედაეო,  
აბა, არხოტა რა გინდოდაო,  
არხოტივინები რას მოგცემდნენო,  
რა ვის ნაულავ ჭირის მეტიო,  
რათ აქვ მტრისად მისაცემიო,  
ტირილი რად უნდა ჴევსურებსაო,  
საძროხის ყურეს ნაწოცებსაო,  
ტირილი უნდა არხოტივინებსაო,  
სახარის მალალ მეომრებსაო,  
მალ-მალე ქისტეთ ჩამავლებსაო,  
შინ სახელიან მომავლებსაო.  
ურჯულოს ზარის შამდებლებსაო,  
შინ მარჯვენების მამლებლებსაო,  
გაუტეხლებსა, გულბასრებსაო,  
სახელისათვის ნაწოცებსაო“.*

ადგილობრივ ხევსურებს სწყენიათ არხოტიონთ ქალის ნათ-  
ულას ნატირალი, მაგრამ ქმრის ხათრით ხმა არავის ამოუღია.

## **სერგოს გადამრჩენელი**

1918-1920 წლებში სერგო ორჯონიკიძე ძაუგიდან ღიღლოს გავლით არხოტში ჩუმად შემოსულა და ამდამი ბენინა ნიკლაურ-  
თან უცხოვრია. ას წელს მიტანებული ნანუკა ნიკლაური მიყვე-  
ბოდა: „ამდას კაც რაიმ მავიდ, დიაცებს გვეუბნებოდნენ, ეესივ  
ჩვენ ცხვრის მწყემს იქნებისავ. მემრ სადამ დაიწაფრ ეს კაცი  
და გვითხრეს – სერგო ორჯონიკიძე იყვავ. აბა, ჩვენ ქვე რა ვი-  
ცოდით, სერგო ვინ იყვავ.“

ზამთარი ყოფილა, დიდი თოვლი. ზამთარში მთაზე საზაფხ-  
ულო, საყოველთაო გზით მოძრაობა შეუძლებელია. საზამთრო  
გზით ე. წ. საზამთროზე, წელთგზის ზევიდან უნდა გადახვიდე.  
და აი სერგოს არხოტიდან გააყოლეს, როგორც საზამთრო გზის  
მცოდნე, ისე თოვლის გამკვალავი სამი კაცი, მათ შორის ივანე

ნაროზაულიც, რათა უვნებლად და საიდუმლოდ გადაეყვანათ ბარისახოში. მახსოვს, ივანე ყვებოდა: ორი თოვლის გამკვალავი კაცი წინ მიდიოდა, მე და სერგო უკან მიყვებოდით. უცებ ეს კაცი ჩემკენ მოტრიალდა, არაადამიანური ხმით დაიღრიალა და ჩაიკეცა. მე შემეშინდა. ვერ გავიგე, რა ხდებოდა. მოულოდნელად მან კაბურიდან „პარაბელი“ ამოიღო და ლულა თავისკენ მიიტრიალა. ვწვდი ხელებში, არ დავანებე, თან წინ წასულ ამხანაგებს დავუძახე, მომეხმარეთო და სამივემ იარაღი ხელიდან გამოვტაცეთ. ნელ-ნელა გონს მოვიდა და გამოფხიზლდა, მერე გავიგეთ, რომ მას ღილღოს გზაზე ვილაც ამხანაგი დალუპვია. რასაც ძალიან განიცდიდა: სერგოს „პარაბელი“ ივანესათვის უჩუქებია და რაღაც ქალაღდიც მიუცია – ქალაქში რომ ჩამოხვალ, მიკითხე და ჩემთან მოგიყვანენო. ივანე ინერტული კაცი იყო. ის იარაღიც მოჰარეს და ქალაღდიც დაკარგა.

რომ არა ივანე, იქნებ საქართველოს ბედიც სხვაგვარად შებრუნებულიყო. ზოგჯერ სიკეთეს გამართლება არა აქვს.

## არხოტის სტუმრები

მშობლიურ არხოტში ხშირად ამოდრიოდნენ: დედიკა, თინა, ირაკლი და გოგი ოჩიაურები. ამოჰყავდათ მეგობრები – ნოდარ ანდლულაძე, გაიოზ შარაშიძე, ელგუჯა ბერძენიშვილი, მზია ბაქრაძე, გული ლორთქიფანიძე, ლეილა გორდელაძე, გურამ კორძახია, გურამ დონდუა, თენგიზ მაღალაშვილი და სხვები. არხოტშივე დანერა ანა კალანდაძემ ცნობილი ლექსი თორღვაზე (ციცქაჯაბუშანურზე). ორმოცდაათიან წლებში არხოტი მოინახულა დიდმა მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ. მთვარიანი ღამეები იყო და მან მოისურვა მაღალ ბანზე გაეშალათ მისთვის ლოგინი. მახსოვს, დილაობით, ალტაცებით როგორ ყვებოდა, საჯიხვეები, ჭიმლის კლდე და ჩამაგე მთვარის შუქზე ცაზე ჩამოკიდებულებივით ჩანანო.

ერთ დღეს სტუმრები ნოდარ ანდლულაძე, სერგო ზაქარიაძე და სხვები ბანზე ჩამომსხდარნი საუბრობდნენ. ქვევით ბანზე ხან-

ჯარშებმული 7-8 წლის ავთანდილ ოჩიაური გოროზად გვიყურებდა. სერგომ ჩაიცინა – უცქირეთ, რა დღეშია, რად უნდა ბავშვს ხანჯარიო. აბა დაუძახე – „შე, ფუროო“ – და მერე ნახავ როგორი ბალღიაო. სერგომ დაუძახა: – მოდი აქ, შე ფუროო! ვინ არი ფური – შეჰყვირა ავთანდილმა, იძრო ხანჯარი და გამოქანდა. ეცნენ, დაიჭირეს. ის კი იზიდება და იმუქრება. სთხოვეს სერგოს კაცებმა, შეურიგდი, სხვანაირად შენი აქ ყოფნა აღარ გამოვაო. მთელი რიტუალი ჩაატარეს შერიგებისა. სერგომ ბოდიში მოუხადა და „საჯურუმო“ პატარა ძღვენიც მიართვა. ჩემი დისშვილი ავთანდილი უკარება ბავშვი იყო. ნოდარმა რაღაცაზე ბოდიში მოუხადა, მან ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ბოდიში. ეგონა ცუდს ნიშნავსო და სანყენად მიიღო, მოუტრიალდა და ეუბნება – „თაოდ ხარ ბოდიში“.

არხოტში გურამ კორძახია მარტოდმარტო გვესტუმრა. რამდენიმე დღეში დავათვალიერებინეთ არხოტის სანახები. გასტუმრებისას საგზლისთვის დაკლული ქათამი აღმოჩნდა ძალიან გამხდარი, შევწუხდით. ქალაქელთან უნდა შევრცხვენილიყავით. მდგომარეობიდან ჩემმა დამ, ელენამ, გამოგვიყვანა. დედაჩემის ჩუმად გამდნარ ერბოიან კასრში ამოავლო ქათამი და ისე გავატანეთ. მერე გადმომცეს, გურამს უთქვამს: „ისეთი გამხდარი ქათამი და ასეთი ცხიმიანი იყოსო, ალბათ ესეც მთის მადლიაო“.

ნოდარ ანდლულაძე პირველად გოგი ოჩიაურის „სახელოში“ ვნახე, 1947 წ. ბაღლები კოჭობანას ვთამამობდით და ჩვენთან მოვიდა. თამაშში ჩაერთო, გვასწავლიდა ქალაქურად კოჭობანას. საათის ცნობაც მაშინ მასწავლა. ზეპირად მაყოლებდა ხევსურულ ლექსებს და „ვეფხისტყაოსანს“, რაც მაშინ თითქმის ზეპირად ვიცოდით. მეუბნებოდა – უნდა ისწავლოო და ჩემთან თბილისში ჩამოხვიდეო.

1949 წელს ალექსი ოჩიაური გადმოვიდა არხოტში და გაიგო რა ჩემი სურვილი ბარისახოში სწავლის გაგრძელებისა, ჩვენები დაითანხმა, სექტემბრამდე ორი თვით ადრე წამომიყვანა შუაფხოში დავიწყებული მასალის გასამეორებლად. მამეცადინებდნენ მათემატიკაში, წერაში. ყოველ დღით თითო ხევსურულ ლექსს ვწერდი, რაც არცთუ ცოტა ვიცოდით. ამ დროს შუაფხოში ამოვიდა და-

სასვენებლად ნოდარ ანდლულაძე და ახლა ის ჩაერთო ჩემს მომზადებაში. ქართულ ლიტერატურასა და გრამატიკაში. მოვიდა სექტემბერი. ნათელა ბალიაურმა ჩამიდო საგზალი და გამისტუმრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში. დღესაც მახსოვს მისი რჩევა-დარიგება.

ბარისახოში, მთელი შვიდი წლის მანძილზე, ნოდარის ყურადღება არ მომკლებია. მწერდა დამრიგებლობით წერილებს მიგზავნიდა წიგნებს: „შაგრენის ტყავი“, „როზინ ჰუდი“, ვალტერ სკოტის „აივენგო“, ემილ ზოლას „ფული“, ჩარლზ დიკენსის „ნიკოლას ნიკოლი“, დედამინის ისტორია“, „ელინური მითები“ და რალა თქმა უნდა „ვეფხისტყაოსანი“. ნოდარი ბარისახოში თითქმის ყოველ ზაფხულს ამოდოდა. ჩერდებოდა ე. წ. სასტუმროში. ჩვენ ყოველ დღე ვხვდებოდით. ბურთს ვთამაშობდით ლიქოკის ქალაში. მოხდა ისე, რომ მოულოდნელად გავცივდი, სიცხე მქონდა. აღმზრდელმა არ მომცა ადგომის ნება. ნოდარმა მომაკითხა ინტერნატში და მაშინვე წავიდა საავადმყოფოში წამლის მოსატანად. ამ დროს საავადმყოფოში მიუყვანიათ სახეზე დაჭრილი არხოტელი აბიკა ნიკლაური (ჭოლიკაური). ნოდარმა თქვა, თვალზეა დაჭრილი და სასწრაფო ოპერაცია თუ არა, თვალს დაკარგავსო. მაშინვე გაბრუნდა უკან. შემთხვევით ამოსული მანქანა დაიქირავა, აბიკა იმავ დღეს ჩაიყვანა თბილისში და გვიან საღამოს მიხეილის საავადმყოფოში დააწვინა. ბედად, აქაც ნაცნობი ექიმი შეხვდა და იმავ ღამეს გაუკეთეს ოპერაცია. რამაც აბიკას თვალი შეუნარჩუნა. მთელი თვე ნოდართან ცხოვრობდა. აბიკას დამ, ძიმარმა, მადლობის ნიშნად ნოდარს ხევისურული პერანგი მოუქარგა, რასაც დღესაც სიამაყით იცვამს ხოლმე. ერთხელ, დაიგულა რა აბიკამ ნოდარი არხოტში ჩვენთან გადმოსული, გამოხადა არაყი, ხურჯინში ჩასვა საკლავი (ჭედილა), მოიყოლა თემში პატივცემული ხევისბერი ჩაჩაურთ გიგია, რათა უფრო მეტად გამოეხატა ნოდარისადმი პატივისცემა და ჩვენსას მოაკითხა.

ნოდარმა კიდევ ერთ არხოტიონს გიორგი ნიკლაურს შეუნარჩუნა ხელი. გიორგი ჩხუბის დროს მძიმედ დაიჭრა და აბიკას მსგავსად მკურნალობის პერიოდში ნოდართან ცხოვრობდა. ამიტომ იყო, რომ

ამელემა ლამაზმა ქალმა, ბაბუტათ მართამ (ნიკლაური), ნოდარის დანახვისას წამოიძახა: „ეესია აი არხოტიონთ ჯვარ-ღმერთი“. ნოდარმა ასეთივე დახმარება აღმოუჩინა ბარისახოს სკოლის მოსწავლეს ბენიკა გოგოჭურს, რომელიც ასევე ჩხუბში იყო დაჩეხილი. მასაც, როგორც აბიკა და გიორგი ნიკლაურებს, საავადმყოფოსა თუ სახლში მზრუნველობას არ აკლებდა. ცნობილია, კომუნისტების „ბრძნულმა“ პოლიტიკამ აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს მთის კუთხეები როგორ დააცარიელა, დაანგრია. ამ უბედურებას ვერც ხევსურეთი გადაურჩა, რაც 1947 წლიდან ნახევრად იძულებით დაიწყო. დაცარიელდა პირიქითა თუ პირაქეთა ხევსურეთის სოფლები, რასაც ნოდარი ძალიან განიცდიდა. იგი 1961 წელს იტალიიდან იწერებოდა (ნოდარი მილანის, საქვეყნოდ ცნობილ, ლა სკალას საოპერო თეატრში მაცეტრო ბარას ხელმძღვანელობით იმალლებდა ვოკალს), რომ დღეს მოვიარე მილანის გარეუბნები, ვნახე ციხე-სიმაგრეები და არხოტი გამახსენდა: „ბეჩაო, ჩემო არხოტო, მკვიდრთაგან განირულ-დავინყებულო, სააქაოს ავის მოქმედს საიქიოს კი მოეკითხება, მაგრამა ჩვენ რა ამითა, არცრაი!“ – ამთავრებს ხევსურულად.

ნოდარის რჩევით დედიკა ოჩაურმა გააცნო ჩემი თავი თბილისის პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგეს, ქალბატონ თამარ ჯიქიძეს, რომელიც თემებს მიკვთავდა და ორჯერ მივიღე მონაწილეობა პიონერთა და მოსწავლეთა კონფერენციაზე თემებით: „ხევსურეთის პურეული მცენარეები“ და „ხევსურეთის სამღებრო მცენარეები“. პიონერთა სასახლეში რომ ჩამომიყვანეს, ქალბატონ თამარს ვთხოვე, ნოდართან დაერეკა. ნოდარმა მაშინვე მომაკითხა და სახლში წამიყვანა. ლიფტთან დაგვხვდა გამცილებელი რუსი გოგონა და ნოდარს რაღაცას ელაპარაკებოდა, თან ჩემკენ იცქირებოდა ღიმილით, როგორც შემდეგ გავიგე, ნოდარს გაუფრთხილებია ლიფტის გამყოლი გოგონა, პატარა, უცნაურად ჩაცმული ბიჭი თუ დაინახე, ჩემთან ამოიყვანეო. გამახსენდა, ნოდარი წერილებით მეპატიჟებოდა, რომ თბილისში ვსტუმრებოდი. ჩემი სახლი ახიელას კოშკივით არისო, შემოსასვლელში გოგონას დაინახავ და რუსულად

უთხარი „На Восьмой этаж к Нодару Андгуладзе“ – და ამით დამთავრდება შენი მოგზაურობაო – მწერდა.

ნოდარი თბილისში მასეირნებდა. ერთხელ შემოიყვანა მალაზიაში და ფეხსაცმელი მიყიდა. იქვე მდგომ გოგონას გადაულაპარაკა, – ამ ბიჭისთვის კოსტუმი შემირჩიეთო. მე ძალიან მეუხერხულა და ნოდარს ვუთხარი, ხევსურულად მიუღებელია, ხალხი იტყვის სხვისი ნაყიდი ტალავარი აცვიაო. ნოდარი ამ სიტყვებმა ჩააფიქრა და თავისთვის ჩაილაპარაკა – ვისი რა საქმეაო. ასე დავიხსენი თავი.

მასხენდება ერთი ეპიზოდი. ქალაქელები არხოტში სოფელ ახიელას მოუახლოვდნენ. თამარ ჯიქიძე ცხენით დანიწურდა. გააფრთხილეს, სოფელში გარსია ოჩაურთან მიდიო. მან სოფელში ხიზანა ნაროზაულის სახლთან იკითხა გარსიას სახლი და იქვე შეიპატიჟეს. გარსიასთან მისულ ქალაქელებს ამხანაგი იქ არ დახვდათ. შეიქმნა უხერხული სიტუაცია. გარსია მიხვდა, ეს ხიზანას ოინი იქნებო და „გაბრაზებული“ ყვირილით მიადგა ხიზანას სახლს, სტუმარი ვინ მომტაცაო. ამ დროს გამოჩნდა თამარი ხევსური ქალის ტალავრით – სადიაცოთი, ქათობითა და მანდელ-სათაურაში გამოწყობილი. ხალხი სიცილით იხოცებოდა, დიდხანს ვიხალისეთ. შემდეგში გოგი ოჩაური იხსენებდა, მსგავსი რამ არხოტში თუ მოხდებაო. სტუმრის მოპარვის ანალოგი, ალბათ, არც არსებობსო.

გურამ დონდუასთვის ნოდარს უთქვამს, აქ ისეთი წესია, თუ არ დალევ, კისერში ჩაგასხამენო. ჩვენს ქეიფია და გოგი ქიბიშაური (ჩემი უფროსი ძმა) როგორც მასპინძელი ყანწით არაყს მოაყოლებდა. ნოდარმა იცის, რომ გურამი ჟიპიტაურთან მწყრალადაა და ელოდება სეირს. გურამი გაძალიანდა, არ უნდა დალევა. გოგიმ კისერზე ხელი გადახვია, რათა ძალად დააღვინოს (წესია ასეთი), გურამს გაახსენდა ნოდარის გაფრთხილება და დაალო პირი, გოგის თითით ანიშნებდა – აქა, აქაო. შემდეგში ნოდარს არაერთხელ გაუხსენებია ეს ამბავი.

ერთხელ, ათენგენობაზე, ქალაქელი სტუმრებითურთ ამლას ვესტუმრეთ. ჯვარიონთ საბეკურში (სალოცავში) მოეყარათ თავი და ჩვენც მიგვიპატიჟეს. ნაკურთხი ლუდიანი თასები ჩამოგვირი-

გეს. ელგუჯა ბერძენიშვილს ტუჩი სტკიოდა დიყისაგან (მცენარეა), პატარა ნკირი (სანრუპავი) გავუკეთე და გადავეცი. თოთათ მაისტელმა მოჰკრა თვალი, იკითხა: – ამას რა მოუვიდაო. გოგი ოჩიაური გაეხუმრა – ახიელაში სცემესო. მაისტელმა ეს სერიოზულად მიიღო და სკამიდან წამომხტარმა ხმამაღლა იყვირა – ვინ სცემაო. ამას მოჰყვა სიცილი და მაისტელიც დამშვიდდა. ამ ეპიზოდს გოგი და ნოდარი თბილისში ხშირად იხსენებდნენ.

ნოდარი ჟიპიტაურს კარგად სვამდა და არც ითვრებოდა, მაგრამ ერთხელ ჩვენთან ქეიფისას არაყი მოეკიდა. დაბალ ჭერზე ხელის მონაცვლეობით დადიოდა და თან ოპერებიდან არიებს მღეროდა. მეორე დღეს გოგი ქიბიშაურს დაექაძნა, მე ჟიპიტაურს არა ვარ შეჩვეული, იმიტომაც დამათვრეო. თბილისში რომ ჩამოხვალ მაშინ ვნახოთ ღვინოზე ვინ-ვისო. და აი, გოგის თბილისში სტუმრობისას ნოდარმა შეახსენა დანაპირები და ფეხით აიყვანა ფუნიკულიორზე. მოკლედ, გოგიმ აქაც ივაჟკაცა და მთვრალი ნოდარი ბილიკ-ბილიკ ზურგით ჩამოიყვანა ბესიკის ქუჩაზე ოჩიაურებთან.

გავიდა დრო, გოგი ქიბიშაური კახეთში ჩასახლდა 1953 წ. იქ საღვთოში დაგვპატიჟა. მივედი ნოდართან. მპასუხობს, გოგი რამდენსაც სვამდა, იმის ნახევარსაც თუ კიდევ სვამს, ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებო.

კახეთიდან გოგი ნოდარს სწერს, აქ სად ჩამოვსახლდი, ღორს მეტი პატივით ეპყრობიან, ვიდრე ხარსო. ამაზე ნოდარმა მიუმღერა – „როგორ დრო დაგიდგა ხევსურაო, ღორი ქვე გირჩევნავ ხარსაო“.

ტრაპეზის დროს, როგორც წესი, მე და ნოდარი გვერდ-გვერდ ვსხდებოდით. ნოდარი პურის ნატეხს რომ დადებდა, თურმე მე რატომღაც მაინცდამაინც იმ ნატეხს ვიღებდი. მან ათეული წლების შემდეგ გამიმხილა და დავინტერესდით, რატომ ვიქცეოდი ასე. მსჯელობის შემდეგ ხევსურეთში პურის კულტით ავხსენით და მართლაც ეს განსაკუთრებით სტუმარზე ითქმის. იშვიათად რომ მან, თუ პურის ნატეხია ტაბლაზე, მთლიანი პური გატეხოს.

მელანიასაგან (ბალიაური) მაქვს გაგონილი, ერთხელ ბერდედას ნოდარი დაფიქრებული მოსჩვენებია და უთქვამს – „ნეტა შენ

რაილ გალონებს ჩემო ნოდარო” – მომიბრუნდა და მითხრა – „ნეტაინავ, გრანჯაივ ჩემ ძმიმც იყოსავ”.

არხოტში ათენგენობის დღეებმა ჩაიარა და ნოდარმა ჩვენებს თხოვა გრანჯა გამაყოლეთ და ბათუმში შავ ზღვაზე დავისვენებთო. მამაჩემი თითქოს თანახმა იყო, მაგრამ დედამ გაიგონა რა შავი ზღვა, ცივი უარი განაცხადა.

ბარისახოში მთელი მასწავლებლობა იცნობდა ნოდარს და უწყოდნენ ჩვენი ურთიერთობის შესახებაც. ერთხელ ინტერნატის დირექტორ ვანო ლაფანაშვილის წინაშე უღირსად მოვიქეცი, რითაც ინტერნატიდან გარიცხვას ვიმსახურებდი. მეორე დღით ვემზადებოდი სახლში წასასვლელად, რომ გამომიძახა იმ სულკურთხეულმა და მითხრა – მე სრული უფლება მაქვს ინტერნატიდან გაგრიცხო, რის გამოც სკოლის უნებური დატოვება მოგიხდებაო, მაგრამ ნოდარი რომ ამოვა თბილისიდან, იმას რა პასუხი გავცეო. ამის შემდეგ მე და დირექტორი განუყრელი მეგობრები გავხდით, რაც ბოლომდე გაგრძელდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩემი და ელენა და ნოდარი და-ძმად გაიფიცნენ. მას შემდეგ მრავალი ათეული წელი გავიდა. 1997 წელს ნოდარმა გამოსცა წიგნი “HOMO CANTOR” (ადამიანი მომღერალი), რომელიც ელენას არხოტში, ხოლო გოგის კახეთში გაუგზავნა შემდეგი წარწერებით: „დაზე უსაყვარლეს ელენეს, რომლის ოჯახში ჩაიარა ჩემი ახალგაზრდული ჩამოყალიბების დაუფინყარმა წლებმა და რისი მუხტითაც გახდა შესაძლებელი ამ წიგნის დაწერა. ყოველივე ამისათვის უსაზღვრო მადლობით. შენი ძმა ნოდარ ანდლულაძე. 3 თებერვალი 1999 წ.”

– „ჩემი ახალგაზრდობის სწორუპოვარ მეგობარს, მზისადარ ვაჟკაცს, არხოტის თვალის-თვალს, მთელი ჩვენი თაობის საყვარელ ადამიანს გოგი ქიბიშაურს, კალოთანელთაგან დაუფინყარი მეგობრობის ნიშნად. შენი ძმობილი ერთი ბეჩავი არხოტიონი, გვარად ნოდარ ანდლულაძე. 01.01.99.”

საუბედუროდ გოგი და ელენე ჩვენს გვერდით აღარ არიან. ნოდარიც 2013 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა.

## კალოთანა (ჩემი გვარის ნასოფლარი)

არავინ იცის როგორ გაჩნდა არხოტის თემის სოფლები: ამლა, ჭიმლა, ახიელა, კვირინმინდა, კალოთანა. საიდან მოდიოდა ის ხალხი, ვინც ამ სოფლებს ავსებდა... ისე კი, ჩემს ბავშვობაში გამიგონია მცირერიცხოვან გვარებზე – ისინი ქისტის ჯიშისანია, ისინი თათრის ჯიშისანიაო და ა. შ.

ჩემი მამა-პაპათ სოფელი – კალოთანა ქიბიშაურების იყო, რომელიც არხოტის აღმოსავლეთით მდებარეობს ასას მარჯვენა შენაკადის კუდში. სოფელს ბოლოზე ჩამოუდის „კალოთანის წყალი“. რომელიც ორწყალთანას უერთდება ცირცლოვანის, არხოტის ქალაზე ტანიისა და ტერლის წყლებს და არხოტის არაგვის სახით აღწევს ღიღლოს. აქ იგი „ასად“ მოინათლება. ღიღლოს ჩასახლებული გაბრიელ ჯაბუშანური „ასას“ მიმართავს: „ასავ არაგვი ვიცი არა ხარ, მაგრამ მე მაინც მეარაგვები“.

ა. ყამარაულის წიგნიდან „ხევსურეთი“ (თბილისი, 1929 წ. გვ. 42) ჩანს, რომ 1890 წელს კალოთანაში ცხოვრობდნენ: დავითი, ალუდა, გიორგი, ახალა, გიორგი, კვირიკა, მარტია, გიორგი, მგელა ქიბიშაურები და ბაბო და გიორგი სუფარაულები. ცნობილია, რომ შემდეგში სუფარაულები ხარით შეეყარნენ ქიბიშაურებს და დაენერნენ მათ გვარზე. ასეთი რამ ხდებოდა ხევსურეთში. მცირერიცხოვანი გვარი სოფელში უერთდებოდა მრავალრიცხოვან გვარს თავდაცვის მიზნით.

კალოთანაში მხოლოდ ქიბიშაურთა გვარის ხალხს უცხოვრია, რომელიც სხვადასხვა მამიშვილობად იყოფოდა: სუფარანი, გოგჩანი, ჭრელიანი, მიკალდანი და ხირსილნი. როგორც ჩვენებისაგან გამიგონია – „ხირსილნი ქისტური წარმომავლობისანი უნდა იყვნენ“. სოფელს მკაცრი ბუნებრივი პირობების გამკლავებაც უჭირდა. ცნობილია, რომ არხოტის თემის საერთო სასაფლაო ახიელაშია, რომელსაც სამარე გვერდს, ბარუქას ვეძახდით. ერთხელ ზამთარში დიდთოვლობისას, კალოთანიდან ახიელისკენ მიცვალებულს მიასვენებდნენ. გზაზე ზვავი ჩამონოლილა

და რამდენიმე კაცი უმსხვერპლია. ამის შემდეგ კალოთანაში გაუხსნიათ სასაფლაო, რომლის ადგილი დღეს მინიშნებითაც კი არ ვიცით.

ქისტები ხშირად სტუმრობდნენ არხოტის განაპირასოფლებს, საქურდლადაც ეტანებოდნენ. ერთხელ ქისტებს კალოთანიდან მგელას საქონელი გაურეკიათ. მგელას ღამე რომ გაუგია საქონელი გამტაცესო, სოფლისთვის არ შეუტყობინებია როგორც წესი იყო თვითონ მარტო უიარალო გამოჰყიდებია. ქისტებს უთქვამთ, მოკვლა არ გვინდოდა, თოფებს შესამინებლად ჰაერში ვისროდითო, მაგრამ ისე ახლო მოდიოდა, რომ შეიძლება ვეცანით და გარიდება ვამჯობინეთო. მერე მგელას მაინც მოპარეს რამდენიმე ძროხა. ერთი მელექსე ნიშნის მოგებით ეუბნება:

*„ლილღველ მაჩუყომ რა გიყო კალოთანელო მგელაო,  
გამოგიყარეს ძროხები, ჯერაც ვერ დაგიკვლაო“.*

მეორე პასუხობს:

*„აგნია კალოთანელნი, მაჩუყოვ, გაგამბენაო  
ელამარძაის ზერდავსა ბაგაზე დაამბენაო“.*

კალოთანაში გამოირჩეოდნენ მარტიას შვილები – გიორგი და კვირიკა ქიბიშაურები. მათ „კრავლიანთაც“ უწოდებდნენ. კრაველივით ხუჭუჭი თმა ჰქონიათ. მამიშვილობით ისინი ხირსილთ ეკუთვნოდნენ. ერთხელ კრავლიანათ ბიძაშვილი მგელა მკლავში ტყვიით დაუჭრიათ არხოტის ქალაზე და ამას ნეთხაში მცხოვრებ ანდარუყოს აბრალებდნენ, მას უთქვამს: „მე არ დამიჭრია, თორემ მგელა და წითელი ფური ჩემთვის ერთი და იგივე არისო“. გიორგის ქისტური ენა კარგად სცოდნია, გაუკითხავს და გაუგია, რომ ანდარუყოს ნასროლი ტყვიით ჰქონდა მგელას დაზიანებული მკლავი. დამუქრებია გიორგი, მე მაგას არ შევარჩენო. ანდარუყოს, რამდენადაც მე მახსოვს მშობლებისაგან, გიორგის ვაჟი – თომა ჰყავდა მონათლული. ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგისთან, მაგრამ უნდობლობა მაინც იყო.

შიტუ და მისი მთები კალოთანელთ ეკუთვნოდა და ზაფხულობით ფშავლების ცხვარი ბალახობდა. იმ წელს ცხვარი უკა-

ნაფშავის სოფ. უძილაურთელ მწყემსებს ხინვა და ჯლუგა ჩორხაულებს ვილაც ახარებაის ცხვარი გაურეკიათ კალოთანის მთებში საბალახოდ:

*„კალოთანაში გადადგა ახარებაის ცხვარია  
გადაიყოლა მწყემსები კოჭლაი, ხეიბარია“.*

ზაფხულში ანდარუყო ბუხრასა და ასმათთან ერთად ამოსულა კალოთანაში. გიორგისა და კვირიკა ქიბიშაურებისათვის უთხოვიათ გაჰყოლოდნენ ცხვრის ბინაზე. სხვა დროსაც თურმე დადიოდნენ ქისტები მათთან. მწყემსებს ეჭვი შეჰპარვიათ, რომ ისინი სასიკეთოდ არ ზვერავენ მათ ბინას. ჩუმი თათბირის შემდეგ გადაწყდა – ქისტები უნდა დაეხოცათ. ჯლუგას უთქვამს – ნუ დავხოცავთ, თორემ მე კი წავალ აქედან, ცხვარს გადავრეკავო, მტერი კი თქვენ დაგრჩებათო. დანვნენ, დაიძინეს და შუალამისას გიორგიმ ანდარუყოს და კვირიკამ ორ სხვა ქისტს დაახალეს თოფები. კვირიკეს ნასროლმა ტყვიამ ორივეს გაუარა და დახოცნა, ხოლო გიორგის ნასროლმა ტყვიამ ვერ დაიგდო ანდარუყო. წამოხტა „გიორგივ შენი დედაო“ და გაიქცა. ამ დროს კოჭლ ჯლუგას „აინალი“ დაუხლია და წაუქცევია ანდარუყო. მგელას დაუყვირია, აჩქარდით, თენდებო და ანდარუყო მარტოს გაუდგია მხარზე. შესდგომია აღმართს „წყაროს თავისაკენ“. მიჰყოლიან სხვებიც და მიწაში ღრმად დაუმარხავთ.

„კვირობდა ელამარძაი რა ღრმად ჩაუყრიანა“. მახსოვს ბიძა ქორიას (გასპარა) ნაამბობი: „ვიქნებოდი 8-10 წლის მეცხვარეების ბინაში რომ მივედი, სისხლიან ქვებს გვერდს უქცევდნენო. მითხრეს გუშინ საკლავები დავხოცეთ და იმათი სისხლიაო“.

ანდარუყო თავისი ამხანაგებით ნეთხაში აღარ დაბრუნდა. ქისტებმა იციან, რომ კალოთანაში წავიდნენ, მეტი არაფერი. ამიტომ ნეთხიდან მთელმა სოფელმა დაიწყო მათი ძებნა. ეჭვი ეპარებათ კალოთანლებზე, განსაკუთრებით გიორგისა და კვირიკაზე. ამიტომ თითქმის ყოველდღე მოდიოდა მათი მძებნელი ხალხი. დილით მოვლენ ქისტები, გაივლიან შუა სოფელზე, საღამოს იმავე გზით უკან ბრუნდებიან. შენუხდა სოფელი, შეშინდა დიაც-ყმანვილნი. ამ დროს ამღელი თოთა მოსულა კალოთანაში

დაუნახავს, რომ გიორგი ცხენს კაზმავს. თოთა დაინტერესებულა და გიორგის უთქვამს: ქისტებმა შეიარეს შიტუსაკენ. მკვდრებს ეძებნო და დიაც-ყმანვილს მოსვენება არა აქვსო. შევივლი და ვეცყვი, სადაც ჩავყარენითო. თოთას უთქვამს, შენს თავზე აღარ ფიქრობო და მოუხდევენებია უნაგირი ცხენისათვის. ნისლაურთ ჯირჩლას მიუსწავლებია ქისტებისათვის „წყაროს თავის“ ის ადგილი, სადაც ისინი დამარხეს.

ერთხელ ხევსურეთიდან ბრუნდებოდა კვირია და შიტუში წინ გადაუდგნენ ქისტები. კვირიას ძროხა მოჰყავს და მხარზე გადაებული თოფი აქვს – რა იყო ქისტებო, თუ შუღლი გინდათ, ვიშუღლოთ, თუ არადა გამიშვითო – უთქვამს. მაშინ ჯერ კიდევ ქისტებს ეჭვი ეპარებოდათო.

გაგებისთანავე ქისტები შურისძიების მიზნით ხშირად აკითხავდნენ კალოთანას, მაგრამ ხელმოცარულნი ბრუნდებოდნენ უკან. როგორც დედაჩემი მიყვებოდა, ქისტებს უთქვამთ: „მივალთ კალოთანაში, საყუჩიდან თოფს გადავუდებთ, მაგრამ ვიდრე მიზანში ამოვიღებთ, თვალეზე რაღაც ლასტივით გადაგვეფარება და ველარაფერს ვხედავთო, სოფელს რაღაც ძალა მფარველობსო“. მამაჩემის მონათხრობით სოფელს იცავდა ჩვენი სალოცავი „სამება“, რომლის ნიში სოფლის განაპირას იყო დაბრძანებული. ამიტომ ხუცობისას ხუცესი მას მოიხსენიებდა, როგორც „სამებავ კარის მეზობელო“. ერთხელ, გადმოცემით, არხოტიდან დაბრუნებულ ქისტის ლაშქარს კალოთანელები არხოტის ქალაზე ერთ-ერთ სახვევზე დახვედრიან, რომელიც ქისტებისა და არხოტის საზღვარზეა „დანერილ კლდესთან“:

*„უხოცავ ქისტის შვილები,  
მკვდარი შაყარეს მკვდარზედა“.*

დღესაც იმ სახვევს „კალოთანელთ სახვევს“ ეძახიან.

კალოთანაში სახნავ-სათიბი მიწები ძალზე ცოტა იყო. სოფელი კი დიდი. ამას დაერთო ქისტების მხრიდან მოსალოდნელი შურისძიება და სოფელი დაახლოებით 1895 წლიდან იწყებს კახეთში ჩასახლებას. ნათელა ბალიაური „ხევსურულ ქრონიკებში“ წერს: „ადგილი ამღივნებმა იყიდეს, კალოთანელთ მტრე-

ბიც ადგილის მყიდველებს დარჩათ”. ქისტები არ ეპუებოდნენ ამღლებს და დავა ჰქონდათ ცხადად და ფარულად. ერთ-ერთი მყიდველი იყო ამლიონი ბენინა ახვაისშვილი, გიორგათ მამისა. მას ებრძოდნენ ნეთხელები, პირადად ანდარუყოს შვილიშვილი ოსა ფარეშაისშვილმა ბენინას პირში უთხრა, კალოთანას თავი დაანებე, შენ პირადად მკვლელის მამულს პატრონობო და მე შენ ამას არ შეგარჩენო. ბენინამ ცუდი სიტყვა უთხრა – ესენია შენო. ოსამ თავი ჩაიქნია და წავიდა. შემდეგში მან საბოსლოსკენ მიმავალი ბენინა „ტანიის კარ” თოფით მოკლა.

ქისტების დახოცვასთან დაკავშირებით მომყავს ბაბილთ ნიას გამოთქმული ლექსი:

*„სამნია კალოთანელნი, სამნივ ქორებრივ ქრიანა,  
ნაპირის ადგილისანი თავს ხალხში აღარ სთვლიანა,  
ნაცადი ეგეთა უნდა მანდ რო კრაველან ცდიანა,  
ოხშამთ წინ, ოხშამთ უკანა, საბაკეს სისხლით სვრიანა,  
ეს მამაძალდი ქისტები სრულ საქურდალად დიანა,  
კალოთანის ჯორჯ მოვიდეს, ბინაზე დადგებიანა,  
უნდოდა დაებათილნეს, მემრ ცხვრისთვი დაერიალა,  
კვირიკამ კრავლიანამა აღარა დაავიანა.  
დააჯოცივნა ოროლნი, როგორ დახვრიტნა ტყვიამა,  
მარტიათამა გიორგიმ რა ჩქარა წამაიარა,  
დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარივით დაატრიალა,  
რა სწყალობს მგელაის თოფსა, ნამტვრევებ გადაიარა  
ზოგნი ფულს ანგარიშობენ, ზოგნი იარაღს ხყრიანა,  
ზოგნი ამბობენ დავმარხნათ, ზოგნ ტოტით ქვიშას თხრიანა,  
პირაღმისაკე გასწიეს, ჯარნ რო უღელში ღბიანა  
დამარხეს წვერის ძირშია, ზე ქარაფს დასცემდიანა,  
ეგ ლექს გამავიგ ზავნათ, ლულით ბაბილის ნიამა,  
გაიგა თქვენი ნაქნარი არც არა დაავიანა,  
საღექსოდ მინდა ხანჯარი, ჯეესურებს დაუპრილა,  
არ მინდა შორად ძევაი, სრუ ჩვენ ჭალაზე ჰყრიანა”.*

არხოტში გიორგი კრავლიანას უშიშარი ქმედებები თურმე ლეგენდასავით დადიოდა. ნეთხელ ქისტს გიორგის რაღაც ვალი

ჰქონია და უგვიანებდა. გიორგი თვითონ ჩასულა ნეთხაში და უთქვამს – ვალს რატომ არ მიბრუნებო. მას რაღაც აგდებულად უპასუხია. გიორგის მიუშვერია თოფი მევალე ქისტისთვის და გვერდზე მდგომ ქისტს ხელი აუკრავს იარაღისთვის. ტყვიას მოვალე ქისტის ქუდი გადაუგდია. ქისტები კვირობდნენ, ჩვენ სოფელში კაცს რომ კლავდა, თავის თავზე აღარ ფიქრობდით?! ამის შემდეგ შეარქვეს ქისტებმა „უსისხლო გირგი“.

არხოტივნები ადრე ძაუგში დადიოდნენ ფქვილისა და სხვადასხვა საყიდლებისთვის. წასულებს ღიღღოზე უნდა გაეცლოთ და გამოეცლოთ ნავაჭრით. ერთხელაც, უკან დაბრუნებულებს ღიღღოს ერთ-ერთ ხიდთან ქისტი დახვედრიათ, რომელიც ხიდზე გასვლის ბაჟს ითხოვდა. გიორგი უკან ბარგ-აკიდებული მოდის და რომ დაინახა ხიდის ყურზე შეგროვილი ხალხი, იკითხა, რატომ არ მიდიხართო. როცა გაიგო, ვიღაც ქისტი ფულს ითხოვსო, გაარღვია რიგი, მივიდა მებაჟესთან და ისეთი სილა გაანწა, რომ ქისტმა წყალში ჩქლაფანი მოადინაო. ხალხს უთხრა გიორგიმ – გამაიარეთო, ხოლო ნირნამხდარ „მებაჟეს“ ხმა არ ამოუღიაო.

გიორგის ნაცნობ ქისტებს უთქვამთ „უსისხლო გირგის“ როგორ ვერ შევაშინებთო, და ჩასაფრებიან სახვევზე უღრან ტყეში. წინასწარ იციან რომ აქ უნდა გამოიაროს, ქისტებს მერე უთქვამთ, რომ მოვიდა, თოფი გადაკიდებული ჰქონდა და ჩვენ სხვადასხვა ხმებზე დაფუყვირეთ, რომ ხელები აენია. მიხვდა, თოფის ხმარებას ველარ მოასწრებდა და პერანგის კალთა ასწია, ქისტებო, აი, აქ დამკარითო. მერე ისინი საფრიდან გამოსულან და ბევრი უცინიათ. „უსისხლო გირგის“ სიმამაცე მთელმა ხევსურეთმა იცოდა. იმ დროს ცნობილ კაცზე ხელის აღმართვა, მით უფრო მისი დაჭრა სასახელო საქმედ ითვლებოდა და აი, ერთხელ გიორგი პირაქეთ ხევსურეთში გადმოსულა. ხევსურებს მემველყურაობა მოუწყვიათ, ერთი რომ დაჭრის, მეორე მაშინვე შეაკავებს, ვითომ როგორც გამმველებელი. ასე მოუწყვეს გიორგისაც. დაჭრეს და პირობისამებრ მეორემ გიორგი დაიჭირა. გიორგის უთქვამს – ნუ მიჭერ, თორემ მოგკლავო. მაინც არ გაუშვიათ. ამ დროს დამჭრელი უსაფრთხო ადგილას გადასულა. გიორგიმ,

ვითომ გამშველებელს, ხანჯარი გაუყარა და იქვე ჩაკეცა. გიორგის მერე პაპაჩემისთვის უთქვამს – მომიკვეთეთო, კალოთანაში ქისტები დავხოცე, და ჩემი მიზეზით სოფელი აიყარაო, მერე ხევსური შემომაკვდაო. მომიკვეთეთ და გვარიც დაისვენებსო. პაპაჩემს უთქვამს – სამართლიანად თუ შემოგაკვდება, ჩვენ არ მოგიკვეთავთო. ატირებულა გიორგი და პაპას გადახვევია.

იმ დროს გართობა-ხუმრობაც თავისებურად სცოდნიათ ჩემს წინაპრებს. პირაქეთა ხევსურ ნაცნობ-მეგობრებთან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ. სტუმრობისას თურმე ორივე მხარე ცდილობდა სახუმარო რამე მოეწყო ერთიმეორისათვის. ჩემი მშობლები ბევრ სასაცილო ამბავს ყვებოდნენ. ერთხელ ნაცნობი, პრანჭია ხევსური მოსულა სტუმრად კალათონაში, ისეთი პერანგი და ისეთი თათ-ბაჭიჭი სცმია, რომ მართლაც თვალს გვჭრიდაო. წვიმიანი ამინდი და ბნელი ღამე ყოფილა დაწოლის წინ სტუმრისთვის უთქვამთ, გარეთ გახვალ თუ არა, პატარა გუბეა და ცოტა მიქისიდაა გადააბიჯეო. ხევსურსაც სწრაფად გადაუბიჯებია და მოხვედრილა ნეხვის ისეთ წუმპეში, რომ მის თათ-ბაჭიჭსა და სანვივეებს თურმე დილამდე რეცხავდნენ.

ერთი სტუმარი ჩანვა თუ არა ლოგინში, სასწრაფოდ დახურეს ჭინჭრით გატენილი გუდანური. მის ღრიალზე თურმე მეზობლები მოცვივდნენ, რა ხდებოდა.

ერთი ახალგაზრდა ხევსური, რომელსაც გაგონილი ჰქონდა კალოთანელთ ოინები, ვერაფრით ვერ გაუბიათ. ბოლოს საპატიო ადგილზე მგლის ხაფანგი დაუგიათ, ზედ თხელი ნაჭერი გადაუფარებიათ და გარედან შემოსულ სტუმრისთვის საპატიო ადგილი შეუთავაზებიათ. სტუმარმაც შეიფერა და დანდობილად ჩაჯდა მომართულ ხაფანგში...

კახეთში ჩასახლებული კალოთანელები სხვადასხვა სოფლებში მიმოფანტულან. ჭრელიათა და ხირსილთ მამათანი სოფელ კვერნაძეულში დამკვიდრებულან. აქ ჭრელიათ ბაღის ნასროლი ქვა მოხვედრია ხირსილთ ბავშვს და მომკვდარა. ამიტომ ალექსა ქიბიშაურს სოფელი დაუტოვებია და ერწოში გადასახლებულა. ბიძა ხვთისოს, ეტყობა თავნება კაცი იყო, გვარის დაუკითხა-

ვად სამანი დაუგდია და მოუკვეთია „მოსისხლე“ ბიძაშვილები. მერე ბიძა ქორიას (გასპარა) ეს სამანი ამოუღია და გადაუგდია. მაგრამ მოკვეთა რომ გაუგია, ალექსას განაწყენებულს გვარი შეუცვლია და ქრელაშვილობაზედ დაწერილან. თუმცა შემდეგ ზოგიერთებმა აღიდგინეს ნამდვილი გვარი, მაგრამ ეს შეცდომა დღემდე ღია ქრილობასავით მოყვება ჩვენს გვარს.

## არსოტის ნასახლარები

კალოთანისა და ცირცლოვანის წყლების შესაყართან მარჯვენა მთის ფერდობზე, სადაც დღესაც ნადირობენ წვრილ ნადირზე: შუნზე (დედა ჯიხვი) და ფსიტზე (არჩვი), ადრიდანვე შეინიშნებოდა ნასახლარი. ამ ადგილს ორბეთს ანუ ორბეულთას ეძახიან. გადმოცემით აქ უცხოვრიათ ორბელებს ანუ ორბელიანებს: „ადგეს, წავიდეს ორბელნი იმერეთს წყალსა გახდესა, იმას კი ვერავენ იტყვის, არ იყვენენ, იმით წახდესა“. მათ შესახებ ხევსურულმა პოეზიამ მხოლოდ ეს ორი სტრიქონი შემოგვინახა.

სოფელ ახიელის მარჯვენა მხარეზე ე. წ. ციხეებთან დღესაც შეინიშნება რამდენიმე საცხოვრისის ნაშთები. ხალხი ამ ადგილს ნათათრალს უწოდებს. ნასახლარებიდან ორას მეტრში მთის ფერდობზე არის წყარო, რომელსაც „თათრის წყალს“ ეძახიან.

ნეთხიჩოს მწვერვალ კიდეგანას მხარეზე არის საჯიხვე, „ჩამაგე“, რომლის ქვევით სუბალპურ ზოლში მთის ფერდობზე რამდენიმე ნასახლარია. ამ ადგილს დღესაც ნასოფლარს ეძახის ხალხი.

არავინ იცის ზემოთ ხსენებულ ადგილებში რა რწმენისა და ჯიშის ხალხი ცხოვრობდა. საიდან მოვიდნენ, ადგილზე გაქრნენ თუ სადმე გადაიხვეწნენ. მათი ვინაობის შესახებ ხალხში ანდრეზების (ლეგენდების) სახითაც კი არაფერია შემორჩენილი.

კალოთანა, სადაც ჩემი გვარის ხალხს უცხოვრია, მე-19 საუკუნის მიწურულს დაცარიელებულა ფრიად შეზღუდული, ეკონომიური, საყოფაცხოვრებო პირობებისა და ქისტებთან ურთიერთობის გართულების გამო.

კვირინმიდა გასული საუკუნის 20-იან წლებში მიუტოვებია ადგილობრივ მცხოვრებლებს. დღეს მხოლოდ მარტია შუქიაურის ციხის ნაშალილაა შემორჩენილი, რომელიც ორმოციან წლებში რუსის ჯარის ნაწილებს აუფეთქებიათ.

არხოტის სამივე სოფლის (ამლა, ჭიმლა, ახიელა) დაცარიელება ვითომ და გეგმიანი ჩასახლების საბაბითა და ნახევრად იძულებით 50-იანი წლებიდან დაიწყო, ამჟამად ჭიმლისა და ამლის სოფლებში თითო კომლილაა შემორჩენილი. ხოლო ახიელაში სამი კომლი, რომლებიც ზამთარსაც იქ ატარებენ. როგორც ჩანს არხოტსაც გაუდის ყავლი. აფსუსი კია.

ყამარაულის მონაცემებით არხოტის სამივე სოფელში კომლობრივი რაოდენობა ჯერ კიდევ 1873 წელს რადეს, ხოლო 1928 წელს მას აღუნერიათ. 1945-2013 წლების მონაცემები კი ავტორის მიერაა შედგენილი.

### არხოტის თემის კომლობრივი კლება

	რადე	ყამარაული	ქიხიხაური	
სოფლები	1873 წ.	1928 წ.	1945 წ.	2013 წ.
ამლა	101	30	19	1
ახიელა	97	21	17	3
ჭიმლა	66	17	9	1

ასე მოერღვა საქართველოს გეოგრაფიულად ჩრდილო ზღუდე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავდა და საკადრის პასუხს აძლევდა მომხდურ მტერსა თუ მოყვარეს.

## არხოტის ქავ-ციხეები

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ჩრდილოეთიდან მუსლიმანური სამყარო ესაზღვრება, სადაც საუკუნეების წინ მართლმადიდებელ ხალხს უცხოვრია, რაც იქ აღმოჩენილი ქრისტიანული, ჯვრიანი საყდრებითაც მტკიცდება. ხასო მანგოშვილი („ქისტები“ 2005 წ.) გადმოგვცემს, რომ მდინარე ასას ხეობაში, ხამსა და თარგიმს შორის დგას ქრისტიანული ეკლესია „ტობა-ერდი“.

ცნობილია, რომ ინგუშები რელიგიის შეცვლით კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ მართლმადიდებელ ქართველობას დაუპირისპირდნენ. მათათშეთს – დალესტანი (დიდოეთი), შატილის თემს – ჩეჩნეთი, არხოტს კი ინგუშები (ქისტები). ხშირი იყო ურთიერთთავდასხმები, პირუტყვის მოტაცება, მკვლელობები, შურისძიება და სხვა. ამიტომ როგორც მათათშეთში, ისე შატილსა და არხოტში მრავლადაა შემორჩენილი თავდაცვითი ნაგებობები: ქვიტიკირები, ციხეები, ქავი და სხვა.

არხოტში ქავ-ციხე ანუ ქავის კარი ერთადერთი სიმაგრე იყო ქისტებისაგან არხოტის თემის დასაცავად. არხოტის ქალის დასაწყისში ხეობა ისეთი ვიწროა, რომ არხოტის წყალიც კი ძლივს მიიკვლევს გზას. აქ ჩადგმულია ბასრი ქვით ნაგები სათოფურებიანი სათვალთვალ კოშკი. მგზავრმა მხოლოდ მის წინ უნდა გაიაროს, სხვა გზა არ არსებობს. აი, აქ მტრის მოლოდინში არხოტის ხუთივე სოფლიდან (ამლა, ჭიმლა, ახიელა, კვირინმიდა და კალოთანა). ერთდროულად თითო კაცი მორიგეობდა სამი დღით.

„ა ბეჩავ არხოტივნებო, მაგარ პირზედ კი სდგებითა,  
ჭალაზე ქავი ააგეთ, ქორიც ვერ გადახტებისა,  
შიგა სხედს მეთოფეები, ბერდენკეები ტყვრებისა“.

ციხეები მხოლოდ კვირინმინდასა და ახიელაში აუშენებიათ. ცნობილია რომ კვირინმინდაში პირველად შუქიაურის გვარის ხალხს უცხოვრია. შემდეგ გვარი შეუცვლიათ და გიგაურობაზე დანერილან. ხევსურულმა საგმირო პოეზიამ (აკ. შანიძე ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული 1931 წ.). შემოგვინახა მცირედი მასალა:

*„კვირწმინდაში ციხესა ჩარდახი ჩამასდისაო,  
შიგა ზის შუქიაური, თავს ცეცხლი გადასდისაო,  
შუქიაურის ხირიმი გულმწუხრად გამადისაო.“*

ან:

*„ციხე სტირს შუქიაურთა, უხმობს ქვიტკირის კარია,  
სიკვდილსა შუქიაურის ინყენს „წყალშუის“ ჯვარია,  
ორივ დამეცა ბელელი, დრომას შამინყდა ზარია,  
პატრონ მარტია მამიკვდა, მტერმ შამამართვა თვალია“.*

ზემოხსენებული ციხე, მეორე მსოფლიო ომის დროს არხოტში მდგარმა რუსის ჯარმა ააფეთქა და ქვა-სიპი „ზემლიანკების“ ასაშენებლად გამოიყენა, ხოლო „წყალ-შუის“ ჯვარი საცხოვრებლად, რომელიც წასვლისას დაანგრეეს. სოფელ ახიელის თავში კი ისევ დგას ცისკარაულთა გვარის კაცის, აბა ჯურჯიაულის მიერ აშენებული ციხე, თუმცა მასაც 2000 წელს ღილლოდან შემოფრენილმა რუსულმა ვერტფრენმა ესროლა რაკეტები. დაუზიანეს კარი და გვერდითი სათოფური შეუზგრიეს. ცისკარაულების გვარს მამიშვილობით „ჯარათ“ ეძახდნენ, ამიტომ „ჯარათციხედ“ იხსენიებოდა. ციხე ოთხსართულიანია. კარებამდე მიყუდებული იყო ნაჭდევებიანი ხე. სართულებზე ასასვლელად კედლის პირზე გაკეთებულია ასასვლელი ხვრელები, ხოლო კედელზე დატოვებულია ფეხის მოსაკიდებელი. მოხუცებმა იცოდნენ თქმა – ქისტების აშენებულიაო „ჯარათციხე“.

ხ. ხანგოშვილი წერს: მშენებელი ციხისთვის ჩარდახის დადგმის შემდეგ იქედან არ ჩამოდიოდა ვიდრე ციხის პატრონი ხარს არ დაუმატებდაო. ს. მაკალათია კი აღნიშნავს: ჯურჯიაულს 50 ძროხა მიუცია მშენებლებისათვის. არ ვიცი, ყოველივე ეს რამდენად მართალია, მაგრამ უფროსებისაგან გამიგონია ჯურჯიაულმა იმდენი საქონელი მისცაო მშენებლებს, რომ წინ მიმავალნი ჩასავალას (ადგილია), რომ ჩაეფარა ბოლო სოფლიდან არ იყო გაკრეფილიო (იგულისხმება დაახლოებით 200 მ).

ქვითკირები ასევე დულაბით არის ნაშენები, შედარებით განიერი სწორკუთხოვანი, სამსართულიანი, ბრტყელბანიანი სახურა-

ვით, ნაპირზე გარშემოვლებული სიპებით, მცირე სათოფურებით. ჭიმლაში ცნობილია თეთრაულთ ქვითკირი, რომლის დანგრეული კედლებილაა შემორჩენილი. ახიელაში ბახათ ქვითკირის კედლები დაუზიანებელია, ხოლო სახურავი ჩანგრეულია. ბახა ჯაბუშანურის ქვითკირი სამსარულიანია, სათოფურები და სარკმელები მეორე და მესამე სართულებზეა დატანებული. პირველი სართული ე. წ. ბოსელია, რომლის კარი კედით იკეტება. აქედან საკვმით ადიან მალლა სართულებზე. ამლაში ქვითკირები ნანგრეეების სახით შემორჩა, მხოლოდ ჯვარის ქვითკირია გადარჩენილი. შულლიათი, იმედათი, ძიათი, ჭოლიკაურთი, უთურგათ გიორგის და ჩინგლათ ქვითკირები დანგრეულია. ქვითკირები თავდასხმის დროს შედარებით დიდი ტევადობის თავშესაფარი იყო, რასაც გვიდასტურებს უთურგათ ქავ-ციხის პატრონი:

*„არხოტს დაცემიი ღვულავ, ამბობენ ქისტის ლაშქარსა,  
ნახევარს ტყუილს ამბობენ, ჩვენ ქვე ვინ გვეტყვის მართალსა,  
პატრონს მე რაად მეშინის, უთურგათ ციხე-ქავთასა,  
საკვმისას ვერვინ შამოვა, არ შამაუშობ კართასა“.*  
იკვეხის უთურგათ ქავ-ციხის პატრონი.

## მიზიწყებული სიტყვები

ბარში ჩასახლებული ხევსურები და მათ შორის არხოტივნებიც თანდათან იცვლებიან, იერსა და ზნეს კარგავენ, რაც არც არის გასაკვირი: ჯერ კიდევ ოციან წლებში, ცნობილი მთქმელი კუკუა (გიორგი ცისკარაული) კახეთში ჩასახლებული გულდანყვეტით იწერებოდა:

*„მე კი ჩამოვე კახეთა, კლდეთ მაგიერა ხენია,  
აქ სახელ-სირცხვილს რა უნდა? წინიღვე კახის ძენია,  
„ხოლმე“ და „მეთქი“ სიტყვანი, სათქმელად საკვირველნია“.*

ამასთან დაკავშირებით დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე განმარტავს, თუ რამდენად დიდია განსხვავება ხევსურისა და კახელის სულიერ განწყობას შორის. „ხოლმე“ და „მეთქი“ ხევსურისათვის

იმდენად გასაკვირი არ არის, როგორც ის გარემოება, რომ ბარში სირცხვილ-ნამუსს ვერ ხედავს. ასეთი ვითარება დახვდათ გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩასახლებულ არხოტიელებსაც. დასანანია რომ რიგი ხევსურული ტერმინებისა, რომელთაც თავისებური დატვირთვა ქონდა და უფროსები დიდი პატივითა და კრძალვით მოიხსენიებდნენ, დღეს დავინწყების ბურუსით იმოსება. ასეთებია: მანევარი, მტყობიე, მაცნე, მზირი, მეკოპარი და ა. შ.

**მანევარი (მოპატიყე)** – ოჯახი, ვინც საღვთოსა თუ ღამის თევას ატარებდა, თემის სოფლებში მანევარს აგზავნიდა ხალხის დასაპატიყებლად. მესაღვთოე ზოგჯერ თავის ქუდასაც გაატანდა უფროსებთან, რომელთაც მანევარი ეტყოდა, „თქვენთან ქუდიც კი გამომატანა, ნუ დადგებიანო“. ისინი უპასუხებდნენ – „მაღლობელი ორთ-ქვე ქუდ რად უნდ, ჩვენ განა ხამები ორთ მაგათ ოჯახებში, ჰაი-ჰაი რომ წამოვალთ“.

**მტყობიეს** თემის სოფლებში აგზავნიდნენ მაშინ, როდესაც ვინმე გარდაიცვლებოდა. სოფლის უხუცესთან მისვლისთანავე ის ავიდოდა მაღლა ბანზე და ხმამაღლა დაიძახებდა: ამა და ამ სოფელში ეს ამბავი მამხდარაო, გაიგონეთავ, ვისაც არ მაგდისთავ, ერცხვას გააგებთავ. დამნუხრებული ხალხის ნაკადი დაიძრებოდა ჭირისუფალისკენ.

**მაცნეს** აგზავნიდნენ მაშინ, როდესაც სოფელს მტერი დაეცემოდა თავს, საქონელს, ცხენებს მოიტაცებდა, რაც არც თუ იშვიათი შემთხვევა იყო. მაცნე იგზავნებოდა ხმის გასატყვად. ღამე თუ იყო, თოფის ხმაზე ახალგაზრდობა მყისიერად თოფიარალით აღჭურვილები, რომელიც მათ ტახტის საფეხურზე გამზადებული ეკიდათ, წინასწარ დანიშნულ ადგილზე იყრიდა თავს, რათა მტერს დადევნებოდა. მაცნე უფრო ცუდი ამბის დესპანს ნიშნავდა. მახსოვს აბაისძეს (ბესარიონ გაბური) 1944 წელს ღილლოდან დაბრუნებულს ახიელაში ამბავს კითხავდნენ. მან ასე უპასუხა: „ვერ ორ ვაჟებოთ კა ამბის მაცნე, ღილლო აღარ ას, მთავრობას ქისტები შუა აზიაში გადაუსახლებიაო“.

**მეკოპარი (მღევარი)** როგორც იტყოდნენ მაშინვე ბიჯში (კვალში) ჩაუდგებოდა მტერს, რათა მოტაცებული საქონელი

ნაერთმიათ. მიუხედავად დიდი რისკისა თავ-კაცნი მაშინვე წინა რიგებში აღმორჩნდნებოდნენ. ყველა ცდილობდა, წინ გაჭრილიყო და პირველი შეებოდა მტერს. ჩემმა უფროსმა ძმამ, გოგი ქიბიშაურმა, ადრეული ასაკიდან დაიწყო ჯიხვებზე ნადირობა და ყოველთვის ხარის ტყავის მაგარ კოპს (ჯღანის გამოსაბანდი თასმა) ითხოვდა. ერთხელ მამაჩემმა დატუქსა – „ყოველთვის მაგარ კოპეს რომ გაიძახი, მეკოპარში ხომ არ დადიხარო“. იქნებ სიტყვა მეკოპარი, სიტყვა კოპიდან იწარმოება: მზირი – როდესაც სისხლის აღება აუცილებელი იყო, დაზარალებული მალულად შეიპარებოდა მოსისხლის ტერიტორიაზე, გზაზე ჩაუსაფრდებოდა და პირველივე შემხვედრს კლავდა. მთავარი იყო რჯულიანს ურჯულოზე და ურჯულოს რჯულიანებზედ ეძია შური; ამაზეა ნათქვამი:

*„ვაჟი ნადირთკე ნასული, ბევრა შაღვარდა მზირსაო,  
ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულდიდად ზისაო,  
ბევრიც მართვეს ჯალაფთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო“.*

**მზირთან** დაკავშირებით მახსენდება არჩილ ოჩიაურის მონათხრობი, რომელიც ცხრაასიან წლებში მომხდარა. უშიშა ნიკლაური, ახალგაზრდობაში კარგი ვაჟკაცი, როდესაც დაბერდა, მუხლებში ძალა დაეკარგა და თვალის ჩინიც მოაკლდა, ქისტებმა შვილი მოუკლეს. განიცდიდაო მოხუცი თავის უმწეობას. მის მაგივრად ჯირჩლათ ბენინასა და ბაბუტთ ბენინას გადაუნყვეტიათ ღიღლოში სამზირლად წასვლა, სისხლის აღების მიზნით. სამზირლად წამსვლელი ერთზე მეტი თუა ყოველთვის ერთი წინ მიდის და სხვები ჩამორჩენით მიჰყვებიან, რათა ერთდროულად მტრის მზირს არ გადაეყარონ. არხოტის ქალაზე წინ მიმავალი ჯირჩლათ ბენინა ქისტების მზირს შეეფეთა და მოკლეს. უკან მიმავალი ბაბუტთ ბენინა თოფის ხმაზედ გაიქცა და საფრიდან გამოსული ერთი ქისტი მოკლა. მტრებმა ბაბუტთ ბენინაც მოკლეს. ამ ადგილს დღესაც „ბენინა-ბენინათ მონაკლავს ეძახიან“. ამაზეა ნათქვამი გრანჯა ნიკლაურის ლექსი:

*„რას ფიქრობთ, ბერდიშვილებო, ველად გავიდათ ხანია,  
გადაიკრიფნეს ღრუბელნი, დადგა სინმიდის დარია,*

ამზადეთ ტყვია-ნამალი, მავრა გაბანდეთ ჯღანია,  
გადავიარათ ბისნაი, ჩორებს დავავლათ თვალია.  
სუყველა კარგად გავიგათ, ქისტებს სად უდგას ცხვარია,  
ეხლადაც თუ ვერას ვიქამთ, გაგვიცინებენ სხვანია,  
ბისნის წვერ ქვიშის ლოგინი, მეორ-მესამედ ვთხარია.  
სამ დღე ადგილზე დავლიეთ, წყლისა ვერ ვნახეთ ცვარია.  
გვეიმედება წვრილაი, მანგიათ ალვის ტანია.  
თვალს უცემს ნელზე ნარტყამი აბოინაის ჯარია,  
ჩორების ჩრდილში ჩავედით, წუხრა ბნელობის ხანია,  
ნუმც გაუზდიორ დედასა, თუ შეგარჩინოთ ვალია,  
ჭიჩულამ გვითხრა, დახკარით, არ დაგვედების ბრალია.  
ჯერ არ ას გათენებული, აქუხდეს ბერდენკანია.  
თავის ფარების კარზედა ორ ქისტ გავწირეთ მკვდარია,  
აიქისაკე გავსწიეთ, საცა თოვლიან მთანია,  
გამაგვიდგების მდევარი, ველარ მაწელეს კვალაია!”

მერე იყო:

„ბაბუტამა და გიგიმა გ ზა დაისწავლეს მთისასა,  
შახალ ჩაუხხდეს ჩდილშია, ძალს ახსენებენ ხვთისასა  
თოფს დახკვრენ ქისტის გაზდილსა, ნაპირის სოფლებიასა.”

– გვახსენებს გაბიდაური. იქიდან მათ ცხვარიც მოუტაციათ.  
როგორც ყვებოდნენ 1924 წ. ელამარძას არხოტზე ლაშქრობა ამ  
ნიადაგზე მომხდარა.

## თოფის წამალი

ახიელაში ჩვენი სახლის ბანი სოფლის საფეხვნო ადგილი იყო,  
რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე. თავისუფალ დროს აქ თავს  
იყრიდა სოფლის უფროს-უმცროსობა. ერთობოდნენ, მსჯელობ-  
დნენ სოფლის საერთო საქმეებზე, ვინ ქალბანს ასხამდა და ვინ  
ჯღანს (ბანდულს) ბანდავდა. უფროსები კი ძველ, გარდასულ  
დღეთა ამბებს მოგვითხრობდნენ. მე, როგორც პატარაობიდანვე

ძველი ამბების ტრფიალი, მათ გვერდით ვტრიალებდი და ვუსმენდი. დამამახსოვრდა პატარა ეპიზოდი ქართული (ტალიანი) თოფის წამლის მიღების შესახებ, რომელიც მათივე თქმით წინაპრებისაგან ჰქონდათ გაგონილი.

ზამთარში, დიდთოვლობისას, ცხვარი სამი-ოთხი თვე დღე და ღამე ჩაკეტილი იყო დაბალჭერიან საცხვრეში, ხოლო გაზაფხულიდან დაზამთრებამდე იალალებზე იყო. ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ შეუნიშნავს ზაფხულში, საზამთრო ბაკებში, ცხვრის ფეხით გატყევილ რიგ უბნებში თეთრი ფერის ნივთიერების წარმონაქმნები. უხუცესთა გადმოცემით, საცხვრეში წარმოქმნილი ნივთიერებისა და არყის ხის ნახარშისგან ერთიმეორესთან შერევით ლეზულობდნენ ჩვენი წინაპრები ქართული თოფის წამალსო, რომელიც მეციხოვნეებს საფოთურთან ბაკნებით ედგათო:

*„ბაკნებით ედგათ წამალი, ძლებოდნენ თოფის ჯლითაო“.*

როგორ იღებდნენ ამ ნივთიერებას სუფთა სახით, როგორ და რა დოზით ხდებოდა მისი შერევე ნახარშთან, ფლობდნენ თუ არა კიდეც სხვა რაიმე მასტიმულირებელ რეაქტივს, ამაზე ისინიც დუმდნენ. ძველმა ხევსურულმა პოეზიამ კი ძალზე მწირი ცნობები შემოგვინახა:

*„თოფმა თქვა, ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დუღილი,  
მაისის ბერში გამნაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი,  
მემრ ნახას ჩემმა პატრონმა, ჩემი დაცრილის წუხილი“.*

## **მონადირის არგანი, მათარა და წრიაპი**

განთქმულ მონადირე არჩილ ოჩიაურისაგან გამიგონია, ძველად არგანი, მათარა და წრიაპი მონადირისათვის აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა. განსაკუთრებით ზამთარში საიმედო არგანისა და წრიაპის გარეშე სანადიროდ არავინ წავიდოდა. არგანი ძირითადად ურძნისაგან მზადდებოდა. ურძენი მთებში არც თუ ისე გავრცელებული მცენარეა (მას ბიოლოგები უზანს ეძახიან),

მისი არგანი სათანადოდ დრეკადი და მედეგია. ზევითა მხარეზე, დაბალზე მოჭერილ კაპს უტოვებდნენ თოფის ლულის ჩამოსაყრდნობლად. ბოლოში არგანს წამახვილებულ რკინის ზროს შამო-აცვამდნენ, როგორც კლდეში საიმედო საყრდენს.

ურძენი, სხვა მცენარეებისაგან განსხვავებით, სქელი, კორპისებრ რბილი ქერქითაა დაფარული, რომელიც სითბოსაც ინარჩუნებს. იტყოდნენ, ურძნის პატარა ჯოხსაც კი ოჯახში სიკეთე შემოაქვსო. ალბათ ამიტომ იყო, რომ აკვანზე ხანჯართან ერთად მის პატარა ტოტსაც კიდებდნენ. მახსენდება პატარა ეპიზოდი ზრო წამოცმული ურძნის ჯოხის სიკეთისა, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა. არხოტის თემში მხოლოდ მე მქონდა „ცენტრალა“, რომლითაც იხვზე, კაკაბზე და სხვა ფრინველებზე ვნადირობდი. ვიქნებოდი ათი წლის, როდესაც ამლის პირდაპირ ზეთუეის მთაზე წავედი შურთხებზე სანადიროდ. ადრე გაზაფხულზე თოვლი მაგრდება და მონადირეს წრიაპის გარეშე ფეხის მოკიდება უჭირს. უკიდურესად დამრეც ფერდობზე გაკრიალებულ, ყინულად ქცეულ თოვლზე გადავდიოდი, მოულოდნელად დავეცი და მთელი სისწრაფით დავცურდი ყინულად ქცეულ თოვლზე. დაფეთებულმა ზროწამოცმული ურძნის არგანი მთელი ძალით ჩავარჩვე და თავიც შევიმაგრე. შიში არ მიგრძენია, მაგრამ როდესაც გავიაზრე მოსალოდნელი საფრთხე, რომ ათ მეტრში სასიკვდილო კლდოვანი ქარაფი მელოდებოდა, შიშმა ამიტანა.

მათარას ქამარზე დაკიდებულს ატარებდნენ. მის გარეშე მონადირე საღ კლდეებში ნაჟურ წყალს ვერ დაღვედა, რომელიც ნვეთობით, უკეთეს შემთხვევაში არაყივით მონკრიალებდა და წყურვილის დაოკებას ზოგჯერ საათებიც კი სჭირდებოდა.

მეგობრებმა იცოდნენ, რომ მე ყველა ძველებურ იმ ნივთს ვაგროვებდი, რომელიც ხვესურეთის დაცარიელებასთან ერთად თავის ფუნქციასაც კარგავდა.

ერთხელ ჩემთვის უცნაური, დიდი ჩაზნექილი ფორმის წრიაპი მაჩუქეს, რომელზეც ჯღანნიანი ფეხი თავისუფლად ჯდებოდა და რომელიც არხოტულ წრიაპს არ გავდა. მანამდე არხოტში ნანახი მქონდა შედარებით პატარა, მსუბუქი, ფეხის სწორი საბ-

ჯენი და არა ჩაზნექილი წრიაპი. არჩილმა რომ ნახა, წამოიძახა – „ეს ხომ მთასიქითურია (შატილის თემი), სად იშოვეო? ამნაირ წრიაპს ისინი იყენებდნენო. დღეს „მთასიქითურა“, მათარა და მონადირის ურძნის არგანი, თითქოსდა ყავლ-გასულნი, თავის დროზე კი ფრიად საჭირონი, ჩემთან ინახება.

## ახდენილი სიზმარი

მამაჩემი, ბაბუა ქიბიშაური, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. მისი თქმით, ის იქ დაღუპვას ჩვენი სალოცავების ძალითა და მადლით გადაარჩა. მაშინ, როდესაც არხოტელი ახალგაზრდობის უმეტესობა ფრონტზე დაიღუპა. დავლათი დამყვა, თორემ მე იქ ვერ გადავრჩებოდიო – იტყოდა. ერთხელ ზღვაზე ჩვენი გემი გაჩერდა, ცხელა და ბიჭები ჩვეულებრივ ჩახტნენ გემიდან, განვინენ წყალზე და ლივლივებენ გაუნძრევლად. მანამდე არც ზღვა მენახა და არც ცურვა ვიცოდი. ვიფიქრე, ასე ხომ მეც გავაკეთებო და ჩავხტი ზღვაში. რომ ვიძირებოდი, ის კი მახსოვს, ზევით ზღვის წყალი ძალიან ნათელი იყო. ვიღუპები – გავიფიქრე თუ არა, დამწვდნენ და ამომიყვანეს.

ერთ დღეს, მიყვება მამა, გამოგვიცხადეს, თქვენი რაზმი ხვალ ბრძოლაში უნდა ჩაებასო. ფრონტის წინა ხაზზე ვართ და გაგვიხარდა, მტერთან ბრძოლის ჟამი დგებოდა, თავს ვისახლებდით, ჯვარ-მედლებს დავიკიდებდით, რაც იმ დროს დიდად ფასობდაო, ღამე დავიძინე თუ არა, მაშინვე სიზმარი ვნახე, ვითომ ჩვენს ჯვარში, სამებაში, ვიყავი. მამას კურეტი მოეყვანა და ჩემს სამეშვლოდ კლავდა. კარგად მახსოვს, ხუცესს ხუცობისას ხანჯრის წვერი კურეტის ქედზე დაედო, გამეღვიძა და კარგა ხანს აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა. ფეხები აღარ მემორჩილებოდა, მოძრაობის უნარი დამკარგვოდა, დამეხვია მთელი მედპერსონალი, სადღა არ გადავყავდი, რაღას არ მიკეთებდნენ, მაგრამ ვერაფერი მიშველეს. ბოლოს გადაწყდა, სახლში უნდა დამაბრუნონ. მე ეს არ მინდოდა. ფრონტზე მიმინევდა გული. მომცეს

ოქროს არშიაშემოვლებული რალაც ქალაღდი და გამარფროთხილეს, არ დამეკარგა. მოიყვანეს ცხენებშემბმული „პრალიოტკა“ და გამომისტუმრეს უახლოეს ფოსტამდე. ჩემი თანამგზავრი უკან გაბრუნდა და მე დამტოვა. არ ვიცი, რა ეწერა ჩემს ქალაღდში, მაგრამ მე უზრუნველყოფილი ვიყავი ყველაფრით. ერთი ფოსტიდან გადავყავდი მეორე ფოსტამდე და ამნაირად ჩამოვალნიე საქართველოში. მამაჩემმა ბიძაშვილებს მოუყარა თავი ჩვენი სალოცავის – სამების კარზე. კურეტი რომ მოიყვანეს და ხუცესიც გამოჩნდა, მაშინ გამახსენდა ფრონტზე ნანახი სიზმარი. ხუცესს ხუცობისას ისე დაედო კურეტის ქედზე ხანჯრის წვერი, როგორც ეს სიზმარში მქონდა ნანახი. რამდენიმე კვირის შემდეგ ფეხზე დავდექი და მოძრაობაც ჩვეულებრივად აღმიდგა.

## ტანიე

ტანიე არხოტივნების საბოსლო ადგილია. ბალახი უხვადაა და ზამთარში უმრავლესობა იქ კვებავდა საქონელს (რამდენიმე ზამთარი მეც იქ მაქვს გატარებული ბავშვობისას). გიგი წიკლაურის გადმოცემით, ძველად თურმე ტანიეს ერთი-მეორეს ეცილებოდნენ: ქისტები, პირაქეთა ხევსურები და არხოტივნები. ბოლოს მაინც არხოტივნები დაეპატრონენ. არჩილი მიყვებოდა, მის დროს ამ ამბავთან დაკავშირებით ორი ხევსური გადმოსულა ტანიეში სალაპარაკოდ, მაგრამ ბაბუტას განაწყენებულები უკან გაუბრუნებია. ზამთარში მებოსლეები ერთობოდნენ თავისებურად, ვინ ჯამ-ქიტურას ხვენდა და ვინ ქიტ-სახინკლეს. მე-ლექსეობდნენ კიდევ.

*„ტანიეს მებოსლეებსა, გამოგვივარდა ბოძია,  
მხარ მისცა ხუტუნისვილმა, საკვირველია ზოგია“.*

ერთხელ ცნობილმა მონადირემ, არჩილ ოჩიაურმა, „წითელში“ (ტანიის უახლოესი სანადირო) ჯიხვი მოინადირა და გიგი წიკლაური დაპატიჟა, თან დააყოლა, ხბოს ხორცზე დაგპატიჟეო. მწვადს წვავდნენ, არაყს აყოლებდნენ. გიგის ჩუმად ელიმებოდა.

მისი მოტყუება ძნელი იყო, ვინაიდან თვითონაც კარგი მონადირე იყო და კარგად უნყოდა ჯიხვის ხორცის თავისებურებანი. არჩილმა ეს შეამჩნია და შეუძღერა:

*„მეზობელო გულისაო რამ-რა გაგაგულისაო,  
– ჯიჴე მახკალი, არ მაჭმე, იმან გამაგულისაო,  
– გაჭმე და ვერ გაგაძლი, გიგივ უფრის სულისაო.“*

გიგის ძმა ბერდია დიდად პატივცემული მასპინძელი კაცი იყო. მან კარგად იცოდა თოფის გამართვა (ნიშანში გასწორება), მაგრამ მილიცია ამასაც კრძალავდა. მას ბევრი ლაპარაკი უყვარდა და ზოგიერთები, ვისაც თოფი ჩუმად ჰქონდათ, არ უმხელდნენ, მილიციაში არ ჩამიშვასო. გოგი ქიბიშაურს ტანზე დასჭირდა თოფის გამართვა და ბერდიას ბიძაშვილმა, ბაბუტამ ურჩია: მიდი ბერდიასთან, გაანდე რომ თოფი გაქვს და იგი არავითარ შემთხვევაში არ გაგცემსო. მართლაც, ბერდიამ გაუმართა თოფი და შიშიც უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ტანზე ზამთრობით ახმაურდებოდა, ამღვლებიდან იქ სახლები ჰქონდათ: ჴიჩლათ გიგის, ჴოლიკაურთ თათარას, ახვათ იმედას და სხვა. ახიელიდან კი გარსია ოჩიაურს. ჴიმლიონთ ტანზე მილი არ ედოთ.

გიგის სახლს გვერდზე „ჯერელის წყალი“ ჩამოუდის, რომელიც საჯიხვე „ისართ ღელეს“ კუდებში იღებს სათავეს. ახლა იქ ქართველი მესაზღვრეები დგანან. მათი თქმით „ჯერელის წყალში“ „სნარიადი“ ჩარჭობილი, რომელიც წყლის ზედაპირზე ნახევარი მეტრის სიმაღლეზეა ამოშვერილი.

1993 წლიდან რუსეთის ღამის ხედვის სამხედრო ვერტიკალური ღილაკიდან ღამით შემოიჭრებოდნენ არხოტის სანახებში. მათ ახიელაში ჴარათ ციხესაც ესროლეს ორი „სნარიადი“. როგორც ჩანს ტანიის ნასახლარები ფორპოსტად მიიჩნია მტერმა და ამიტომ დაბომბა.

გოგი ქიბიშაური იმ ძველ მონადირეთა წარმომადგენელი იყო, ვინც 1953 წელს არხოტი დატოვა და კახეთში ჩასახლდა. ცნობილმა მთქმელმა ივანე ნიკლაურმა ვრცელი ლექსი მიუძღვნა ამ ამბავს.

ივანემ გოგის ხევსურულ ფორმაში გადაღებული თავისი სურათი უძღვნა, სადაც ასეთი მინანური:

*„ეს იყოს ჩვენი ანდერძი, არ დაგვაგინყდან მთანია,  
ქალი ჯიხვების პატრონი, მისი გაშლილი თმანია,  
თქვეს, რომ დამრავლდეს ჯიხვები, არ ითვლებიან რქანია,  
მედ შენ ვერ მიოლთ იმ დროსა, დრო ნაგვივიდა ხანია“.*

არხილოსკალოში ჩასახლებულ ივანეს პირველ ხანებშივე ლექსი დაუნერია: „შირაქში ჩამოგვასახლეს, ტრაქტორით მოგვიხნავენო...“ ეს ლექსი ძველ მოლექსეს გასპარას ჩავარდნია ხელში, ნაუკითხავს და დაუყოლებია: „თუ კარგად არ იმუშავებ დედასაც მო...“. ამაზე ივანესაც პასუხი გაუცია. ქეიფში გაუცნიათ ერთმანეთი და ივანე ნანობდა, ასეთი კარგი მოხუცისთვის არ უნდა მეპასუხაო.

## თათხელიონი

როგორც ცნობილია, ხევსურეთს ბატონ-ყმობა არ განუცდია. თვით ზვიად ზურაბ ერისთავსაც კი ვერ დაუმორჩილებია.

*„ხევსურეთია, ბატონო, ვერ იქამ ერისთავობასა,  
გავინვრილდება კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა“.*

თუმცა თვითხევსურეთში ჩნდებოდნენ გაამაყებული პიროვნებანი, ვინც სხვისი ადგილ-მამულის მიტაცებას ცდილობდა. თუ როგორ მთავრდებოდა ასეთი შემთხვევები, მრავლად შემოგვინახა ხევსურულმა პოეზიამ. ერთ ასეთ თავნება კაცს არხოტშიც უცხოვრია. სოფელ ახიელასა და ამლას შორის, არაგვის მარცხენა მხარეს, პატარა ხეობაა, რომელსაც თათხელის რუჟს ვეძახით. მის ფერდობზე ჩვენ შეშას ვამზადებდით და ლახვრებით დაბლა ვაგორებდით. ხევის ზევითა მხარეს ნაკადულების სიმრავლის გამო „ფშანთ“ ვეძახით, სადაც წვრილ ნადირზე (შუნი, ფსიტი) ვნადირობდით. თათხელის რუჟის ბოლოს, უხსოვარ დროს, უცხოვრია თათხელიონს. ისე გაამაყებულა, რომ ახიელისა და ამლის მცხოვრებლებს „ბაჟის“ გარეშე გზაზე აღარ ატარებდა. გზა კი მისი

სახლის ბოლოზე გადიოდა. ერთი მოხუცი კაცისთვის უთქვამთ: შენ მოხუცი ხარ და ბაჟს არ გადაგახნევენებსო. თათხელიონს მოხუცი უცემია და უკან გაუბრუნებია. ამის შემდეგ გადაუწყვეტიათ მისი მოკვლა. ჩუმად უთვალთვალეს და როდესაც იგი საპირდაპიროში ტყეში გასულა შეშის დასამზადებლად, რამდენიმე ახალგაზრდა ხმლებით შეიარაღებული მის მოსაკლავად წასულა. თათხელიონს დაუნახავს შეიარაღებული ახალგაზრდები, გამოქცეულა შინისაკენ და ცოლისთვის დაუძახია – „იარაღნი ჩამომაგებეთო“. ახალგაზრდებს გზა მოუჭრიათ და წყალში ჩაუქცევიათ. ასე დასრულებულა არხოტში გაამაყებული კაცის სიცოცხლე.

## ნეთხიჩოელი

1953 წელს ჩვენი ოჯახი არხოტიდან კახეთში სოფელ ასხაბარში გადასახლდა. ერთი წლის შემდეგ კი გეგმის მიხედვით წინასწარ აშენებულ სტანდარტულ სახლებში ბიძაშვილებთან ერთად წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში (უზუნდარა) ჩასახლდა. იქ ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა წარმოსადეგი, ჭარმაგი კაცი – კოჭლთ ხვთისო.

ახალი ჩასული ვარ სოფელში. ხვთისომ ხელი გაიშვირა და მკითხა – ამ კაცს თუ იცნობო? – თან დააყოლა – „ეხ, რაა სიბერეო“. მოხუცი კაცი, ოდნავ მხრებში მოხრილი, დიდი სათვალეებით, წელი მოზომილი ნაბიჯით ჩვენსკენ მოდიოდა. დავითთ გიორგი, რომელსაც ნეთხიჩოელადაც მოიხსენიებდნენ, დედაჩემის ახლო ბიძაშვილი იყო. ვაჟკაცური წარსულის მქონე მოხუცებთან ურთიერთობა მიყვარდა, როგორებიც იყვნენ: გაჯალათ გიორგი და ნეთხიჩოელი. ხვთისოს თქმით ჭირ-ლხინში რომ გამოჩნდებოდა, ხმა გავრცელდებოდა – ნეთხიჩოელი მოვიდა, ნეთხიჩოელიო. სტუდენტობის პერიოდში სოფელში ჩასვლისას მას ყოველთვის ვხვდებოდი. ქეიფის დროს იხსენებდა გარდასულ ამბებს. მახსოვს ხშირად წარმოთქვამდა სახალისო სტრიქონებს:

*„ძუნძულთაი გიგიაი, სოსოსა ჰგავ წვერ-გძელასა,  
მოუყვანავ ქაჯიაი, ასერ-ასერ-ასერათა”* – და ლანდებში გადა-  
ავარდნილი ბებრულად ჩაიციინებდა. ის დიდი პატივით სარგე-  
ბლობდა, როგორც უტყუარი და სანდო, ხევსურთა რჯულის კა-  
ცთა მუდმივი ნევრი ყოფილა.

იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. მიყვებოდა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, ცეკას პლენუმზე, ხევსურული ფორმით როგორ გამოიყვანეს სიტყვით, როგორც ხევსურეთის წარმომადგენელი. ეამაყებოდა, რომ პირველად მან დასვა საკითხი ხევსურეთში გზის აუცილებლობის შესახებ, რომლის შემდეგაც დაიწყო ბარისახოს გზის მშენებლობა. მაცნობდა პლენუმის მონაწილეთა შორის გადაღებულ ფოტოებს, მიყვებოდა – ხელისუფლება თავის დამქაშებს როგორ აგზავნიდა კახეთში, ხევსურთა სოფლებში უკმაყოფილო ხალხის გადმოსაბირებლად. ვისაც ვერ „მთარჯულებდნენ”, ისინი იცხრილებოდნენო. ასე დაემართა სწორუპოვარ, უმამაცეს ვაჟკაცს გიგია ნაროზაულს, რომელსაც, როგორც იტყოდნენ, ჩხუბის დროს კოჭლთ ხეთისოს მეტი ვერავინ აკავებდაო. იგი ხევსურისავე დასმენით, კახეთში, ალავერდობაზე ცეკვის დროს ლალატით მოკლეს უშიშროების აგენტებმა. დასანანია, რომ მაშინ კარგად არ მესმოდა მისი მონათხრობის მნიშვნელობა. მას ჰყავდა ორი ქალიშვილი: მარიამი და მზექალი. როგორც იტყოდნენ მზეთუნახავები. მარიამი მე უკვე ხანშიშესული გავიცანი, რომელსაც დაჰკარგვოდა უწინდელი ემხი. გავიდა ათეული წლები და ხელში ჩამივარდა გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსი, მიძღვნილი მარიამისადმი და გამახსენდა დების საარაკო სილამაზეზე რომ მიყვებოდნენ წარსულში.

აი, ეს ლექსი:

### **ნუთუ შენა ხარ?**

*მარიამ ნაროზაულს*

*„დამქოლეთ... დამწვით... ნუთუ შენა ხარ,  
ამას რას ვხედავ, კახეთს მოსული,  
დრომ შენი სახეც ნუთუ შელახა,  
ო, შენი სახე ანგელოსური.*

*ნუთუ ცხრა წელი გრძელი ჟამია,  
დააჭკნოს ვარდი, გასთელოს ია,  
განა ეს ქალი... რას ვხედავ ამას,  
ის მაშინდელი ანგელოსია?!  
ნუთუ ეს შენ ხარ?! გავშრი... გავხვედი  
მზევ გუშინდელი... დილის მაყარო  
დამქოლეთ, დამწვით, ამას რას ვხედავ,  
ო, სანუთროო... ჟამო მზაკვარო.*

30.01.1950 წ.

მარიამი დანიშნული ყოფილა რჩეულ ხევსურ ვაჟზე, რომელსაც მარიამისთვის უჩუქებია ე. წ. „გველისთავიანი“ სათითვე (ბეჭედი). მარიამის რჩეული დაღუპულა, მარიამი კი მას შემდეგ ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა. სიყვარულის სიმბოლო ბეჭედი კი კუბოს კარამდე უტარებია.

### **ქაქალთ ბენიკა**

ჭიმლა არხოტის განაპირა სოფელია, რომელსაც პირდაპირ ფარავით დაყუდებული ულამაზესი ე. წ. ჭიმლის კლდე ამშვენებს. ხევსურეთში ერთადერთი სოფელია, რომელიც ზამთრობით მზებუდობისას ერთი თვე მზის სხივებს მოკლებულია. ამ დროს მზე სამხრეთით უკიდურესად გადახრილია და იწყება ზამთრის ხანმოკლე დღეები; ხოლო მნათობი ცირცლოვანის მხრიდან ჭიმლის კლდის ფერცხალ ამოეფარება და სოფელს დროებით „გაებუტება“. ამიტომ აქ ზამთარი შედარებით მკაცრია. ამასთან დაკავშირებით ჭიმლელები მრავალგზის გააღექსეს:

*„მაგათ საშემოზამთრისა შეღმათ ჩრდილია ტყიანი,  
რაჭელ გინდ იყოს ზამთარი ეგრ ნავლენ როგორც ტყვიანი...“*

აქ ცხოვრობდა უბადლო ვაჟკაცი ბენიკა გიგაური, რომელსაც დედის სახელით მოიხსენიებდნენ (ქაქალთ ბენიკა), ალბათ

იმიტომ, რომ მამა ბავშვობისას დაღუპვია და დედას უმამოდ გაუზრდია. ომის წლებში ბენიკა გიგაური, ამლიდან აბიკათ ქორძო (ნიკლაური), ახიელიდან იმედათ ქორძო (ნაროზაული), ანიკო ოჩიაური და ჩემი ძმა გოგი ქიბიშაური, ერთი მეორის მიბაძვით ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხნენ. ვინაიდან ნოემბრიდან კავკასიონზე არხოტის გადასასვლელი თოვლით იკეტებოდა და პატარები ექვსი-შვიდი თვე ოჯახს იყვნენ მოწყვეტილი, ამიტომ ბარისახოში შედარებით მოზრდილ, თორმეტი-თხუთმეტი წლის ბავშვებს აგზავნიდნენ, რომელთაც დანყებითი განათლება ადგილზე სამი-ოთხი წლის წინ ჰქონდათ მიღებული. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიჭებს გოგონებისკენ გაურბის თვალი. არ ვიცი ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, თითქმის ყველამ ოქტომბერში მიატოვა სასწავლებელი და სახლებში დაბრუნდნენ. მხოლოდ ქორძო ნაროზაულმა და ანიკო ოჩიაურმა გააგრძელეს სწავლა და არხოტიდან პირველებმა დაამთავრეს ბარისახოს საშუალო სასწავლებელი. მახსოვს გოგის დაბრუნებისას დედა გაეხუმრა – ჩვენ უფრო ადრე გელოდითო. მერე მეც მომინია თოთხმეტი წლის ასაკში ბარისახოს სკოლა-ინტერნატში სწავლის გაგრძელება და ვიგრძენი, რომ არც ისე ადვილი ყოფილა ხევსური ბავშვისთვის სოფლის მიტოვება. როგორც იტყვიან, სწავლას მოწყურებული ვიყავი, მაგრამ არც არხოტის ახალუხალი და სწორფრობა მავინყდებოდა. აი, ამ გაორებულ მდგომარეობაში მყოფს ინტერნატში ქაქალთ ბენიკამ მინახულა (იგი ჩემს ძმასთან მეგობრობდა და მეც კარგად ვიცნობდი). ბევრი ლაპარაკის შემდეგ გამაფრთხილა: ვიცი ხევსურულ წოლა-დგომას ახლა იწყებო და სწორფერიც გეყოლებო, მაგრამ ამან სწავლაზე ხელი არ აგაღებინოსო და განაგრძო – მეც შენი ხნისა ვიქნებოდი ბარისახოში სწავლა რომ დავინწყე, მაგრამ იმ დროს უზომოდ მიყვარდა თოთიათ ქალი (ბერდედა ოჩიაური), რომელზედაც დანიშნული ვიყავი. მისდამი სიყვარულმა მიმატოვებინა სკოლა და სახლში, უკან დამაბრუნა. ეს რომ არა, იქნებ ავცდენოდი იმ აუხსნელ ტრაგედიას, რომელიც ცხოვრებამ მარგუნაო (ბერდედა ოჩიაური იმ დროს არხოტში სწორუპოვარი სილამაზისა ყოფილა, რომელთ-

ანაც ათენგენობაზე ქალაქიდან ამოსული სტუმრები ყველა მასთან იღებდა სურათებსო, მომისმენია).

1944 წელს ქისტების გასახლებასთან დაკავშირებით (რომელიც სხვაგანაც მაქვს აღნიშნული), მდინარე ასას ორივე მხარეზე გაჩნდა დაცარიელებული სოფლები: გომტიკაურთა, არიები, ისმაილათა, ტარგამე, ჯართა, ლეიმე და სხვა, სადაც ნოყიერი ნიადაგი და თბილი კლიმატი ცხოვრებისათვის იდეალურ პირობებს ქმნიდა, ამიტომ ეს სოფლები არხოტიდან ჩასახლებულმა ხევსურებმა დაიკავეს. თოთია ოჩიაურის ქვრივი ნანუკა ნიკლაური ლეიმეს დასახლდა. პირველ ხანებში ხალხი ახალმოსახლეობას ზეიმობდა. ნანუკასთანაც ქეიფია. სასიძო ქაქალთ ბენიკაც დაპატიჟეს. მცირე, მოჩვენებითი უარის შემდეგ ისიც მოქეიფე ცოლეულებს შეუერთდა. ოთახში მხოლოდ ნაბახუსარი ხალხის ყაყანი ისმისო, მიყვებოდა იგი. ამ აღიაქოთში ჩემი და ბერდედას იღუმალი მზერა რამდენჯერმე შეხვდა ერთიმეორეს და მაშინვე თვალებს მარიდებდაო. ბოლოს მზერა აღარ ამარიდა, როგორც იტყვიან თვალი თვალში გამიყარა, დამაშტერდა და იჭექა თოფმაცო. მე ჩემი თვალით დავინახე ჩემი ერთადერთი გულისსნორი გულსუნადინოდ როგორ ჩაიკეცაო (როგორც გაირკვა ბერდედას წინასწარ გაუმზადებია დატენილი თოფი, შეუმჩნევლად გაუხდია ფეხზე და...).

ამის შემდეგ ჩემთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა, სწავლა რომ გამეგრძელებინა და სიყვარულს არ დავმორჩილებოდი, იქნებ ეს ტრაგედია ამცდენოდაო, სინანულით იტყოდა.

მერე მომდიოდა ამბავი მის უცნაურ ქცევებზე. ბოლოს ისე აგრესიული გამხდარა, რომ ფსიქიატრებს ოჯახისთვის განურიდებიათ და ბედიანაში გადაუყვანიათ. მე იქ ვინახულე. ბევრი ვილაპარაკეთ. წარსულიც გავიხსენეთ. მისთვის გაორება, აგრესიულობა არ შემიმჩნევია. მერე მითხრეს, მომენტებში მდგომარეობიდან გამოდიოდაო. აცხონოს ღმერთმა.

## მონადირული

გამოცდილება თუ გამოცდილების გაზიარება ყველა მონადირისათვის დიდი მარაგია, მაგრამ ისე არავის სჭირდება ეს, როგორც ჯიხვებზე მონადირეს. მე ჯიხვებზე ნადირობის სურვილი არასოდეს გამჩენია, თუმცა ბევრი რამ მქონდა გაგონილი გოგი ქიბიშაურისაგან, როდესაც იგი დამწყებ მონადირე ბიჭებს მოძღვრავდა. ვიცოდი, ნადირს ქარის სანინაალმდეგო მხრიდან უნდა შემოუარო, რომ – „ნიავი არ გიკრას“, რომ მონადირემ, მონადირული წესით ღამე განათევ ეხში ერთხელ დასანთები შემა მაინც უნდა დატოვოს, რომ გოგი და მაისტელ ნიკლაური დანატოვარმა შეშამ როგორ იხსნა ზამთარში ტერლის ეხში ღამე სტუმრობისას. რომ რიგ შემთხვევაში თოფვისას დაფეთებული ჯიხვთა ხორონი შეიძლება ისეთ ჩიხში აღმოჩნდეს, რომ მენადირეს ოთხი-ექვსი სულის მოკვლაც კი შეეძლოს, მაგრამ გამოცდილი მონადირე კლავდა მხოლოდ იმდენს, რამდენი ხორცის ნამოდებასაც კი შეეძლება, დამწყები მონადირეების ჩაგონება კი აუცილებელი იყო, რომ მსგავს სიტუაციებში ე. წ. „აზარტს“ არ აჰყოლოდნენ. გამოცდილი მონადირენი, ერთად თოფვისას ერთიმეორეს მიანიშნებდნენ, რომელს რომელი ჯიხვი უნდა ამოელო მიზანში, რაც მე და გოგი ნიკლაურმა ვერ გამოვიყენეთ.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში არხოტში შევხვდი გოგი ნიკლაურს და მის ბიძაშვილს ხვთისო ნიკლაურს. ამაში დავით ჭოლიკაურთან ნაქეიფების შემდეგ შეიარაღებულები თევზაობით ჩავუყევით არხოტის ქალას. გავცდით ქავის კარსა თუ ტანიის კარს და ტახეს ეხში დავიდეთ ბინა. კალმახებით წავიხემსეთ და ცეცხლს მივეფიცხეთ. მეორე დილით დავითი უკან გაბრუნდა, რადგან რიგით საბეკურის ჯვარში მას უნდა საათენგენოდ ლუდი ედულა. ჩვენ კი ჩავედით ამჟორიტეში, რომელიც თავის დროზე საბოსლოს წარმოადგენდა, სადაც ზამთრობით საქონელს ვკვებავდით. მახსენდება ერთი ეპიზოდი; ზამთარია დიდთოვლობაა. ამჟორიტეში ვართ მე, მამაჩემი, არჩილ და ჩუა ოჩიაურები.

არჩილს გაახსენდა, რომ ომის დროს ჯარის ნაწილებს საბრძოლო იარაღი და ტყვია-ნამალი არხოტიდან ღილღოში გადაჰქონდათ. ჯარის ნაწილებს ის მეგზურობდა. ამჟორიტესთან აკიდებული ცხენი ადიდებულ მდინარეში ნაქცევიათ და ტყვიებით სავსე ორი ყუთი მდინარეში შთანთქმულა.

მთებში, არც თუ იშვიათად, დიდთოვლობისას ზვაგი მდინარეს დროებით ჩახერგავს და ნაკადს წყვეტს, რომელსაც „წყლის დაშრობას“ ეძახიან. დილით მოულოდნელად არაგვის შხუილი შეწყდა, რომელიც ამჟორიტეს გვერდზე ჩაედინება. მიხვდნენ ყველაფერს და სამივენი გაეშურნენ იმ ადგილისაკენ, სადაც არჩილს ტყვია-ნამლით სავსე ყუთები ეგულებოდა. ვიდრე არხოტის წყალი თოვლის ხერგილს გაარღვევდა, მამაჩემმა დაგუბებული წყლის მორევიდან დაუზიანებელი ორივე ყუთი გამოათრია. წარმატებული ოპერაცია აღინიშნა, ხოლო ტყვიებით სავსე ყუთები, როგორც მონადირეს, არჩილს დაუთმეს.

ამჟორიტეს სიახლოვეს არის წყარო, რომელსაც დღესაც „დედოფლის წყაროდ“ მოიხსენიებენ. გადმოცემით, თამარ მეფე ღილღოსკე მგზავრობისას ამ წყაროსთან შეჩერებულა და უთქვამს, ეს წყალი საამო და მსუბუქიაო. ამასთან დაკავშირებით მახსენდება, სოფელ ისმაილთას სამი კომლი ვცხოვრობდით და ვსარგებლობდით პატარა ჭის წყლით, რომელიც არასოდეს იცლებოდა, ეს წყალი სულმოუთქმელად ერთი ლიტრაც რომ დაგელიათ, ფიზიკურად ვერაფერს იგრძნობდით. უხუცესი მეზობელი ჩაჩაურთ გიგია (ნიკლაური), რომელიც სხვაგანაც მოვიხსენიე, როგორც „ყაჩაღი ქისტების“ ჩუმი დამპურებელი, იტყოდა: ქისტები ჩვენი ჭის წყალს მსუბუქ წყალს ეძახიანო.

ჩვენ კი თევზაობის შემდეგ ტერლისა და ბისნის სანახებს დურბინდით ვზვერავდით. ე. ნ. „დათვის ხვრელას“ ორნოხებში ჯიხვები შევნიშნეთ. მეორე დილით შაშხანებით შეიარაღებულები მე და გოგი შევუყევით ტყემლოვანას კლდოვან პლატოს, ხოლო ხვთისო კი ეხში დავტოვეთ. ვიდრე დანიშნულ ადგილამდე მივალწევდით, ას მეტრში შუნების გუნდი შემოგვეფეთა. მყისიერად ნაქცეული ფიჭვი ვიფარეთ და ორივემ ერთდროულად ვესრო-

ლეთ. ერთი შუნი დაგორდა. ვიფიქრეთ მეორეს დავაცილეთ, მაგრამ გაირკვა, რომ ორივეს ერთიდაიმავე შუნისთვის გვისვროლია, რაც ნატყვიარებითაც დადასტურდა. ჩვენ კი როგორც დამწყებ ჯიხვებზე მონადირეებს დაგვაფიქრდა შეგონება, რომ მსგავსი სიტუაციის დროს, შეთანხმებით, სხვადასხვა ობიექტი უნდა ამოგველო მიზანში, რამაც ერთი შუნი დაგვაკარგვინა.

უკან დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ ხიდები წყალს ნაუღია და იძულებით არხოტის ყველაზე მაღალ ტახეს სახვევს ავეკიდეთ. დავძლიეთ აღმართი და დავინწყეთ დაბლა დაშვება. მცირედით დავწინაურდი. მოულოდნელად ხვთისოს დაცურებულმა არგანმა გვერდზე ჩამიარა და ქარაფის თავზე გაჩერდა. მაშინვე მასთან მივირბინე. შეშინებული კლდეს ჩაფრენოდა. იგი ხელისკიდებით ჩამოვიყვანეთ და ურძნის არგანიც დავუბრუნეთ. გაირკვა, რომ უფსკრულში ჩახედვის დროს თვალი შეშინებია, რაც არც თუ იშვიათი შემთხვევაა ჯიხვებზე ნადირობისას და არგანიც ამ დროს გავარდნია ხელიდან. იხსენებდა, კლდეს რომ არ ჩავხუტებოდი, ვერ გადავრჩებოდიო.

ამრიგად, ჩემთვის ეს აღმოჩნდა როგორც ჯიხვებზე ნადირობის დასაწყისი, ისე დასასრული.

## ქარჩათ ქალი

ანდრეზად შემორჩენილია, რომ არხოტში, როდესაც მტერი მძლავრობდა, მაშინ თვით ქალებიც მონაწილეობდნენ ბრძოლაში. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ყოფილა ქარჩათ ქალი.

თათართ ჯურჯას გადმოცემით, ამდღას ურჯულო მოულოდნელად დასხმია თავს და სოფლის ბევრ ახალგაზრდას შეუწირავს თავი. იმ დროს ამლიონი მეხმლე ახალგაზრდობა იმდენად შეთხელებულა, რომ მტერს გამარჯვების შანსი მისცემია. ამ დროს, ხმლით ხელში, მოულოდნელად ვილაც გამოვარდნილა და მომხდურთა რამდენიმე კაცისთვის ელვისებურად თავი გაუგდებინებია. დაბნეულა ურჯულო. ბოლოს, როდესაც უც-

ნობს თავსაბურავი (ჩაჩქანი) გადავარდნია და თმები მხრებზე ჩამოშლია, მაშინ მიმხედარანო ლეკები და უთქვამთ, ქალსაც უხოცივართო. დამარცხებული მტერი უკან გაბრუნებულა.

ამლაში ქარჩათ მამიშვილობა მცირერიცხოვანია. ორ მათგანს კარგ ვაჟკაც ძმებს სტეფანს და ბენინას მეც ვიცნობდი.

აი, მათი ჯიშისა ყოფილა ქარჩათ ქალი, რომლის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა გარდა ერთი სალექსო სტრიქონისა:

*„ნინიდგე ჯიშად მაუდის,  
ომობენ ქარჩათ ქალები“.*

## უქმოზა არხოტში

უქმე დღეებს არხოტში მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რიგი უქმეები გაჩაღებულ მუშაობას, თიბა-მკას ემთხვეოდა. ამ დღეებში მუშაობა არ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახი იზარალებდა და ამას კი ყველა ერიდებოდა.

**მგელთ უქმი**, დიდმარხვის შაბათს შემოდის. მგელმა საქონელი რომ არ დააზიანოს, ქვას ყორეში შეჭედავენ და თან დააყოლებენ: „მგელო, მაგის მეტიმც ნურა მიგაქვს ჩემი სახლიდანო“. დედაჩემი საპარსველის (დუქარდი) პირში ქვას ჩადებდა, თოკს შემოახვევდა და იტყოდა: „მგელო, ასემც გექნებიან ლაშნი შაკრულნი ჩემის საქონლისადავ“. მერე ბიჭონს მოხალვადა (ქერისგან) მგელს პირი დაენვებო.

**თავგჩით უქმს** უქმობდნენ, რომ თავგებს ტანისამოსი არ დაეჭრა ან ყანა არ დაეზიანებინათ. თავგები მყისიერი გამრავლების დროს ყანას მოცელავენ, თავთავს სოროებში იმარაგებენ, რასაც მკის დროს ხშირად ვაწყდებოდით და თავთავთა გროვებს ძნაში ვატანდით.

**ქარის უქმი**. ქარი აგებულ თივებს შლიდა და ზოგჯერ ყანებსაც აწვენდა, როგორც იტყოდნენ ლასტავდა. ქარბორბალა კი, რაც იშვიათი მოვლენა სულაც არ იყო, სახარე თივებსაც (დიდი თივები)

კი შლიდა, ხოლო მოთიბულს ისე ახვეტავდა, რომ იქ მოსაფოცხი აღარაფერი რჩებოდა, ამიტომ ქარის უქმს ყველა უქმობდა.

**ფერისცვალება** ერთ-ერთ მკაცრ უქმედ ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შუა თიბვას ემთხვეოდა. იმ დღეს ყველა უქმობდა.

**მარიამობის** დღეც თიბვის პერიოდს ემთხვეოდა. როგორც იტყოდნენ – ამ დღეს ნიავიც კი არ მოძრაობსო. „მარიამობის დღესაო, ქარი არ შესძრავს ტყესაო“.

**კვირა დღეს** ბავშვს თუ ხელი წამიცდებოდა და დანას ვიხმარდი, დედა მირჩევდა, დანისთვის მეკბინა, რათა ამით პატიება მეთხოვა უფლისათვის.

**კვირის საპატიო დღე.** გიორგი თევდორაძე მოგვითხრობს: ხევსურები ორშაბათს არ მუშაობენ, გარდა უმცირესობისაო, და აგრძელებს: „ერთ უბედურ წელს ხალხი დაიმშა. მოსავალი სეტყვამ გაანადგურა. მიმართეს მეფე ერეკლეს. მან ურჩია: „ხევსურნო, რადგან თქვენში ასეთი უბედურება ხშირად მეორდება, მოდიოთ კვირა დღის საპატიოდ ორშაბათიც იუქმეთ, ეგებ ღმერთმა შეგიწყალოთ და ამ უბედურებას აგაცდინოთ“. ხევსურებმა ერეკლეს დაუჯერეს და ორშაბათიც იუქმეს, რომელსაც „კვირის საპატიო დღე“ დაარქვესო. მაშინ ისეთი შიმშილობა ყოფილა, რომ დამშეულ ხევსურს თავისი ხმალი მიჰქონდა ბედნიერ ხევსურთან და ქერით ქარქაშის გავსებაში ხმალს უტოვებდაო. შემდეგში ამასვე იმეორებს სერგი მაკალათიაც.

ამისი მსგავსი გადმოცემაც კი არ არსებობს ხევსურეთში. ხევსურული პოეზიაც სდუმს ამის შესახებ.

## ბერდიამ გაგა

სოფელ ამლაში ნიკლაურები ცხოვრობდნენ. მათში მამიშვილობით ყველაზე მეტი ბერდიშვილები იყვნენ. მათი ჩამომავლობისა ყოფილა გაგა ბერდიშვილი, რომელსაც ისეთი დავლათი დაჰყოლია, რომ ტყვიაც კი არ ეკარებოდაო. შორს გავარდნილა მისი სახელი და ღილღომდეც მიუღწევია. ქისტებს მისი დავლათის შინებიათ და ცდილობდნენ, ადრევე მოეცილებინათ თავიდან. და აი ერთხელ, გაგა არხოტივნებთან ერთად ღილღოს წასულა. ქისტებს უფიქრიათ, ეხლა კი ველარ გადაგვირჩებაო. იმ გზობაზე მხოლოდ გაგას გაუყოლებია ნაბადი. არხოტივნებს დაბრუნებისას გზაზე ქისტების მზირი ჩასაფრებია და ელოდებიან ნაბდიან კაცს მოსაკლავად, ვიდრე მზირთან მიაღწევდნენ, უნებურად გაგას თანამგზავრ კაცს მოუხურავს მისი ნაბადი. მზირს ნიშანში ამოულიათ ნაბდიანი და მოუკლავთ. გაგა გადარჩენილა, გამოქცეული ქისტები თოფის ხმაზე მომწყდარ ზვავს წაულია და არხოტივნების სიახლოვეს ჩამოუტანია. ზვავი ისეთი პატარა ყოფილა, რომ ზოგს ფეხი უჩანდა და ზოგს თურმე ხელი. არხოტივნებს ქისტების მზირი იქვე ამოუხოციათ. გაგასა და ქისტებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. მას უხოცია ქისტები და ისე შეუწუხებია, რომ:

*„აზნაგეს დედან ატირდნენ, ცრემლით იბანენ პირსაო,  
ეჭუჰ, თქვენ ჩვენო მამანო, ველარ გაჰხვედით ჩრდილსაო,  
ველარ მაჰკალით გაგაი, ჩორეხის ჩრდილში ზისაო,  
ადევით, შეხვევენენით გაგასა ბერდიშვილსაო,  
თავ დაგვანებე გაგაო, დაგვდევე ბეგარი ცხვრისაო“.*

ბოლოს მას ცნობილი ქისტი უნახვავი შემოკვდომია და ამის გამო ქისტებს ლაშქრობა მოუწყვია გაგას წინააღმდეგ:

*„ღილღოს იყრება ლაშქარი, არავინ იცის რა ზედა,  
ადვიან, წამავიდიან გაგაის მუქარა ზედა,  
მამკლავი უნახვაისა აგებ მავჯელათ სკამზედა.  
ან ჯელად წამავიყვანათ, ან თავი მავსჭრათ გზაზედა.  
სანოლთ მაჯელვენ გაგასა, ვეფხვს სძინებოცვა მკლავზედა.“*

*აიმ დროს გამაელვიძა, ჯელებს უკონვენ მწარზედა,  
ვაი, თქვენს გაგას, ძაღლებო, ხანჯარ არ შამრჩა ტანზედა,  
ლილღველს აღვლიჯა ხანჯარი, იმასავ დასცა გულზედა,  
მეორე ქვიტკირს შამახკრა, ტვინი შაასხა ქვაზედა  
ბერდიაობით იძახდა, კიბე ჩამუშვი ხანზედა!”*

მამაჩემის თქმით, სანოლიდან ნამომხტარი ნახევრადშიშველი გაგა, მამამისს ბერდიას, ქისტე ეგონა და მიზანში იღებდა. გაგას ხმის გაგონებისთანავე კიბე ჩამოუშვიათ და მასაც შეუსწრია თავის ციხე-კოშკში. გაგა მერე იხსენებდაო, ქისტე კედელს რომ შემოვანარცხე, ისე მემსუბუქა, როგორც ფოთოლიო.

ლაშქარი აქაც განბილებულა.

## თოთათ მაისტელი

ლილლოში სოფ. ტარგამეს ჩვენ სახლი გვექონდა, მამიდაჩემი იქ ცხოვრობდა; და აი ერთხელ არხოტიდან ლილლოსკენ მიმავალ მგზავრებს მეც გამაყოლეს. ამლიდან თოთათ მაისტელიც დაგვემგზავრა, რომელსაც 1924 წელს ქისტების მიერ არხოტის დალაშქვრისას ბიძაშვილი, დავით ნიკლაური მოუკლეს. ქისტების სოფელ გომტიკაურთას რომ მივუახლოვდით, მაისტელი იხსენებს: დავითის სისხლი მქონდა ასაღები და ლილღველი ვერსად რომ ვერ დავლანდე, ბოლოს აი გომტიკაურთის პირდაპირ (მიგვითითა ფიჭვნარის კორომი) ღამე მზირი ჩავსაფრდით, რათა გამთენიისას შური გვეძია. გათენდა, მაგრამ სოფელში კაცის ჭაჭანება არ არის, დიაცს ხომ ვერ ვესროდით. მოულოდნელად ტყიდან კაცი გამოვიდა და გეზი სოფლისკენ აიღო. ჩამოვექაღლეთ თოფებს და ვესროლეთ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დავეკარით, დავაყარეთ ტყვიები, მან კი სოფლისკენ დააქცეულავა (დააზიგზავა) და ისეთი სისწრაფით გარბოდა შეშინებული და ისე მყისიერად იცვლიდა მიმართულებას, რომ ვერც ერთმა ვერ დავკარით. ლაპარაკში იქვე გაიხსენა, რომ სოფელ ჯადახკეში, რომელიც გომტიკაურთიდან სამი-ოთხი კილომეტრითაა დაშორებული, არხოტივნებმა (რო-

მელთა სახელები არ მახსოვს) ქორწილში როგორ მოკლეს მათი მოსისხლე ღილღველი.

ჯადახკელ კაცს მოუკლავს არხოტიონი (ახიელელი). მკვლეელი ისეთი ფრთხილი ყოფილა, რომ ვერსად ვერ „მოინადირეს“. ბოლოს ჯადახკეშივე, ნაცნობ ქისტს შეეკრნენ, რომელმაც დაუთქვა ვილაცის ქორწილის დღე და ურჩია, პატარა კიბე გამოეყოლათ. ორი კაცისაგან შემდგარი მზირი, რომელთაც კიბის საფეხურებიც თან ჰქონდათ, ჯადახკეში მისვლისთანავე ადგილობრივმა ღილღველმა ურჩია ღამე მექორწილეთა სახლის ფანჯარასთან კიბე მიედგათ და ვისაც ის სათამაშოდ გამოიწვევდა, ის იქნებოდა მათი ძმის მკვლეელი. ახიელელი მერე ყვებოდაო: ისეთი ღამაზი, ჩოხაში გამონწყობილი ვაჟკაცი გადმოვიდა სათამაშოდ, რომ მტერი პირველად შემეცოდაო. სროლის დროს ის კი დავინახე, რომ ქაზდარზე გამოეფშვინტაო და დაეიქცენითო. ვიდრე გათენდა, სამშვიდობოს ვიყავითო.

## ივანეური

ჭიმლაში მცხოვრებ ციათ მიხიელისაგან გამიგონია, რომ მისი წინაპარი თეთრაულთ ივანეური სოფლის თავკაცი, უმამაცესი ვაჟკაცი ყოფილა. ერთხელ სოფლის გარეთ, მინდორზე „ემშათ ადგილზე“ დაუძინია და გაღვიძებულს თმა-წვერი გაჰყრევია (გასცვენია), თავმომწონე ვაჟკაცმა ეს იუკადრისა, თავი დამცილებულად უგრძენია და გადაუნყვეტია, თავი ვინმე სახელოვანი ვაჟკაცისთვის შეეკლა. თურმე ბევრს ემუდარნენ, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს, ამაზეა ნათქვამი:

*„ჭიმლაში ივანეური რასრა შაატყობს თავსაო,  
გამავა წინგარდაზედა, გაღმართავს სიათასაო,  
დედა დაუცხოობს საგძალსა, მამა უბანდავს ჯღანსაო,  
გამავა ვერძის ტყის გორა, ჭიმლავ, მავავლებს თვალსაო,  
კარგი ხარ ჩემო სოფელო, ა ეხლად დაგწერ ჯვარსაო.  
ცირცლოვან შამავიდოდა, მავგელვებდა ფარსაო,  
როშკას მამიდას მიუვა, თეთრაულაის ქალსაო“.*

როგორც ჩანს, ივანეურს რომში უმეტესად ფშაველ ყარტაულის ვაჟკაცობის შესახებ და გაუნევი ფშავისაკენ მასთან საომრად:

*„მამიდამ გამაისტუმრა, ყინჩად დასწერდა ჯვარსაო,  
წალმ დაჰყევ, წმიდა გიორგივ, შენს პატიმარსა ყმასაო.“*

*მთადამთა გადასულა რა ფშავში:*

*„ჩამაეს ჩამაენია ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო,  
ხმლითა სცემს ყარტაულასა, ფეხქვეშ გაიგდებს მკვდარსაო,  
შავარდა საქობეშია, ნელთით დახკეტავს კარსაო,  
მოვიდა ხოშარაული, მანთებს კელაპტარსაო,  
გამაედ ივანეურო, ნუ შამაცოდებ ჯვარსაო.*

*მარჯვენით ხმალს მაიყოლებს, მარცხენით კელაპტარსაო,  
წინ-წინ კი ივანეური, მასჭრის მარცხენა მხარსაო,  
ხოშარაულმაც შამახკრა, სისხლმა შაახსა ქვასაო“.*

ივანეურსა და ხოშარაულს ერთმანეთი ჩაუხოციათ. არხო-ტივინებს კი ივანეური ჭიმლაში გადმოუსვენებიათო.

## მუსიკალური არხოტი

ხევისურეთი არამუსიკალურ კუთხედ არის მიჩნეული. ასევეა არხოტიც. იქ არც მუსიკალურ საკრავთა სიმრავლეა და არც მრავალხმოვანი სიმღერები.

გიორგი თევდორაძე წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევისურეთში“ წერს: „საზოგადოდ ხევისურები არ არიან მუსიკალური ხალხი და მათში არც აღინიშნება რაიმე ტკბილხმოვანი სიმღერა, თუ მღერიან, უთუოდ საგმირო ლექსებს ფანდურზე“.

ფანდურზე მღერიან მხოლოდ ე. წ. „ხევისურულ“ მოტივზე, რომელიც კარგადაა ცნობილი და არამელოდიურია. რაც შეეხება გარმონს (ბუზიკა) იგი შედარებით გვიან შემოვიდა. გარმონზე ცეკვის დროს ფიცარზე ხანჯრის სიბრტყით დარტყმისას ტაში ძლიერდებოდა, რაც დოლის მოვალეობას ასრულებდა.

„გვრინს“ ხატში, დღეობებზე ფეხზე მდგომი სამი-ოთხი კაცი ერთ ხმაზე მღეროდა. ხშირად „მთიბლურსაც“, რომელიც თიბვის

დროს სრულდებოდა, გვრინად მოიხსენიებდნენ. გუნდური სასიმღერო – „ფერჯისა“ იყო, რომელსაც წელნადში (ახალ წელს) უფრო მღეროდნენ. ორი გუნდიდან ერთი იწყებდა და მეორე იმეორებდა, სხვები ბანს აყოლებდნენ. დამწყები ყოველთვის მამა იყო და მის სიტყვებს ჩუა ოჩიაური იმეორებდა. „ფერჯისას“ ჯგუფებს თითქოს შეჯიბრის ხასიათი ჰქონდა. ე. წ. „ფშაურად“ მუსიკის გარეშე ყველგან მღერიან, როგორც ხევსურეთში, ისე ფშავში.

მამაჩემი, როგორც სიძველის მოყვარული კაცი, მხოლოდ თავის სახლში დაამღერებდა ერთ ე. წ. „ძველებურ“ სიმღერას, რომელიც სხვაგან არ ხმიანდებოდა, თითქოს ეკრძალებოდა. მამას გადმოცემით, ეს არის ძალიან ძველი, იმჟამინდელი სიმღერაა, რომელსაც ძველად ცალ მუხლზე დაჩოქილები ფანდურზე ასრულებდნენ მხოლოდ საგმირო სიმღერებსო. მას ეს მოტივი პაპაჩემისაგან უსწავლია და რა დასაწინააღიწყოდა, რომ არხოტის ეს უძველესი სიმღერა დავინწყებას მიეცაო. ალბათ ამიტომაც მახსოვს პატარაობისას მამა როგორ მაქეზებდა რათა ე. წ. „ძველებური სიმღერა“ ფანდურზე შემესრულებინა მის მიერ შერჩეულ სალექსო სტრიქონებზე:

– *ჭიმლის კლდეთ ყეფდა ყორანი, ერთი ეძახდა სხვასაო,  
შორს მიოს ოჩიაური, დავხყვათ ამაგის კვალსაო.*

– *ამლიონთ ქალ-ზალს უთხარით, ფარაგს აისხან ცვარიო,  
განთ კი ხართ მგლოვიარენი, საფეხნოს გიზისთ ჴარიო.*

სალექსო სტრიქონების შინაარსს ვერ ვაანალიზებდი და თვითონ მიმარტავდა – „დაგეშილი ყორანი ყოველთვის მონადირის თანამგზავრია სანადიროში, თოფის ხმაზე ყოველთვის მასთან გაჩნდება და წილ-კერძის მომლოდინე თავზე დასტრიალებსო. – მტრის მიერ მოკლული კაი-ყმა კი ცოცხლად მოიხსენება და ხშირად ხარის ეპითეტიტ ამკობდნენო.

ბავშვობიდან მეხსიერებას სასიამოვნო მოგონებად შემორჩა ზამთრის გრძელ ღამეებში ქაზდარზე ნანოლს, მამაჩემის ფანდურზე ძველებური სიმღერის, მამიდაჩემის მატყლის საჩეჩი სავარცხლისა და დედაჩემის ძაფის რთვის დროს სახრელში ტარის ხრიალის ჰანგებში რომ მეღვიძებოდა, ეჰ, ნეტავი იმ დროს, მაშინ ხომ არხოტიც არხოტობდა.

## კაკურაზობა (კრძალვა)

კაკურაზობა ნიშნავს უაღრესად თავშეკავებულობას, თემში არსებული ქცევის ნორმების მტკიცე დაცვას ყველგან და ყველაფერში; განსაკუთრებით პატივისცემას ქალების და შეყვარებულის მიმართ. ცნობილია, წინათ ხევსურეთში სწორფერნი ერთად ნვებოდნენ, მაგრამ ამ დროს ვაჟს კაკურაზობა უნდა გამოეჩინა და ქალს წელს ქვემოთ არ უნდა შეხებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ქალი აპატიებდა და მისი სახელიც ილახებოდა. ბიძაჩემისაგან გამიგონია, მოხუცი ბაიჭაურისაგან სიამაყით ნათქვამი – ხევსურის ქალს ჩემზე უთქვია: „ისეთი კაკურაზი ყოფილიყო, რომ ფეწვიე ქოო სადამ მახკარგნავ“. ამაზე ახალგაზრდობა ძალიან ხალისობდა. უწინ, ნაადრევად ცოლის მოყვანა და მრავალშვილიანობაც არ ითვლებოდა მისაბაძ მაგალითად, მით უფრო მალე შვილის დაბადება, რაც ვაჟკაცისთვის შეუფერებელ, ქალისადმი ლტოლვას ნიშნავდა. გამიგონია, ამაში ბაბუტს უთქვამს: „ამ სალოცავის მადლი გამინყრესო, დიაცი რომ მოვიყვანე, პირველ სამ წელს თუ მისი ლოგინი გამეზიარებინოსო“ (არხოტში კრძალვის გამო არც-თუ ხშირად მოიხსენიებდნენ სალოცავის სახელს). ამჟამად ასეთი რამ ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მაშინ თავმომწონე ვაჟკაცისთვის ღირსების საქმედ ითვლებოდა. ასევე უწინ პირველი შვილის ხელში აყვანა, მოფერება მამის მხრიდან მიუღებლად ითვლებოდა. გამიგონია, დედას ბანზე ჩვილი ბავშვი მამასთან დაუტოვებია, რომელიც ბანის კიდეზე ე. წ. სანაპიროზე მიცოცებულა და რომ არ გადავარდნილიყო, მამას ბავშვის სამოსისთვის ფეხი დაუბიჯებია და ცოლისთვის დაუძახია, რომ ბავშვისთვის მიეხედა.

გამძვინვარებული მოჩხუბრებიც კი მოკრძალებას იჩენდნენ ქალების მიმართ. ლუკა ჯაბუშანურს (პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურის მამა) თურმე სამი კაციც ვერ აკავებდა ჩხუბის დროს, მაგრამ ქალების ხელში მორჩილი ხდებოდაო. ქალის ხელიდან თუ ვაჟკაცი მტრისკენ გაიწევდა, დიდი სირცხვილი იყო და ქალისადმი უპატივცემულობაში გამოიხატებოდა. მასობრივ ჩხუბში ქალები მამაკაცებთან ერთად აკავებდნენ მოჩხუბრებს.

## ნელნადი (ახალი ნელი) არსობში

ახალი წლის სამზადისი ერთი კვირით ადრე იწყებოდა. ბავშვები ეზო-კარს ვასუფთავებდით, „ფეჩისთვის“ შეშას ვიმარაგებდით, რომ ახალი წლის უქმე დღეებში გვყოფნოდა. საფქვავიც წინასწარ იფქოდა. „ნელნად შამაე წუხრას ბალები და დიდები ყველა ჯვარში იყრიდა თავს, რათა ნელნადს ჯვარში შეხვედროდნენ. დილით ხუცესმა მეხვენწურთათვის თავზე თოვლის დაფრქვევა იცოდა სიტყვებით: „აესრამც თეთრად დამიბერდითო“. რიჟრაჟზე დარბაზის კარზე დიდ ცეცხლს ვანთებდით – ნესია დარბაზის კარზე დიდ ცეცხლი უნდა ენთოსო. კარგად რომ გათენდებოდა, ჩამოვიდოდით სათიბში, გალავნის შიგნით, ხელიხელ ჩაკიდებულები წრეს ვკრავდით და ფერწისას ვმღეროდით. ბავშვებს მხრებზე შეგვისვამდნენ. ფერწისათი და ნელი ტრიალით ზევით სოფლისაკენ მივიწვედით. მერე ყველა თავის სახლები-საკენ სამეკვლეოდ გაწვევდით. ამ დროს სოფელში ყველას კვალი ჰქონდა დაჭერილი და გარეთ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მეკვლე ჩუმად შეაღებდა კარებს, ზღურბლზე დაიჩოქებდა ჩუმად, ასევე ჩუმად მიაწვდიდნენ სამეკვლაო კვერს, რომელსაც ნაღმა გვერდზე ბამბა ჰქონდა დატანებული. მეკვლე სამჯერ შეაგორებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას ნაღმ დაეცემოდა თუ უკუღმ. მერე მეკვლე მიულოცავდა: „შამავდგი ფეწი, გწყალობდეთ ღმერთი, ჩემ კვალიმც კაზე დაგიჯდებათ, წულიან-პურიანი, სახელსარგებლიანი, ბედნიერ ნელი და კვალიმც გამოგეცვლებათ!“ სამეკვლაოს ცხვარსაც შეუგორებდა საცხვრეში. ამის შემდეგ ოჯახს გარეთ გასვლა და საქონლისათვის მიხედვა შეეძლო.

ნელნადში დასტურებმა ორ იანვარს (კუმეტ დღეს) სოფელში ღამე „საქურდლად“ გასვლა იცოდნენ. შეიპარებოდნენ სახლებში, მოიტაცებდნენ არაყიან ბოთლს, რომელსაც დიასახლისი გამოსაჩენ ადგილზე დგამდა. „ქურდებს“ გამოიჭერდნენ და იყო მხიარულობა ის „პატიმრობაში“ იყო, ვიდრე ჯვარიდან ქვებით ლუდს არ გამოგზავნიდნენ მის დასახსნელად. ბავშვებს ეს ამბავი ძალიან გვართობდა.

და აი, ერთხელ, დასტურმა ხვთისო ცისკარაულმა გამანდო: „დასტური „საქურდლად“ ხატიდან მხოლოდ მაშინ გადის, როდესაც დარბაზი „გატყდება“. დარბაზის ბოძზე დავკიდებ საკლავის ერთ ფეხს, შენ შემოვარდი, მოიტაცე და ნაილე სოფელშიო. მეც შევვარდი. უცბად დარბაზში, ბოძიდან აჩქარებულმა ჩამოვხსენი რალაც ხორცის ნაჭერი და გადავევლე გალავანს. თურმე ჩემთვის დაკიდებული საკლავის ერთი ფეხის მაგივრად მთლიანი საკლავი გამიტაცია. ასე დავტოვე კუმეტ დღეს ჯვარიონნი საკლავის ერთი ფეხის ამარა.

ახალ წელზე ყველა ოჯახში იხდებოდა არაყი. იყო გადაპატიჟება და საახალწლო მილოცვები. არ მახსოვს წელნადმი ერთიმეორესთვის ვინმეს ეწყენინებინოს. სოფელში თუ ვინმე ჭირის პატრონი იყო, პირველად იმას მოიკითხავდნენ არყიანი ბოთლით.

დასტურს „ქურდობისას“ დღე თუ გამოიჭერდნენ, დასვამდნენ მარხილზე და ყიჟინით მდინარისაკენ გააქანებდნენ. თუ ჯვარიონნი დროზე არ დაიხსნიდნენ, შეიძლება წყალში ჩაეგდოთ.

იყო თოფის სროლა და ვითომ დაჭრილების თოვლში გორიალი, სხვა მივიდოდა, ბოთლიდან არაყს დააღვევინებდა და „გამოარჩენდა“. მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა მილოცვები და გადაპატიჟებები.

მსგავსი ქმედებით ერთობოდნენ ახალწელზე ამლაშიც რკენადან თოვლზე დაცურებულ მარხილს, რომელსაც ორი ახალგაზრდა მიაქანებდა და რომელიც ახალუხალით იყო დატვირთული, სოფლამდე მიაცურებდნენ სიცილ-ხარხარით. იყო თოფების სროლა და თოვლში გორიალი.

ჭიმლაში კი, სადაც დამრეც ადგილზე თოვლში მარხილით სრიალი შეუძლებელი იყო, მათ ახალწელზე სხვა გასართობს მიაგნეს: დასტურს „ქურდობისას“ გამოიჭერდნენ და ჩალის კუდს გამოაბამდნენ, ცეცხლს ნაუკიდებდნენ და ხალისობდნენ. იგი დატყვევებული ყავდათ, ვიდრე ჯვარიონნი ერთ სანდე ლუდით არ დაიხსნიდნენ.

ერთხელ პირაქეთელი ხევსური შესწრებია არხოტში ახალწელს და მერე უთქვამს: „ცოდოა კაცი მოკვდეს ქალაქუნახავი და არხოტში წელნადუნახავი“.

## მარიემშიდაობა

ყმანვილების დღეობა მარიემშიდაობა, აპრილში აღდგომაზე ტარდებოდა. ამ დროს ბალები ხიფხოლას ვთხრიდით ჯვარში ხუცესისთვის მისატანად. სოფელში ქვაბით ლუდი რომ გაეტანებინა. ხიფხოლა, მცენარე ღიმის მინისქვეშა ტუბერია (ხოლო მცენარეს ხევსურეთში ჭიმას ეძახიან). მახსოვს მარიემშიდაობაში მრავალი წელი ვმონანილეობდი და ხშირად ხელოსანი დროშის მზიდავი ვიყავი, ხოლო ჯვარს დასტური ატარებდა.

წინა დღეს არყის წნელისაგან ვწნავდით გუჯინას (გოდორს), ვავსებდით ჩალით და აგვექონდა ციხეებთან, რათა მეორე დღეს ცისპირძვრისას ცეცხლწაკიდებული დაგვეგოროებინა. დროშას გამოვაბრძანებდით, წმიდა სახლს შევარჩევდით, ბანს სამჯერ შემოვუვლიდით, კუთხეებში ჯვარს გამოვსახავდით და კიდევ დავაბრძანებდით. ჯვარიდან ლუდს ამოვიტანდით და ყველა ოჯახი ვალდებული იყო, რათა მოვეკითხეთ ხინკლითა თუ ქადისკვერებით. მათ ლუდით ვუმასპინძლებოდით და მოსვლისას თუ გაცილებისას ვამწყალობებდით: „დედა მარიამო, შენ სწყალობდი ჴარსა, ფურსა და გუთანსა, ჴარის ნაწნავსა, ფურის ნაწველსა“.

მეორე დილას გუჯინას დავაგოროებდით, ჭალაში ქვას მივაყრიდით და დავარისხებდით – ვინც კი ერთ წნელსაც წაიღებდა სახლში. ავიდოდით გორულ ჯვართან ბავშვებისთვის განკუთვნილ ყორით შემოლობილ მარიემშიდაში, მომკითხავი აქაც მოგვაკითხავდა. დარჩენილ ხინკალსა და ქადისკვერის ნაწვრეთებს (ნაჭრებს) ბავშვები თანაბრად ვინანილებდით.

ვინც არ მოგვიტანა, მას ვარისხებდით.

ერთხელ მოხდა ისე, რომ გერგეტელის ცოლმა ყამარმა არ მოგვაკითხა ტრაპეზით და ჩვენ იგი დავარისხეთ, იზარალოს საქონლით, გადმოუვარდეს ძროხა და ა. შ. მართლაც, იმავე გაზაფხულზე, მისი ძროხა, რომელიც ყმანვილებს რქებით გვერჩოდა, ბექიდან დაუგორდა და მოკვდა. არ ვიცი, ყოველივე ეს ჩვენი დარისხების შედეგი იყო, თუ შემთხვევით მოხდა, ბავშვებმა კი

ძალიან გავიხარეთ. ჯერ ერთი, ჩვენი დარისხების გამოვლინებად მივიჩნიეთ და მეორე, მოვიცილეთ რქებით მრჩოლავი ძროხა, რომელიც ბავშვებს შიშის ზარს გვცემდა.

## სულთაკრეფა

მიცვალებულთა ხსენების დღეს არხოტში „სულთაკრეფად“ მოიხსენიებდნენ. იგი დიდმარხვის მეორე კვირას შაბათ დღეს იყო. ამ დღეს ყველა დიდი და პატარა თავის საქმით იყო დაკავებული. წინა დღეებიდანვე ბავშვები მშვილდ-ისარს მოვამზადებდით და ვვარჯიშობდით. შაბათ დღეს კი დილიდანვე გავიტანდით სახლში გამომცხვარ სხვადასხვა ფორმის პურებს, დავაყენებდით თოვლზე და მორიგეობით ვესროდით ისარს, ვინც პირველი მოარტყამდა ისარს, მისი აღებული იყო. ამ დღისთვის ყველა არაყს ხდიდა და ყველგან სულის მოსახსენებელი ტაბლა ილოცებოდა.

იმ წელს გარდაცვლილთა, ე. წ. ახალ სულმკვდართა პატრონებს კი გამოჰქონდათ „ლაბახი“. ფიცარზე მონიშნულ ადგილზე ვინც ტყვიას მოარტყამდა, „ლაბახი“ მის აღებულად ითვლებოდა. ჭირის პატრონი „ლაბახზე“ ზოგი ჯღანს, ზოგი წინდას, ზოგი კი გარდაცვლილის ბაჭიჭებს აყენებდა.

კარგად მახსოვს, სოფელ ახიელაში, ჩემი სიძის დავით ოჩიაურის „ლაბახი“ იდგა (მან თვითმკვლევლობით დაამთავრა სიცოცხლე), სოფლიდან ყველა მეთოფემ ესროლა, მაგრამ „ლაბახის“ ნიშნულს, ხელისგულისოდენა ფიცარზე მიკრულ ქაღალდს ვერავინ მოარტყა. მოულოდნელად ამლიდან მოსული, თოფგადაკიდებული ძიათ ბენინა ამოვარდა ბანზე და მაშინვე განაცხადა: „მე ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ლაბახს მე ავიღებო“. და მართლაც ბენინას პირველი სროლისთანავე ლაბახის მეთვალყურემ შორიდანვე ხელი ასწია, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ტყვია ნიშნულს მოხვდა.

## მეორე მოსკლა

რუსის მეორედ მოსკლის შემდეგ (იგულისხმება საქართველოს დაპყრობა 1921 წ.) მრავალი ხევსური ახალგაზრდა ვერ ურიგდებოდა ბოლშევიკებს, წინააღმდეგობას უწევდა მთავრობის წარმომადგენლებს, მოხდა აჯანყება. ახალმა რეჟიმმა კი სადამსჯელო რაზმებით უპასუხა. ბევრმა შეურიგებელმა ვაჟკაცმა ტყვეს მისცა თავი. გამოუცდელ „ყაჩაღებს“ ზოგს „საკენკით“ მოიტყუებდნენ, ზოგს მოლაღატეს მიუჩენდნენ, ხოლო ზოგიერთის ოჯახს ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ იგი იძულებული იყო თავი გაენირა, თავისი ფეხით ჩაბარებოდა მტერს, როგორც ეს სადარას გაუკეთებია. როგორც წესი, უკან არავინ ბრუნდებოდა, ყველა მათგანს ხვრეტდნენ. აი, ამ ვითარებაში, მამაცმა ვაჟკაცმა, მამუკა ბურჩუკურელმა, რომელსაც რამდენიმე ჩაფარი ჰყავდა მოკლული, გადანყვიტა გარიდებოდა ხევსურეთს და ღიღლოში ცნობილ ყაჩაღს ზელიმხანს შეერთებოდა.

*შორით მოუვა პასუხი, ზელიმხანის შემონათვალი:*

*„აქ მოდი მთისა არწივო, ვლაჭათ დაღისტინის მთა-ბარი  
სამგ ზავროდ დაემზადების, ამააფხავა ხანჯარი,  
საჩქაროდ გადაიარა, მთა საძელისა მალალი.“*

მთავრობას მამუკა არხოტში გადასული ჰგონებია და დაუდევნებია შუბებით შეიარაღებული ხევსურთა მოსყიდული ჩაფრები. შაბურათ აფშინა იმ ხანებში მამასახლისი ყოფილა და სამსახურის გამო იძულებული გამხდარა მათ გასძლოლოდა. მამუკას არხოტში ყველა ქომაგობდა, ამიტომ ხევსურთა უნებური მდევარი გარსია ოჩიაურს გაუღექსებია:

*„არხოტ ზეკუცია ჩადგა, ჯევსურეთით წამასული,  
წინ-წინაზე გამიკვირდეს, მე მეგონნეს გამაზულნი,  
მითხრეს: „ეგეთანია დედის მუცლით გამასულნი —  
ახიელის ულიცაზე იარნუკა გამართული.“*

*რაჯე გადიდებულ დაოს ზოგიერთა ადის გული!  
მხარზე გრძელებ ჯოხებ უსხავ, შუბები აქვს ჩამაცმული,  
ყველას ზურგზე ხასუნაი ხარატულად გამაკრული,*

*ნაქნარ ეეგეთა უნდა, ჴევსურებმ რო დაკლეს ფური!  
ძაღლებ მირგვლივ ეხვეოდეს, მზორი ედვა გამახრული,  
შაბურაშვილს ეგ უთხარით „გამაგცვალესაე გზირი?“  
ხუტუნიშვილს ვერ აწვალებს, კაცო შენისთანა ვირი!  
მეშაირე წამადგების, გმინზე გააყოლა გმინი,  
შულლისაკე დასწუხდების ღილღველ ასლაყაისშვილი”.*

ხევის ქალაზე მიმავალი მამუკა გუდამაყრელ მწყემსს უცვ-  
ნია და ბალთაში რუსის ყარაულებისათვის უცნობებია:

*„ჩოხელათ გუდამაყრელსა, ღმერთი გაუნყრას მალალი,  
მაგათ უამბებს ამბავი, გზაში ჩაუსხეს ლაშქარი,  
ბალთაში ჩამამავალსა გარმელობა ჩაფარი”...*

მამუკა ბალთაში შეუჩერებიათ და საბუთი მოუთხოვიათ. ერთ-ერთ ქისტს ნახტომში მოუნდომებია მისი შებოჭვა, მაგრამ მამუკას მოუსწრია და ხანჯარზე წამოუგია: „ქისტო გიცხონდას გამჩენი, გული გდება მაგარი, შენს მეტმ ვერავინ დასწონა, ზედ მიხვედ შორით გამხტარი, ხელუკულმ გადმოქნეულმა, დაგიჭრნა უბის მასრანი”. ხოლო მამუკა ტყვიებით დაუცხრილავთ. მოკლული შვილის მამას, შვილის ცხედრისთვის მიუმართავს: „შვილო, რატომ გაღმეტდი სხვებს და ჩვენთვის უდანაშაულო კაცს თავი შეაკალიო”. მერე როდესაც ქისტი წაუსვენებიათ, ქისტის მამას უთქვამს: „ჩემ შვილს პატრონი ბევრი ჰყავსო, და მიხედავენო, ჩემი შვილის მკვლელ კი უპატრონოაო” და მე ვიდრე მას არ დაემარხავ, არ წამოვალო.

სხვა ჯიშის ხალხი გარდა ქისტისა, ასე არავინ მოიქცეოდაო, – გამიგონია მამაჩემისაგან.

## **უნცრუთი გაბრიელი**

პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა გასული საუკუნის ორმოციან წლებში, ომის პერიოდში, თავი მშობლიურ არხოტს შეაფარა. ცხოვრობდა რიგითი ცხოვრებით: ხნავდა და თესავდა. ერთი წელი მასწავლებლობდა კიდეც. პატარაობისას მას მე ცეკვაში

ვბაძავდი და მახსოვს, როგორ ხალისობდა. ცეკვის დროს უყვარდა წამოძახილი – „ასაა“. ერთხელ გაბრიელი გარსიათ ბაბალესთან ბანზე ცეკვავს და ყვირის – „ასა“. ბაბალე ეხმაურება – „არას“, „არას“ და ხალხი სიცილით იხოცებოდა.

ამდელი ჯირჩლათ გიგი, წარმოსადეგი შუახნის კაცი, თემში ყოველთვის ყაბალახით დადიოდა. ერთხელ ქეიფში გაბრიელმა შეუმღერნა:

*„დაბერდი, ჯირჩლათ გიგო, დაბერდნენ შენებ სწორები, ნუ იხვევ ყაბალახასა, აღარვის მანონები“.*

ათენგენობაზე „მთისჯვარ“ ავდიოდით, იქ ცისკარაულების სალოცავია მთის ვეშაგ მთავარანგელოზ გაბრიელის სახით, რომელიც ალპურ ზონაში მდებარეობს. ღამის გასათევად წინააღმდეგ, საღამოზე ავდიოდით, ავიყვანდით ერთ საკლავს, ავიყოლებდით ლუდს, არაყს, მასათოებს. მეორე დღეს სოფლიდან მეხვეწური ხალხი – ქალი და კაცი ამოდიოდა თავისი საკლავებით. ერთხელ გაბრიელიც წამოვიდა ღამის სათევად. ხუცესმა ბაისერ ცისკარაულმა ჟამისწირვა ჩაატარა და ტრაპეზის შემდეგ ყველა ქუჩნარევე ბალახზე წამოვწექით დასაძინებლად. დილით მე და ხვთისო ცისკარაულს გაგვეღვიძა და ჩამაგედან (სანადირო) შურთხების სტვენის ხმას ვუსმენდით. მოულოდნელად გაბრიელი ჩამოჩნდა ზევიდან. ხვთისო გაკვირვებით ეკითხება:

– ამ შუალამეში მთის წვერზე რამ აგიყვანაო?

– რას ამბობ, ხვთისო, ასეთ გარემოში იშვიათად თუ მოხვდება კაციო – პასუხობს გაბრიელი – ცისპირძვრამდე ავედი მაღლა, რათა გამეგო მაღალ მთებში შურთხების, ზირწუსა და რიჭრაჟის მომლოდინე ფრინველთა ხოროში როგორ თენდებო. გამიგონია სტუდენტობისას გაბრიელმა მამას (ლუკა ჯაბუშანურს) მისწერა სახუმარო ლექსი:

*„არ გიხარისა მამაო, ნასწავლი შვილი გეზრდები, შენ რომ მიგზავნი ფულებსა, მე სწავლისაკენ ვქეზდები“*

გიორგი ჭოლიკაური მიყვებოდა: ერთხელ, ღიღღოს სოფელ ხართას მივედი გაბრიელთან და სახლში არ დამხვდაო. გამოვედი და დავინახე, გაბრიელი ტყიდან მხარზე ფიჩხებგადებული

მოდისო. მერე უცბად ფეხი აუჩქარა, ფიჩხები მხრიდან გადაყარა და გამოიქცა სახლისკენო. ვერ მივხვდი, ასეთი ქცევა მეუცნაურა და ოთახში შევყვევი. გაბრიელი ზის მაგიდასთან და რალაცას სწრაფი ხელით წერს. მერე, რომ შემამჩნია, გაკვირვებულმა მითხრა: – როდის შემოხვედიო? თურმე ამ დროს დაუნერია დალუპულ უმცროს ძმაზე ლეოზე ლექსი.

ქორძო ნიკლაური, თვითონაც კარგი მოლექსე, სიძე იყო გაბრიელისა და ხელი მიუწვდებოდა მის ხელნაწერებზე. ის მიყვებოდა: გაბრიელს ერთი ლექსი აქვს, სადაც წერიაო – „რა ივერია, რის ივერია, ჩვენ ვინა გვკითხავს“.

დამაინტერესა და დამამახსოვრდა ქორძოს ზეპირად ნათქვამი გაბრიელის ფილოსოფიური სტრიქონები:

*„აკლდამის ბანით ჩონჩხებს დავცქერ ჩუმი ნალველით,  
ჩემს საკუთარ ხვედრს ვაკვირდები თვალანთებული,  
დუმან პაპები, დროთა დენით ჩამონალაღნი  
და თავისთავზე იცინიან ტალანტებივით.  
ეს საცოდავი ადამის ძე, ყოველ ნაბიჯზე,  
მარადისობას ცდილობს მარად და მარად ცდება,  
აკლდამის ბანი გახლეჩილა სიპით ნაბეჭდი,  
და ცვარდაკრულ ძვლებს დანაცრება აღარ ასცდება“.*

გაბრიელი არავის უნახავს გაჯავრებული, ნაწყენი, მით უფრო მოჩხუბარი. ერთხელ ლილლოს, ციცქას (გაბრიელის ძმას) და ბადიას უჩხუბია. მეორე დღეს ბადია ქეიფშივე შეხვედრია გაბრიელს, ამოუღია „ლაჯია“ და უსვამს თავზე; ხელებ ჩამოშვებული უძრავად დგას გაბრიელი. მას თავდაცვის მიზნით რეაგირება არ მოუხდენია. ხალხს უკითხავს მიზეზი მისი საქციელისა: „ველოდებოდი, ბადია როდის დაამთავრებდაო“ – უთქვამს გაბრიელს. ამაზე ბევრს იცინოდნენ და კიცხავდნენ ბადიას.

ბადია და ციცქა ერთმანეთთან ხშირად ჩხუბობდნენ. ერთხელ ლილლოს, სოფ. ჯადახეში შევასწარი მათ ჩხუბს, სადაც კინალამ მეც მომხვდა, სახვთოა ბაბუტათას. სახლი სავსეა მოქეიფე ხალხით (ვიქნებოდით თოთხმეტი-თხუთმეტი წლის) იმ ოთახში, სადაც მე ვიყავი, ბადიამ შიშველი ხელებით და ციცქამ იჩხუბეს.

ნასვამი ხალხი ვიდრე აზრზე მოვიდოდა, მე მყის წამოვხტი, ჩავუდექი შუაში და ორივეს მარჯვენა ხელის მჯეგებში ვტაცე ხელი, რაც დაუშვებელია ჩხუბის დროს. სხვანაირად უნდა შეაკავო. ბადიამ დამიყვირა: ხელს რატომ მიჭერო?! მერე დასცხეს ერთმანეთს და ჩემთვის აღარ ეცალათ. ჩემი ქცევა სიბალღეს და გამოუცდელობას მიაწერეს და იცინოდნენ.

ხევსურეთში თვითნებურად ჯვარის გაძლოლას, ხუცობას, სალოცავში არავინ არ დაიწყებდა, გარდა ხილვისა, სიზმარში ნახვისა, თუ მისნის რჩევისა. გაბრიელი მორწმუნე კაცი იყო და ღიღღოს რომ ჩასახლდა, მას ჰქონდა ხილვა, რომ არხოტის ჯვარის მთავარანგელოზ მიქელ-გაბრიელის ხუცესი უნდა გამხდარიყო. ამ ხილვის შემდეგ მან თავისი შემოქმედების ნაწილი და საბჭოთა პასპორტიც ცეცხლს მისცა. არხოტის ჯვარის ხუცობა, როგორც ამბობდნენ, ჯაბუშანურებს ძეგლად ედვათო. ხუცესი გიორგი (ტორუა) ჯაბუშანურიც გარდაიცვალა, ისე რომ არხოტის მთავარი სალოცავი გაძლოლის გარეშე დარჩა. ამიტომ ხალხმა გაბრიელის საქციელი არხოტის ჯვარის მომიზეზებით ახსნა.

## თამარისძეთ თათუა

ზამთარია, არხოტის მთები დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია და ამ დროს სოფ. ბლოდან არხოტში გადმოდის თამარისძეთ თათუა, რომელიც აღმოჩნდა მის სალოცავის მიერ მართული. მისი თქმით, ეზმანა, რომ ჯერ არხოტში, სოფ. ახიელაში, წმინდა ოჯახში უნდა დაეყო სამი დღე და ელოცა, აქედან კი ჯუთაში გადასულიყო. სამი დღე მან ხვთისო ცისკარაულის ოჯახში დაჰყო. მისი ბინა წმინდად ალბათ იმიტომ იყო მიჩნეული, რომ ოჯახში ქალი არავინ ცხოვრობდა. ბავშვს დამაინტერესა და ერთხელ შევედი მის სენაკად მიჩნეულ ოთახში და დავინახე, სამამაცო სკამზეა წამოწოლილი თათუა და გადაჯვარედინებულ ხელებს მკერდზე იბაგუნებს. არც თუ ხმადაბლა ლაპარაკობს: „ნუ გეშინიან, არ მიგცემ იუდასო, არ მიგცემ იუდასო!“

არხოტიდან ჯუთისაკენ ორი გადასასვლელია. ერთი ცირც-ლოვანის გავლით და მეორე სოფ. ჭიმლის ჯორჯიდან სამთრეხლოზე გადავლით. არ მახსოვს, თათუამ რომელი მთა გადავლო, ხოლო ის კი ვიცი, რომ იგი მართლაც გადავიდა ჯუთაში და იქიდან საძელეს მთის გადმოვლით სახლში (ბლოში) მშვიდობით დაბრუნდა. არხოტში მისი საქციელი დიდად არავის გაჰკვირვებია და არც არავის განუხჯია, მაგრამ ამ „შავ ზამთარბადეში“ (როგორც მაშინ იტყოდნენ) თოვლით დაბურულ ზეგვ-საშიშ მთებში მარტო სულის უვნებლად მოგ ზაურობა საარაკოდ ეჩვენებოდათ და ხვთის ხელის მომართვით ხსნიდნენ.

## მღვდელი

არხოტში, სოფელ ახიელაში არის მეფის რუსეთის დროს აშენებული ეკლესია, სადაც მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა. პირველი მღვდელი ყოფილა გიორგი ჯაბუშანური (ეს ის გიორგი ჯაბუშანურია, რომელიც აკაკი შანიძეს „ხევსურულ პოეზიაში“ მოხსენიებული ჰყავს, როგორც ცნობილი ლექსის „ვეფხვისა და მოყმის“ გამვრცობი).

იოსებ (ბახა) ოჩიაური შატილის თემში მუშაობდა მღვდლად და როდესაც 1940 წელს მღვდელი გიორგი ჯაბუშანური საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, შატილიდან დაბრუნებული ბახა მშობლიურ სოფელში, ახიელაში ეკურთხა მღვდლად. კომუნისტებმა იმავე წლებში გააუქმეს საეკლესიო წირვა-ლოცვა და ბახამაც საეკლესიო ნივთებს თავის სახლში მოუყარა თავი. ამ დროს თავის სახლს შემატა ახალი ნაგებობა და მის კედელში ჩაატანა ქვაში გამოკვეთილი, გოროზი გამომეტყველების ადამიანის თავის ბარელიეფი, რომელსაც ზურაბად იხსენიებდნენ და ბავშვები დავმღეროდით:

*„ზურაბისა ციხეო, სურვილითა გნახეო,  
ჩემი შვილი ზურაბი, კარგად შემინახეო“.*

იგი ერთადერთი მჭედელი იყო არხოტის თემში და ყველა მასთან მიდიოდა, თუ ვინმეს სახნისი ან საკვეთელი გაუფუჭდე-

ბოდა მის გამოსაპირავად. ამ დროს ახიელაში ექთნად მუშაობდა ახალგაზრდა ქალი და საუბრებსაც ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი საუბარი ბახას ჩაუშლია. ექთანი დამუქრებია და დუშეთის რაიოკომშიც განუცხადებია. იმ დროს მსგავსი ქმედებები მთელი სიმკაცრით ისჯებოდა. იმავე ზაფხულში რაიონის შინსახკომმაც არ დაახანა და მოულოდნელად გამოჩნდა არხოტში. გაჩხრიკეს ბახას სახლი, საიდანაც ამოიღეს საეკლესიო ნივთები: ხატები, ჯვრები, წიგნები. როგორც მერე ჰყვებოდნენ სამი-ოთხი ტომარა გაავსესო. სახლის კედელში ჩასმული „ზურაბის ბარელიეფისათვის“ პოლიტიკური სარჩული დაუდვიათ და ბახაც თან გაუყოლებიათ. რაიონში ჩაუტარებიათ ფარსი სასამართლო, სადაც მამაჩემი (ბაბუა ქიბიშაური) და ბაიჭაურ ცისკარაული მოწმეებად დაუბარებიათ. ამის შემდეგ მის ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნო. ბარელიეფი კი დღესაც ძველებურად გოროზად გამოიყურება ბახას სახლის კედლიდან. ეკლესია კი გუმბათმორღვეული, ნახევრად დანგრეული უპატრონოდაა მიტოვებული.

ასე დასრულდა არხოტში საეკლესიო ცხოვრება.

## „ღვთის კაცი“

არხოტში ჯაბუშანურებს მამიშვილობით ალიათ ეძახიან. მათი წარმომადგენელი ვინმე აუცილებლად არხოტის ჯვარის გამძღო, ხუცესი უნდა ყოფილიყო.

გადმოცემით ალიათ მგელა ყოფილა არხოტის ჯვარის ხუცესი, წმინდანი კაცი, რომელსაც, როგორც ყვებოდნენ, ხუცობისას ანგელოზი ეცხადებოდაო და მტრედის სახით ღულუნით მხარზე აჯდებოდაო.

თემს ღვთის კაცად მიუჩნევია და გარდაცვალების შემდეგ სათემო სასაფლაოზე კი არ დაუმარხავთ, არამედ სოფელ ახიელის პირდაპირ ფერდობზე მომოდენებულ ადგილზე, რომელსაც ფართოკიას ვეძახდით. ბავშვებს მიგვითითებდნენ ფართოკიას ეს ღორღად ქცეული ადგილი „ღვთის კაც“ ალიათ მგელას საფლავიაო.

გადმოცემის მიხედვით ალიათ მგელას სიზმარი უნახავს – სოფლის პირდაპირ ფართოკიაზე ამიყვანეს და იქედან ჩამო-  
მახედეს სოფლისთვინო და მითხრეს – „აი, შენი ახიელაო –  
ჩამოვიხედე და სოფელი მთლიანად დანგრეული, ნასოფლარივ-  
ით, შალაფა გადავლილი დავინახეო.“

საუბედუროდ ახდა ალიათ მგელას ხილვა. დღეს არხოტის  
სამივე სოფელი (ამლა, ჭიმლა და ახიელა) ნასოფლარივით გამოი-  
ყურება.

## სოფლის სინოპტიკოსი

ახიელაში სოფლის საფიხვნო ჩვენი სახლის წინგარდა იყო.  
აქ იყრიდა მთელი სოფელი თავს. თავისუფალ დროს ერთო-  
ბოდნენ, სოფლის საერთო საქმეებს განაგებდნენ. გაზაფხულზე  
მთისა თუ ბარის მეველეებს ნიშნავდნენ. მთის მეველეს ევალე-  
ბოდა სამთავრობო ცხვრის ფარები არ შემოჭრილიყო სოფლის  
სათიბ-საძოვრებზე, ხოლო ბარის მეველეს უნდა დაეცვა სოფ-  
ლის ჭირნახული. ფეხონში ხიზანა ნაროზაული დარ-ავდრის  
პროგნოზს აცნობდა ხალხს. აკვირდებოდა ღრუბლის მოძრაო-  
ბას, ნისლის დაბადების ადგილსა და ნიავის ე. წ. წინაურ თუ  
უკენაურის ქროლვის მიმართულებას. ამის მიხედვით განსაზ-  
ღვრავდა უახლოეს დღეებში როგორი ამინდი იყო მოსალოდ-  
ნელი. გვაფრთხილებდა: არხოტის ჭალაზე როდესაც ნისლი ამო-  
კონლდება, ყოველთვის საავდრო არ არისო. თუ არხოტის ჭალ-  
აზე ნისლის გაჩენისთანავე ვერძისტყის გორზე ნისლი დაიბადა,  
ამინდის გაუარესებას უნდა ველოდოთო.

სოფლის პირდაპირ, საირმის მთაზე, ცის ტატანთ დიდი კლდეა  
და როდესაც მზე ამ კლდესთან მიაღწევს, იწყება მზებუდობაო. ეს  
ხდება დეკემბრის ბოლო რიცხვებში და ყველაზე პატარა დღეაო.  
ამ ადგილზე მზე თითქმის ორი-სამი დღე ერთიდაიმავე ადგილ-  
ზე ამოდის და ამ დროს ჭიმლას ერთი თვის განმავლობაში მზე არ  
უდგებოდაო. იგი ჭიმლის კლდეთ იქით ემალებათ სოფელს. მერე

მზე დღის თანდათან გადიდებასთან ერთად არწივის მაღლი-საკენ გადაინევსო. და როდესაც მზე აღმოსავლეთისაკენ გადა-ინაცვლებდა და საჯიხვეში, სახარის მაღალზე შესკუბდებოდა, გვეტყოდა – ახლა ყველაზე დიდი დღეაო. ყოველივე ამას დიდი გულისყურით უმენდნენ ჯიხვებზე მონადირე ახალგაზრდები.

## ბარსია ოჩიაური

არხოტიონთა გადასახლება ბარში, პირაქეთა ხევსურეთთან შედარებით გვიან, 1950 წლიდან დაიწყო. ხალხი მაინც ყოყმანობ-და, გაურკვეველობა მაინც იყო. გადასახლებას ნახევრად იძულებ-ითი ხასიათი ჰქონდა, ნებაყოფლობის საბურველით. არჩილი და გარსია ხალხს მოუწოდებდნენ, არხოტი არ დაეტოვებინათ. შემდეგ წლებში, არხოტიც რომ დაცარიელდა, არჩილ ოჩიაური მიყვებოდა, თუ მისმა მეგობარმა შინსახკომელმა, დუშეთში როგორ წააკითხა საჩივარი ზემოთხსენებულთა მიმართ, როგორც პარტიის ხაზის მონინააღმდეგენი, მათივე მოგვარე კაცისაგან შედგენილი.

არჩილის გადმოცემით, გარსია ახალგაზრდობაში მომლხენი და ემოციური კაცი ყოფილა. ათენგენობაზე არხოტში რაიონიდან შინსახკომის ხალხი გადმოსულა. ხატში დაუპატიჟებიათ საქეი-ფოდ. გარსიას სასმელი მოჰკიდებია და წამოუმღერებია:

*„საქართველომ ნარმოშვა, სამი უკანონო შვილი,  
ბუდუ მდივან, მახარაძე, მანიორა ხელაშვილი“.*

სტუმრებთან უხერხულობა ჩამოვარდნილა. მეორე დღეს გარსიას ჭედილა დაუკლავს სტუმრებისათვის, უქეიფიათ და თავიც დაუხსნია. მსგავსი შეცდომა მან ღილღოსაც დაუშვა, ქისტებთან შერიგების დროს. ბანკეტზე ბელადისადმი მოყ-ოლებულ სადღეგრძელოში ჟორდანიაც ქებით მოუხსენიებია. ქისტებს ვერაფერი გაუგიათ, მაგრამ შინსახკომელი ვაჩნაძე კი ძალიან გაბრაზებულა. მსგავსი გამოხტომებით იმ დროს ზოგს აპატიმრებდნენ, ზოგს კი ხვრეტდნენ კიდევ. მაგრამ მისი ფიცხი ხასიათი ყველამ იცოდა და კეთილი „ძიები“ პატიობდნენ.

ქეიფის დროს გარსიას უყვარდა ცხოვრებისეული ეპიზოდების გახსენება. ერთხელ გვიყვება: – ბარისახოდან მოვდივარ და ისეთი გატანჯული „პახმელია“ ვარ, რომ ცხენზე ძლივს ვიკავებ თავს. გუშინდელი შუღლი ხევსურებთან კარგად არც კი მახსოვს, ღულის ჭალაზე, ცხენზე ამხედრებული ვილაც დევივით კაცი შემომხვდა და მეუბნება – „გუშინ ჩვენებ ყმანვილებ რომ აწვალევ, ეხლა ჩამოდი ცხენიდანო“, დავხედე ხელზე და იმხელა ღაჯია წამოუცვია ბერა თითზე, რომ ხელს კარგად ამძიმებდაო. სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა ჩამოვსულიყავი ცხენიდან, მაგრამ ფეხზე ძლივს ვდგები. ვუთხარი – ნეტა ეეხლა შუღლი ქვე გწაისევ, ჩემო ნიაო. შენც კაი ვინმე ყოფილხარო – მითხრა. თურმე ნათესავთან არაყით მიდიოდა. ცხენს მოხადა ხურჯინი, ქინთს მოხსნა პირი და რომ დავინყეთ სმა, ბარისახოდან დილით წამოსული შუალამეში, ცხენზე გადაკიდებულმა ძლივს მივალწიე სახლამდენ. ეს იყო ბაბილთ ნიაო, დაამთავრა გარსიამ.

გარსიასგან ხშირად გამიგონია: „მე აქედან წამსვლელი არა ვარო, არხოტის მიწაში „ბარუქას“ უნდა დავიმარხოო“, რომელიც შეასრულა კიდეც. იგი დაბალი, მორჩილი კაცი იყო. ატარებდა ე. წ. ქისტურ „ყარნიკას“ (უმკლავებო ლაბადა), რომელიც გულმკერდის არეში იკვროდა. შემდეგ კი მეფისდროინდელ „შინელს“ იცვამდა. ამ ხნის კაცი გარმონის ხმაზე საცეკვაოდ მიიწევდა. არხოტის თემში მხოლოდ ის ცეკვავდა „ხანჯლურს“. მოხუცი ქალებისაგან გამიგონია „ე გარსია ქოო სკივივით (ნაპერწკალი) კაციაო“.

არხოტივნებს სოფ. მლაშეში პატარა სტანდარტული სახლები აუშენეს და აი, გარსიას ჯერიც მოვიდა – არხოტი უნდა დაეტოვებინა. წინა სალამოს ჩემთან ერთად ჩუასთან იქეიფა, დათვრა და ორი ხანჯარი მოითხოვა. უკანასკნელად იცეკვა „ხანჯრული“. მეორე დილით შემატყობინეს, გარსია კვდებაო. ჩუას (ახლო ბიძაშვილი) ითხოვსო. მე რომ მივედი, ლოგინში ბორგავდა: „ჰაერი, ჰაერი არ მყოფნისო“ – მიუბნებოდა. მოხუცს გულმა ველარ გაუძლო. ეს იყო 1959 წელს. ამბობდნენ კიდეც – „გარსია არხოტს ზვარაკივით შეენირაო“. მერე მე ჭიმლაში

მტყობიედ გამაგზავნეს, გარსიას უფროსი და, ღრმად მოხუცებული მარიემი უნდა ჩამომეყვანა. მას მე უკვე ვიცნობდი. პატარა ტანის მოხუცი ქალი „უპატიურთ“ მაუბარი იყო და ხალხი მის ნათქვამზე სიცილით იხოცებოდა.

მისვლისთანავე გავაფრთხილე ჭიმღელები, რომ მარიემს არაფერი სმენოდა. მისთვის გზაზე სიმართლე არ გამიმხელია. თუმცა ეჭვი ღრღნიდა და მალი-მალ მეკითხებოდა, ხომ არაფერს მიმალავო. გორულ ჯვართან რომ მივედით, გარსიათ ბანზე ხალხის სიმრავლე შენიშნა, მიხვდა, დაღმართი ჩუმი ტირილით ჩამოიარა. მესამე დღეს გარსიაც მივაბარეთ „ბარუქას“. აუსრულდა მოხუცს ალ. ოჩიაურის მიერ პირველ მსოფლიო ომში, ფრონტზე ნათქვამი:

*„არხოტო, ჩემო სამშობლოვ, ჯიჯვ-არწივების ბინაო,  
მეამც კი შენს მტერს შემაკლა, შენს მკერდზე დამაძინაო“,*  
რომლის წამღერება ქეიფის დროს უყვარდა.

*„უფროთო არწივი იყოო გარსია“* – იგონებდნენ შემდეგში.

## გეჯუა

გეჯუა ზვიადაური მიღმახევიდან, სოფელ არდოტიდან იყო. კახეთში, უზუნდარაში ჩემი ძმის, გოგის მეზობლად დასახლდა. გამეგონა, რომ მამაცი და სამართლიანი კაცი იყო. მიყვებოდა ძველ ამბებს.

ერთხელ შოთა ნაროზაული მიყვებოდა: სოფელ ბაკანაში, სოფლის შარაზე სამი კაცი მოდის, ხანჯრებით შეიარაღებულნი. ისინი აღმოჩნდნენ გეჯუა და მისი ბიძაშვილები. მომიახლოვდნენ თუ არა ალექსანდრე ქიბიშაური გადაუდგა წინ და უთხრა, ეხლა ვიჩხუბოთო (ადრე ნაჩხუბრები ყოფილან ალექსანდრე და გეჯუა). წინ წამდგარა გეჯუა, ალექსანდრესთვის ქუდი მოუხდია და უთხოვია, ეხლა ნუ ვიშუღლებთ, ჩვენ სამნი ვართ და შენ მარტოს დაგაზარალებთო, სხვა დროს რომ შევხვდებით ერთი-ერთზე, მაშინ კი დასწრებაზე იყოსო. მტრები უშუღლოდ გაყრილან. მერე

უფროსები მიყვებოდნენ: ამის მსგავსი რამ არცთუ იშვიათად ხდებოდაო ხევსურეთში, ერთ კაცთან სამი კაცი არ იჩხუბებდა.

ძველად კარგი ვაჟკაცი, როდესაც დაიგულებდა, რომ ჩხუბის დროს ძალა, უპირატესობა მის მხარეზე იქნებოდა ყოველთვის თავს არიდებდა შუღლს და ცდილობდა მისივე მსგავსი ძალის მექონე მონინააღმდეგეს შეებოდა. მოჩხუბართაგანი თუ ჩხუბის დროს შემთხვევით დაეცემოდა, თავმომწონე ვაჟკაცი ამით არ ისარგებლებდა და ეტყოდა: – შენ ჩემგან ძალმორეული არ დაცემულხარო. და მერე აგრძელებდნენ შუღლს. ბოლო დროს ეს ვაჟკაციური ქმედებები თანდათან გაფერმკრთალდა და მალე სულ მიივიწყეს – სინანულით იგონებდნენ უფროსები.

ალექსანდრე და გეჯუა გამარჯვებაში მეზობლად ცხოვრობდნენ. იგონებდნენ რა ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს მოხუცები, ძალიან ხალისობდნენ.

## **ჯვარში შესვენა ანუ შაჯღომა**

მეფე ერეკლეს დროს ჭიმლაში უცხოვრიათ ძმებს იონასა და ალუდაურ გაბურებს, მიყვება ციათ მიხეილი. ალუდაური კარგი მონადირე ყოფილა. მეფე ერეკლესთვის ვეფხვის ტყავიც კი ჩაუტანია.

„ვეფხვი ვინ მაჰკალ საჯარეს, ვინ ჩახყევ სისხლის კვალზედა. ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?“

ძმებს ქისტებთანაც ჰქონიათ ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა. ქისტებს რაღაც ჯავრი ჰქონიათ იონასი და გადაუწყვეტიათ მისი მოკვლა. დაუქირავებიათ მოლალატი ქისტი ხამფია, ქისტების მზირი არხოტის ჭალაზე „საყარაულოში“ ჩასაფრებულა (დღესაც ამ ადგილს საყარაულოს ეძახიან). ხამფიას ჭიმლიდან ტკბილი სიტყვებით გაუტყუებია იონა და საყარაულოსთან რომ მისულან, ხამფიას უთქვამს: შენ გზა გააგრძელე, ფეხსაცმლის ბანარს გავი-სწორებავ და დაგენევიო. მზირთ დაუხლთ თოფები, მაგრამ იონა დავლათიანი ყოფილა – „ტყვია არ მახვედრივ, ტყეში შავარდნილა“.

ჭიმლაში იონას ხამფიას ღალატზე მოუყოლია. ხამფია დიდ საგონებელში ჩავარდნილა. მან იცოდა, რომ ღალატი არ შერჩებოდა, პირადად უნდა ეგო პასუხი. როგორც ჩანს, მან იცოდა ხევსურთა წესი – მტრის სალოცავში შეხიზვნის შესახებ, და აი, ხამფია ღამე შეიპარება ჭიმლაში, დაიმალება შამლებში, გათენებისას უცბად წამოხტება, შევარდება ჯვარში და ბანზე გადმომდგარ ალუდაურს დაუძახებს: „მიშველე ალუდაურო, თქვენ ჯვარში შემოხვენილი მტერი ვარო“. იონას თოფისთვის დაუვლია ხელი მის მოსაკლავად, ალუდაურს შეუჩრებია – რას შვრები, მტერი ჯვარში შაგვიჯდაო და ახლა „თოფის ალება“ გვმართებსო, რაც ნიშნავდა იმას, რომ სალოცავი კრძალავდა შახვენის მოკვლას. ამით გამოუსყიდია ხამფიას სიცოცხლე, გაბურთ უცილობო შურისძიებისაგან. ამას მოჰყვებოდა რჯული, ჯარიმის გადახდა და შერიგება.

მსგავსი ამბავი არხოტის ჯვარში (მიქელ-გაბრიელი) დღეობების დროს მომისმენია. არხოტიონს (ახიელელს) მოუკლავს ღილღოს განთქმული ქისტი, რომელსაც ორი ძმა დარჩენია. მათ მზირად ჩასაფრებას შედეგი რომ არ მოჰყოლია, გადაუწყვეტიათ არხოტში მალულად შესულიყვნენ.

ხევსურეთში ყველა სალოცავს აქვს ე. წ. „კვრივი“ დაულახავი (ფეხდაუდგამი) წმიდა ადგილები. არხოტის ჯვარის კვრივი ქვის კედლით ყოფილა შემოღობილი, რომლის ნაყოფილი დღესაც შეიმჩნევა. დარბაზის გვერდით „კვრივში“ შემორჩენილია ქვიტკირის ნანგრევი, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ჯვარის თას-განძი ინახებოდა. ამ ადგილების დალახვა, თვით ჯვარის გამძღოლ ხუცესსაც კი ეკრძალებოდა. არხოტის ჯვარში დღეობაზე უცნობი ქისტი „სტუმრებიც“ მიუპატიჟებიათ. შურის მაძიებლებს ძმის მკვლელი უცვნიათ და დარბაზში სკამზე მეხვეწურთ მწკრივში განგებ შუაში მოუქცევიათ. უცბად ერთმა ქისტმა წამოიძახა – „ღათ მაირო“ და ორივემ ძმის მკვლელს გაუყარეს ხანჯრები. მერე მყისიერად თავი ქვიტკირში შეუფარებიათ. ორი ახიელელი შეჰყოლია და ქისტები ამოუხოციათ. მათ არხოტის ჯვარი შეხიზნულთა ხელყოფისთვის გასწყრომია და მათი მოდგმა (შტო) საგვარეულო ხაზიდან ამოვარდნილაო – იხსენებდნენ.

## ბაბოშვილის მთიბელში

არხოტის თემში არის სოფელი ჭიმლა, რომელსაც წყალი შუაზე ყოფს, ამიტომ სოფლის მარცხენა მხარეს შეღმა ჭიმლას ეძახიან, სადაც მხოლოდ ერთი გვარი გაბურები ცხოვრობდნენ და გაღმა ჭიმლა, სადაც გიგაურები და თეთრაულები ცხოვრობდნენ.

ჭიმლაში, ბაბოთ დავითმა (დავით გაბური) მთიბელნი შეყარნა და მეც მივიღე მონაწილეობა. ვიქნებოდი თექვსმეტი წლის. მთიბელში იყვნენ ნისლაურ ჯალაბაური, უშიშა ნიკლაური, მამაშვილი მგელა და პანკისელ გიგაურები, ახიელიდან კი მე და გიგა ნაროზაული და სხვები.

დავითის სათიბი სოფლის ზევით ალპურ ზოლში დამრეცი ფერდობია. ბოლოზე კალოსხელა ადგილით. თიბვის დროს დავითმა გვითხრა, გადმოცემით, აი ამ ადგილზე დაუჭერია ეშმა ჩემს წინაპარსო. შუადღეზე მთიბელთ სადილი რომ მოიტანეს ამ ადგილზე ვისადილეთ, აქ მოგვითხრო: „შელმათ ეშმას“ შესახებ, რომელიც მანამდე გაგონილი არ მქონდა. მახსოვს დავითმა პატარა ყანწით (ხმაურსა და სიცილში) არაყი ჩამოატარა წინაპრის შესანდობარი, რომელმაც ეშმაც კი შეაცდინაო.

მისი გადმოცემით გაბურს აედევნა ეშმა. რომელიც მის ქმედებებს იმეორებდა. დადევნებია დასაჭერად და გაბურთ ეშმაც გარბის. ერთხელაც გაბური სათიბში წავიდა და თიბავს. ეშმასაც მოუტანია ხის (დგნალის) ცელი და იქნევს, ვითომ ისიც თიბავს. უცბად გაბური დაჯდა და დაიწყო საალერდე ბალახის ხელით გლეჯა (საალერდე ბალახი აბრეშუმით რბილია და თოკით დაგრეხილს აგებულ თივებს გადაახვევენ ზევიდან, გვერდებზე ქვებს დაჰკიდებენ, რომ აგებულები თივა ქარმა არ დაშალოს). გაბურმა ალერდით მაგრად შეიკრა ფეხები. ეშმამაც იგივე გააკეთა. გაბურმა თავისი ცელი ამოჰკრა ალერდს და გაითავისუფლა ფეხები. ეშმამ ხის ცელით ვერ გაჭრა ალერდი, ვერ გაითავისუფლა ფეხები. გაბურმა ეშმა დაიჭირა:

*„გაიქცა, აღარ გაუშვა, ეშმა მიაჯდა ეშმასა“.*

წამოიყვანა სახლში, დააჭრა ფრჩხილები, ჩაყარა ხმლის ქარქაშში (ფრჩხილების გარეშე ეშმა ვერ გაექცეოდა, ხმალს კი ვერ

მიეკარებოდა). ამის შემდეგ მას ეწოდა „შელმათ ეშმა“ და ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდაო.

ნაღების შედღვებას, კარაქი რომ ამოიღო, სამი-ოთხი საათი სჭირდება. ეშმა კი თუნგით ხელში ჩადიოდა სოფლის ქვემოთ ხიდთან, გადანვებოდაო ხიდზე და აშტერდებოდაო გამდინარე წყალს. რალაც წამში უცბად ჩაჰკრავდაო თუნგს წყალში, ამ წყალს ჩაასხამდა სადღვებელში და რამდენიმე წუთში კარაქით ივსებოდაო.

ახიელასა და ჭიმლას შორის არის ნასოფლარი კვირინშიდა. ძველად ამ სოფელში უცხოვრიათ შუქიაურებს, ბლოდან გადმოსულ გიგაურთა თემის ხალხს. შემდეგ ისინი გადასახლებულან კახეთში და გიგაურებად იწოდებიან. ამ სოფელში ვილაც შუქიაური გარდაცვლილა და მის დასატირებლად გამზადებულ ქალებს უთხოვიათ შელმათ ეშმასთვის, შენც წამოდიო. ვერ წამოვალო – უთქვამს – რომ წამოვიდე, ვიცი გამეცინებაო. მაინც გაუყოლებიათ. გარდაცვლილს, როდესაც მიასვენებდნენ, შელმათ ეშმას გაუცინია. უკითხავთ – რამ გაგაცინა, გვითხარიო. ეშმას უთქვამს – იქ რომ ერთი კოჭლი კაცი იყო, გარდაცვლილის ცოლმა იმ კაცზე გაიფიქრა, – „ნეტა ის კაცი მაინც არ შემირთავსო?“

ერთ დღეს შელმათ ეშმას ბავშვებისთვის უთხოვია, ხმლის ქარქაშიდან წამოუყრევინებია ფრჩხილები, დაუკრეფია და გადაკარგულა.

მამაჩემის გადმოცემით, აგრძელებს დავითი – „ეშმას დაუგულვებია რა თავისთან ფრჩხილები, დაუწყევფივართო, – „ნუმც ამოსწყდებითო და ნუმც გამრავლდებითო. ამის შემდეგ გაბურთ გვარი სამი-ოთხ კომს აღარ გასცდენიაო; ამიტომაც ჩვენ უკაცურთ გვეძახიანო“ – დაამთავრა მან.

ამ სტრიქონების ავტორს არა ერთხელ მოუხმენია არხოტში, თვითბესარიონ გაბურისაგან ფანდურზე ლექსობისას – „უკაცურთ გვმართებს მღერაო“, როგორც გულის გასამხნევებელი საგა.

## სმენითი პალუცინაცია

\*\*\*

მოგეხსენებათ, ყველა ხევსური რომელიმე სალოცავის ყმად ითვლება და მთელი ცხოვრება მას ემსახურება. ხვთისო ცისკარაული, არხოტის ჯვარს (მიქელ-გაბრიელი) ლოცულობდა და ერთ-ერთ ძლიერ მორწმუნედ ითვლებოდა. თუმცა შემდეგ მოხდა ის, რამაც ხვთისოს გული აუცრუა სალოცავის მიმართ და აუგადაც კი იხსენიებდა მას, მანამდე ანდრეზადაც კი არავის მოესმინა სალოცავისადმი სამღურავი.

როგორც მიყვებოდნენ, ერთხელ ხვთისო სოფ. ამლიდან ნაქეიფარი წამოსულა და „საეშმარუვ“ (ადგილია) ბუსნოზე ჩასძინებია, აი აქედან გაღვიძებისთანავე მას ესმოდა სხვადასხვა ხმით ლაპარაკი. ამ დროს არხოტში გადავედი, ვინახულე, ბევრი ვილაპარაკეთ, მომენტებში შეჩერდებოდა, მიაყურადებდა და მეტყოდა – ახლა შენზე მელაპარაკებიანო. მომიყვა ლექსიც, რომელსაც „უჩინმაჩინი“ (ხვთისოს სიტყვებია) ჩემს შესახებ თხზავდა. მისი აზრით ეს სატანჯველი მისმა სალოცავმა მოუვლინა, რისთვისაც თვითონაც აგრესიულად განენყო და უხამსი სიტყვებით მოიხსენიებდა. სოფლელები კი, ჯვართ უკმეხი ხსენებისათვის ხვთისოს არანორმალურ კაცად მიიჩნევდნენ.

ბოლოს მდგომარეობა ისე გართულებულა, რომ იგი თბილისში ცნობილ ფსიქიატრ გაიოზ შარაშიძესთან ჩამოუყვანიათ. ხვთისო მას არხოტიდანვე იცნობდა. ნოდარ ანდლულაძე ხშირად ამოდიოდა არხოტში ჩვენთან სტუმრად. მას მოჰყვებოდნენ გაიოზი და ქალაქელი სხვა სტუმრები.

ნოდარის გადმოცემით, არხოტისაკენ ერთ-ერთი მგზავრობის დროს ქალაქელებს როშკიდან ხვთისო დამგზავრებიათ. მათ მიერ ცხენებზე აკიდებული ბარგი პანტა-პუნტით ცვიოდა თურმე. ხვთისოს შეუმჩნევია, რომ ქალაქელებს უჭირდათ ცხენების რამოდენიმეჯერ აბარგებ-ჩამობარგება. არ მიუტოვებია ისინი და ღამე ჩამოიყვანა ჩვენთან. იხსენებდნენ, იგი რომ არა, არხოტის მთაზე მოგვიწევდა ღამის გათევავო. ამის შემდეგ ხვ-

თისოს მიმართ სტუმრები დიდი სიმპათიით განეწყვენ. ნოდარი ამბობდა – „ადამიანს ისე ვერსად ვერ შეიცნობ, როგორც მგზავ-რობისას და ისიც არხოტის მთებში“.

გაიოზთან მკურნალობის დროს, საავადმყოფოდან გავიპარე, იხსენებდა ჩემთან ხვთისო, თბილისში გასავალ-გამასავალი (მისი სიტყვებია) არ ვიცოდი. რომელიღაც ქუჩაზე აღმოვჩნდი, მინდა მეორე მხარეს გადავიდე მაგრამ მანქანები შურდულივით დაქრიან და აუცილებლად რალაც დამეჯახებოდა. ამ დროს ყურებში ჩამესმა შენი ძმის (გოგი ქიბიშაური) ხმა, გაჩერდი ქუჩა არ გადაკვეთო. შევყოვნდი და ჩემი მაძიებელი ექიმებიც თავზე დამადგნენ და დამაბრუნეს საავადმყოფოში. თქვენი სალოცავის (სამება, კარის მეზობელი) ნებით ჩამესმა ყურში გოგის ხმა, რამაც სიკვდილს გადამარჩინაო. ამის შემდეგ იგი ჩვენს სალოცავს დიდი პატივით მოიხსენიებდა და სადიდებელსაც იტყოდა.

ყურებში მსგავსი მოჩვენებითი ხმები ესმოდა ბაბუათ გაბრიელსაც (ოჩიაური). განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ გაბრიელის ტანჯვამ თუ თვეები გასტანა, ხვთისოს გამოჯანმრთელებას წლები დასჭირდა.

გაბრიელი მიყვებოდა, – „ჩემი რძალი არდოტიდან (შატილის თემი) არის და მძახლებთან მოსაკითხად არყით წავედი. მოკეთებმა თბილი შეხვედრა მომიწყვეს და იმ საღამოს გათენებამდე ვიქეიფეთ. როდის დავნექით დასაძინებლად, კარგად არც კი მახსოვს. გამელვიძა, დღეა და მესმის ჩხუბის ხმა. ვილაცებები ერთიმეორისკენ იზიდებიან დედის გინებით. ტახტში მხარი კი წამოვიგდე და მოვიდა ჩემი მძახალიც. მაშინვე მას ვუთხარი ვინ ჩხუბობსო? „არც ვინ ჩხუბობსო, მითხრავ, რა მაგდისავ“. აი მას შემდეგ ყურებში მესმოდა ხმამალალი ლაპარაკი, რამაც დღე მოსვენება და ღამე ძილი დამაკარგვინა.

მოგეხსენებათ, ექიმთან მისვლა ყველას ეზარება, მაგრამ გადავწყვიტე, მასთან ბარისახოში გადავსულიყავი. დილით ცხენი მოვიყვანე, უნაგირი დავადგი და წავედი არაგვის წყალზე თავის დასაბანად (ე. წ. არაგვისწყალა ნეთხიჩოდან, სანადირო „ჩამაგეს“ ყინულებიდან მოედინება). ცივმა წყალმა თავი ძალიან გამიყინა.

დავბრუნდი და ცხენთან მისვლამდე შვევა ვიგრძენი. მივაყურადე და ყურებში ლაპარაკი და ხმაური აღარ მესმოდა, რამაც რამდენიმე თვე გამანამა. ცხენს მოვხადე უნაგირი და მას შემდეგ ყურებში ხმაური გაკვრიტაც კი არ გამლანდებიაო. შემანუხა მომაბეზრებელმა კითხვებმა „რით მოირჩინე თავიო?“ დაამთავრა გაბრიელმა.

მათი გადმოცემით, სმენითი ჰალუცინაციის გამო, რიგ შემთხვევაში შიშსაც განიცდიდნენ. საბოლოოდ ორივესთვის გაურკვეველი დარჩა მათი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები. ღმერთმა აცხონოს ორივე.

## არხოტის დაუქლეველი პროზეა

ხევსურეთის და კერძოდ არხოტიდან მეკომურთა კახეთისა და თიანეთის რაიონებში გულსუნადინო ჩასახლება უხსოვარი დროიდან სახნავ-სათიბი ადგილების უკმარისობით აიხსნებოდა. ძმები იყრებოდნენ, იქმნებოდა ახალი ოჯახები, მათი ისედაც მცირე და მწირი სამეურნეო მიწები იყოფოდა და ქუცმაცდებოდა. ხიზანა ნაროზაულისაგან გამიგონია, ახიელაში სამოც კომლს მოვესწარიო. ჩემ დროს კი, ვიდრე კომუნისტები არხოტს წირვას გამოუყვანდნენ, თვრამეტი კომლი (მეკომური) ცხოვრობდა. თითქმის ყოველწლიურად ხდებოდა ყანების სამანის (საზღვრის) გადაწვევა-გადმონევა და ამ ნიადაგზე უთანხმოება ძმებს შორისაც კი. აქედან ადვილი წარმოსადგენია სამოც-კომლიან ახიელელთა არსებობისათვის ბრძოლა. გაჭირვებაში ჩავარდნილები, როგორც იტყოდნენ, – მთა-ბარს აწყდებოდნენ. ვინ მრავალი ათეული კილომეტრით დაშორებულ ძაუგიდან ზურგით ფქვილს ეზიდებოდა და ვინ საჯიხვე ტერლის სუბალპურ ფერდობზე ხნავდა ქისტების თავდასხმის მუდმივ მოლოდინში. მათ ერთ ხელში სახენივლის ერქვანი უნდა სჭეროდა და მეორე ხელში ჩახმახზე შეყენებული თოფიო, მიყვებოდნენ უხუცესები: „ურჯულოს ედეგ ძალზედა, ტერლას თესევი ქერსაო?!“

გამოფიტულ ნიადაგზე მარცვლოვან კულტურებიდან ითესებოდა: ქერი, ქერის ნაირსახეობა ოთხკუთხა ჩარათი, რომელსაც

მხოლოდ ჭიმღელები თესავდნენ, შვრია (ჭიშქენი), ჭვავი (სვილი). ჭვავი ითესებოდა როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო. საშემოდგომო სვილი შემოდგომით ითესებოდა, რათა მარცვალს გაღვივა ზამთრის დადგომამდე მოესწრო და თოვლის ქვეშ გამოეზამთრა, ამიტომ იგი ქერის ყანების შემოსვლამდე იმკებოდა. იზრდებოდა მაღალი და მკიდნენ დიდი, თავისებური მოყვანილობის ე. წ. სასვილე ნამღვით, რომლის დროსაც მომკალს მარცხენა ხელის საჩვენებელ და შუა თითზე წამოცმული უნდა ჰქონოდა თითის ფორმის, ოდნავ მოხრილი ხის სათითეები, იკვრებოდა პატარა (წვრილი) ძნები. ხის მორზე გაანყოფნენ ბრტყელ სიპებს, შეჰყრიდნენ ე. წ. სვილის მბერტყავთ და ძნის თავთავიან მხარეს ძლიერად ურტყამდნენ სიპზე. ბოლოს ხელჯოხებით ჩეჩქავდნენ მარცვლის მოსაცილებლად.

ორმოციან წლებში, არ მახსოვს საიდან, მამაჩემმა მოიტანა სამკუთხა თესლი, რომელსაც კრუმპას ეძახდნენ. მეზობლებშიც გავავრცელეთ. გემრიელი, მაგრამ ნახშირივით შავი პური ცხვებოდა. დიასახლისებს, განსაკუთრებით სტუმრებთან, ტაბლაზე მისი მოტანა ეკრძალებოდა, ამიტომ მან როგორც იტყვიან, არხოტში ფეხი ვერ მოიკიდა, მერე გაირკვა, ეს საქვეყნოდ ცნობილი წინიბურა ყოფილა.

ზემოსხენებულ მცირე და მწირ ნიადაგს გვალვაც ემატებოდა, რომელიც მოსავალს ანახევრებდა. მოხუცი ქალებისაგან მომისმენია: „დიდი გვალვების დროს კაცნი და საქონნი ერთნაირად ვშიმშილობდითო. ყანები ისე გადაიბუგებოდა, რომ ნამგლით კი არა, შიშველი ხელებითაც ძლივ ვპორჭყნიდითო, ხოლო ცელი ნამხრევიდან ქალინსაც (მოთიბული ბალახის ზოლი) კი ვერ აბამდაო: თიბვა-მკას ხალხი მაინც იმედიანად ხვდებოდა:

*„როგორ კარგია ის დროი, ილასტებოდას ქერია,  
ბარში ჩქამობდას ნამგალი, მთაში ელავდეს ცელია”.*

ამინდის შეცვლას მაშინაც ელოდნენ, როდესაც ვერძის ტყის გორ ნისლის კოტორი გაჩნდებოდა, ხოლო ღრუბელი კორომათ (სათიბი მთა) თავზე გადადენას დაიწყებდა:

*„ნისლო, რად იცი ტიალო, მთებისად გადაფენაო,  
ღრუბელი ერთად შეყრაი, კორომათ გადადენაო“.*

სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხის იმედი ისევ სალ-ოცავი რჩებოდა, ამიტომ იყო, რომ თემის სახელით გაზაფხულზე არხოტის ჯვარში ე. წ. სადარავდრო საკლავი ყოველწლიურად იკვლოდა. ცრუმორწმუნე უიმედონი კი გამოსავალს თვითონაც ეძიებდნენ.

გარსია ოჩიაურის გადმოცემით: „ძველად, დიდი გვალვების დროს, სოფელში ვინმე წვიმის მომლოდინეს, ღამე დედიშობილა (გახდილს) ჩუმად თავის სახლის ირგვლივ სამჯერ უნდა შემოერ-ბინა. სცოდნიათ აგრეთვე გველ-მყვართ (ბაყაყი) დაჭერა და კავკასიის მთავარი ქედიდან სამხრეთის (პირაქეთა ხვესურეთი) მხარეს გადაყრა ამინდის შეცვლის მიზნითო. არავინ იცისო ეს ღიმილის მომგვრელი მათი ქმედებანი რამდენად უმართლებდომ მათ, მაგრამ დაუმორჩილებელი კაცის ფანტაზია კი უსაზღვრო ყოფილაო“ – დაამთავრა მან.

გვალვების გარდა, თუმცა იშვიათად, ხალხს ანუხებდა შემოდ-გომაზე ტემპერატურის უეცარი ვარდნა. მოხუცი ქალებისა-გან გამიგონია: „კა სთველი ას თუ ყანან არ ჩამოგვითოვნ“. და მართლაც, ზოგჯერ შუა მკაში, სექტემბერში, არემარე თოვლით იფარებოდა და ჯერ კიდევ ნახევრად მოუმკალ ქერის ყანებს მიწაზე აწვენდა, ხოლო ძნებს თოვლისაგან ცოცხით ბერტყავ-დნენ, რაც საშემოდგომო სამუშაოებს აფერხებდა და კალოობა იანვრამდე გრძელდებოდა. მახსოვს, ამ დროს თოვლიან ძნებს შორის შეყუჟულ მწყერებს ხელით როგორ ვიჭერდით.

მთის სახნავ-სათიბი მიწების სიმცირე, კლიმატური პირო-ბები, მტრის მუდმივი თავდასხმის მოლოდინი და ბევრი სხვა არის მიზეზი არხოტის დაცარიელებისა. მთავარი კი მაინც საბ-ჭოთა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგია.

## ფანტიაურა

არხოტში ვისაც შედარებით ბევრი ცხვარ-საქონელი ჰყავდა, მარტო კაცი იყო და საქონლის საქმლის (თივის) დამზადებას ვერ აუდიოდა, ყოველთვის მთიბელთ მოუხმობდა. წინა დღით თემებიდან და სოფლიდან ახალგაზრდებს დაპატიჟებდა და ვისაც დრო ჰქონდა მეორე დღეს თავისი ცულებით მასთან იყრიდა თავს. ყველა თავის ცუელს აქებდა. იყო შეჯიბრიც, მეტოქე თუ იმდენად მოგიახლოვდებოდა, რომ ფეხებზე ქალინს (მოთიბული ბალახი) მოგაყრიდა, წაგებული იყავი. შუადღეზე მოჰქონდათ ე. წ. მთიბელთ სადილი, ქადისკვრებს ცოტა არაყსაც მოაყოლებდნენ და იმართებოდა ხანმოკლე პურობა, ხოლო დიდ მთიბელთ სადილს მასპინძელი ზამთარში აწყობდა, არაყს გამოსწურავდა, საკლავს დაჰკლავდა და მთიბლებს მოუყრიდა თავს. ამ ქეიფში მასპინძელს უფლება არ ჰქონდა, მთიბლების ნებართვის გარეშე ვინმე „უცხოს“ დაპატიჟებისა.

ათი წლისამ ავიღე ცელი. პატარა, ხუთი ნომერი მეხის პირიანი (მჭრელი) გამოდგა და მთიბლებში დაპატიჟებას სიხარულით ვხვდებოდი. პირველად ამდელ გერმანია ნიკლაურის მთიბელში მივიღე მონაწილეობა თათხელ, მთის ფერდობზე. მახსენდება მთიბელთ სადილობისას ჯირჩლათ ბერდიას (ნიკლაური) მონათხრობი: „ახლა ცელი ყველა მაღაზიაში რომ იყიდება, ძველ დროში კარგი ცელი ნატვრის თვალისით საქებნელი ყოფილაო. პაპაჩემის გადმოცემით, ცულებს სათიბი მთებიდან ღამე იპარავდნენო. ერთხელ ხმა გავრცელებულა, არხოტიონთ ცულებს მთიულ-გუდამაყრელები იპარავენო და აი, რამდენიმე ახალგაზრდა სამაგიეროს გადახდის მიზნით წასულა. გუდამაყრის მთებში მთიბელთათვის მოუკრავთ თვალი და იქვე ტყეში „დაბანაკებულანო“, ერთი სხვებს ექადნებოდა და ხმამაღლა ყვიროდა, – „მოვიდა, მოვიდა ფანტიაურაო!“ ღამე მათი დანატოვარი ცულები წამოუღიათ და ტყისთვის შეუფარებიათ თავი. მეორე დღით ადრე მოსულმა სხვებს დაუძახა: „წაუღია, წაუღია ცულები და ფანტიაურაც თან გაუყოლებიაო“.

ამ ამბავს მთიბლებში ხშირად ყვებოდნენო, – დაამთავრა ბერდიამ.

## ღამისთევა

მე პატარა ვიყავი, მამაჩემმა რომ გამართა ღამისთევა. არ მახსოვს ეს ქადაგ-მკითხავთა რჩევით იყო თუ სალოცავის მომიზეზებით. ოჯახი ზოგჯერ თავისი სურვილითაც მართავდა ღამისთევას. ღამისმთეველი წინასწარ ადუღებდა ლუდს, გამოხდიდა არაყს. ჯვარიონთ წინასწარ დაუნიშნავდა ღამის თევის დღეს, ხოლო მანვერად კი გაგზავნიდა ოჯახის წევრს ან ვინმე ახლობელს. ჯვარიონნი, დასტურ-ხელოსნები დამედროშედროშით ნამოვიდოდნენ ღამისმთეველთ ოჯახში, ხოლო ღამისმთეველი მათ გზაში ლუდიან სანდით შეეგებებოდა. სოფელში მოსულნი ავიდოდნენ მაღალ ბანზე. მედროშე ბანის კუთხესთან დროშის ტარით ჯვარს გამოსახავდა და დაამაგრებდა. ღამისთევის დროს რამდენიმე სალოცავს დაპატიჟებდნენ და ყველა თავისი დროშით მოდიოდა.

მახსოვს ჩვენს ბანზე სამი თუ ოთხი დროშა ფრიალებდა და ამდენივე საკლავი (ბატკანი) დაიკლა. შემდეგ ჯვარიონნი ღამისმთეველთ წყალობას ეტყოდნენ: „ღამისმთეველნო, გწყალობდასთ მონვეულ სალოცავები, გიშველასთ, ნუ შეგანანასთ ზღნობაი-ყმობაი, ანგელოზთ სტუმრობაი“. ტაბლაზე ქადეზზე დააკრავდნენ სანთლებს, მოიხსენებოდა მონვეული სალოცავები და იკვლებოდა საკლავები. ცოტას დაღევდნენ, დაილოცებოდნენ და ჩავიდოდნენ ჭერხოში. აქაც სამფეხა ტაბლაზე დაალაგებდნენ საღამისმთევლო ქადეზს სანთლებით და ჩამოურიგებდნენ ლუდიან თასებს. ხუცესი დაამწყალობებდა ოჯახს. და იწყებოდა ქეიფი. მეორე დილით ღამისმთეველი მასპინძელი „სანირს“ მიუტანდა: სამ ქადაზე დაკრულ სანთლებით, ტაბლაზე იდგმებოდა ლუდიანი თასები. მედროშე ერთხელ კიდევ წყალობას ეტყოდა ოჯახს ლუდიანი კოჭობით. ამის შემდეგ იწყებოდა ცეკვა-სიმღერა. დღის მეორე ნახევარში კი ჯვარიონთ გაისტუმრებდნენ.

მახსენდება უფროსების მონათხრობი, თუ ძველად, ღამისთევის დროს, როგორ ხდებოდა ქალის დანიშვნა.

ხელოსანს ან დასტურს, რომლებიც ღამისთევამი მონაწილეობდნენ და სახუცო კოჭობი ებარათ, ჯიმ-ჯილაგითა და სილამაზით ცნობილი გოგო თუ მოენონებოდა შეეძლო დაენიშნა შვილზე, ან ძმა – ბიძაშვილზე. ამისათვის სახუცო კოჭობში თეთრს ჩააგდებდნენ და იქვე გამოაცხადებდნენ: „გაიგონეთო ყველამ, დღეის შემდეგ ეს ქალი ჩვენი დანიშნული და ხელდადებულიაო” და მოწვეულ სალოცავის სახელით დალოცავდნენ. მშობლები ალბათ ჯვართ ხატრით თავს იკავებდნენო, მაგრამ გადმოცემით ახალუხალი აღუდგაო წინ ამ წესს, რომელიც ამჟამად მხოლოდ ამბადაა შემორჩენილიო.

## საღმთო

საღმთოს მესაღმთოე, ისე როგორც ღამისთევას, თავის სახლში ატარებდა. იმ დროს თუ მესაღმთოე ოჯახს კარგი რამე ენეოდა: პირველი ბიჭი გაუჩნდებოდა, თუ გოგონებს ბიჭი მოყვებოდა და სხვა. გახარებული მამა თავის სალოცავს საღმთოს შეუთქვამდა. ლუდს აღულებდა და არაყს გამოსწურავდა. წინასწარ დაპატიჟებდა მოკეთეებს, ნათესავებს, მეგობრებს. როცა შორეული ნათესავები მოვიდოდნენ, მასპინძელი სოფელს დაპატიჟებდა. ხუცესს მოიყვანდა და სანთელდაკრულ, ლუდიან კოდს გაახსნევინებდა. ხუცესი შეუსახელებდა: „მესაღმთოენო-ანგელოზნო, ღმერთმა გადიდასთ ამ კოდ-საფურაზედ, წყალობა მიეცი მესაღმთოე-მეხვეწურთ, თავის გულისა უყავი”. ოჯახს წყალობას ეტყოდა. შორეული სტუმრები თუ მოწვეული სოფლელები. იკვებოდა წინასწარ შესახელებული საკლავები, იმლებოდა სუფრა და იწყებოდა ქეიფი. საღმთო ხომ თავისთავად ზეიმსა და გართობას ნიშნავდა. მეორე დღესაც სოფლის ახალუხალი დილიდანვე მოიყრიდა თავს მესაღმთოე ოჯახში და სტუმრებთან ერთად ერთობოდნენ. ბოლოს კარახანებსაც გამოსცლიდნენ და მასპინძლები სტუმრების საამებლად დაამღერებდნენ:

*„სტუმრებო, სტუმრების მზესა, უსტუმროდ არა ლხინია,  
უსტუმროდ პური, სასმელი, მწარე ას, არა ტკბილია“.*

სტუმარი თავის მხრივ შეუმღერებდა:

*„მე ლუდოვეთით წამოვედ, აქ უფრო ბევრი მდგარაო,  
უკეთ-უკეთი სტუმარი, ყველა თქვენს სკამზე მჯდარაო,  
გცოდნიათ კაი ნამუსი, ხალხი ა იმით მთვრალო“.*

საღვთოში დიდი და პატარა ყველა ერთნაირად ერთობოდა. ალბათ, ამიტომაც, ჩხუბი ამ დროს იშვიათობა იყო.

## **ჯვარში მიბარება**

ჯვარში პატარა ვაჟების მიბარება ხდებოდა დღეობების დროს. მახსოვს, ახიელაში ტყეთავ, მთის ვეშაგ მთავარანგელოზის სახელზე აშენებულ კოშკთან ათენგენობაზე თავი მოიყარეს ცისკარაულების და ნაროზაულების მეხვეწურებმა. ხიზანამ მოიყვანა შვილიშვილი, ერთი წლის ირაკლი. ხუცესმა ხუცობის შემდეგ პატარა ხელში აიყვანა, მწვანე მოლზე დასვა და კოშკის ფუძესთან ხელით შეაგორა. ჯვარიონმა პატარა დაამწყალობნა და სალოცავს მისი მფარველობა შესთხოვა. მაშინ თორმეტი წლისა თუ ვიქნებოდი, ამიტომ ეს ამბავი ლანდივით მახსოვს.

## **თავ-მასაპარსო**

ერთი წლის ბავშვს, ვაჟს, მშობლები უხდიდნენ თავ-მასაპარსოს. ოჯახი ადუღებდა ლუდს, ან არაყს გამოხდიდა. დაპატიჟებდა ახლობლებსა და მეზობლებს. ტაბლაზე გაანყობდნენ ქადებს სანთლებით. ხუცესი ამწყალობებდა პატარას და ახვეწებდა თავის სალოცავს. თავის ხმას უერთებდა სუფრის ყველა მონაწილეს. ხუცესი პატარას საპარსველით მოაჭრიდა თმის პატარა ე. წ. კეჭას, რომელიც სახლში ინახებოდა. მერე დასვამდნენ შუა

ქაზდარში, გარშემო შემოუნყოფდნენ თოფს, ხმალს, ნიგნს, მათ-რახს და სხვა. ბავშვი რომელ საგანსაც პირველად წაეტანებოდა, ვითომცდა დიდობაში მისდამი ინტერესი გამოუჩნდებოდა.

წვერ-ყბის მასაპარსოს ჭირის პატრონიც აკეთებდა. გარდაცვლილს მთელი სოფელი იგლოვდა. მით უფრო თუ ახალგაზრდა იყო. ოთხი ან ექვსი კვირა წვერს უშვებდნენ გლოვის ნიშნად. მერე მგლოვიარე ოჯახი არაყს გამოხდიდა, წვერ-ყბიანებს დაპატიუებდა, წვერს გაპარსავდნენ. ოჯახის უფროს კაცს ეტყოდნენ: – ღმერთმა სამგლოვიარო ნულარა მაგცასთ, ნურც სახლშიად, ნურც ძმა-ბიძაშვილებში. ჭირის პატრონი კი, თუ ახალგაზრდა იყო დაღუპული, წლისთავამდე, საქნარამდე, არ იპარსავდა წვერს.

## დაკოჭვა

არხოტში ზოგჯერ კაცზე თუ ქალზე, მათი ქცევის გამო იტყოდნენ: ეშმათ დაჭერილიაო. ზოგი უცნაურ ლაპარაკს, ბოდვას დაიწყებდა. სხვა მძინარე ადგებოდა და სადღაც გარბოდა, თვითმკვლელობის სურვილი უჩნდებოდა, უცნაური ლაპარაკი ესმოდათ. იტყოდნენ: ეშმა ქალებს უფრო იმორჩილებსო. იარალიან კაცებს კი გაურბისო. მახსოვს მექოხეს ჩვილი ბავშვით ხელში თოფმომარჯვებულები სახლამდე როგორ მიაცილებდნენ.

ავადმყოფის პატრონი მკითხავთან წავიდოდა. ის ეტყოდა უფრიან (ეშმაკიან) ადგილებში ავი სული აპყოლია, ჯვარში დააკოჭვინეთო. ავსულებიან ადგილებად მოიაზრებოდა საეშმაო რუ, ეშმაის კლდე და სხვა ადგილები. ავადმყოფის პატრონი დღეობის დღეებში ჯვარის კარ საკლავით ავადმყოფს ჩაიყვანდა, ხუცესი საკლავის სისხლს დროშასაც უწევდა, ავადმყოფს დროშით ხელში სამჯერ შემოუვლიდა და დაკოჭავდა.

იტყოდნენ, ყველა სალოცავს უფლება არა აქვს ეშმათ ალაგვმისაო. დაკოჭვის შემდეგ მას სალოცავი დაეპატრონება და ავსულებს განდევნისო.

## დობილი

არხოტის ჯვარს „ლაშქარ-მწევართა“ და „დობილთა“ სახით ღვთის დამხმარე მსახურებიც ჰყავდა, რომელთა წმინდა საბრძანისი ჯვართ სათიბეში იყო ნიშის გარეშე. ამ ადგილის დალაზხვა არავის შეეძლო თვინიერ დასტურ-ხელოსნებისა. მათ სადიდე-ბლად აქ იკვლებოდა თიკან-ბატკანი. „ლაშქარ-მწევართ“ ხელი უნდა მოემართა მეკოპარში და სამზირლად წასულ მეომრისათვის, ხოლო განანყენებულ დობილთ შეეძლო ბავშვების ავად გახდომა: პატარებს გვაფრთხილებდნენ – დილით მზის ამოსვლისას ან საღამოთი მზის ჩაბრძანებისას ჯვართ სიახლოვეს მის სხივებში არ მოვხვედრილიყავით, რაც დობილთაში გახვევას (მოყოლას) ნიშნავდა და მათი ავად გახდომა გარდუვალი იყო. მშობლებს ეს რომ აეცილებინათ, „ლაშქარ-მწევართად“ თიკანი ან ბატკანი უნდა დაეკლათ, ხოლო დობილთად აშალი დაეშალათ. ამიტომ დობილთ, პატარა, სიფრიფანა ხელისგულისოდენა კვერებს უცხოობდნენ, რომელსაც აშალს ვეძახდით. ოთხმოცდაათი წლის მზექალა ქიბიშაურის გადმოცემით, – „თხუთმეტი სამჯერ რამდენია იმდენ აშალს ვაცხოზდითო“. მასთან ერთად აცხოზდნენ ერთ ე. წ. სანინაოს, რომელიც ხაჭაპურის სიდიდის ყველიანი იყო. ბავშვები ჟივილით მოვიყრიდით თავს ჯვართან, გალავნის გარეთ, და ხუცესი ინყებდა ნაკურთხი აშლის დაშლას. პირველად სანინაოს გადმოაგდებდა ჩვენს მხარეზე. მას, ჩვენს შორის ვინც ხელმარდი იყო, პირველად ის სტაცებდა ხელს, რაც საპატიოდ ითვლებოდა და მერე გადმოშლიდა აშალს, ბავშვები, რაც შეიძლებოდა სწრაფად ვკრეფდით და მიგვექონდა სახლებში.

აშალი „დობილთ“ კეთილგანწყობის მიზნით იშლებოდა.

## სამეშველო

ხევსურეთში, ხანდახან, ავადმყოფის სამკურნალოდ ექიმის მონატრებულები სალოცავებს ვთხოვდით შენდობას და იკვლებოდა ე. წ. სამეშველოები; ხოლო რიგ შემთხვევაში, ბავშვი თუ მოზრდილი, როდესაც სიკვდილის პირას აღმოჩნდებოდა (როგორც იტყოდნენ, უკვე გადადებული იყო), მაშინ სოფლის სახელით საერთო სამეშველო იკვლებოდა (დიდიაო სოფლის უღური).

ერთხელ ახიელაში, ბაბუათ გაბრიელის (ოჩიაური) სამი-ოთხი წლის გოგონა მოულოდნელად, ნებნესივრად (უმიზეზოდ) ავად გახდა, ისე რომ მწოლიარე ბავშვი ტკივილებისაგან ფითრდებოდა. იგი მხოლოდ მაშინ ყურდებოდა და იძინებდა, როდესაც ხელში აყვანილს ვასეირნებდით. ბავშვის (სახელი არ მახსოვს) ტანჯვა თანდათან აუტანელი ხდებოდა და სოფელმა გადანყვიტა საერთო საკლავის სახით, არხოტის ჯვარში სამხვეწროს დაკვლა. მაშინვე მოიყვანეს ჭედილა, რომლის ყიდვაშიც სოფლის ყველა მეკომურმა თავისი წილი შეიტანა, როგორც მაშინ მიყვებოდნენ, მათი აზრით, სოფლის სახელით დაკლულ სამეშველოს უფრო მეტი წყალობის მოტანა შეეძლო, თუმცა ჩვენი მცდელობა ამოგამოდგა, პატარა ვერ გადავარჩინეთ.

## ნათელ-მირონი

ხევსურეთში ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ერთი და იგივე პიროვნებები, ყოველ შეხვედრაზე ჩხუბობდნენ და „ჩეხდნენ“ ერთიმეორეს. არხოტში ასეთი წყვილი იყო ახიელელი არჩილ ოჩიაური და ჭიმლიონი ბაბოთ დავითი (დავით გაბური). მათი შეხვედრა ყოველთვის ჩხუბით და დაჭრით მთავრდებოდა. ამ შემთხვევის დროს ხალხი ცდილობდა მათ დაძმობილებას. ძმობილები ფიცვერცხლს ველარ გატეხდნენ, ან ნათელ-მირონი უნდა ჩარეულიყო. ამ შემთხვევაში მათ ისიც კი ევალებოდათ, რომ სხვებთან ჩხუბის დროს ერთმანეთი დაეცვათ.

მოხდა ისე, რომ დავითმა არჩილს ბავშვი მოუნათლა. მას შემდეგ წესისამებრ ნათლია ნათლულს მიაკითხავდა, მოინახულებდა და ნათლული ნათლიას. ამის შემდეგ მოშულლარებს შებრუნებული სიტყვაც კი არ უკადრებიან ერთმანეთისთვის. გაბურთ გვარი ძალიან პატარაა და ჩხუბის დროს დავითს მხრის დამჭერი არავინ ჰყავდა. ამასთან დაკავშირებით გაბრიელ ჯაბუშანურს გაუღექსებია:

*„დამიდგა ლექსის საითი, ფანდურს ჩამოვკარ ხელია,  
მიიღე, დედის ერთაო, ჩემგან სალამი წრფელია,  
შენთვის ლექსის თქმას ვაპირებ, მეორემესამე წელია,  
ნინ-ნინ რომ გავა ხალხშია, კაც უძმაშინშო ძნელია,  
სუყველა იმას ეცდება, მასზე აღმართონ ხელია,  
იტყვიან დავიჩოლობოტოთ ერთი არაის მქნელია,  
მაშინ ჭირდება ერთასა, ქაჯისთმიანი მჭრელია,  
გული ქვასავით მაგარი, მარჯვენა დაუღლეელია,  
ბევრჯელ დაღლახენ, ვაჟკაცო, სანადირონი კლდენია.  
თავს დაგკიოდა გრიგალი, დაბლა ხუოდეს კლდენია,  
იხოშებოდეს ქარშია, ლალის არწივის თბენია“.*

## **„შავწყლურა“ და „რქაბედნა“**

სანადირო „შავწყალი“ ერთ-ერთი ყველაზე სარისკო და, როგორც არხოტში იტყოდნენ, „თავმკიდებარი საჯიხვეა“. იგი ღილღოს მხარეზე მდებარეობს და ქისტებთან მტრული ურთიერთობისას ბევრი მონადირე იქ ნადირობისაგან თავს იკავებდა.

*„პირიქითისკე შავწყალო, ფერი გძე სიმაგრისაო,  
გადმადის არხოტივინები სანადიროო სხვისაო...“*

აი, ამ საჯიხვეში მონადირე არჩილ ოჩიაურმა შენიშნა ჯიხვი, რომელიც თურმე ტანისა და რქების სიდიდით გამოირჩეოდა. ყველა ცნობილი მონადირე დაიძრა მის ჩამოსაგდებად. ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო არჩილ ოჩიაურმა მოინადირა. არჩილი ყვებოდა: – დაჭრილი „შავწყლურა“ ველარ მიდის. ტყვიებ-

იც გამითავდა. კლდეში, დაჭრილ ჯიხვთან ახლოს მისვლა არ შეიძლება. მომაკვდავმა შეიძლება რქებით კლდიდან გადმოგჩიხოს. ამიტომ ვცდილობდი შედარებით უსაფრთხო ადგილას გამეყვანა. ბოლოს ურსით (დიდი დანა) მოვუღე ბოლო. პირველად დავინახე ნადირის თვალეზე ცრემლი. ჯიხვი ტიროდა. ეს ისეთი გულსაკლავი რამ იყო, რომ რამდენიმე წლით ნადირობაც კი მივატოვე – იგონებდა არჩილი.

მისმა რქებმა არხოტის ჯვარის დარბაზის კეზზე ჯგროდ ასხმული ყველა სანაქებო რქები დაჩრდილა, რითაც თავი მოჰქონდათ მონადირეებს.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გადავედი არხოტში. ამ დროს სოფლები თითქმის დაცლილი იყო და თითო-ოროლა კაცი თუ იყო შემორჩენილი. ამით ისარგებლა ვილაც გარენარმა, საუკუნოვანი ჯიხვის რქები დარბაზის კეზიდან ჩამოსხნა, აჰკიდა ცხენს რქებით სავსე ტომრები და მიიპარებოდა. მისთვის თვალი მოუკრავს გაბრიელ ოჩიაურს. დასწევია, ნაურთმევია და იქვე ადგილზე ნეთხებზე წამოუცვია. მეორე დღით გაბრიელს მხოლოდ რქების ნეთხებილა დახვედრია. როგორც ჩანს ქურდმა ცირცლოვანას დაიღამა, დაბრუნდა უკან, ნააძრო ნეთხიდან საყანწე რქები და წაიღო. რაც დარჩა, ისიც სხვებმა გაზიდეს. და დარჩა გაპარტახებული ერთ დროს ულამაზესი ჯვარ-ჯვარის კარი.

ქისტების სოფელ ნეთხის მიდამოებში სანადირო „ჩორეხია“, რომელიც როგორც „შაფწყალი“, ქისტების მხარეზეა და ქისტები ნადირობენ. არხოტელ მონადირეს წინასწარ ღურბინდით დაზვერვა მართებდა, რათა მოსისხლე ქისტს არ გადაჰყროდა. არჩილ ოჩიაური მიყვებოდა: „ამლიდან იმედა და აბიკა წიკლაურები ჩორეხ წასულანსანადიროდ. დაზვერვისას თვალიმოუკრავთ ქისტებისათვის და დალოდებიან დაღამებას. ამ საჯიხვეში ერთადერთი ღამის გასათევი „ჩორეხის ეხია“. ღამე ქისტებს ეხში ცეცხლი დაუნთიათ თუ არა, ჩქრო შემოესმათ და თოფებს სტაცეს ხელი, მაგრამ დაუსწრიათ არხოტივნებს და ორივე მოუკლავთ. ამაზეა ნათქვამი:

*„გვიამბე, ჩორეხის ეხო, გადანაყარი შენია,  
ოროლ პირ მონადირეთა, როგორ შეუწყვე ხელია.“*

ქისტების გადასახლებამდე ჩორეხი ნაკრძალივით იყო. აქ ჯიხვებს იშვიათად თუ ვინმე დაუფრთხობდა მყუდროებას. აი, ამ საჯიხვეში მოუკლავს არჩილს ჯიხვი „რქაბედენა“, განსხვავებულ რქებია. ასეთი ჯიხვი არც მანამდე და არც მერე არ შემხვედრიაო, – იგონებდა არჩილი. ერთი რქა ჩვეულებრივ მოხვეულად კი არ გაზრდილიყო, არამედ წვერი მოლუნვოდა და თვალს მიბჯენოდა. თვალის კაკალი ამოეგდო და ფოსოში შესულიყო, რქის წვერი ცრემლს დაეშალა. მრავალი ნადირი მიხოცია, ცოდვაც ბევრი დამიდვია, მაგრამ „რქაბედენა“ კი გადავარჩინე ტანჯვას. ალბათ ღმერთი ნაწილობრივ მაინც შემინდობსო – დაამთავრა არჩილმა.

## ონჩხარი

ონჩხარს აკეთებდა ის, ვინც მოულოდნელად გაჭირვებაში ჩავარდებოდა. კაცისა თუ საქონლის სარჩო-საბადებელი გაუთავდებოდა. მასსოვს, ჩვენს მეზობელს, ხვთისო ცისკარაულს, ზამთარში დიდთოვლობისას, თივის ზვინი დაენვა (რაც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო) და ცხვარ-საქონელი მშიერი დარჩა. მან გადანყვიტა ონჩხარი გაეკეთებინა. გამოხადა არაყი, გაგზავნა სოფელში კაცი, რომელმაც ყველას შეატყობინა დაზარალებულის მდგომარეობა და მოუწოდა ყველას დახმარებისკენ. ყველა გაიძახოდა, უნებური მარცხი შეიძლება ყველას შეგვემთხვესო. აბა, რისთვის ვართ სოფელი თუ ერთი-მეორის ჭირ-ლხინს ვერ გავიგებთო და დახმარების ხელს არ გავუწვდითო. ყველამ მეონჩხრის სახლში მოიყარა თავი, ზოგი არ წამოვიდა, არაყს არ ვსვამო, მაგრამ სხვებზე ნაკლებად არ დავეხმარებო. იმ საღამოს იქეიფეს. ზოგი ერთ ბარგს (ერთი წამოკიდება) შეჰპირდა, ზოგი ორ და სამ ბარგს (ვისაც რისი საშუალება ჰქონდა). მეორე დღით ყველამ მოუტანა დანაპირები თივა-ჩალა, რის შედეგადაც ცხვარ-საქონი შიმშილით დაღუპვას გადაურჩინეს. ასევე ხდებოდა, თუ ვინმეს ქერი შემოაკლდებოდა, ან გაუთავდებოდა.

## მენუხრილანი

არხოტში, ზოგჯერ ყანის მკის დროს, როდესაც მზიანი ამინდი გაიმუდმივებდა, ქერის ყანები ერთდროულად შემოდოდა სამკალად. მეპატრონე მყისიერად მას ველარ უმკლავდებოდა, ყანაკი ფიცხდებოდა (ასე ეძახდნენ), რომლის დროსაც თავთავი ჩადიოდა (ცვიოდა). დანაკარგი დიდი იყო. ამ დროს ზოგი მენუხრიელათ იშველიებდა, თემებიდან თუ სოფლიდან უხმოზდნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს დასახმარებლად. სამუშაო დღეებში ე. წ. საქმის დღეთ კი ყველას თავისი საშური საქმე ჰქონდა, ამიტომ მენუხრიელათ კვირა სალამოს აწყობდნენ, როდესაც მათი აზრით, უქმი გადავიდოდა და დაღამებამდე მუშაობდნენ.

ერთხელ ბახა ოჩიაურმა მენუხრიელათ მოუყარა თავი. მან მთვარიანი ღამე შეარჩია, რათა სიბნელის გამო მუშათ ხელი არ შეშლოდა და შუალამემდე მაინც ემუშავათ. მახსოვს მენუხრიელაში იყვნენ: გარსიათ ბაბაღე, სარექათ ნინო, იმედათ ნათელა, ბაიჭაურთ თამარი და ჩემი დები ელენა და მზექალა. ახალგაზრდებმა შეუსვენებლად დაღამებამდე იმუშავეს და მოუსწრო მცხრალმა (სავსე) მთვარემ, როგორც ეს ბახას ჰქონდა გათვლილი. მთვარემ არე-მარე დღესავით გაანათა. ბახა კი მუშათ არ ასვენებდა, გვეტყოდაო: „თქვენ ახალგაზრდები ხართ, იმუშავეთო, მე კი ყალიონს გავაბოლებ და ავდგებიო“. მუშათ კი ეუხერხულებოდა მასპინძლის შეთავაზების გარეშე შესვენება. ქალები ჩუმად იწყევლებიან: „ბახაო, შენს საქნარსამც (წლისთავს) მოახმარ ჩვენს ნამუშევარსო“. მერე სიცილით იხსენებდნენ და ხალისობდნენ: „ქალო, ისე გვამუშავაო, შესვენების გარეშე, რომ ბახათას ფაფის ქამის თავიც აღარ მქონდაო“.

როგორც ყვებოდნენ: „ცის მნათობთა მჩხიბავი იყოო ბახა და მენუხრიელათ ყოველთვის დარიან-მთვარიან დღეებს ამთხვევდაო“.

## მჩაჩელნი

ხევისურეთში ქალები ე. წ. ხელსაქმეს ზამთრის პერიოდში თუ მოუტრიალდებოდნენ. ზაფხულში საშინაო საქმეს საგარეო საქმეც ემატებოდა: თიბვა-მკის, ჭირნახულის მოგულებისა თუ კალოობის სახით, რომელიც წელნდამდეც კი გრძელდებოდა. ზამთრის გრძელ ღამეებში კი იცოდნენ მატყლის მჩეჩელთა მუშანი.

ერთხელ დედაჩემს მჩეჩელთ შეყრა გადაუნყვეტია და ამღაში მათ დასაპატიჟებლად გამგზავნა, საიდანაც თავისი საჩეჩი სავარცხლებით წამოვიდნენ: მაისტელთ ლელა და ძიმარი, თათრათ განძა და სანდუა, გამიხარდით ძიმარი და ძიათ მინდა. ახიელიდან ჩაერთნენ: ბაიჭაურთ თამარი, გარსიათ ბაბაღე, იმედათ ნინო და ნათელა, სარექათ ნინო, რომელიც განთქმული იყო შაშხანით მიზანში სროლაში, იგი ახალგაზრდა მონადირეებსაც კი ტოლს არ უდებდა. მჩეჩელთ აუცილებელი თანამგზავრი იყო ცეცხლმგზე. ცეცხლმგზე ახალგაზრდა, ფანდურზე მოლექსე, გამრთობი, სახალისო ამბების მომყოლი უნდა ყოფილიყო, რომ მჩეჩელთ ძილის რული არ მიკარებოდა და გათენებამდე თუ არა, შუალამემდე მაინც ემუშავათ. ეს დაევალა ხვთისო ცისკარაულს და ჩემს ძმას გოგის. ცეცხლმგზეს მატყლის წენვაც ევალებოდა, რითაც მატყლის მჩეჩელს მატყლის ჩეჩვას უიოლებდა. მერე ის იყო, დედაჩემმა ყველას მისცა ზუსტი ოდენობით მათთვის კუთვნილი მატყლი და დაიწყო შეჯიბრი, ვინ მალე დაამთავრებდა. მატყლის ჩეჩვისას ძალიან ერთობოდნენ. ყვებოდნენ სახუმარო ამბებს. ბოლოს გამარჯვებულს გამოავლენდნენ და ოჯახს დალოცავდნენ: „ღმერთო, ოჯახს მშვიდობაში მოახმარე ჩვენი ნამუშევარიო“. კარგად მახსოვს, პირველი ადგილი დაიკავა ბაიჭაურთ თამარმა, რომელიც ამ ძახილ-ძუხილაში ნაკლებად ერთვებოდა.

## მგზავრული

ვიქნებოდი თოთხმეტი წილს, როდესაც მშობლებმა ღიღო-სკენ მიმავალ ხვთისო ცისკარაულს გამაყოლეს. იმ დღეს ამ-ღელები და ჭიმღელებიც დაგვემგზავრნენ, რომელთა უმრავლესობას არაყი მიჰქონდა მოკეთე-ნათესავეებთან მოსაკითხად.

ინგუშეთის პირველ სოფელ გოშტიკაურთან რომ მივუახლოვდით, ხურჯინები მოვხადეთ და გაშლილ მდელოზე მივუშვით ლაგამნაყრილი ცხენები. ყველამ თავის ქინთს სტაცა ხელი და როგორც იტყოდნენ – დაინყო ხანმოკლე მგზავრული ქეიფი (ყველა თავის არაყს უწევდა აგიტაციას). პურობის დამთავრებისთანავე ხელი ვსტაცე ჩემს მათრახს, რის გამოც ღვთისოს შენიშვნა დავიმსახურე: „მგზავრობის დროს უნცროსი უფროსების მსახურიანო“ და გამიყოლა ცხენების მოსაკრებად. ლაგამნაყრილ ცხენებს ლაგამი ამოვდეთ, ძუები წესისამებრ გამოვკვართეთ, უნაგირები დავადგით, ხურჯინები გადავკიდეთ, უფროსებს უზანგები დავუჭირეთ, შევსვით ცხენებზე და გავამგზავრეთ. ბოლოს ხვთისოც გადავვლო თავის „ბაჩას“, ის ხომ პირველი მხედარი იყო არხოტის თემში. ყოველივე ამის შემდეგ მითხრა: – აი, ახლა აიღე შენი მათრახი და მოახტი შენს ქურანსო. წამოვიზარდე და ხვთისოს შეგონებისთვის არასოდეს მიღალატია. მერე მიყვებოდნენ, რომ უწინ მგზავრობისას წინ უფროსები მიდიოდნენ, ხოლო უმცროსები მათ მიყვებოდნენო. შემდეგ ეს ჩვევა თანდათან დავინწყებას მიეცაო.

მეარყე მგზავრისათვის პატარა ყანნი ისეთივე აუცილებელი ატრიბუტიყო, როგორც მონადირისათვის მათარა. სირცხვილად ითვლებოდა, თუ შემხვედრს არაყს არ შესთავაზებდნენ. კარგი ვაჟკაცი უცნობსაც შეაჩერებდაო სიტყვებით – „არაყი მიმყვება და ორი-სამი ყანნით მგზავრობისა დავილოცოთო“.

მგზავრობასთან დაკავშირებით უცნაური შემთხვევებიც გამიგონია. მამიდურის მონათხრობით, ცნობილი მეღექსე ბესარიონ გაბური (აბაისძე) პირაქეთ ხევსურეთში ძმობილთან მოსაკითხად წასულს გზაზე შემხვედრ მგზავრებთან უქეიფია,

არაყი გასთავებია და სალამოს დაცლილი ქინთით სახლში უკან გაბრუნებულა. მსგავსი რამ სახვესუროში არავის მოსვლიაო. იგონებდა ღიმილით მამიდური.

გამიგონია, ვილაც ხევსურს მოკეთესთან არყით მისულს გულზვიადად დაუტრაბახებიაო: „მძახალო, მძიმედ მაგიედივ, გზაზე არაყი არ დამიხარჯავ და პირნაკრულ სავსე ქინთ მოვიტანევ“. მასპინძელი ამრეზილა, არყიანი ხურჯინით სტუმრისთვის კარებისკენ მიუთითებია სიტყვებით – „სირცხვილიანი არაყი ჩემს სახლში არ დაიხარჯებაო“ და გაუსტუმრებია. ამაზე ბევრს იცინოდნენ და მასპინძლის ქცევას ამართლებდნენ.

## „ქოსა ჩოპანი“

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში არხოტში გადავედი. ზაფხული იყო და კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებს უკვე დაეფარა არხოტის მთათა ალპური ზოლები. ეს ის პერიოდი, როდესაც ველის ნადირის, მგლების, მომრავლება იგრძნობა და ადგილობრივ სოფლის საქონელს იტაცებს. როგორც ლაპარაკობდნენ, მტაცებელ ნადირთა შემოსევებს ცხვრის ფარების გამოჩენა იწვევსო. მგელი ზაფხულში ცხვარს მოჰყვება და შემოდგომაზე ბარში მათვე მიჰყვებაო.

ჩემს სიძეს, ქორძო ნაროზაულს, ცხვრის დიდი ფარა ჰყავდა და ამ მგლიანობაში, არც მის გარეკვაში დამით უფრო მის მორეკვაზე არავინ ზრუნავდა. ცხვარი დილით გადიოდა იალალზე, ხოლო სალამოზე კი დამოუკიდებლად, თავისით ბრუნდებოდა. გაკვირვება რომ შემატყო, ჩემმა დამ, ელენამ, მიპასუხა: „ჩვენ უჩინარ ჩოპან ქოსას ვანდობთ ცხვრის ფარასო“.

„ქოსა“ აღმოჩნდა მეცხვარის ჯიშის დიდი ძალღი, ბომბორა თავითა და დიდი ტორებით, რომელსაც ერთზე მეტი მგლის გამკლავებაც კი შეეძლო. თეთრი ფერის, ძალზე მოკლე ბენვის გამო „ქოსას“ ეძახდნენ. მერე როგორც მიყვებოდნენ და მეც ვაკვირდებოდი, დილით ცხვარს რომელ მხარეზედაც გაუშვებდნენ

საბალახოდ „ქოსა“ ყოველთვის წინ ქეჩივით გაუძღვებოდა საძოვრამდე და მთელი დღე თავს დასტრიალებდა. სალამოს სახლში მორეკვისას იგი ფარას მწყემსივით უკან მოუყვებოდა და ისე მორეკავდა. „ქოსას“ ერთი დღეც კი არ ჩაუგდია, რაც მე იქ ვიყავი, ერთი თვის განმავლობაში. იალალზე მის ქმედებას სოფლიდან დურბინდით ვაკონტროლებდით.

ელენა მიყვება – ერთ დღეს, მზისპირ, კორომათ ძირში ცხვარი დამურავდა და დანვა, ქოსა კი დურბინდით ვერსად დავლანდეთ. თათხელის ტყიდან კი მგლის შემოპარვა შეიძლებოდა. ის იყო ვემზადებოდით ნასასვლელად, რომ ქოსა შევნიშნეთ, იგი ზევიდან, კორომზე მდგარი, აკონტროლებდა დაყრილ ცხვარს.

ერთხელ, რუხმელის რუს ალპური ზოლის ტყიან ფერდობის სიახლოვეს ცხვარი ბალახობს და „ქოსაც“ გარშემო დასტრიალებს. მოსალამოვდა და ფარის მცირე ნაწილი ფერდობს ქვემოთ შინისკე მოუყვება, ხოლო „ქოსა“ და ასხლეტილი ცხვარი გაუჩინარდა. შევწუხდი და სასწრაფოდ მათკე წავედი. მოახლოებული არ ვიყავი, რომ „ქოსამ“ ცხვარი ტყიდან გამოყარა და დანალიკული მენინავეებს შემოუერთა. სოფლის განაპირა ცხვრის ბაკს ხომ მთელი ღამე ყეფით გარშემო უვლიდა და ველის ნადირს სიახლოვეს არ აკარებდა.

მას შემდეგ მრავალი ათეული წელი გავიდა და დღესაც მონატრებით იხსენებენ „ქოსა ჩობანს“.

## გიგუას ჯიქუა

როგორც ცნობილია, არხოტშიც ისევე, როგორც საერთოდ ხევსურეთში, ბევრი ხატ-ანგელოზია, ყველა გვარს თუ სოფელს თავისი სამლოცველო აქვს, მათი იერარქიაც შეინიშნება. დანიშნულების მიხედვით, თითოეულ ხვთაებას უფროს-უმცროსობის მიხედვით მიჩნეული აქვს თავისი სამლოცველო ასპარეზი, რომელსაც მხოლოდ ის განაგებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ არხოტის თემის საერთო სალოცავი – არხოტის ჯვარი (მიქელ-

გაბრიელი) – „დიდია არხოტის ჯვარი, სისხლიანს იბომს ჳმალსაო“. თავისი სიმაღლით იგი დევების, ავი სულების წინააღმდეგ არ იბრძოდაო, არ კადრულობდაო – იტყოდნენ. ამ დროს, როგორც პატარებს გვიყვებოდნენ, თურმე ნეთხიჩოდან ჩამოდოდნენ დევები, ხატში ლუდიან კოდებს დაღევდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ახიელაში იმ დროს უცხოვრია ვილაც გიგუას, რომელიც თავისი თოფით (წიქუათი) აშინებდაო დევებს და შერეკავდა თავის ანდაბშიო. ამიტომ დევები როდესაც გამოჩნდებოდნენ, გიგუას სახლის სარკმელთან დაიძახებდნენო: „შინ ასავ გიგუაი, შინ აქვავ წიქუაი“. თუ დაუძახებდნენ: „შინ ასავ გიგუაივ, შინ აქვავ წიქუაივ“. დევები შეშინდებოდნენ და უკან გაბრუნდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მაშინვე დაცლიდნენ ლუდიან კოდებსო. და ეს ამბავი გრძელდებოდაო, მანამ, სანამ ოჩიაურთ სალოცავს წმიდა გიორგის სახელობის გორულ ჯვარს არ დააფუძნებდნენ, რომელსაც ხუცობისას მოიხსენიებდნენ, როგორც „ჯაჭველო ჳმელის გორისაო“. იგია ავსულების, დევების წინააღმდეგ მეომარიო. ამის შემდეგ შეუწყვეტიათ დევებს თარეში, მიყვებოდა დედა.

## მეჯალაფენი

არხოტის თემში ხშირად იხსენებდნენ ავსულებს, რომლის მიმართ დიდი შიში და რიდი იყო. ბალებს გვაფრთხილებდნენ, სოფლის განაპირას ღამით თუ ცეცხლს შევამჩნევდით, ახლოს არ მივკარებოდით, გვერდი აგვევლო. მათი აზრით, მეჯალაფეთ უფრო ხშირად ტყეში, გამხმარ ხეების ძირში, ან სასაფლაოზე უყვართ თავმოყრა და ცეცხლის დანთებაო. ამ დროს ვინც მათ მიუახლოვდება, დაწყევლიან და ის ან დაბრმავდება, ან მოკვდებაო. შემჩნეულ ადგილებს ვერიდებოდით, განსაკუთრებით ღამე.

სტუდენტობისას უნივერსიტეტში, ქიმიის პრაქტიკული მეცადინეობის დროს, მოვისმინე, თუ ლექტორი როგორ განმარტავდა „ლუმინესცენციას“, როგორც ცივ ნათებას. გამახსენდა მეჯალაფენი და კითხვა დავუსვი, მისი განმარტებით: „ღიახ, ტყეში, გან-

საკუთრებით გამხმარ, ფუტურო ხეების ძირში, რიგ შემთხვევაში შეიძლება შეინიშნებოდეს ცივი ნათება, რაც გამონვეულია მცენარის ფულუროში გოგირდის წარმოქმნის შედეგად. ღამე ის ცეცხლის ალივით მოჩანსო.”

## **მაცახურა**

არხოტში ბავშვებს გვაფრთხილებდნენ: ღამით თუ ვინმე სახელს დაგიძახებთ, პასუხს მაშინვე ნუ გასცემთო, იქნება ავი სული მაცახურაო და დაგწყევლითო. მათ თუ უპასუხებ, ის დაიძახებს „ლავიო“, რაც წყევლას ნიშნავს და ის კაცი ველარ გადარჩებაო. თუ პასუხი გაეცი, მაშინვე უნდა მიაცოლო: „რომენი ხარ, რომთამც გახოლ, შვიდ მამასამც ნულარ მახოლ“. მაცახურას მხოლოდ ორჯერ დაიძახება შეუძლიაო. ამიტომ მესამე დაიძახებაზე უნდა გასცეთ პასუხიო.

## **მამას მონაყოლი**

ერთხელ კახეთში, სოფ. კვერნაძეულში წისქვილიდან ვბრუნდებოდი და გზად წიფლნარი უნდა გამეველო. დავინახე ჩემი და ნანუკა, რომელიც ჩემსკენ მოდიოდა. ვიდრე ჩემთან მოვიდოდა, დიდ წიფელს ამოეფარა. გავიფიქრე, მაგას ჰგონია, ვითომ მე ვერ დავინახე და ახლა უნდა უცბად გადმომიხტეს და შემაშინოსო. მივედი წიფელთან, შემოვუარე, არავინ იყო. არ შემშინებია, მაგრამ არ ვიცი, ეს რა მოჩვენება იყო.

გასული საუკუნის 20-ან წლებში კახეთში ხმა გავრცელდა ვილაც ხევსური საღამო ხანს ქორწილიდან ბრუნდებოდა, რომელსაც უნდა გაეველო ჭალის უღრანი ტყე. მერე ყვებოდა – მომეჩვენა საიდანღაც მოფრინდა არწივი და იქვე ხეზე შემოჯდა. ჩამოვედი ცხენიდან, მოვიმარჯვე თოფი და დავინწყე არწივის ნიშანში ამოღება, უცბად გამოვფხიზლდი და დავინახე, მარჯვენა

ფეხზე გამიხდია, თოფისთვის ტყვია პირში მიმიცია და თოფის ლულის წვერი გულზე მიმიბჯენია.

## **თათარა ჭოლიკაურის მონათხრობი**

მე და თათარამ ღიღილოდან არხოტისაკენ ერთად ვიმგზავრეთ. მშობლებმა მას გამაყოლეს. იგი შუახნის კაცი იყო. ღიღილოდან ზურგით მოჰქონდა რკინის საწოლი. ამიტომ მალ-მალე ვისვენებდით. და აი, შესვენებისას მიყვება:

– თავი რომ შემომებარა (კაცი ჰყავდა მოკლული), მოსისხლეები მომყვებოდნენ მოსაკლავად და ამიტომ მხოლოდ ღამით ვმოძრაობდიო.

ერთხელ, ახიელიდან ამაში მივდივარ ღამე და რუჩუას ბოლოს დავლანდე, რომ ვიღაც ჩემს საპირისპიროდ მოდიოდა. მე გავიფიქრე, ჩემი მოსისხლე არავინ იყოსო და გზას გადავუხვიე. ის არსება როცა დამიპირისპირდა, გაჩერდა. მომეჩვენა მაღალი, ნაბდნიანი კაცი და რაღაცნაირი სუნი ვიგრძენი. შემეშინდა და შევძახე ჩემს სალოცავს „მიშველეთ დალოცვილნოო“. და დავინახე ზეთუკიდან (ამლის მოპირდაპირე მთა, ამღელები ათენგენობაზე იქ დადიან სალოცავად) ნამოვიდა ცეცხლნაკიდებული, მუგუზალივით რაღაცა, რომელსაც სკივები (ნაპერნკლები) სცვიოდა. მოხვდა ნაბდნიან არსებას და გააქრო. მე კი გაოგნებული ვიდექი ერთ ადგილას. მეტი არაფერი მომჩვენებიაო – დაასრულა მან.

თათარა უთქმელი, სიტყვაძვირი კაცი იყო.

## **მამიდურის ნაამბობი**

მე-20 საუკუნის პირველ წლებში არხოტში ახალგაზრდების თვითმკვლევლობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. წელი ისე არ გავიდოდა, ორი ან სამი მტყობიე (ცუდი ამბის მაცნე) არ მოსუ-

ლიყო. მაშინ ვილაც ამლიონმა კაცმა შეკრიბა სამივე სოფლის (ამლა, ჭიმლა, ახიელა) ხალხი და გამოაცხადა: ამის შემდეგ ვინც თავს მოიკლავს, ბარუქის (სასაფლაო) მაგივრად ნეხვში უნდა დაიმარხოსო. ხალხმაც მხარი დაუჭირა. ამ კაცმა, რომელმაც ხმა პირველმა აღიმაღლა თვითმკვლელობის წინააღმდეგ, სახლში მისვლისთანავე თავი ჩამოიხრჩო. ხალხი დაიბნა. მის საქციელს ახსნა ვერ მოუძებნეს, თუმცა ზოგი გაიძახოდა, ეს ყოველივე იმიტომ გააკეთა, რომ ახალგაზრდები მის ნეხვში დამარხვის შემდეგ უარს იტყოდნენ თვითმკვლელობაზეო.

ჭიმლაში ცხოვრობდა კაცთკითხული კაცი ჯურხათ ბაბუა (თეთრაული). მისი უფროსი ქალიშვილი სილამაზით განთქმული თინა მწყემსობისას ჭიმლის ჯორხში გაუგებარ ვითარებაში გარდაიცვალა. შემდეგ ისე მოხდა, რომ დედამისმა აშექალმა და ბაბუას მეორე ცოლის ვაჟმა, ნასყიდამ, ერთდროულად ჩამოიხრჩვეს თავი. სოფლის სიახლოეს ორას მეტრში არის „სასვენა“, და ბარუქისაკენ გამოსვენებულ ცივს (ცხედარს) ამ ადგილზე მცირე ხნით შეასვენებენ. ამ დროს ბაბუამ შენიშნა, რომ მისი უმცროსი ქალიშვილი ბებერა იქ არ იყო. სთხოვა ჯირჩლა ოჩიაურს, ბებერა აქ არ არის, ახლა იმან არ დამხურნას ცანიო, არიქა მოძებნეო. ჯირჩლა მაშინვე ცხენით მიიჭრა მის სახლთან და საკვმიდანვე დაინახა ბებერამ ყულფში როგორ გაყო თავი და დაეკიდა. მყისიერად შევარდა და ხანჯრით მოსხიბა თოკი. ნახევრად გრძნობადაკარგული ბებერა მოასულიერა და ჭირისუფლებთან მიიყვანა. ეს მომხდარა გასული საუკუნის 50-ან წლებში – მიყვება შიო ოჩიაური.

## ხმით მატირალი

ხმით მატირალის ტირილი ბავშვობიდანვე გულზე მხვდებოდა. მივიპარებოდი გაშლილ ტალავართან (მიცვალებულის სამოსი) და ხმით მატირალს ვუთვალთვალედი. მისი ბევრი არაფერი მესმოდა, მაგრამ ხმალზე დაყრდნობილის მოძრაობა მაინტერე-

სებდა. ტალავარზე ხმით მატირალისათვის ჯოხი აუცილებელი სახმარია, ხოლო თუ ტალავარი კაცისაა, მაშინ იგი ხშირად ხმალს იყენებს. ჩამუხვლილი მატირალი ორივე ხელით ხმლის ვადას ჩაეჭიდება, შუბლს ხელებს შეახებს და იწყებს მოთქმას. თავს თანდათან მაღლა ეწევა და სიტყვების დამთავრების შემდეგ – ეეეე-ჰი-ჰიასთან ერთად თავს დაბლა დახრის ხმლის ვადამდე.

*(„ნეტაინ ხმალო ავაძრახაო...”) – ეეე-ჰი-ჰია-ჰიააა)*

*(აღმავალი)*

*(დაღმავალი)*

*(ხმაიმც ჩავიდვა პატრონისაო...”) – ეე-ჰი-ჰია-ჰიაა)*

*(აღმავალი)*

*(დაღმავალი)*

თითოეული აქტის დამთავრებას მოყვებოდა მანდილოსნების ქვითინი. ერთხელ ქალაქიდან ამოსულმა სტუმრებმა ხმით ტირილისას ერთი-მეორეს გადაულაპარაკეს: „საინტერესოა, მიცვალებულის გარეშე თუ შეუძლათ ფილოსოფიური აზრების ასე მწყობრად ჩამოყალიბებაო”.

ჩემი და მზექალა გვიან მიყვებოდა ლელუას მონაყოლს (იგი შატილელი ქალი იყო არხოტში გამოთხოვილი). ერთხელ უთქვამს ლელუას, სათიბიდან ვბრუნდებოდით ქალები. ერთი ანატორელი ხმით მატირალი დიაცი გვახლდა. ვუთხარით, მკვდარზე რომ ტირი ხმით, თუ შეგიძლია ახლაც იტირეო. მაშინვე გვითხრა – აბა ჯოხი მომანოდეთო. მივეცი თუ ჯოხი და ჩამოიმუხლაო. ჩვენს ქვემოთ ანატორელთ გაჩერებულ წისქვილს ჩახედა და დაიწყო:

*– წისქვილო ანატორელთაოო,*

*შენ ველარ ბრუნავ სირცხვილითაო,*

*წესიმც ქნა ენის ჩადებაიო*

*შენ შაჰყვირნებდი ვირივითაო.*

იმ ხანებში ვილაც ანატორელ ქალს სასირცხვო საქმე შემთხვევია, ეს ნატირალიც იმ ამბავს ეხმიანებოდა.

## პატარ-პატარა ამბები

\*\*\*

ჩვენ სახნავი ყანები ჭიშველის გორზე, ჭიმლის მხარზეც გვექონდა. ერთხელ მკის დროს მამაჩემს შევეკითხე, იმ სახლში ვინ ცხოვრობდა, რომლის ერთი კედელი ფხანალ (დამრეც) გორზეა შემორჩენილი. თანაც ისე მიუდგომელ ადგილას, სადაც ორი კილომეტრის რადიუსში სახნავ-სათიბი არ გააჩნია. მამაჩემი მომიყვა: – მაგ სახლში ისეთ კაი ყმას უცხოვრია, მისმა მოსისხლემ, შურის მაძიებელმა მტერმაც კი დაინდოო.

გადმოცემით, ამ კაცს სხვა კაცზე დანიშნული ქალი მოუტაცია და ცოლად დაუსვამს. როგორც ხევსურეთში ყვებოდნენ ეს შეურაცხყოფა სისხლით უნდა ჩამოირეცხოსო. შურისმაძიებლად მოსული მთასიქითელი ღამე ჩასაფრებია და გათენებას ელოდებოდა. გათენებამდე მთასიქითელს ისეთი მჭექაქრე ხმა გაუგონია მის სახლიდან, რომ ჭიმლის კლდეთ ეხო მიუცია. ასეთი ხმის პატრონი მთელ სოფლის პატრონიც იქნებაო – დანანებია ამ კაცის მოკვლა და შურისმაძიებელი გათენებამდე უკან გაბრუნებულა. კარგმა ყმამა კარგი ყმა დაინდოო – დაამთავრა მამამ.

\*\*\*

მტრები, არჩილ ოჩიაური და ჭიმლელი ალუდაურთ დავითი ჭიშველის გორზე გზაზე შეხვდნენ. დავითმა ხანჯარზე დაიდო ხელი. არჩილს ხანჯარი არ აღმოაჩნდა და თოფი მოიმარჯვა. სიტუაცია დაიძაბა. ამ დროს არნივმა ისე ახლოს გადაუქროლა მათ, რომ დავითს ბოხოხი კინალამ ააცალა თავიდან. ამაზე ორივეს გაეცინა. სიტუაციაც განიმუხტა. დავითი არჩილს სახლში გაჰყვა საქეიფოდ. არნივმა ბოხოხი ბატკნად დალანდაო – იტყოდნენ.

\*\*\*

გოგიმ ჩხუბის დროს ბაბო მსუბუქად დაჭრა. ბაბომ უსაყვედურა – უიარაღო დამჭერიო. გოგიმ ხანჯარი გაუნოდა – დამკარიო. ბაბო უმამაცესი კაცი იყო. არ მიიღო ხანჯარი. მოეწონა გოგის საქციელი და იქვე შეურიგდა. ისინი ცხოვრების ბოლომდე განუყრელ მეგობრებად დარჩნენ. გამიგონია უფარგის კაცს ზოგჯერ ნაწყალობები ხანჯრით ისე დაუჭრია მონინაალმდეგე, რომ სიკვდილს ძლივს გადარჩენილა. ამას ხალხისაგან გაკიცხვა მოჰყოლია.

\*\*\*

ყუდია არაბული ჩემი მამიდის ქმარი იყო. ხოლო ყუდია ჭინჭარაული ჩემი დედის ძმისშვილის მეუღლე. არაბული უმამაცესი, ნაკლებად მოძრავი კაცი იყო, ხოლო ჭინჭარაული სწრაფი, მოძრავი. მათ გომბორში, სოფლის განაპირას, მოსვლიათ ჩხუბი. ჭინჭარაულს მსუბუქად დაუჭრია არაბული. მანაც შეუტია, რომ სამაგიერო გადაუხადოს. მაგრამ ჭინჭარაული სწრაფია და იცილებდა მოქნეულს. ხან გვერდზე გადახტებოდა, ხან უკან. ზოგჯერ ხანჯარს შეუფარებდა მოქნეულს. ვიდრე მეშველი გამოჩნდებოდა, დაილაღნენ და არაბული თხოვს – ერთი მეც დამაკვრევიო. ჭინჭარაული არ ენდობა. გაბრაზებულმა მაგრად არ დამჭრასო. ბოლოს მეშველმაც მოუხსნრო. მე ყოველივე ეს მოვისმინე, როდესაც ქეიფში, უკვე ღრმად მოხუცებული ორი ყუდია ხუმრობით იხსენებდა ამ ამბავს. ჭინჭარაული – გაჯავრებულ ისეთი ძალით მიქნევდა, რომ ხანჯარს შუილი მოჰქონდაო. მისთვის დაკვრის ნება რომ მიმეცა, თავს გამიპობდაო.

\*\*\*

ერთ დროს ხევსურეთში ახალგაზრდებს შორის ძალიან გავრცელებული ყოფილა საცერულით („ლაჯიათი“) ჩხუბი. ლაჯია დღემდე შემორჩა. პერანგის მარცხენა მხარზე მიკერებულ პატარა სალაჯიე ჯიბით ატარებდნენ. ლაჯიას ერთი კაცი აკეთებდა და ალბათ ხელსაც ითბობდა. ერთ თავმომწონე ვაჟკაცს შეუკვეთია მალალკბილიანი ლაჯია (იყო დაბალკბილიანიც). დანიშნულ დროს

მისულმა მოირგო თურმე ცერა თითზე, მოუტრიალდა ოსტატს და მისივე გაკეთებული ლაჯით თავ-პირი დაუსისხლიანა, მიაძახა – შენც იგემე ნაყოფი შენი გარჯისაო. ხალისობდნენ. მას შემდეგ ოსტატს ნარმოება შეუწყვეტიაო – იტყოდნენ.

\*\*\*

ბიძა ხვთისო სახელოვან წინაპართა კრავლიანათ კვირიკას შვილი იყო. მასთან მოჩხუბარ გიგიას ხანჯარი უხმარია და დაუჭრია. იგი გაცლას თურმე ცდილობდა, ხვთისოს ჩაუვლია ხელი და უთქვამს – არც მე მინდა მჭედელთან სიარულიო. ჯიბიდან ამოულია გადამალული ურსა (დიდი დანა) და გადაუსვია გიგისასთვის თავზე. ამ ამბავზე ბევრს ხალისობდნენ.

\*\*\*

ცხრა წლისას საკუთარი თოფი მქონდა ქისტისაგან ერთ თხად შეძენილი. ძველი რუსული გრძელლულიანი „ვინტოვკა“. ერთხელ მე და მამა ფიჭვთ ბოლოს ნავედით. ლახვირიდან შემა უნდა გადმოგვეწყო და ყონდი დაგვედგა. თოფიც გავიყოლე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მამა მეუბნება: – აბა თუ ვაჟკაცი ხარ, აი, იმ პატარა ბროლს მოარტყიო. ბროლი ნყალგაღმა ფერდობში ოდნავ ჩანდა. ნიშანში ამოვიღე და ტყვიამ ბროლის ნამსხვრევები მიმოფანტა. მამას რომ შევხედე, ისეთი სიამაყით მიყურებდა, რომ მისი მზერა დღესაც თვალწინ მიდგას. თუმცა კმაყოფილება სიტყვიერად არ გამოუხატავს.

\*\*\*

პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ქმოსტში მცხოვრებ ბურდულებს ჰქონიათ რკინის ყილეტი, ე. წ. „ბეგთარი“, მას წინა მხრიდან ეტყობოდა ტალიანი თოფით ნასროლი ტყვიის ნაკვალები. ნათელა ბალიური მიყვებოდა: „გამიგონია, სომხები და აზერბაიჯანელები

ერთი-მეორეს ეცილებოდნენ, რომ ბეგთარს არა მე ვხმარობდი ბრძოლის ველზე და არა მეო. მაგრამ ამის საბუთი მათ არ მოეპოვებოდათ. ეს ბეგთარი აღმოჩნდა საქართველოში და ისიც ხევსურეთში”. ხევსურეთის სოფლებთან ერთად ქმოსტიც დაინგრა და ახლა რომელ სახლის ნანგრევებშია მოყოლილი, არავეინ იცის.

\*\*\*

ხევსურების ბარში ჩამოსახლებისას ბევრი მტერ-მოყვარე ხალხი მიმოიფანტა. ამიტომ პირველ ხანებში ხევსურებს ხანჯარი ბარშიც არ გაუგდია ხელიდან. აქაც ხდებოდა მომტერეთა ჩხუბები. ხანჯრის ხმარებისთვის კი სასჯელი იყო. ამიტომ ხევსური ბიჭები ხშირად ხვდებოდნენ საპატიმროში. ბიძაჩემი, ალექსანდრე ქიბიშაური, კაცთკითხული კაცი იყო და რჯულის კაცებში ხშირად არჩევდა სადავო საქმეებს.

ერთხელ მილიციაში დაიბარეს (როგორც თვითონ ჰყვებოდა) და განუცხადეს: „ვიციტ, რომ ხევსური ხალხი გენდობა და მომტერებს საქმეს ურჩევ, არიგებ ხევსურულად, ჩვენ კი დაჭერის მეტი არაფერი ვიცითო. ჭრა-ჭრილობის საქმეს ჩვენამდე ნუ მოუშვებო და თქვენებურად გაარჩიეთო.” როგორც შემდეგში ყვებოდნენ, ამან დიდი შედეგი გამოიღო.

\*\*\*

ას წელს მიღწეული მამიდაჩემი ნანუკა ქიბიშაური მიყვება (იგი მეოცე საუკუნის ათიან წლებში კახეთიდან არხოტში გამოთხოვილა. მისი ქმარი ხევსურულ პოეზიაში კარგად ცნობილი გრანჯა ნიკლაური ყოფილა): ერთი-მეორე დანახულიც კი არ გვყავდა, ისე შევედი მათ ოჯახშიო – იგონებდა მამიდური. პირველ ხანებში ურთიერთშეხედვა და დალაპარაკება ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის ხომ დიდ სირცხვილად ითვლებოდაო.

ერთხელ, ცხვარს ვწველავდა გრანჯას ბიძაშვილი ბერდელიათ წვრილა ბაკს მოადგა და განგებ დიდხანს მელაპარაკებაო, დიდი

ხნის შემდეგ გამომიტყდნენ, რომ ამ დროს მათ შუკუნში ჯიხვის რქა გაუხიდათ და ლაპარაკის დროს თურმე იქიდან მალულად მაკვირდებოდა ჩემი ქმარიო, რომელსაც მანამდე წესიერად დანახული არ ვყავდი – იგონებდა მამიდური და ძლივს გასაგონი ბებრული ხმით კისკისებდა.

ორივე ვაჟკაცი წვრილა და გრანჯა პირველ მსოფლიო ომის დროს ავსტრიის ფრონტზე დაღუპულან.

\*\*\*

ბერდია კარგი მასპინძელი და დასაფასებელი კაცი იყო: ბევრი ლაპარაკი იცოდა. ხანდახან ტყუილსაც გამოურევდა – სიტყვის მასალააო. ერთხელ რაიონში ნაცნობი მილიციის უფროსი გამოუჭერია და როგორც იტყვიან, ტყუილებით გაუბერია. გაუგია ეს მილიციის უფროსს და „დამუქრებია“ – სამაგიეროს გადავუხადიო. შეხვედრისას ბერდიასთვის უთქვამს: „რალა არ ხდება, ამინაზე ბელურების საფანტით დათვი შემომაკვდაო“...

ეგ რა არისო – უთქვამს ბერდიას, მეც ამ წინაზე დათვი დავჭერი, ტყვია გამითავდა, გამომეკიდა, მოვანტი ზურგზე, ჩავავლე ყურებზე ხელები, ზიგ-ზაგ გზებზე მოტორივით ვმართავდი და სოფელში შემოვადგეო. მაინც მაჯობაო – უთქვამს განანყენებულ მილიციის უფროსს, მიამბო ბაბუტათ ნათელისძემ.

\*\*\*

ახიელაში ერთხელ დევკაცი მოხევე ვალოდა გვყავდა ცხვრის მწყემსად. კომლზე თითო ცხვრად მოურიგდა სოფელს. ჩვენს მეზობელ ბახას მხოლოდ თხები ჰყავდა. ვალოდა ედავებოდა, შენც ცხორი უნდა მომცეო. ბახა – „მე ხომ ვერ დავწვები თხასთან, ცხვარს ვერ გავაჩენინებო“ – და მისთანანი. ხალხი სიცილით იხოცებოდა.

სალამოობით, ვალოდა ცხვრის მორეკვისთანავე, შეახსენებდა ბახას და იწყებოდა თავიდან. თვითონ ჩვენს ბანზე მიჯდებო-

და კუთხეში და სმენად გადაიქცეოდა. მამა ეუბნებოდა: „ძალად რატომ აჩხუბებ, თხების პატრონი ცხვარს საიდან მოგცემსო“.

ვალოდა: „კარგი-ლა ჩე ბაბუაისი, ეგ მეც ვიცი, მაგრამ რა ვქნა, სალამოზე ბახას „ძილისპირული“ თუ არ მოვისმინე, ისე არ მეძინება-კე“.

პოეზიის ნაწილში თავმოყრილია როგორც ახალი (გამოუქვეყნებელი), ისე რიგი გამოქვეყნებული ლექსებისა, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება. მაგ., ბესარიონ გაბურის ლექსი-პოემა „ნათელა და გამახელა“, რომელიც აკაკი შანიძემ „ნელინდეულში“ 1923-1924 წლებში, ბესარიონის სხვა ლექსებთან ერთად დაბეჭდა. მე საჭიროდ ჩავთვალე ხელახლად გამომექვეყნებინა, რადგან საინტერესოდაა დანახული ხევსურეთში ქალის მოტაცება, მამულთ რეაქცია და ლულელთ ვაჟების საშუამავლო ქმედება.

## პოეზია

### ბობი ქიზიშაშურს

„ლექსის თქმა მნადის ფანდურო, შენც ამაყოლე ბანია,  
დარდისგან შანუხებული, გულ რაით გამიხარია,  
ვალექსათ კაი ვაჟკაცი, შენაც მიჭირე მხარია,  
შავაქათ აისეთაი ზუბუქ რო ვერ ძრავს ქარია.  
ვინაც რო შულლობს ფხიზელი, მთვრალმ ქვე არ იცის შარია,  
ვინაც დიდობა არ იცის, თუ ვინ შეაქებს ქალია,  
ვინც თემ-სოფელში არ კაცობს, სხვა მტრებთან ნიავ-ქარია,  
ვინაც ძალს უქცევს კარგებსა, ვინც რო დაჩაგრას მდარია,  
ვინც სრუ კარგს იტყვის სიტყვასა, ძვირად მაუდის მცდარია,  
ვინაც არ შურობს სწორებსა, ხყავის ბევრ მეგობარია,  
ვინც უბრალოზე არ შულლობს, თუ არა უძევს ვალია  
იტყვიან კაობაზედა, ზოგთ გაუბედავ ძალია,  
სრული რომ იყოს ვაჟკაცი, ვინ იცის ათასგვარია.  
კაობას ბევრი ყუფი აქვს, ათასი კუთხე მხარეა,  
კაობა ვის გაუგონავ წილისყრით მინამრგალია.  
არც იყიდება ფასითა, არც ჩუმად მასაპარია,  
ზოგთა შურს სხვათა კაობა, უხარის ნახონ მკვდარია.  
იმას კი აღარ ფიქრობენ, კარგებ რომ მოკვდეს, ბრალია,  
კა ყველას გამაადგების, ინყემსებს როგორც ცხვარია,  
არც იმას მაიგონებენ, ვერა ხნავს ცუდი ხარია,  
ცუდაიც მოხნავს მაშინა, კარგ თუ შაუბეს ცალია,  
როდის შურს მზეს და მთვარესა, ხშირი ვარსკვლავთა ჯარია,  
ა ეგ შენ კალოთანელო, სხვას ვერვის შეგაძარია,  
ვიცი, გძულს შურიანები, რო ჭირი შესაყარია,  
ეხლა ჩამოხვედ კახეთა, მანდაც დროებით ხარია,  
შენს ყოფას მომაგონებდა წყალი დღეს ჩამდინარია  
ერთხან დანოლის გულისთვი ქვიშა ჯიხვთ განათხარია,  
ცოცხლის ჯიხვების მჭერელო, ქვეც რომ შეგაქო ვალია,  
ქალაქში ვნახე ჯიხვები, ვაჟო შენ მონაყვანია,  
შესცქერდეს კავკასიონსა, მზეზე ელავდეს რქანია,

ყურს არ უგდებდეს თივასა, ბრუნევედეს როგორც ტარია,  
ლიხს თუ ნატრობდეს კლდისასა, სწყურის ყინულის წყალია,  
გზას უკრავს რკინის ზაბორი, როგორც კაცთ სამართალია,  
ინდურებიან ქიუხნი, რო გააყარე მხარია,  
შენ ხყვანდი ძილის გამფრთხობი, ჯიხვებთან მალხინარია.  
მთებს ტკბილ ეგონა გარმუნი, თოფის ხმა ცეცხლის ალია,  
არღვევდა მყუდროებასა, რო წელნად წუხრას ზარია,  
კლდეთ ბოლოს მენადირეი, შენს მეტ არავინ ჰყოლია,  
ვინც იყვნენ, აღარ არიან, ჩაჩუმდეს კაი ხანია,  
ზოგ მოკვდა, ზოგიც დაბერდა, ზოგი ტყვე-პატიმარია,  
ა ეხლა შენაც წამოხვე, მთამ თითქოს ჩუმი დალია,  
მგლები რა განყდან სამგლეთა, ველარ იმგლობენ თხანია,  
ნეტაინ ხირსილაურო, მოგვცა აეროპლანია,  
ჰაერზე გადაგვაფრინა, კლდეთად დაგვევლა თვალია,  
გვენახა ბისნა-ჩორეხი, ჯიხვების საბუდარია,  
სისხლით მოსვრილებ ხვეები, ნახოცის ჩანათარია,  
სიმაგრენი და სანოლი ტყვიებით მონათხარია,  
ცუდ-გულ ნურავის გექნებათ, სიმართლით ნაუბარია,  
კათ აქებს, ცუდათ აძაგებს, ეგრა ხახონის ბრალია...

## **აჩქამდა ჯეჰსურის შვილი**

აჩქამდა ჯეჰსურის შვილი, აჰყვა ფანდურის ლარია,  
ღმერთო თუ სამართალი გაქვ, მეც რად არ დამეხმარია,  
სიკვდილ რად დამიახლოვე, გული რად წაიტანია,  
სიმწარე წუთისოფლისა, თავზე რად მამაყარია,  
არ მამწონს შენი კანონი, სხვა რამე გამასცვალა,  
თორემ შენ მოგეკითხება ბოლოს ეს ცოდო-ბრალია,  
ზოგი რომ ლხინობს, იცინის, ზოგიც დარდისგან მთვრალია,  
ზოგს თვალზე ცრემლის ღვარი სდის, სიკვდილის ნაჩუქარია,  
სიკვდილ კი ყველას ერთად გვყრის, ერთად აქვ სამართალია,  
ერთის დროთ არვის გასწირავს, იმნაირ უქრის ქარია,  
რამთვენ დებს ძმები მაუკლა, გაულო კუბოს კარია,

ან რამთვენ დედას ბებერსა შვილნ დაუწოცნა კანია,  
რამთვენ ქალს ძმობილ მაუკლა, ძმობილი გულის დარია,  
განირა გულ-გაბზარული, უდუმლად მათირალია,  
ვაჟკაცს კი გრილმა მინამა, გაულო მკერდის ძვალია,  
ძმობილის მაგიერადა – გულზე გველების ჯარია,  
სიკვდილმ წაგვარნა ოჯერმა, ქებულნი მამ-პაპანია,  
გაუმაძღარნი ომითა, მტრის გულში ხანჯრის ფხანია,  
ველარ იზრდება ეხლადა, ვაჟკაცი იმათ ცალია,  
ეხლანდელ ვაჟებს ურჩევნავ, ჯელში ყანნ, გვერდით ქალია,  
წინათ კი ჯელში ეჭირა ყანნის მაგიერ ვმალაია,  
წელთ ერტყა შავხლის ხანჯრები, ფხაზე მტრის სისხლის  
ცვარია,  
არ იცოდინან ღალატი, ერთურთს არ ჭამდეს ძმანია,  
არ იყვნენ შურიანები, ერთ იყვა მთა და ბარია,  
დებ არ მიჰყავდათ ცოლადა, შორად გაჰქონდეს გზანია,  
წურავინ დამემდურება, ლექს მოკლედ ნაუბარია,  
კარგა ვერ მიჭრის ენაი, უცდელობისაც ბრალია.

## **შეხვედავ ბალავაჩოსა**

შეხვედავ ბალავაჩოსა, არხოტის მთაგრეხილსაო,  
ზე თოვლის ვარიანტებსა, ყინულიანსა გრილსაო,  
მარჯვნივ და მარცხნივ მწვერვალთა, საოცრად მი-მოხნილთაო,  
ერთ დროს მათ მონადირეი არ ანებებდა ძილსაო,  
მალ-მალე გამოუვლიდა, ამკობდა თოფის ჯლითაო,  
ერთმანეთს მოხყვა ჯიჴვები, როგორც ნატეხი კლდისაო,  
ჭალას ჩავიდა ნაწოცი თავის ღამაზის რქითაო.  
ჩამახყვა წრიაპიანი, ფეწზე ნაცვამი ჯღნითაო,  
ტანზე ლეკური ჩოხითა, მოკლ-მოკლე კალთებიტაო,  
წელზე შავტარა ხანჯრითა, აღმასებური ფხითაო.  
ჯელში რუსული თოფითა, ნაქები სიმართლიტაო,  
მალლა ქარაფზე წამოდგა პატრონი ჯიჴვებისაო,  
ჯელი ყბას შამაილობა, ჯიჴვთ ეძახს მალლის ჯმითაო,

აქ არ ას მენადირეი, შორა გამტანი ჳმისაო,  
ის შორად ნაუყვანია, სადაც ნაპირი ზღვისაო.  
მე კი მწყინს, როგორც გალალდა გული ზოგ-ზოგის მტრისაო,  
უხარის უარიათა, ვინც ვაჟკაცია, სწყინსაო,  
კაი ვაჟკაცის დალუპვა, ბეჩავათ უხარისაო.  
ბოლოს ჯიჳვებსაც უხარის, ხშირად მართავენ ლხინსაო.  
გამოდის მეთამაშეო, კეპიდან კეპზე ხტისაო,  
ახლა შეთოვა ჭაუხი, შეჳგავ ყინულის ღილსაო,  
და კლდიდან თავანყვეტილი ზვაგი ღრიალით რბისაო.

## **დავჯე, დაგნერე ნერილო**

დავჯე, დაგნერე ნერილო, გზა შორი მიგიდისაო,  
არხოტში უნდა გაგგზავნო, სადაც ხალხია მთისაო,  
მალ-მალე მომაგონდები ადგილო ნაპირისაო,  
სანადიროებ კლდეებო, საზღვარო ქისტებისაო,  
თენდ-ბინდას ისეე ჩაგივლი ჭალაო არხოტისაო.  
ჩქარ-ჩქარად ჩამოგაბიჯებ გზა-ჯიდო ქვა-სიპისაო,  
ჯიჳო ჭაუხში ნანოლო ყუა გიჩინდას რქისაო,  
გაგებას ჭალაშიგითა, თვალეხი დვირბინისაო,  
ბროლის ეხაში შამავჯდე, იყოს დრო ბნელობისაო,  
ცეცხლათ პირაში შემოვწვე, მედვას თავითი ქვისაო,  
გულს გიხვევდ ჩემო იმედო, რკინაო ფოლადისაო,  
ჯიჳო გაიძრა ცისპირი, შენი სიცოცხლე ჭირსაო,  
მელექსეს ვერვინ გაიგებს, სად ნათქვამია ვისაო,  
ამაგის მალექსებელი შავი ზღვის პირას ზისაო.”

## **სამგზავრობა გავგაღე**

სამგზავრობა გავგაღე, ნიკორს დავაკარ ნალები,  
გული მიეცა საგონსა თან მარტო მივემგზავრები,  
მთვრალამ გონობა დავინყე რა-ვის მიმართავ კალები,

ახალ ამბავი მამართვეს, ტუსალის დანაბარები.  
აქ ნამყოფ ვმასაც ვერ მცემდი, შორით ატეხე შარები,  
წერილს მწერ სოხუმშიითა, სადით-სად მემუქარები,  
მთვრალას თუ მომატყუებენ, შენებ ნაცნობებ ქალები,  
ღმერთს გეფიცები, ფხიზელა ახლოს არ გავეკარები.

## **ლექს იტყვის კიბალაური**

აჩქამდი, ჩემო ფანდურო, ეროპლანების ხმაზედა,  
ლექს იტყვის კიბალაური დარდიან გულის ჯავრზედა,  
კაის ვაჟუკაცის სიკვდილი უფერს გადივლის მთაზედა,  
ვერ იჭერს ქარი, ავდარი, თოვლი ნათოვი მთაზედა,  
მისწვდების კილით კიდესა, შორს გავა გრანიცაზედა,  
არხოტს დაქუხდეს ღრუბელნი, დაშავდეს დანვეს წყალზედა,  
მალლა შაბერტყა ნიაგმა, ცრემლ ჩამაყარეს ძალზედა,  
გამაჩნდეს სახლნი ქვიტკირი, ბან მიბჯენილნი ბანზედა,  
ხყუდავის სიმაგრეები, როგორც მეცხვარე ცხვარზედა,  
ამლას ვის სტირის ქალ-ზალი, შაყრილან ვისრა ბანზედა,  
ვიკითხე, რა ამბავია, ხალხნი ქოთობენ რაზედა.  
მითხრეს: – დაიქცა ციხეი, წვერით ნაბამი ცაზედა,  
ჩამაინგრივნეს ჩარდახნი, ქვა აღარ დარჩა ქვაზედა,  
ენა ვერ იტყვის წყენასა, მეტად მაჩნიყავ ძმაზედა,  
ბრალია ნახშირაულო, ამლას არ იჯდა ჯარზედა,  
სწორთან არ იარებოდა, ლხინი არ გქონდათ სმაზედა,  
მამ-პაპით სახელიანი, აბჯარ არ გესხას ტანზედა,  
გამნითლებელი მტრისაი, არ ილესების ფხაზედა,  
სწორების მჯობინობითა, ჯივთ არ ხყვებოდა მთაზედა,  
ატირდა არშავიანი – პატრონს დამკიდეთ მხარზედა,  
პატრონთან ბევრჯელ ვიარე ჩორეხ ნადირის კვალზედა,  
გავათენილით თეთრადა ერთად ნანოლთა ქვაზედა,  
გვქონდის ერთურთის იმედი, ჭკვაც გვიხდებოდა ჭკვაზედა,  
გაკიყოლებავ გოგოი, ლხინით გიდენავ გზაზედა,  
ქალო შენ პატარიაო, მზეს ღგვანდი ნმიდას დარზედა,

რად შურიანობს სიკვდილი, ნეტავ შენს ზრდილობაზედა,  
ნუმც ჩაბნელდება მზის სხივი თქვენი სამოთხის კარზედა,  
გალობენ სირინოზები ოქროს ჩონგურის ლარზედა,  
გდარაჯობიანთ არწივნი, დაგბონობენთ თავზედა,  
გემშვიდობებათ ჯიჯვები მიბჯენილები რქაზედა,  
სამშობლო ხავერდოვანი დაგინვენთ თავის მკლავზედა,  
დისნული დედისძმისგანა არ გაიცვლების სხვაზედა,  
დაგხვდაე ოჩიაური, შორით საცნობი ხმაზედა,  
გვერდს არ ედგაე ძმისნული, გაზრდილი ალვის ტანზედა,  
ერთ დროს ვინ ხყვანდა ბადალი არხოტის ხეობაზედა,  
ბერდედავ, დილის ცისკარო, ვერც შენ მაიქეც ჭვაზედა,  
შენ ხელით შენი მზის შუქი, შენავ ჩააქარ ცაზედა,  
დავითო ამბავ მაკვირვებს, თავ მაინყინე რაზედა?  
ვაჟს ბევრ ჯავრ დაუგროვდების, უნდა დაუდგას ძალზედა,  
ვინ ღნახავს შენთა მშობელთა, ცრემლ ნაგუბართა თვალზედა  
არხოტს აღარ ღირს მისვლავი ახლების ყრილობაზედა,  
ნისლი წევს მგლოვიარეი არხოტის მიწა-წყალზედა,  
მეც იმით ვამბობ უარსა წელს არხოტ წამოსვლაზედა.

## სამშაბათ გათენებადა

სამშაბათ გათენებადა დიდი დგას ცოდო-ბრალია,  
იხვიის დედამიწაი, ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,  
ცაზე აყენებს მასკვლავთა არხოტივების ბრალია,  
სიბრალულისგან ქრებოდა ცისკარი ამამჟდარია,  
ორს თემს დაეცა თავზედა მთელი ურჯულოს ჯარია,  
უკან ას ერევნელები, არც რა მისჭირეს მწარია,  
ვაჟებს ომობის კვალადა ჩამაასწავლეს გზანია,  
„წითელ არმიან მოვედით, მოსულთ ჩაყარეს ჴმანია,  
ამლას გვყავ გიანარალი, მწარზე წითელ ხკრავ ჯვარია,  
კომისარ ჩამაიყვანეთ, რომელ გყავთ მაუბარია“.  
გათენებამდე მოკრიფეს სოფელში ქუდოსანია,  
მემრ იარაღებ მაკრიფეს თოფი, ხანჯარი, ჴმალია,

ეკლესიასთან შაყარნეს არხოტის ჯვარის ყმანია,  
 შვიდნია ახიელენი, მინას ჴნავს ქისტის ჯარია,  
 გათენდა, მაშინ გაიგეს: „ურჯულომ დაგვცნა ცანია,  
 ჯავრმ გაუარა გულშია, კბილით დაკვნიტეს ქვანია,  
 შაეკრა ყარაულებსა ველთ გასავალი გზანია,  
 სრუ დაუჭერავ სოფელი, შაკრეს სიმაგრის კარია.  
 ახლა დაეცნეს ამლასა, დილა თენდების ხანია;  
 დახკივლეს ქისტის შვილებმა, ყველამ დაღვედრა გვარია,  
 თოფის ჴმა, ელვა-ქუხილი, სრუ ყერდა მთა და ბარია.  
 კარში გამავა დავითი, ხოდედიშვილი ჩქარია,  
 დადგების გაკვირვებული, თან ღგონავ საოცარია,  
 აიმ დროს წამოეხვივნეს ქისტიშვილების ჯარია,  
 „ – ნუ მახკლავთ ქისტისშვილებო, ქვრივის გაზრდილი არია,  
 დედა დაშჩების ბებერი, დიაცი, ახალზალია”.  
 არც რას შველს დედის ერთასა, სალოცავმ ახკრა მხარია,  
 სიკვდილს არ დასდევს დავითი, გულ უძე როგორ ქვანია,  
 მაგით ას ბოროტიანი, არ მისცეს ომის ხანია,  
 განირა წუთისოფელი, არხოტს დასწერა ჯვარია,  
 მშვიდობით, ამლის ციხეო, შენი ჩამოშლა ბრალია,  
 თუ მახკვე, ღმერთმა გაცხონოს! შინ ხომ არ დაიმალა?!  
 წაედით ურჯულოებო, ჩავლილთამც დაგლევთ წყალია!  
 ისწავლე ელამარძაო, არხოტით წანატანია,  
 მიხოლ, მიგყავის ტყვეები, მიგიდის ჴარავანია,  
 იცოდე, არ შეგჩებოდა არხოტივნების ვალია,  
 წინავაც გვოცდესთ უღმერთოდ, როსაც არ გედვათ ბრალია,  
 გაწსონთა, საამლოშიით გამაგილალესთ ცხვარია,  
 წყემსიც ქვიშაში განირეს, ტყვიამ დანაყა ძვალაია,  
 ამაგის მალექსებელი ეგრ ტირის, როგორც ქალია,  
 არც რა ვიამბე ლხინითა, ცრემლებში ჩამავთვალაია,  
 ეგეთან არა მეგონნეს არხოტ მაზდილნი ყმანია,  
 უშინებავის ქისტები, ბევრ რო შაყარეს ჯარია,  
 მაშინ კი გადაგაჴდევნეთ, ტყემ რა გაიბას თვალაია.

## ახლა ლექსობას დავინწყებ

ახლა ლექსობას დავინწყებ, კას ვერას ვიტყვი ავზედა,  
ბევრა სისხლი გვაქ დაღვრილი, ურჯულოი გვყოფ ძალზედა,  
ნუ დახალიზდით ვაჟებო, უვალოდ კაცის კვალზედა,  
ხან ცხენებ გამაულალეთ, ხან დაეცენით ცხვარზედა,  
კაცნო, სუყველა კაცია, ქუდს დაიხურავს თავზედა.  
თავ-თავ ურჯულო ნყინულობს: „ჩვენაც ნავიდათ ვალზედა,  
ბევრ საუბარ კი ვიცოდით, რახან დავსხდიდით სმაზედა,  
მავიდან, ჩვენაც დავხვდებით, ჳმას რო აგდებენ ჳმაზედა.  
თუ იქით მავას ლაშქარი, შამამიწდების ბანზედა,  
მე რისადაილ მეშინის, ვერ გამაოლა კარზედა?  
ჯერ ვერას გათენებული, მასკვლავნივ ბრწყინვენ ცაზედა,  
თოფი ჭეხს, ბომბი გრიალებს, ცა დაგვეხურა თავზედა,  
ყველა ტარივით აბრუნდა, იარაღს ისხმენ ტანზედა,  
თავის ფიქრისგან შემკრთალთა ვერა გაიგეს ხანზედა.  
აგებ რაით ვინ გავიდათ, გულ კი ყველას აქვს ცაზედა.  
ცეპად მაერტყენენ სოფელსა, თივებს ცეცხლ მაზღვეს ბანზედა,  
საითაღ გასავალი გოქვ, კაც ხომ ვერ ხტების ცაზედა.  
სტუმარ-მასპინძლებ ვაჟებო, მაიმალენით რაზედა.  
წიოკობს დიაც-ყმანვილი, მტერ რა მაგიდგასთ კარზედა,  
არიქათ, აგებ გვიშველათ, იმედ გვაქ მეტად ძმაზედა.  
გამაგიყარნეს საქონნი, ერთ ლილღველ გიდგასთ ბანზედა.  
თოფ დაგკრათ საკვამშიითა ჩუფჩუფზე საუბარზედა.  
ირჩვების ნათელისძეი, მივარდნილია წყალზედა,  
გიგიტა პარაბლიანი დაუდგა ბოსლის კარზედა,  
ბაბუტამ ბომბი დაიდვა დაკაფსულია სკამზედა.  
შუა უბანში ქვიტკირო, ნაგებო მუქარაზედა,  
დაჩვეული ხარ ოჯერო, ბანს აძლევ თოფის ჳმაზედა.  
მაგიდგეს ახალუხლები, შენ თუ რას გვიშველ ხანზედა,  
ერთურთს საბლებით ადენენ, ქვედა თვლით ზედა თვალზედა.  
დაშალეს სათოფეები, დადექ ქვიტკირო ძალზედა.  
თოფი ჭექს, ტყვია ტყრიალებს, ჳრილ იძაბების ბანზედა.  
კლო ეგრ ნუ იქამთ, ვაჟებო, ერთუცს ნუ ხათრობთ ჳმაზედა,

მაველით ახიელელთა, არ მაგვივიდეს ხანზედა.  
მეთემე მაგვეშველების, ხო მაველენ თენებაზედა?  
ახიელითაც მავიდეს, თათია იცნეს ჳმაზედა,  
ღალატით დავგიბათილნეს, პოლიციის ჩქამზედა.  
„იარალ ჩამაიყარეთ“, კაცებს გვიღალვენ ძალზედა.  
სამეთვეუროდ ჩავდგებით, არ გამაგიშობთ ნყალზედა,  
ქოო ეგრე კი ვერ გაქნევთ, დახალიზულნო სხვაზედა,  
მეედით, თაოდ წაიღეთ, ჩვენ ვერ დაგკიდებდ მჭარზედა,  
ყველაის მართლის მათქვამსა კოვში მეკუთენის ჯარზედა.

## **დავჯდეგი, დავსაგონდეგი**

დავჯდეგი, დავსაგონდეგი, ხანია ლექსის ბეჭდვისა,  
გავღმართე დავითფერული, წინა თუ გამიტყდებისა,  
კიდევ გამასთქვამს მერცხალი, როსაც რო დაითვრებისა,  
ნათქვამი იანვარშია, ნიაღე არ მასცდებისა.  
ღილღველთად არხოტივენებსა ლექსებს ვინ ეუბნებისა,  
დღის თაოდ დაოს მაჯლიგა, ყორნის სულ აღარ ძღებისა,  
სრუ კი ვერ ვაძღებთ ღილღვლებსა, ვითასაც მაშივდებისა,  
შაყრილან კაც-შუაკაცი, ი რო ტერლის კარს ვეტყვითა.  
იმთვენა ღილღვლებ მასულა, ცახცახ გაჰქონდა ყბებისა,  
ორ-სამკან ცეცხლი დავაგზით, ცხვრებიც დავწოცეთ,  
თხებიცა,

გიორგიობის ღამეი სრუ თეთრად გათენდებისა.  
მავიდა ჭეგაისშვილი, ძალღივით იღერლებისა,  
ეგრე მაგრად კი ჩიოდა, ჳარი ჳარს ეჭიდებისა  
რჯულს კი სამ-სამ ცხვარ უთქვამის, მიმცემ ვინ იყო ერთისა,  
მე კი შავ ციკანს არ მივცემ, ზოგებ მკვდართ იწირებისა.  
სისკარათ ივანეური ქალაღღში რასამ სწერდისა,  
ფიცხელა ნაროზაული წითელ გველივით ქშენდისა,  
ამბობენ ფარეშაშვილი დვირბინით იცქირებისა.  
აქით თათარა მოვიდა, აივსა ჯიბგირებითა,  
ველჩი ბერდენკა უჭირავს, არ ვიცი რა იქნებისა,

იძიეს, ველარ მაწელეს, ფიჭვის ძირებში ძვრებისა.  
გაქცეულს ველარ ვაბრუნებთ, იქისკე იზიდებისა,  
აბეჩავ არხოტივნებო, მაგარ პირზე კი სდგებითა,  
ჭალაზე ქავი გაღმართეთ, ქორიც ვერ გადახტებისა.  
შიგ უსხავ მეთოფეები, ბერდენკაები ტყვრებისა,  
თუ სად მავიდა ლაშქარი, მკვდრებით კი გაივსებისა,  
სისხლის წყალმ უნდა წაიღას, ჯიდებიცა და გზებიცა,  
მივსწერათ ჩვენს ჯელმწიფესა – თოფებიც გვინდა ჯმლებიცა,  
გამაგრდით, არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა.  
ვინაც მაკვდების, დავმარხათ, სხვა კიდევ გაჩინდებისა,  
ჯმა შორად გაგვივარდების, მტერი ქვე დაშინდებისა.

## **უნდა ვალექსა არხოტი**

ახალ ლექს უნდა გაიმბა, ახალ დაგვიდგა წელია,  
უნდა ვალექსა არხოტი, არხოტის მთა და ველია,  
მემრ ხალხი არხოტიონი, არხოტში მცხოვრებელია,  
სიმირგვლივ გალავანივით სანადირონი კლდენია.  
რახან გათოვას ცრიაფი, რა გასავალით ძნელა!  
ბევრა ვაჟმ შამაუარა მანძილა ჯიჯვებს წვერია,  
ჯელჩი ბერდენკა ეჭირა, საშტრაფო ეწყვა ბევრია,  
ვეფხვნი ხართ, არხოტივნებო, თქვენ მტერ ცხვარ-ბატკნის  
ფერია.

მტრის ჯოცა ეგრე მაგიდის, როგორ წისქვილის ჯერია,  
თქვენ მიაყენეთ ურჯულო, გაანირვიეთ ჯელია,  
ეხლადაც ხყავის ქისტებსა, უძებარ რამოდენია,  
მაგრამ აღარას ჯავრობენ, სრუ აიტანეს ჯელია,  
ბუნტ იყო, არეულობა გამბით ხუთი-ექვს წელია.  
ქისტს არხოტ არ დაუბიჯნავ, არც მოუპარავ ცხენია,  
თქვენს იქით-აქეთ ბევრასა დღე დააყენეს ცხელია,  
სულთ სარჩო გამააცალეს, არ გაუნირეს მტვერია,  
თქვენთან კი ვერას ჩადიან: ლომთან რას იზამს მგელია?!  
შორად გავიდა ვაჟობა, არხოტივნებო თქვენია,

თქვენი ქისტებთან ნაცადი ბევრკან კნილაში სწერია.  
უნდ ეწერენით ყაზახად, უნდ გყვანდეს აფიცერია,  
ცალკე ხართ, არხოტივებო, სხვა თქვენ რად გინდათ ერია,  
სრუ ყველა თავისაი გყავთ დიაკონი და მღვდელია.  
გიხედავთ, მამასახლისო, რო არზა დაადგენია,  
გაღვ ზავნა მთავრობაშია ყოჩალობაი თქვენია,  
იარად გამაინწერე, არხოტის შესაფერია,  
მტერს შორად მიაყენებენ, გილდ უნდა უკლებელია.  
გზაიც ქისტებზე მიუდის, ძაუგში ჩასავლელია,  
შარშაც დაუდგეს მზირადა ქისტიშვილები ბევრია,  
იარად უნდა დაერთო, ჯავრ ღგონდებოდა ძველია.  
თოთიამა და გიორგიმ დაიდვეს სინის ფერია,  
თოფისად ახალგაზრდათა გასარული აქვ ჴელია,  
თვალი ლიშანში გააგდეს, ლოყა ყონდაყზე ღბჯენია,  
ეუბნებოდეს: „ქისტებო, დათავდეს თქვენი დღენია!“  
უკულმ წავიდეს ქისტები, ყბა აუცხროვა წვერია,  
ეგრ სცემდა ქისტის კბილები, ნისქვილ რო სარეკელია,  
ვაჟობა უნდა ეგეთი მტრის ზარის შამდებელია!  
ბევრა ვაჟი ას არხოტა ხვთის რისხვის ნანინწელია,  
ამაგის მალექსებელი ნისლაურთ მაისტელია,  
თითო პატრონა მიბოძეთ სალექსოს მაგიერია.

## **გულს შაეყარა სალონი**

გულს შაეყარა სალონი, დარდი მკლავს, ჯავრი ბევრდება,  
ჩვენის ნაწურის სისხლისგან სრუ დედამინა სველდება,  
წითლად მაიქცნეს წყარონი, ჭალას არაგვი ღელდება,  
მთელ ქვეყნის საწყინარია, ჩვენთვი ურჯულო ხელდება,  
სამშაბათ დილა თენდების, შავი ბადეი გვედება,  
თოფი ჭექს, მთანი ელავენ, თოფის ცეცხლისგან თენდება,  
თავზე დაგვივის ურჯულო: „თქვენთი დილაიც ბნელდება:  
ახლა დაგვეცა, რაიცა წინავ შიმ იყვა, ელდება.  
ერთუცის ძალით ლაშქარი, ვინც რო ცხვარია, მგელდება.

იშლების ცეცხლის გირკალი, ვითა ელვაი გელდება,  
კაცნო, იფიქრეთ! რას ფიქრობთ? ჩვენთვი ქედანი გველდება.  
საითად გაოლთ, ვაჟებო?! ჩვენთვი მინდორიც წვერდება,  
წელის უწყდება მებრძოლი ვინც რო ყმაია ბერდება,  
მაგათ ჯავრითა ბოროტით მკვდარიც რად არა მთელდება,  
ცაზე ქრებიან მასკვლავნი, მზეიც ამაზე ბნელდება,  
პირ გაიბრუნა ლაშქარმა, მიდის, აღარა ჩერდება,  
დრო-დრო მაიტანს ყველასა, კლდეი, კაპანი ველდება.

### **ნარჩევი ვაჟების ჩაცოცვა არხოტვი**

სიკვდილმ თქვა: „არ დავიჯერებ ნაბარებს ვიქამ ღვთისასა,  
სათავით ჩამავყვებოდი, ბოლოს გამავალ წყლისასა,  
ჩავწოცდი არხოტივინებსა, ნარჩევ ვაჟებსა მთისასა:  
გაბუურთ ალუდაურსა, შავსა ღრუბელსა ცისასა,  
საავდროდ დამზადებულსა მაღლის არხოტის მთისასა,  
მინდიას თეთრაულისძეს, წელ-შუ მუშასა სმისასა,  
მარტიას შუქიაურსა, ჯმლით მჭერელს ადგილისასა,  
ახიელს მავაგლეჯიებ ნანურსა გრილის მთისასა,  
ბადათ მაუკლავ ბადასა, კულასა ბასრის ქვისასა,  
ჯადელსა ღერუნათასა, ყარაულს ზენ-უბნისასა,  
უშიშას ოჩიაურსა, მგელსა, მჭამელსა მტრისასა,  
აქუათ ქასას მავხკლევდი, თესლს დავღლევ არწივისასა,  
ალიათ ბაბლის მავხკლავდი, მშინეს ბევრაის მტრისასა,  
ამლას ბერდიას მავხკლავდი, გმირსა წინაის ჟმისასა,  
ახლებში თამარისძესა, ვეფხვს მახკლავ სალის კლდისასა,  
ჩინგლათას ბაჩაყაურსა, მთვარესა ხუთმეტიასა,  
თოთიას კალოთანელსა, მწოცელსა ოროლისასა,  
ხირსილსა ზვიადათასა, მშინესა მითხოვლისასა”.

სიკვდილმ თქვა: „სულეთ ჯარს დავსხამ ნარჩევის ვაჟებისასა,  
წინითი ჩხუტსა ჩამუდგამ, კოშს ჩამურიგებ რვლისასა”.

## **არხოტო, ჩემო სამშობლო**

არხოტო, ჩემო სამშობლოვ, ჯიჴვ-არწივეების ბინაო,  
მიამც კი შენს მტერს შამაკლა, შენს მკერდზე დამანვინაო,  
მაკვდას, თუ მაკვდა ოჴკაცი არხოტის გულისთვინაო.  
დედა ვაცხოწე ვაჴისა, ვინაც თავ მაინყინაო,  
მტერ დარჩა სისხლის მორევში, თავიც კი იქ შასწირაო  
დამალეების ცუდი ყმა, მავშჩები, ნაოლ შინაო.  
გამაქცეულის მასვლასა არ მასვლაი ჯობ შინაო,  
მაინც არ გასტყდა, არხოტო, ბასრო, ფოლადის რკინაო.

## **აბეჩავ, ჩემო ძმობილო**

აბეჩავ, ჩემო ძმობილო! ნეტა სადა-რა წევსაო,  
რას ქვეყანაში გავიდა, ქალაღებს საით გვწერსაო,  
სა ჩაიწაფრე, მკვეხარო, მე იმედს ვიყავ შენსაო.  
ვეღარცა გნახე გასული თიბის სამშაბათ დღესაო.  
მოკლე ბერდენკა გასწირე, ჯანგ ეკიდების წვერსაო,  
მასწირენ სანადირონი, ვინალ გაიგებს გზებსაო,  
ვინალ აწვალეებს ჯიჴვებსა მალლა საწარის წვერსაო,  
შენ სანადიროდ, წვრილაო, ჩვენ ვეღარ მახყრით ჴელსაო  
ვერ ვხვეყვებით სიმაგრეშია – ჯიჴვებ სულ ფონად წევსაო.  
ურჯულოს ედეგ ძალზედა, ტერლას სთესევედი ჴერსაო.  
ამბავი შამავარდების, ვინალ დაუხვდას მტერსაო.  
ამაგის მალექსებელი ამააფხაებს ცელსაო,  
მწართა სძე ქისტისეული, მზე რა მავიდას ელსაო,  
მტერ კი რას გამამჩებოდა, დროს თუ შამამხვდა ჩემსაო.

## **მენადირეებს ვალექსებ**

ლექს უნდა უთხრა ახალი, ვისადაც შესადარია,  
მენადირეებს ვალექსებ, მუწლად ჩაყარნეს გზანია,  
ერთუცის მუქარაზედა წრიაპ არ უძლებს, ჴლანია,

ისრევ რბოლისგან ჯიჴვებსა, კლდეში ბჴენისგან რქანია.  
დასხედით ახალგაზრდანო! რო დაისვენათ ხანია.  
ავნია მახმადიანნი, თუ ვის შაგაგდესთ თვალთა.  
მაშინ ძნელია ვაჴებო, თოფმ რა კლდეს უთხრას ბანია,  
ჴიდად ისხმოდან ტყვიანი, უღრუბლო ჴეხდეს დარია,  
ბევრას ანატრეს ვაჴკაცსა მასატოლებლად ქვანია,  
ბევრა აბრუნეს ტოტითა, ბევრას ანატრეს წყალია,  
ბევრას კი დაშრა მძებნელი, მაგრა გაბანდა ღჯანია,  
ერთაის მაკვდომაზედა ბევრამ შასწირა სამია.  
მაგრამ რას იზამს ძებნელი, ვინ ამამდგარა მკვდარია,  
ეგ თქვენდ ას, ახალგაზრდანო, ან წინაგ ნაუბარია,  
წინათ უყვარდა ჴირიმი, ყონდაყზე სპილოს ძვალთა,  
ბევრჯერ იძივნეს ტოტითა ნარღვევთ გორისას გზანია,  
ბევრამ კი შასვა დილითა კალატის წყვერზე წყალია,  
ჴაუხნ აძღვედეს ნიავსა, ოფლი სდის გულ-მდუღარია.  
ბევრჯერ აჴყარეს ლაშქარი, საფარჩი ჩამამსხდარია,  
ჯერც იქავ ხქვიან სახელი საჯარეს ნაომარია.  
ბევრკან კი სწერავ სალ კლდესა ჴირიმის ნატყვიარია,  
მინდიაგ, ხომიზურაო, ღმერთმა გაცხონასთ მკვდარია,  
ერთუცის მემჯობიასა შეეხოცენით ძმანია.

## **თივას ვთრი კალოთანითა**

თივას ვთრი კალოთანითა, დასვენებაიცი მინდაო,  
ჩაგხედავ ჩემო ამლაო, ადგილო ნაპირისაო,  
მირგვლივ ნახვევო მთა-წვერო, რო გალავანო ქვისაო,  
ინროო ჩვენო ჴალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო,  
სამძღვარო, სისხლით მოსვრილო ჩვენო და ქისტებისაო,  
ბევრ მენადირე გინახავ მავალ ცისპირის ძირსაო,  
თოფიან-ღურბინიანი, მაგარ საბანდით, ჯღნისაო,  
ვაჴი ნადირთკე წასული ბევრა შადვარდა მზირსაო:  
ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულდიდად ზისაო,  
ბევრიც მართვეს ჯალაფთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო,

ნუ გაუცუდებთ სახელსა, თასილ მიეცით ხისაო,  
 ბევრამ განირა ზირიმი, შვილს დაშჩა, შვილიშვილსაო,  
 ბევრამ გააბა წრიაპი არწივის მალლის ჩდილსაო,  
 ჯიჯვების გადალახული შიბო და შიბო კლდისაო!  
 მენყალი, მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო,  
 ჯიჯვების მუქარაზედა ლამეს ათენებ გრილსაო,  
 პურსა ვერა სჭამ მშიერი, შიგ თვირთვილ გამადისაო,  
 ეხო, ნათხარო ტოტითა, სალოგინედა ქვიშაო!  
 ადგების, იქავ გაგწირავს, ნასადგურალო ყმისაო!  
 დილა გამასულს გნახავდა შავი ყორანი კლდისაო,  
 შორით დაგინყებს ყეფასა, აგივლ-ჩაგივლის მხრითაო.  
 „ნეტავი გამალალებდი, გამაძლებდ სისხლის სმითაო  
 ეწინდელე ახლებსა, ძველები ჯობდეს ცდითაო,  
 ამაგრებდიან ადგილსა, თოფით იჭერდეს, ჯმლითაო,  
 წვერებს ისვემდეს ჯელებსა, ქავში სხდებოდეს ცვლითაო.  
 ბაკნებით ედგა წამალი, ძლებოდეს თოფის ჯლითაო,  
 სახელ შჩებოდა ვაჟებსა, ბევრას დაიტევს მიწაო,  
 ჯელში ეჭირა თასები, შიგ ლუდი ედგა წმიდაო,  
 მაგის მეტს არას გილექსებთ, არა მაქვს ლექსობისაო,  
 საქონის საქმელ გათავდა, თივა ნათიბი მთისაო,  
 ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომისაო.

## **მთაშიგით ამბავ მაჰილა**

ლექსს იტყვის გაბიდაური, ვაჟ ვინაც სახელს იქამსა,  
 მალე მანწყობს პასუხსა, არცა-რა დალღევს დიდ ხანსა  
 მთაშიგით ამბავ მაჰიდა, ჯმა მისწვდა დედამინასა,  
 დაბნელდა მზისა სხივები, ნაპირს ჩავიდა ზღვისასა,  
 მალა ატირდეს ფრინველნი, ცრემლ დაინურეს ფრთისასა,  
 „სიბრალით ვედარ ჩავდივართ არხოტის ქალაისასა”.  
 ამლით წამავას მზირები: „ჯავრს კი არ შავჯამთ მტრისასა,  
 დიდ ხანს არ ვავლევთ მზეზედა მამკლავსა გიჟისასა”.  
 უშიშას თვალით ვერ ვიჭერთ, ჩვენ ვხედავთ თოფის ნიშანსა  
 ჩადიან, ჩაბოინობენ ვეფხვნი უშიშრად გზისასა.

ფრინვლად აკლავის ფრთეები, არ აჩქამებენ ქვიშასა,  
ის კი რას მალგონდებოდა, ღიღღვლებ ელიან მოსვლასა?!  
ბენინას წინ-წინ მისულსა, დაღლიშნეს როგორც ჯილდასა,  
ერთმანეთს ეუბნებიან: „თვალ არ შაგვადგას ხვთის მადლსა,  
თორ ომს აგვიტყეს ფიცხელსა, არ დაგვიფერებს სხვისასა,  
არც-რა სწყინს, არც რა ეშინის, მიხედას ნელ-ნელა სიციყვასა“.  
„თვალ-ვერ შაგაგდე, რჯულ-ძაღლო, ვა დედას ჴევსურისასა,  
მაგით ორ დასანანები, ხანს რო არ მაძლევთ ცდისასა“.  
რა დაათავა, იძახა: „სული ღმერთს, ლეში მინასა“.  
ჴმა მისწვდა ბაბუტის შვილსა, ბენინას, კუთხსა ქვისასა,  
უშიშრა შამაუკივლა რაზმსა პირდაპირ მტრისასა,  
თოფის ჴმას ერთუც გააბომს, ნათოზ გაიღებს ძვლისასა,  
ბაბუტიშვილის ნასრევი ქისტს უმტვრევს ბეჭის ფიცარსა,  
სულეთ ნაღლაღვს ბენინა ორთავ მამტანთა წყლისასა,  
ნელა დაგვიკრეს ბენინას, მასკვლავს მასწილვენ ცისასა,  
მესხნი გაეზნეს მთვარესა ნაპირის ადგილისასა,  
არ ბოინობენ არწივნი კლდეებში ჩორეხისასა,  
სულეთში ბასილაურნი გზას დახყვნენ სულეთისასა,  
პირს იყენებენ ნათელსა სანთლისას, კელაპიტრისასა,  
ჯავრს გულში ჩასვლას ამბობენ ბერდიშვილთ ახლებისასა,  
კავშირი შახკვრენ თათბირსა „იმედს არა ვართ სხვისასა“.  
ბაბუტამა და გიგიმა გზა დაისწავლეს მთისასა,  
შაჴალ ჩაუხსდეს ჩდილშია, ძალს აჴსენებენ ხვთისასა,  
არხოტის ჯვარი თან სტანავ, ფხასაც აჩვენებს ჴმლისასა,  
თოფ დახკრეს ღიღღვლის გაზდილსა ნაპირის სოფლებიასა,  
ჴმა გატყდა საურჯულოსა: „ფრინველნ დაფრინდეს მთისასა“.  
ამლას შამაჴდეს ბანზედა, სახელს ულოცვენ ჴირჩლასა,  
არ ხკარგავთ, ბერდიშვილებო, ნაქნარსა მამ-პაპისასა,  
თქვენი ჴმა შორად გავიდა, ყურს მისწვდა ჴელმწიფისასა,  
ამაგის მალექსებელი ნაპირს ჴის კავკასისასა,  
მალლა მივღნატრი ღურბელთა მდინართა აერისასა,  
ახიელაში ციხესა, ნაგებსა აბაისასა.

## არ მოგწყინდათა, ჯეჰსურნო

ერთს კიდე ვიტყვი სიტყვასა, მოდით დამიგდეთ ყურია,  
რომენმ ასტეხე ოინი, შენი სულიმცა კრულია?  
არ მოგწყინდათა, ქართველნო, რუსთ მეფის სამსახურია,  
კაც მაგათ ხელში ნამყოფი, სრუ დანულ-დადაგულია.  
ომში მიუდის სალდათი, ინვების დედის გულია,  
დანოლილს არ ეძინების, შვილი ჰყავს დაკარგულია,  
ცოდვიანი ხარ, ჯელმნიფევ, სუყველას გადასულია,  
სრუ ფეხზე გიდგას სალდათი, საომრად გამზადულია.  
ჯელჩი უჭირავ თოფები ნვერზე ხიმტ-ჩამოცმულია,  
წინ მიუძღვება აფიცერ წელზე ხმალ-მემორტყმულია,  
კამანდრებ უკამანდრებენ, რაც წესი სალდათურია,  
გერმანიასი ჯარზედა ქართველთ ზემისვლა თქმულია,  
მავიდა სისხლის წვიმაი, ნამდვილად გაგებულია,  
გრანიციებზე მინდვრები სრუ სისხლით შაღებულია,  
ეხლა აქაურ გიამბათ, ამბავი ჩვენებურია,  
მტერი ადგომას აპირებს, ოსმალოც დამზადულია  
ხევსურთა ახალგაზრდანი სრუ რუსეთს გაკრეფილია,  
ალარ გვაძლევენ თოფებსა, ხაზინაც დაკეტილია,  
არშავიანებს ვიყიდით მისცათ ხუთ-ხუთი ფურია,  
ამზადეთ ტყვია-წამალი, ვისაც რო გაქვისთ ფულია,  
აეხლა იქავ მაგვიდის წინა წესი და რჯულია  
ჯირიმებ დაინმინდების, რაც დროთა გაჟანგულია,  
ფრანგულეებ დაილესების, ზოგ ფხაზე გაჩალხულია.  
ვაჟნო რად გინდათ ნაქონი ჩასაცემელ-დასახურია,  
ან ვერცხლის დანა, სარტყელი, ან ქუდი ყახახურია,  
მზად გინდათ ტახტის თავითა ჯულჩაი გაბანდულია,  
ხვადი ეზოში ნაბამი, სრუ იდგას შაკაზმულია  
ჩქარობდას ხვადის პატრონი, საომრად დაჩაჩქულია,  
ამაგის მალექსებელი, სამების მაგანძურია,  
ჯელჩი უჭირავ სურაი არაყით გაცამცულია.

## ოჯერო ნუთისოფელო

ოჯერო ნუთისოფელო, მიზდისხარ ნელა-ნელაო,  
ჯერ ისევ ღამე ბნელია, ზარბაზანთ იწყეს ჴველვაო,  
ყუმბარათ მათქვს ჭყმუტუნი, ჯარს გვეძახს „მაგასწვერაო“,  
ნუ მიმაგრდებით, ღამქარნო, ბევრა სხვა გამითელაო,  
მოვდივარ შანუხებული, ჰაერში მოვიმღერაო,  
ხანდხან ერთმანეთ შავხვდებით, რკინათ გაგვაქვის ჟღერიაო  
რად სტირი ერთის დედაო? რად იცი გულის ძგერაო,  
არ დაივინყა შვილისა მალ-მალ მკლავების ზელაო.  
სხვანაცა-ღ მაიგონნიდი, ტირის ბევრის კერაო.  
ბევრმ სამის შვილის დედამა კარ უკან გამასდევნაო.  
(ეგ ომში ნაუბარია, ახალ სხვა მავაბენაო)  
მეხუთე ნელში ფანდურსა ღარნ ქვე ძლივ ჩაუსხენაო.  
დროებამ ჩამომიარა, გულს აღარ მისდის ღხენაო,  
ოროღ ჩვენც გვაკლავ ვაჟკაცი, უკაცურთ გვმართებს მღერაო.  
ძმაო, თათუავ, სად დამრჩი, მემრ გიგივ, სვილის ფერაო?  
ნაცადი მამ-პაპურადა თქვენი გრანიცას სწერაო.  
მტრისად მიმყოლებ ვაჟებსა სხვასაც ეგ მაუჭელაო.  
ოთხ თვეს იომე თათუავ, ვალ არ შაგირჩა ბევრაო.  
„ღირსი ორ სიკვდილისაი“ – რო დახკერეს, ჩაიჭელაო.  
„ჩემი ვინტოვკის ტყვიამა მტერი ბევრ გამათელაო.  
გვერდს გედგა ნაროზაული, სხვა ვერვინ მაგეშველაო.  
არწივმ გათხარა საფლავი, სიმღერით ჩაგასვენაო.  
რა მარჯვეი ას, ვაჟებო, მკვდრის ამხანაგის ცქერაო.  
მემრ თავის ჴელით დამარხვა, საფლავში გადაწვენაო,  
მშვიდობით ძმაო, ეტყოდა, ცრემლმ იწყა ჩამადენაო.  
„შენ კი დაგმარხე, გაბურო, მე იქნებ დავრჩე ველაო,  
მემრ მიუბრუნდა ღამქართა, ვინტოვკა გააცხელაო.  
ამღაში, მანგიაშვილო, ჭიუხებმ დაისვენაო.  
ჯიწვთა სიმაგრეთ ნადგომთა, ველარცად მასწვერაო.  
რად სწევხარ ავსტრიაშია? „მოვას“ მოგელის ყველაო,  
შენ გაგიტყუეს ომშია, ურჯულომ მაგინვერაო.  
ჩუნთიავ, ჴირჩღაის შვილო, გულ-რკინავ ფშავლის ფერაო,

შენ სიმამაცე, გრანჯაო, სათათრის ფრონტზე სწერაო,  
თქვენებ საფლავებს ვაჟებო, მზის შუქ სადა-რა ჰყენაო,  
შეგამკობსთ დილის ნიავი ია-ვარდთ ამადენაო,  
მამეტებულად წვრილასა გულს დარდი აწევს ბევრაო,  
ინატრის არხოტიონნი: „სამ დღესაც გამამთელაო,  
დამალაჰვივნა ქისტეთი, მემრ მამკლა, დამასვენაო“.  
ნუ აჩქარდები, წვრილაო, ხან არ გასულა ბევრაო,  
შურის საძებნად მგლის ლეკვთა საველოდ უდგას ღრენაო,  
შასწირეს ოროლ სამ-სამი ღილღველი პირ-შიშველაო,  
ვაჟკაცს არ ჯდება, ვაჟებო, თემ-წყალში თავის ჩენაო,  
სოფელში სიმამაცეი, ურქო ფურივით ბღვერაო,  
ვინაც ას დედის გაზრდილი, უყვარს წვერებზე მღერაო,  
რჯულიან-ურჯულოშია არ დავა თავ-შიშველაო,  
შურის საძებნად მოყმემა გრანიცას გადახენაო,  
წვერი-წვერ ჩაითამაშა, წრიაპებ ჩაულერაო,  
თოფ დახკრა, ხანჯრით ჩავიდა, მტერს ეძახს, „ნახვალ ვერაო“.  
სისხლსა სომს, გამობრუნდების, თავს ეტყვის „დავითვერაო“.  
მთიდიმთივ შამობოინობს არწივი მწარ ტიტველაო,  
არ მალგონდების მღვეარი, არ იცის უკან ცქერაო.  
ეგ თქვენის გამარჯვებისა, ვისაც რო მოგწონსთ ლხენაო.  
ამხიარულებთ ერცხვასა, გიყვარსთ ბერების სმენაო!  
გამხიარულდით სწორებო, დიდი და ცოტა ყველაო.  
დრო გაატარეთ, არაყი დალიეთ ნელა-ნელაო,  
წუთისოფელში ვაჟკაცსა დიდხანს არა აქვს ლხენაო.  
დრომ მარჯვედ იცის მოვალის სისხლის ნიაღვრის დენაო,  
არ-გონებაში წაიღებს ვაჟკაცს ბედი და წერაო.  
ჭიმლაში ბესარიონი ამაგ ლექსაის მთქმელაო,  
ვინ-გინდმ კვეხნაში ჩამიგდათ, ყველას სიმართლით ვსწერაო,  
ჩემთა მამ-პაპათ ჭირმე! მიყვარს მე იმათ სმენაო,  
სახელიანებს საფლავებს გულ-დიდად გადავსცქერაო.

## რუსეთით ინერპიან

რუსეთით ინერებიან: „ზღვა ღელავს, იქნევს პირსაო, იბრუნებს პარახოტებსა, წყალი ივსების მკვდრითაო, დაბუგვა გაუბედავის რუსეთის მიწა-წყლისაო“.

ინყინა რუსთ ჳემნიფემა მიჯნას გადმოსვლა მტრისაო, გაგზავნა ტელეგრამაი, ჯარ მაითხოვა მთისაო:

„მიშველეთ, მაშველ-ჳევსურნო, თუშნო, ნაქებო ჳმლითაო!“

ქალაქჩი მაუვლენავ ფუნჩათ დავითის შვილსაო, კობაი ცისკარაული აფიცრებს ყურის პირსაო:

„ჩვენ კი რად გვინდა პრიკაზი, ბრძანება ჳემნიფისაო? ან აპელანტრებ რად გვინდა? ჩვენ მოვკვდათ, არა გვიშაო, ჯარს გამოძლოლილს ამბობენ გერმანელთ მეფის შვილსაო, ან პლენათ გამოვიყვანათ, ან დავსცათ მეხი ცისაო.“

თაოდ გაუძღვა ჯარებსა, ფეჳჩი დაიძრა მიწაო, გარდუდის გრანიცაზედა ჯარი ქორ-შავარდნისაო.

ამბობდა ცისკარაული: „მისვლა მენადა ჳმლითაო“, ჯარიც არ ეტყვის უარსა, „ჭირიმე წინამძღვრისაო!“

ათამაშებდა ფრანგულსა, ტანად ლერწამი ზღვისაო.

ეფინებოდა ზღვის პირთა შუქი ნალესის ჳმლისაო.

გარდადის კაცის თავ-ფეჳნი, როგორ ფათოლი ტყისაო, მარტყეს გერმანელებმაც, ნაჭოჭ გაილა ძვლისაო, ალვის ხესავითი შამანვა, არ ამააგდებს გმინსაო.

მთელამ იგვლია ქალაქმა, ბრიალ დგას აღმებისაო, დაგზავნეს ტელეგრამაი, სახელ-გვარ კობაისაო, ინყინეს ჳემნიფიანთა სიკვდილი ფალავნისაო.

მალოდინ ნულარ გექნებისთ, ფუნჩანო, კობაისო, აღარ მაგივასთ კობაი, დარჩა გრანიცის პირსაო.

მაკითხვა აღარ მაგივა, ძმაო, ნანერი ძმისაო, ერთგან მოფარგლეს საფლავი თორმეტის აფიცრისაო, ზედ გადახურეს სპილენძი, ნამიც ნუ ჩავა წყლისაო.

სიმირგვლივ შამაუვლიეს გალავან ზარბაზნისაო, ოცდამესამე დღეია კობაის ომობისაო...

ეჭირა სისხლჩი გასვრილი ჳელჩი ნატეხი ხმლისაო,

მარცხენას ჯელჩი ნაგანი, მამკლავი ბევრაისაო,  
ზოგ რასამ გონთით გამავა, ქება ვერ ვიცი ძმისაო.  
წინავაც კარგ ჯმა ხქონოდა ფუნჩათ დავითის შვილსაო,  
რო გრანიცაზედ გავიდა, ვერ იყო ოცის წლისაო.

## ამაჟე, მთვარის ნაღო

ამაჟე, მთვარის ნაღო, ამანათე კლდესაო!  
ჯივტო რო გაიგან მწვანელი, – დღისით სიმაგრეს წევსაო,  
გზას უკრავს მენადირეი, ღამეს გაატანს ბნელსაო,  
გათენებისად შაუკრავს გადასაჟედსა წვერსაო.  
ჯივტნი სანოლთკე წასვლასა იგებენ სისკრის შუქითა,  
ქუჩს სძოვენ თვირთვილიანსა, მიდიან წყნარის ბიჯითა,  
როსაც წვერს დაეჯრებიან, გული უცხოობს შიშითა:  
„ვა, თუ გზას გვეჯდას მოყმეი, ქვიშა შავლებათ სისხილთა!“  
გაძრივლდა დილის ნიავი, ჩამასწინებებს კლდესაო.  
შაგიტყვა, მენადირეო, ჭყიტინებს, უცემს ფეჟსაო.  
გასწივა სალის კლდისკენა, აღარ ენდობის წვერსაო.  
ყინვარში შენი შიშითა მშიერ აღამებს დღესაო.  
გახენა მენადირემა, შამაიჯენჯა გულია.  
სიცივისაგან გავჯერდი ჯივტების მაცადურია.  
რა დაეკლების? – ამბობდა, – სალს კლდეში გადასულია.  
ჯელთ აქვის თოფ-იარაღი, რა კარგა დამზადულია!  
ახლა მშვიდობით წამიხვე, ჯიხვო, კლო რაღა გგულაო?  
გიშველა დილის ნიავემა, ახლა ცალია ვბრუნავო,  
კიდე ჩამახოლ ლიხზედა, ეგრ კი ვერ წახოლ სრულაო.  
გულ რო გახქონდას ტყვიასა, სულს ღლევადა, ამაქშენაო,  
სისხლით ძღებოდან ყორნები, ხყეფდან სიკვდილის ჯმაზედა,  
პირ-იქით ვეთელებოდით სხვა მენადირეს გზაზედა,  
მოყმსა პირ-შიშველასა მავხყევით თოფის ჯმაზედა.  
ჯივტო, ყინვარში ნაზარდო, შამაგყოლია კვალზედა.  
სანყალო მენადირეო, ვის აქვ წვალება შენია?  
შაჟდომა გინდა (რას იქამ?) საცა ყინვრიან წვერია.

გამათხრა თავის სანოლსა, ღამე რო იყვას ბნელია,  
კლდის ძირში გიგავ ლოგინი, კლდის ნანვეთ ჩამაგდენია.  
ძილს გიკრთობს ქვიშის წკრიალი, გულჩრი დარდი გაქვ  
მტრისაო,  
გვერდს გინევს შენი ბერდენკა, რკინას გულს იხვევ გრილსაო,  
ველი გიკიდავ ზატორსა, იმედ გაქვ როგორ ძმისაო.  
ცალკ სიცივე გალონებს, გმინს გააყოლებს გმინსაო.  
შულამემდი რო გეძინას, მემრ დაძინება ძვირია,  
დაგიყუვდების გვერდები, ჭაუხის ქვიშა გრილია.  
საგათენებლო მასკვლავი გორის პირ გადახრილია,  
მიზდევს ქვიშაზე სარტყელი, ჯიჯვების გადაჭრილია.  
ნადი, შასნუხდა დედაი, გმინს გააყოლა გმინია.  
რაად სნუხდები დედაო? თაოდაც უფერ ჭირია,  
ომი რო ნახას თვალითა, პირში დაშჩევის ღმინია,  
ფეწით ვერ წავა ცოცხალი, მტერ გზაში შამაყრილია,  
მელექსეს თუ რას იკითხავთ, გრანჯაის გამათქმულია.

## ნამოვედ სანადიროდა

ნამოვედ სანადიროდა, ჯიჯვებს დაუნყებ ჭერასა,  
შამავხვდი დევებისასა ვაი-ვაგლახსა, მღერასა.  
ახალ-ზალ მაუყვანავის, აქორწილებდეს ბერასა,  
მიაც იქ დამიპატიჟეს, უყურეთ ბედის წერასა!  
უძახეთ ახალ-უხლებსა, ნუ ვის გასწირავთ, ყველასა!  
ნუ აწვეთ ბოდაწველებსა, ითრევენ ძაღლის ენასა.  
მავიდა ახალ-უხლები, ზოგ მე დამინყებს ბღვერასა.  
ეს საითა-ღ ვინ მასთარეთ, ჩვენებივით რომ ვერ ასა?  
მასპინძელ გაუჯავრდების: „წორწილ უხარის ყველასა“.  
ერთ რაიმ რქიან მავიდა, კუდი ღბავ როგორც მელასა.  
თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა,  
მეორე – კუჭულამია, უკენისკენაც ხედავსა.  
იქ რაიც ჭურჭლებ ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენასა.  
„დიდიდებ ყანწებ მაგვართვი!“ ეძახდეს მამისწვერასა.

„შაუნდნას ჩამავლეული, ვინც რომ დააკლდა ბერასა!  
მაილით სამამკვეთროი, ვერ ხკმარობს მამლაყვერასა“.  
ერთ ზიჯვის რქა კი გადასვა, ვხედავ: გუნებას ვერ ასა.  
გადანურნა ჭურჭელნი, დაცალნა, დახკრა ჴერასა:  
შამახკრა ჭიბიხოელმა: „ეხლა გიტირებ ყველასა!“  
„დახკარით!“ მყოლებ იძახან, „ჯერნ აუყუდნათ ბერასა“.  
მე რო მაგათ შულლს შავესნარ, მაგათ ფარ-წმლების ჯღერასა  
ერთუცისაკე ზიდილსა, მაგათ ქურების ბერვასა!  
ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სხვა ეზიდების კერასა.  
„რაიც რო შასვით, შაშქამეთ, ცეცხლად მაგიქცევდ ყველასა“.  
დადგა ქალების წკმუტუნი, ვერ ვიჭერთ მამასწვერასა,  
ერთ რამამ საწნის მაილა, ჩადვა ქაქეშჩი, ღბერავსა,  
სხვამ დასცა წიხლი იმ დროსა, თავ შაუგლივა კერასა,  
წამამხტარმ წამაიყოლა, გაშანთებულ კი ვერ ასა.  
ლაშთა ზდვა გაბრუნებული, ცეცხლი მაედვა ენასა.  
ხანჯალთ დაიწყეს პრიალი, ბებერსაც გვიკვლენ პელასა,  
მე კი საკვმისას გამავძვერ, დევებს ვეკვლევი ვერასა,  
ეგ თქვენის გამარჯვებისა! სრულ მართალს ვამბობთ ყველასა.

## მ ა კ ი თ ხ ვ ა

რუსეთში ქრისტეს ნუხრასა, დავჯე, ლექსები ვთვალეო,  
გამავე, მთვარეს ავხენე, ხვეწნით თავ შავაბრალეო,  
რად არ მიამბობ ამბავსა, არხოტს ჩახედავ მთვარეო?  
ვერ მამიტანეს ამბავი, წერილებს ვემუდარეო,  
ვერცა-ღ რა მაგან მამწერა, ძელიმხანს შამავსთვალეო,  
შინშო, ჩემ დიდო იმედო, რა ცუდ დროს გამეყარეო,  
იმას გთხოვ, ძმაო მიხაო, მამწერე, დამიბარეო.  
რაჭელი გეკონდა ზამთარი, რარიგ დრო გაატარეო,  
იქავ მაგიოლთ, სწორებო, სამ წელ გაივლის მალეო,  
დედასამც ნუ გაუზდიორ, დავდგა რუსებზე მდარეო,  
რაც გინდა დიდად მიჭირდას, ერთხან ისი ვთქვა – ვამეო.  
აბეჩავ, ჩემო ფანდურო, ბევრ ლექს კი დავაბარეო.

ბევრჯელ გახტოლე, ლურჯაო, დღე დაგაყენე მწარეო.  
ეხლა რუსეთში გამავედ, დროება გამავსცვალო,  
წამკითხავს უძღვნი მაკითხვას, დამსწავლო, ხელი მამეო.  
მშვიდობით, ლექსის მსმენელო, შენაც დრო გაატარეო.

## **რუსეთში ჩამასული ორ**

რუსეთში ჩამასული ორ, დავედ, ქალაღებს ვსწერაო.  
სხო საქმე არ მიკეთების, მამენადინა მღერაო,  
რო ჩიტი გაზაფხულზედა, მაქცეული მაქვს ენაო,  
სხოდ კი კაია რუსეთა, ზანიატებზე დენაო,  
წინ-წინ რო ზღვაში შავედით, კინაღ დაგვლივნა გემმაო,  
შაშინდეს კახის შვილები, პირჯვარ დაინყეს წერაო,  
თავს უთხარ, დავღგმე, დავღვედრე, შენც არ გაგწირას  
ფერმაო,  
რა გარგა თავის სოფელში ხვნა-თესვამა და ცელმაო?  
მემრე გამავედ, დავხკივლე: ზღვაო, განირე ღელვაო,  
პარახოტ არ წაგვიქცივა, რა დიდ-დიდ ტალღას სცემაო.  
ბევრი მაგწერეთ წერილი ამაგის მალექსემაო,  
ახლა კი მაგთხრით, მაგზზარავთ, თუ არ მამწერეთ თქვენაო,  
სანადიროჩი დაზრდილნო, ფეხებს განყინათ კლდემაო.

## **გადავა კალოთანასა**

გადავა კალოთანასა ახარებაის ცხვარია,  
ღიღლოთ წამავა ღიღლვლები, ავსენეს თავის ჯვარია,  
მიუვლენ ანდარუყოსა: „ღიჩინ გაგვართენ გზანია,  
ემზადა ანდარუყოი, ფეწზე ჩაიცვა ჯღანია,  
უბეს ჩაიდვა სუდარი, ჯალაბთ დასწერა ჯვარია,  
კალოთანაში შამაჯდა, წუხრ რო ბნელობის ხანია,  
წამაეგებნეს ხირსილნი, მარტიაის შვილნ ძმანია,  
ქისტურად ჰკითხეს ამბავი, ერთუცს დაუცეს თვალია,

ხკითხავდა ანდარუყოი: „ფშავლებს სად უდგა ცხვარია?“  
„ვიდინათ ანდარუყოო, ჯერ მიგვილიან გზანია!  
წყაროს სათავეს შამაწდეს, ბევრი აქვ საუბარია,  
შულამის ხან რო მავიდა, ქისტებმ მაანყვეს ჯარია,  
ინყინა უძილაურმა: „რა დრო სტუმრობის ხანია?“  
გიორგიმ ანდარუყოსა არ მისცა ომის ხანია.  
მა კვირიკაის ხანჯარმა აისხა სისხლის ცვარია,  
გიორგი ქიბიშაურმა შაალა სუდის კარია.  
ნაჩაღნიკ დაუბრაცუნდა: „ხევსურო, შენი ბრალია“.  
მა რას ვიზამდი ბატონო, ქისტებმ გაბედეს ძალია,  
წელთ მესხა იარაღები, გან თუ რა ვიყავ ქალია,  
ამაგის ლექსის მათქვამმა, ბელელს გავანყვენ რქანია,  
უნდა დავაკრნა ბელელსა, შორით ებმოდას თვალნია.

## **ჩემივით არვინ იქნებოდა**

ჩემივით არვინ იქნებოდა, ბევრკან ბევრია თითოი,  
ღმერთმა არ მამცა ძე შვილი, ერთ მიზის ქალის ციცოი,  
ცას ბენვით ჩამამბული ორ, ჭერში რო სკიდავ ქორჭოი,  
ველარც ვაკეთებ საქმესა, დავბერდი არ მაქვ ფილფოი,  
არცვინ მყავ ძმა-სახლიკაცი, რო კა ვინ მითხრას სიტყოი,  
არვინა ჩემის გვარისა, მე ძმა ვერავინ ვიშოი,  
განა სრუ ცოცხად ვიქნები? ერთხან მაკვდების ბიჭოი.

## **მნადიან, შუაუბნელო**

მნადიან, შუაუბნელო, ლექსები დაგიბარაო,  
ჭაუხ ქორები დაგკივის, ჯიჯვების მწყემსო ქალაო,  
ახლოს გყავ მენადირეი, ჴელი არ შაუშალაო  
ქარაფზე ნადგა ჴარლალი, რა კოხტად გაიზარაო,  
ნამაიგრძელა კისერი, რქებ ზურგზე გადიყარაო.  
კვიშაზე რქათა ნაგრელი მშვილდით მოიხარაო,

დაბლიდან მენადირემა ლიშანზე აიყვანაო.  
თოფ გატყვრა, ტყვიამ ინივლა, ჯიჯვო, წაგართვა ძალოო,  
მაღლა წვერებზე გაზდილო, დაბლა გაჩვენა ქალოო,  
შიბიით გამაიშალა, კვენისის შურთხების ფარაო,  
ფრთა შეკრა მწარკვერიანმა, რო ელდა დაეტანაო,  
შურთხს დაჰკრა, ქალას ჩაგზავნა, ქვასავით ჩაეფარაო,  
ამას შახენა ვაჟკაცმა, შაუქო მკლავის ჯანაო,  
უთხრა: „მე და შენ არნივო, ღმერთმ აგრე შემოგვთვალაო,  
მოდო, წაილი ნაწილი, მე მეტს არ წავიტანაო”.  
შააზრიალა კლდეები მოყმის სიმღერის ჴმამაო:  
ამ ორში ერთი ალლოი ვერც ერთმ ვერ მაიშალაო,  
ორივე საქებარია, ქებას მეც იმით ვთვალაო.

## **პარასკევ გათენებადა**

პარასკევ გათენებადა ვარ ფიქრის დანაჭერია,  
დამგონდ დამგონდა ყველაი, მაკეთეი და მტერია,  
ჩამავირიგა არაყი, მოზრძანდა აფიცერია,  
რუსულად გვადღეგრძელებდა ჩვენ როტნი კამანდერია,  
მე მოგილოცავთ სწორებო: გათენდა ახალწელია,  
მრავალს დაგასწროთ უფალმა და დაგიმარცხოსთ მტერია,  
ჩვენ სოფლის ახალ-უხალი ყველა ერთუცის ფერია,  
თავში თქვენ ჯურჯაის შვილნო, რას გამაგრჩებისთ მტერია?  
ხალხი გყავთ აჯაბრებული, ნიჩეო, არაფერია.  
მწრის ჭერა იცის მაგარი, გვერდსა გყავთ მაისტელია,  
აბეჩავ ნისლაურთაო, ბევრა კი გაგითელია.  
არ გჩების გაულახავი, ვისაც გააბი ჴელია,  
გუგუათაო ბერდიაჲ, ჰე, გამარჯვება შენია!  
იცი ლამაზად ტრიალი, ჭურჭლებ რა გედგა ჭრელია,  
არაყ გაქვ გამაულევი, ქერ გიძე ძველის ძველია,  
გაითქვა, იონაშვილო, ეგ მასპინძლობა შენია,  
დღისთაო სწურავ არაყსა, სტუმარ მაგიდის ბევრია,  
ბევრჯერ მასმიე არაყი, ბევრჯერ კი დამათვერია,

მე კი ქვეც ვერას მაკლებდი, ხარ მამის ჩემის მტერია,  
არ დამცილდების, სწორებო, ეგ ინაბარი თქვენია.  
ბევრა სიკეთე დასთესეთ, ორ დიდად მადლობელია,  
შევღებე წელნად-დილასა ინით ფანდურის ყელია,  
ჯერ სადა? ბევრა ლექსს გეტყვისთ ბესარიონის ყელია.

## ნათულა და გამახელა

ვმელ გორზედ გამახელაი მივ-მავას თავის ბანზედა.

შავი ას რკინასავითა, შავი ჩაუცომ ტანზედა.

ნეტარ, რას ფიქრობს ვაჟკაცი, ჯავრი რად მახდის

ჯავრზედა?

აღარც გამადის სწორებში, დამჯდარას თავის კარზედა,  
ლამით დანვების ლოგინში, გმინვას დაინყებს ძალზედა,  
დილას ადგების, გამავას, თვალით მგზავრს იჭერს გზაზედა,  
მალ-მალედ რასამ გახენებს წყემსებს გუდანის თავზედა,  
მემრ ერთი-რაოდ ვაჟკაცი დაიბუზვების ძალზედა.

შინ შავა, ფანდურს დაუკრავს, ლექსს იტყვის გულის

ჯავრზედა,

ვმას აღარავის აღარც სცემს, იმას გული აქვს სხვაზე.

კვირობენ მაგის ჯალაფნი: „რამ შაანუხა ძალზედა?“

ვინ იცის, გამახელასა თუ სურვილი კლავს ქალზედა?

გუდან ნათულა უნახავს სტუმრად მისულსა გზაზედა.

უცოლოს ვაჟკაცს უქმრო ქალ მასწონებივას ძალზედა.

ორ სიტყვა უთქომ ნათულას, გასცილებივას ნამზედა:

„ოჟავ, რას დაიარები ქალების პირობაზედა?“

შენ ჩემ ფერს ვერვის მაიყონ, თუ გინდა შახვდა ცაზედა“.

მას იქით გამახელასა ჯავრი შახყრივა ჯავრზედა,

უნდა ნათულა საცოლედ, რო დაინვინას მკლავზედა.

არ იცის, რაწლად რაი-ქნას იმ ქალის თაობაზედა.

ველარცად სხვათ ეუბნების: „ქალი მამგვარეთ კარზედა!“

ნათულა ვერ მაიყვანას, რომ სხვამ დაისოს სკამზედა.

ერთხან ნუხრ გამახელასა ჯალაფნ აუტყდეს ძალზედა:

„რამ შეგანუხა, გვიამბე, რაზედ ხარ გულ-ჯავრიანი?“  
ხვეწა დაუნყეს დედ-მამათ, ეხვეწნეს თვალ-ცრემლიანი.  
გვითხარილ, შვილო, რაია, იქნებ ხარ მიზეზიანი?  
ერთ ნელ ას, არ განათლულხარ, საკლავიდ დავკლათ რქიანი!  
იქნებ გულს ის გინუხებდას, რო არ ხარ ჯელსისხლიანი?  
„დიდი ას გუდანის ჯვარი, ყმანი ხყონ სახელიანი!  
ჯელთაც გინითებთ ხვალ დილას, ოლონდ მაგშორდას ზიანი“.  
ახლა მამუკა ეტყოდა იმ გამახელას ძმასაო:  
მიერეოდი ფეკითა, სინირფლე უნდა ჯვარსაო.  
იმით ხარ შანუხებული, ნურას აბრალე სხვასაო!  
ხვალ დავკლათ, გამახელაო, სანათლავი გყოვ მზასაო.  
ჭკდეი ქენ, ადეგ, გულშია მადლილ მასთხოვე ჯვარსაო!“  
გულ უნუხს გამახელასა, არ ყურობს ნაუბარსაო.  
„ჭკდეი ქენ!“ მეორედ უთხრა მამუკამ თავის ძმასაო.

*გამახელა ცოტაად გაიციინებს და თავისთვის იტყვის: „ამა-  
გით ნათქვამი ასავ, სხვათ ნაშქობ ისარივ ყუნჭს ესჭვავ“.*

გამახელა:

„ქვე რას ჯვართ ამბობთ, ჯალაფნო, რას საკლავს,  
სანათლავსაო?

წლით ცხრა-ათს უკლავ საკლავსა, ქვე რა მიკლავის ჯვარსაო?  
მე ჯვართა არაი-მჭირდა, ჩემ გულ უჭერავ სხვასაო,  
მე თუ ის ვერ გავაცხადე, მაშინ მავიკლავ თავსაო“

მამუკა გაკვირებით ჰკითხავს:

„რაი გაქვ აგეთ სათქმელი? ვაი შენს მამუკასაო!  
მითხარილ, გამახელაო, აგრემც მიტირებ ძმასაო!  
ცუდ სიტყვა ხო არვინ გითხრა? ხალხ ეჯაბრების კასაო.  
მითხარილ, მითხარ, რაი ას? რაად მიმალავ ძმასაო?  
შენს მწყენელს, გამახელაო, ორად გავაჭრევ ჯმალსაო“.

გამახელა:

„დღეს ვერას გეტყვი, მამუკავ, ამ ჩემსა ნაგონარსაო.  
ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, ადევ, გაუდევ გზასაო.  
მაშინ გაიგებ მართალსა, ეხლა ნუ მკითხავ სხვასაო!  
თუ არ დამეწსენ, იცოდე, ეხლავ მავიკლავ თავსაო”.

*კითხვით რო შაანუხეს, ადგების გამახელა, კარში გავარდების, იქ მიივლ-მაივლის, ამბობს თავისად: „ვაიმე ჩემო ნათულავ! მაშინ რაილ მეშველების, თუ ჴელად ვერ ჩავიგდი?” ამ დროს დედ-მამანი მამუკას ეტყვიან: „არიქალ, კარადაში ჭურჭლის ძირში არაყი ას ძოლანდელი, აგებ დავათვრათ. – მთვრალმ იცის გულის სიტყვის თქმაი, აგებ ვათქმით, რაი ას მავის თავს”. ამ დროს კარშივით გამახელა შამავას, ჯალაფნ საუბარს გასწყვეტენ. გამახელა გარმაწდების, ჩამაჯდების სკამზედ. მამუკა ჯალაფთ ეტყვის: „ხინკლებ ამაყარეს ქვაბშიით, არაყან ხო აღარან მარჩეს ძოლან?” დედა ეუბნების: „ვაი თქვენს დედას, ქვეც დაგვცილებივ! ძოლანდელ არაყიც აისეთაივ დვას ჭურჭელში”. გარმაილებს დედა ჭურჭელს, წამასხმენ არაყს ყანნებში, ტაბლას სახელს დაზდებენ, ჯერ მამუკა თაოდ შასომს, მემრ დედ-მამათ შასამევს, მემრ გამახელას აძლევს არაყიან ყანნს. გამახელა ჯერ გაუძალდების: „არ შავსომავ”. ხვენნით რო შაანუხებს, შასომს გამახელა ერთს, მეორეს, მესამეს; ვითასაც არაყ მაეკიდ, გამახელამ იმთვენიც მარჯვედ სმა დაუნყ. ცოცროტაობით გამახელა კიდევ დაითვრ. ჯალაფთ რო შაატყვეს სიმთვრალე, ისრევ ნელ-ნელად კითხვა დაუნყეს.*

მამუკა:

„ორ ამის გაკვირვებული: სიტყვას მიმაღავ ძმასაო.  
ძმასაც არ მითხარ გულისა, ვისად უამბობს ხვასაო?”

გამახელა:

„ამაგით დამათვერითა, ამავაცდინათ მთვრალსაო?  
ვერას გიამბობ ჯალაფთა, მარტუას ვეტყვი ძმასაო,  
ვერ ვიტყვი დედ-მამათანა, რაიც მიწუხებს თავსაო.”

დედ-მამან ადგებიან: „აჰა, შვილო, ჩვენ დავწვებით, მამუკას უამბე, თუ ჩვენთან არ იტყვი“. დედ-მამან დანვებიან. მამუკაის დიაციც, ძილუკა, ადგების, ისიც დანვების. აწდებიან ჭერხოს ყველან დასწოლად, შინ მარტონ მარჩებიან ძმანი: მამუკაი-დ გა-მახელა.

მამუკა:

„აბა, აეხლა მიამბე, კაცო, რა განევს ჯავრია?“

გამახელა:

„იყურე, გეტყვი ყველასა, გულისას იტყვის მთვრალია, არაყი რო არ შამესვა, არ ვიყავ მაუბარია.

გასაოხრები სურული!რამ გააჩინა ქალია?

მე ძმაო, ძოლან შამამხვდა, იყო შუადლის ხანია,

გუდანის ძირში ნათულამ სიტყვა მიძახა სამია

შენაც ხომ იცი, ნათულას ჯერ ხო არ ხყავის ქმარია,

მე ის თუ არ მავიყვანე, თავი არ მინდა მთელია.

იმას გონობას ორ-სამ დღეს ჭალარი გამამერია.

ლამით ძილ არ მეძინების, დამდვა სიკვდილის ფერია,

მტკივიან გულის ფიცარნი, ამამეკურნა ყელია.

წელ-გულ არაზედ მიმიდის, ნდომა ყოფილას ძნელია“.

მამუკა:

„ვა შენს მამუკას! რად ღმალე, ქვე რად არ მითხარ წინაო?

შენი მამუკა ნათულას ხვალ დილა მაგგვრის შინაო.

მაგან ქვე რად შეგანუხა? – მამუკამ გაიცინაო.

რად არ მიამბე შენ ძმასა გუშინავ, გუშის წინაო?“

აეხლავ წავალ, დილისად მავიყონ ნათულასაო.

ქალი ჩვენ არ დაგვიწუნებს მამიშვილობას, გვარსაო“.

ადგა, მამუკამ აზჯარი წელად აისხა ტანსაო,

მარტუა მიემართების, ვერ გაიყოლებს ძმასაო.

(წესი ას წევსურეთისა: ქმარ ვერ მაიყონს ქალსაო)

წავიდა გუდან მამუკა, მიდგა ჯარიათ კარსაო,  
ჩქარა დაალა კარები, თვალ-წამი-ერთის ხანსაო,  
ქაზდარში მიძინარს მიაწყდა ჯარიათ ნათულასაო.  
ჯერ წყნარად გამააღვიძა, არ შააშინებს ქალსაო.  
„ჩქარა ტალავარ ჩაიცვი!“ გააბა ჴელი მწარსაო.  
ნათულამ წყევა დაუნყა: „ვინ ხარ, გამადი კარსაო!“  
მამუკამ უთხრა: „სუ: ნებას! არ გაიგონან ძმათაო!  
თორო მე არ დავბრუნდები, გავავლევ სისხლის წყალსაო;  
ველ-გაკიდებულ ქალი ხარ, ველარ წაუხოლ სხვათაო,  
ვერც არას თავს დაამეტებ, ხო იცნობ ჩემსა ძმასაო?“  
გამაიყვანა ნათულა, ბევრს აღარ დაღლევს ხანსაო,  
ჩამავლინა გუდანი, პირ-გაღმ გამაჴყევა გზასაო.  
შამაჴდეს ღულის ძირშია თვალ-შუალამის ხანსაო.  
დავ-მავს გამახელაი იმ თავის ჴერხოს კარსაო,  
გულში მადღს მასთხოვს მალ-მალედ იმ თავის სალოცავსაო:  
„ველ მაუმართე მამუკას! მე მამგვრის ნათულასაო“  
ხან იტყვის: „მაშინ რაი-ვქნა, თუ წაუვიდა სხვასაო?“  
„ან შინ არ იყოს ნათულა, არ იჯდას თავის სკამსაო?“  
გონობს, აჴსენებს ხთიშვილსა, მემრ დიდს იმ ღულის ჴვარსაო  
„ველად ჩამიგდი ნათულა, შენ შამაგაკლავ ჴარსაო!  
ბობოქრობს გამახელაი, მეელის თენებასაო.  
ამ დროს მივიდა მამუკა, შააღებს ჴერხოს კარსაო,  
ძმას ეძახს: „წამაეგებე ამ შენსა ნათულასაო!“  
გარმახტა გამახელაი, წინ-წინ აკოცებს ძმასაო,  
მემრ კი ნათულას ვაჴკაცი ყელ-ყურს უკოცნის ქალსაო.  
ნათულამ ჴელი მახკიდა, შამაიხვივა გულზედა.  
ხკოცნიან ერთუცს ქალ-ვაჴნი იმ ჴევსურეთის რჯულზედა,  
ყელ-ყურზე, ქურზე, თორ-პირზე, ხან აკოცებენ შუბლზედა.  
ერთმანეთს გადახვეულნი დიდხან ეყუდნეს ზღურბლზედა.  
ნათულა ეუბნებოდა კიდე: „ტკბილი ხარ სულზედა“  
მემრ გადაიქცნეს ორნივა ლოგინზედ გამაშლილზედა.  
მამუკა ცალკე წავიდა, წამანვა თავის ტახტშია.  
ერთუცს ხკოცნიან ქალ-ვაჴნი ნდობით ცრემლი ზდის თვალშია.

ამბობენ: „ღმერთმა შეგვაყვარა, უნდა ჯარ დავკლათ ჯვარშია“.  
 მავიდა თენების ხანი, ისრევ ხკოცნიან ყბაშია,  
 ქალს კოცნის გამახელაი ყელ-ყურშია და თვალშია.  
 ნათულამ უთხრა: „გათენდა, ავდგათ, გავიდათ კარშია!  
 მზის გრილონ შამაიყარნეს, უყურელ, საკემის კარშია“.  
 ადგეს, ტალავარ ჩაიცვეს, ქალს ეტყვის გამახელაო:  
 „ახლა რაწელ ვქნათ ამაზედ, მითხარილ, მე და შენაო:  
 რო მავლენ შენნი მამულნი, რა შაუქციოთ ჩვენაო?  
 რო მაინდომონ წაყვანა, შენს თავს გავატან ვერაო“  
 – „რას ამბობ – ნათულა ეტყვის, – შენ ჩემო გამახელაო?  
 უშენოდ რაწელად ვიქნა, ღულს რაწელ გამახენაო?  
 მე არ გავხყვები მამულთა, ნუ გეშინიავ შენაო!“  
 – ეგრ მინდა, ჩემო ნათულავ, გენაცვლას გამახელაო!  
 რო მავლენ შენნი მამულნი, ჩვენ ნუ გამავალთ კარშია,  
 ბევრნია ღულელთ ვაჟები, არ მაუშობენ სახლშია.  
 წავაყვანივთ საკლავი, შორს მივაგებათ გზაშია,  
 დავხვივთ შუაკაცები, ნაცადნ რჯულ-სამართალშია!“  
 გათენდა. გუდან ვაჟები სალაშქროდ ემზადებიან.  
 ტანთ იცმენ ჯაჭვ-იარაღსა, კინალ ჯავრისგან სქდებიან,  
 ნათულას ძმანი ორნივა გამტაცეს ემუქრებიან.  
 „იარად მთხილად იქნიეთ! უფროსებ ეუბნებიან.  
 გამაემართნეს ბობოქრით, ღულის ძირ შამაწდებიან.  
 გაიგეს ღულელთ ვაჟებმა, ერთი უძახეს სხვასაო:  
 არიქათ, მაემზადენით, ნურას მავაწდენთ ავსაო!  
 კურეტებ გამაიყვანეთ, წინ მივაგებათ ჯარსაო!“  
 მავიდეს გუდანელები, აბჯარ მაილებს ჩქამსაო.  
 – ქალ რაზედ გამაიტაცეთ? რაზედ გვიმტვრევდით კარსაო?  
 მიგიკლავთ გადაკლებულთა იმ ჯორაკებს მკვდართაო!  
 თუ აქ არ მაგვგვრით ნათულას, გავავლევთ სისხლის წყალსაო“  
 ნათულა, გამახელაი, ორნივ სხენ ჭერხოს კარსაო.  
 ბობოქრობს გამახელაი: „რა ვქნა, წამგვრიან ქალსაო“  
 მივიდეს ღულელთ ვაჟები, ეხვენებიან ჯარსაო,  
 ჯელში საკლავებ უჭერავთ: „კიდევ დაგიკლავთ ჯარსაო,

ნუ ითაკილებთ, ვაჟებო, ბევრს მაჯდომივა სხვასაო.  
 წესი ას ჴევსურეთისა, ყველა იტაცებს ქალსაო”.  
 საუბარ-საუბარშია სიტყვას იტყვიან კასაო,  
 დააშოშმანეს ლაშქარი, საკლავებს სჭრიან თავსაო.  
 ჯვართ ეძახს გამახელაი: „გულ მაუქციე ჯარსაო!”  
 გაბრუნდეს გუდანელები, ვერ შაარცხვენენ გვარსაო,  
 საკლავებს ველარა უყვეს, მემრ უფროსთ ნაუბარსაო.  
 ქალ-ვაჟთ კი დაშრა ერთუცი, მზე-მთავარესავით მცხრალთაო,  
 (ღმერთმა თქვენ მოგცასთ!) მიეცა გამახელაი ლხინსაო.  
 გულზედ ეხვევის ნათულა, ხან-დ-ხან გაუჴსნის ღილსაო,  
 ნათულაც გამახელასა მალ-მალ ეხვევის პირსაო.  
 ღმერთს ლოცვენ ორნიე ქალ-ვაჟნი: „საქმე მოგვიცდა ხითთაო,  
 შაგვყარნა ერთად წერამა საფერნი ერთუცისაო.”  
 მეორე დღე რო გათენდა ქალ-ვაჟთა მშვიდობისაო,  
 ხუცეს ბათირა მახყავის, დამკლავი საკლავისაო.  
 ჯვარის კარ შევდეს ორნივა, ძალი აჴსენეს ღთისაო,  
 ჯვარს მადლს სთხოვს გამახელაი, ნათულა უდგას მჴრითაო.  
 ბათირა ხუცობს, საკლავსა იმ ჯვარის ბელლის პირსაო.  
 ახვენებს ორთავ ქალ-ვაჟთა: „ნალმ ხყვანდი თავის ყმათაო!  
 მიწრიელ შენ დაულაგმე, შენ გააცილე ზღვასაო!  
 შენ მეხი, მათრაჴ იჴმარე! ყალან აშორე თავსაო,  
 მტერ სიკვდილ შამაქციული! შენ უხოიშნე ყმათაო!  
 მზის მყოლნ ანგელოზ დიოდან მეხვენურთ ყუდრო კარსაო!  
 უშველე ორფეჴს, ოთხფეჴსა, ქუდიან-მანდლიანსაო!  
 წული სანულით იხვენენ სხვას ამ დროს მომავალსაო!  
 ნუ მაუყენებ შენ ყმათა, ყალანს ნუ დაზდებ თავსაო!  
 ხთისაგან გამაშობილსა ხთის იასაულს კარსაო!  
 ჩემგნივ რაც ჴსენება გაკლავ, შენ მაუმატე ყმათაო!”  
 მასრა ბათირა ხუცობას, ახლა საკლავს სჭრის თავსაო,  
 სისხლი უწივა ქალ-ვაჟთა, დაამწყალობნებს ჯვარსაო:  
 მოგცასთ ღულის ჯვარმ წყალობა! გწყალობდასთ,  
 გწყალობდასთაო!  
 რამაც შაგყარნათ ერთადა, კლოვ ნულარ გაგყარნასთაო!”



## სხვადასხვა

\*

უქმრუთის ქალის გული მინდორთ გახქრის ქარივითა,  
უცოლოის ვაჟის გული ინურება მხალივითა.

\*

– ქალო, საქმაროს გიქებენ, ჩემსამც საქმაროს შაჰყარა,  
წელთ მისცა იარაღები, ლურჯა საფერწედ მალგვარა,  
– ნანატრის გაცხადებითა, ნეტავინ ქვე-სად შახყარა!

\*

შავაქათ დიასახლისი, ქუჯათ ნანაის ოდნადა,  
ამაგის დამცხვარნ საგძალნი შავ-წყალ დაფასდეს სამ  
ცხვრადა.

\*

შენ ქვე რა გიქნავ, ვაჟო, სახელ რა მაგიტანია,  
კაცი როს მახკალ ჭარელი, წელი როს მაგიტანია,  
ქალი კეთილში ნაჯდომი ცოლად ვინ ნაგიყვანია.

\*

დაკვეხნებზე ნუ იყოს, ლამფა არ მინდა ქალსაო,  
თორპილის სინათლეზედა დავხკერავ ნაჭრელასაო.

\*

ბაიის მზემ, მზეს ვლგვივარ, ხიზანაის მზემ მთვარესა,  
ბაბუაის მზემ ვანათებ არხოტის არემარესა.

\*

მე თუ არ მნადის, ჯალაფნო, ვერ გამათხოვებთ ძალადა,  
ნუ აღენთ შუაკაცებსა, არვინ მაუშვათ კარადა!

გაიგეთ ჩემნო ჯალაფნო, ჴევსურ არ მინდა ქმარადა,  
ნაუოლ არხოტიონსა, ჴევსურთ შვილების ჯაბრადა,  
მამნონან არხოტიონნი, ურჯულოს უდგან ფარადა,  
დღის-თაოდ მააქვ სახელი, ქისტებს თავს ჴრიან ცხვარადა,  
მალ-მალ უვლიან მთა-წვერთა, მააქვ ნადირი ბარადა,  
რად მინდა ქმარი ისეთი იყოს ჩემს ანაბარადა?  
თუ მიმცემთ არხოტიონსა, მე სხვა არ მინდა ქმარადა.

\*

სტუმართად ავი დიაცი არხოტის თავსაც დარჩება,  
ჴელთ შვილი, ზურგთ აკავანი, მშველელიც ნუვინ შარჩება.

\*

მაშინ სად იყავ ვაჟაო, როსაც არ ვიყავ ქმრიანი,  
ახლა სხვა მამნონებივა, შენზე უკეთა ჴმიანი,  
ხუთთა სცემს, ხუთთა უფარებს უჯაჭვოდ პერანგიანი,  
შენ ერთსაც ვერ დაუხვდები ჯაჭვიან-პერანგიანი.

\*

მაშინ კაი ხარ კავ-ცხენო, მთან რომ შახგვანდან ლილასა,  
პირს გედვას მძიმე ლაგამი, ორთქლი ადნობდას რკინასა,  
ემზადებოდას მხედარი, შუბლი უგვანდას სინასა.

\*

შენ გინდა თივა და ქერი, შე ბერო დიდი ხნისაო,  
არ გძულდა აღმა-ჩაღმაი, საყუვ იცოდი გზისაო.

\*

სოფელსა არდარეულსა არა არიგებს ჴკვის მეტი,  
მტერ რახან არ გიჯერებდას, არა აყენებს ჴმლის მეტი.

\*

ან მოკვდა რეკათ ჯამრული, დანვა და დაიძინაო,  
მზეი ჩაუდგა თვალეზში, ღრუბელმა ჩაუჩრდილაო,  
ყორნებ ჩავიდნენ საჭმელად, არნივებმ ჩაუშქინაო.

\*

ვაჟკაცს არ გამაადგების სოფელთ მშვენება ტანისა,  
ბანებზე მიდგომ-მადგომა, გამჩვენეობა ქალისა,  
ხმალს უნდა აჭრევიებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.

\*

თოფმა თქვა, ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დუღილი,  
მაისის ბერნში გამნაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი,  
მემრ ნახას ჩემმა პატრონმა, ჩემის დაჭრილის ნუხილი.

\*

ხმა მამნონს თქვენი თოფისა, იცის გველებურ წივილი,  
თქვენი მთათ შამავლილობა, ქორებულ შემოკივილი.

\*

ეს ლუდი მათრობელი ჯობ, ძალლი თეოზე მყეფარი,  
ყმა სოფელ სულ-ლებული ჯობ, რო გაჭირდება მჭექარი.

\*

ღვინოვ შე ჭაჭანაისძევ, უცეცხლოდ ამასდუღდები,  
ჭკვიანთადა ხარ სასმელი, უჭკოსთან ამაშულდები.

\*

შასმა შენ გინდა ღვინისა – შენ უფრო შახკრავ საგანსა,  
ჩვენ პურის ჭამა რად გვინდა? მშვილდს ვერ გაუბამთ  
საბამსა!

\*

სასტუმრეულოდ მზეს ჰგვიხართ, სამასპინძლოდა –  
მთვარესა,  
დასატიებლად მტრისადა, ქვას ჰგვეხართ მგორიალესა,  
ადვილად გასაგერშავად მგელს ღვეხართ მორიალესა.

\*

მძიმენ ხართ, მძიმედ დასხდებით, შუქ დაგადგებათ მზისაო,  
ტაბლა გაქვთ გაუცუდები, ჯორცი გაქვთ ვაც-ვერძისაო,  
თასს აი, იქისკე გაილებთ, საცა ჩემ კვალა ზისაო,  
იქისკე ბიჯ დაგეძრებათ, საც იძახებენ ჭირსაო.

\*

არა ას მამაცობაი, შარა გზასავით გაცვდება,  
ერთი დღის ბარაქალაი, კარგა ხქენ ჯელიმც შაგრჩება,  
კარგი ას პურადობაი, უნჯია, შვილსაც დაშჩება.

\*

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო, სამი მზე მოვა თქვენზედა,  
ერთ მოვას პურადობისა, შუქ დაგიდგებისთ სკამზედა,  
მეორე მამაცობისა, მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,  
მესამე თოფოსნობისა, ჯიჯვნ ვერ გაგივლენ მთაზედა.

\*

კა ყმას აჭმიე დედაო, დილა ადრიან სადილი,  
ან ხმა რა შამალვარდების, ან მთას გაუვას ნადირი,  
ცუდას რად უნდა დედაო, მზის დაცხრობამდე სადილი?  
არცრა ხმა შამალვარდების, არც მთას გაუოს ნადირი.

\*

მაშინ კაია კაი ყმა, რა დილა ბინდზე დგებოდეს,  
იცვამდეს გრილსა რკინასა, „ომს-ვიზამ“, ემზადებოდეს,  
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა, ნალმა-უკულმა დგებოდეს.

\*

ბერო ბერობას ნუ შჩივი, მაკლებას თვალებისასა,  
ეცადე ჭკვა-გონებასა, რიგებას თემ-სოფლისასა,  
ბედენად ნუ გაუჯავრდიდ თავისასა და სხვისასა,  
ჯერ ბოლოს გააკეთებდი, მემრ გზასა სულეთისასა.

\*

ნისლაურისძე ჯირჩლაი კლდისა ვეფხვია მნკლიანი,  
სიბერე ლომსა არ უშლის, ას მაინც სახელიანი,  
ბევრჯელ ჩავიდა ღილღოსა, საომრად გულჯავრიანი,  
ბევრჯელ ისრია ჯირიმი, მთა და ბარს ედგა გრიალი,  
ბევრკან დააგდა ღილღველი დაჭრილი, პირსისხლიანი.

\*

მახკვდია, ბეჩაო იერემო, დასდევა სიღარიბის ჯოხი,  
მინანიც დაილოცებიან, ტიტველნი დაგიფარნა ჯორცნი.

\*

ვაჟასა შენისთანასა განა თუ ეგრე სმა უნდა?  
დილას ადგომა ადრიან, გრილსა რკინასა სხმა უნდა,  
აყფედებოდას ქოფაკი, სოფლის სიმირგვლივ ვლა უნდა,  
სოფელს მავიდას მოძალე, სხვათ ნამეტნავად ცდა უნდა.

\*

ვინ შავე საძელეზედა, ვინ შასძარ ჯაჭვის საველი,  
იქნება ბაბურაული, ჯირჩლას უყვარდა სახელი,  
ვევსურნ გიდრახვენ, ჯირჩლაო, ლურჯამ აქნივა სახელი,  
– ეხლა თქვენ იყოს ლურჯაი, თუ ადვილია საქნელი.

\*

არხოტის ქალას ყორნები მკვდარზე ჩადიან ქოთითა,  
დაგლოცვენ, აღუდაურო, გაბუურის ძევ ფოთითა,  
ძმას ნაულალე უმცროსი, რომელიც ღილღოს ჯობისა.

\*

ყმანვილო, ბენიკუაო, დარბაისლობა იცია,  
წინ ჩასვლა, უკან ამასვლა, ჩაშველები იცია,  
დაგეჭრას სწორ-ამხანაგი, ჩასვლა საშველად იცია.

\*

ძმა მაშინ მოგაგონდება, ცხრანი რა გცემდნ მარტოსა,  
არსაით იყოს მშველელი მტერი რო გაგიფანტოსა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანე ლიქოკელი – „ხევსურები და ქაქუცა“, 1906 წ., გვ. 46
2. ხახო მანგოშვილი – „ქისტები“, 2005 წ.
3. ნათელა ბალიაური – „ხევსურული ქრონიკები“, 1995 წ.
4. გიგი ხორნაული – „ნეტამც მოგეკალ“, 1996 წ.
5. ალექსი ოჩიაური – „ფშავ-ხევსურული პოეზია“, თბილისი, 1970 წ.
6. კონსტანტინე გამსახურდია – „კვლავ გერმანიაში“, თბილისი, ტომი IX, გვ. 587
7. ვერა ბარდაველიძე – „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადოებრივი კულტურული ძეგლები“, 1987 წ.
8. აკაკი შანიძე – „ხევსურული პოეზია“, 1931 წ.
9. ვახუშტი კოტეტიშვილი – „ხალხური პოეზია“, 1961 წ.
10. სერგი მაკალათია – „ხევსურეთი“, 1935 წ.
11. ალექსი ჭინჭარაული – „ქართული ხალხური პოეზია“, 1985 წ.
12. აკაკი შანიძე – „წელიწდეული“ 1923-24 წწ.
13. А. Камараули — "Хевсурия", 1927 г

## სარჩევი

ჩემი ტავრუცი.....	13
არხოტის ჯვარის ხმალი .....	18
ძველი ამბავი.....	20
შეხვედრა ჯირჩლათ ბენინასთან.....	22
არხოტის ჭირისუფალი .....	25
შემთხვევა სანადიროში .....	28
არხოტივნებისა და ქისტების შერიგება .....	31
ეპიზოდი ლილღოს ცხოვრებიდან .....	36
სტუმრად ბაცუციათ ბერდიასთან.....	38
ერთი დღე დავით გაბურთან.....	39
არხოტის დალაშქვრა პირაქეთი ხევსურების მიერ .....	41
სერგოს გადამრჩენელი .....	43
არხოტის სტუმრები .....	44
კალოთანა (ქიბიშაურთა ნასოფლარი) .....	51
არხოტის ნასახლარები .....	58
არხოტის ქავციხეები .....	60
მივიწყებული სიტყვები .....	62
თოფის წამალი .....	65
მონადირის არგანი, მათარა და წრიაპი .....	66
ახდენილი სიზმარი.....	68
ტანიე.....	69
„თათხელიონი“ .....	71
ნეთხიჩოელი.....	72
ქაქალათ ბენიკა .....	74
მონადირული .....	77
ქარჩათ ქალი .....	79
უქმობა არხოტში .....	80
ბერდიათ გაგა .....	82
თოთათ მაისტელი .....	83
ივანეური .....	84
მუსიკალური არხოტი .....	85

კაკურაზობა (კრძალვა) .....	87
ნელნადი (ახალი წელი) არხოტში .....	88
მარიემწიდაობა .....	90
სულთაკრეფა .....	91
მეორე მოსვლა .....	92
უნცრუათ გაბრიელი .....	93
თამარისძეთ თათუა .....	96
მღვდელი.....	97
„ღვთის კაცი“ .....	98
სოფლის სინოპტიკოსი .....	99
გარსია ოჩიაური .....	100
გეჯუა .....	102
ჯვარში შახვენა ანუ შაჯდომა .....	103
ბაბოშვილის მთიბელში .....	105
სმენითი ჰალუცინაციები .....	107
არხოტის დაუძღვეელი პრობლემა .....	109
ფანტიაურა .....	112
ლამისთევა .....	113
საღმთო .....	114
ჯვარში მიბარება .....	115
თავ-მასაპარსოი .....	115
დაკოჭვა .....	116
დობილნი .....	117
სამეშვლო .....	118
ნათელ-მირონი .....	118
„შაენყლურა“ და „რქაბედენა“ .....	119
ოჩნხარი .....	121
მენუხრიელანი .....	122
მჩეჩელნი .....	123
მგზავრული .....	124
„ქოსა ჩობანი“ .....	125
გიგუას ჳიქუა .....	126
მეჯალაფენი .....	127

მაძახურა .....	128
მამას მონაყოლი .....	128
თათარა ქოლიკაურის მონათხრობი .....	129
მამიდურის ნამბობი .....	129
ხმით მატირალი .....	130
პატარ-პატარა ამბები .....	132
*** (ჭიშველის გორზე) .....	132
*** (მტრები) .....	132
*** (გოგი და ბაბო) .....	133
*** (ორი ყუდია) .....	133
*** (ლაჯია) .....	133
*** (ბიძა-ლეთისო) .....	134
*** (თოფი) .....	134
*** (ბეგთარი) .....	134
*** (კაცთ-კითხული) .....	135
*** (მამიდური) .....	135
*** (ბერდია) .....	136
*** (წყემსი) .....	136

## პოეზია

<b>გოგი ქიბიშაურს</b> – გოგიმ ლექსი წერილით მიიღო, თავსართი წარწერით „ლექსი გოგი ქიბიშაურს“, არხოტში უკანასკნელი შეხვედრის მოსაგონებლად. ივანე წიკლაური, 1953 წ. ....	139
<b>აჩქამდა ხევსურიშვილი</b> – ლექსი ალექსი წიკლაურისა. იგი ინვალიდი იყო და ამბობდნენ, ეს ლექსი საკუთარ თავზე აქვს დაწერილიო .....	140
<b>შევხედავ ბალავაროსა</b> – ივანე წიკლაურმა არჩილ ოჩიაურს პატიმრობისას მისწერა ეს ლექსი ორმოციან წლებში. ....	141
<b>დავჯე, დაგწერე წერილო</b> – ლექსი არჩილ ოჩიაურის პატიმრობისას გაგზავნილია არხოტში. ....	142
<b>სამგზავროობა ვავბედე</b> – პატიმრობისას არჩილ ოჩიაურმა გიგი წიკლაურს მისწერა: „უთხარით ხირჩლათ გიგისა, კაც უნდა იჯდას ბერია, ხევსურეთისკენ ნუ დახოლ, ხევსურთ ქალების მტერია“.	
ამაზე გიგიმ უპასუხა .....	142

<b>ლექსი იტყვის კიბალაური</b> – ლექსი ივ. ნიკლაურისა. ერთ წელს გიგია და ძილა ნიკლაურები წყალმა დალია. დავითმა და ბერდედა ოჩიაურებმა თვითმკვლელობით დაამთავრეს სიცოცხლე ეს ლექსი ამაზეა ნათქვამი. ....	143
<b>სამშაბათ გათენებადა</b> – ლექსის ავტორია თარუა ბალიაური, რომელმაც 1924 წ. ქისტების არხოტზე ლაშქრობას მიძღვდნა .....	144
<b>ახლა ლექსობას დავიწყებ</b> – ლექსი ობოლა ნიკლაურისა. 1924 წ. არხოტში ქისტების ლაშქრობას ეხება, ბრალს დებს არხოტივებს, რომელთაც ცხენებიც მოსტაცეს ქისტებს და კაციც მოუკლეს .....	146
<b>დავჯდები, დავსაგონდები</b> – მინდია (მერცხალა) ნიკლაური. ცხრაასიან წლებში ტერლის კარ მომხდარა არხოტივებსა და ქისტების შერიგების მცდელობა, სადაც ვერ შეთანხმებულან და მტრებადვე გაყრილან .....	147
<b>უნდა ვალექსა არხვატი</b> – ლექსი გაგა თეთრაულისა, არხოტიდან კახეთში ჩასახლებული .....	148
<b>გულს შაეყარა სალონი</b> – ლექსი ობოლა ნიკლაურისა .....	149
<b>ნარჩევი ვაჟების ჩაჯოცვა არხოტში</b> – ძველი ამბავი .....	150
<b>არხვატო, ჩემო სამშობლოვ</b> – ლექსი ალ. ოჩიაურისა .....	151
<b>აბეჩავ, ჩემო ძმობილო</b> – გრანჯა ნიკლაურისაგან წვრილას .....	151
<b>მონადირეებს ვალექსებ</b> – ლექსი აბიკა ნიკლაურისა .....	151
<b>თივას ვთრი კალოთანიოთა</b> – ლექსი მინდია ნიკლაურისა .....	152
<b>მთაშიგით ამბავ მავიდა</b> – ლექსი კუკუცა ცისკარაულისა, არხოტიდან კახეთში ჩასახლებულისა .....	153
<b>არ მოგწყინდათა, ჳევსურნო</b> – ლექსი ღვთისო გიგაურისა .....	155
<b>ოჯერო წუთისოფელო</b> – ლექსი ბესარიონ გაბურისა. პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ არხოტივებზე .....	156
<b>რუსეთით იწერებიან</b> – ლექსი დიმიტრი ცისკარაულისა .....	158
<b>ამაწე, მთვარის ნალევო</b> – გრანჯა ნიკლაური. ამ ლექსის ცალკეულ გაფანტულ სტროფებს რიგი შემკრებლებისა, ხალხურად მოიხსენიებენ, ხოლო ზოგიერთი კი უცხო პიროვნებებს მიანერენ .....	159
<b>წამოვედ სანადიროდა</b> – ლექსი ობოლა ნიკლაურისა. ამის შესახებ დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე წერს: „ლექსი წარმოადგენს ფანტაზიას და საყურადღებოა იმით, თუ როგორ ცოცხლად სურათის დახატვა	

შეუძლია ხალხს დევების გარშემო არსებულ თქმულებათა ნიადაგზე ....	160
<b>მაკითხვა</b> – ლექსი ალ. ოჩიაურისა .....	161
<b>რუსეთში ჩამოსული ორ</b> – ლექსი ალ. ოჩიაურისა .....	162
<b>გადავა კალთანასა</b> – ლექსი მინდია ნიკლაურისა .....	162
<b>ჩემივით არვინ იქნების</b> – ლექსი უშიშა ნიკლაურისა (პეტრო) .....	163
<b>მნადიან შუაუბნელო</b> – ლექსი ივ. ნიკლაურისა .....	163
<b>პარასკევ გათენებადა</b> – ლექსი ბესარიონ გაბურისა .....	164
<b>გამახელა და ნათულა</b> – ბესარიონ გაბურის ამ ლექსში საინტერესოა და გამომცემული ხევისურეთში ქალის მოტაცებისა თუ გარრიგების ამბავი .....	165

**სსკვადსსკვა** .....173

- \*\*\* (უქმრუაის ქალის გული)
- \*\*\* (ქალო საქმაროს გიქებენ)
- \*\*\* (შავაქათ დისახლისი)
- \*\*\* (შენ ქვე რა გიქნავ)
- \*\*\* (დაკვეხნებაზე ნუ იყოს)
- \*\*\* (ბაიის მზემ)
- \*\*\* (მე თუ არ მნადის)
- \*\*\* (სტუმართად ავი დიაცი)
- \*\*\* (მაშინ სად იყავ)
- \*\*\* (მაშინ კაი ხარ)
- \*\*\* (შენ გინდა)
- \*\*\* (სოფელსა არდარეულსა)
- \*\*\* (ან მოკვდა)
- \*\*\* (ვაჟუკაცს არ გამაადგების)
- \*\*\* (თოფმა თქვა)
- \*\*\* (ხმა მამნონს)
- \*\*\* (ეს ლუდი)
- \*\*\* (ღვინოვ შე)
- \*\*\* (შასმა შენ გინდა)
- \*\*\* (სასტუმროელად)
- \*\*\* (მძიმენ ხართ)

- \*\*\* (არა ას მამაცობაი)
- \*\*\* (ნეტავ თქვენ)
- \*\*\* (კა ყმას)
- \*\*\* (მაშინ კაია)
- \*\*\* (ბერო ბერობას)
- \*\*\* (ნისლაურის ძე ჳირჩლაი)
- \*\*\* (მახკედია, ბერაო)
- \*\*\* (ვაჟკაცსა შენისთანასა)
- \*\*\* (ვინ შაჳე საძელეზედა)
- \*\*\* (არხოტის ჳალას)
- \*\*\* (ყმანვილო, ბენიკუაო)
- \*\*\* (ძმა მაშინ)





ხევსურული პერანგი



ქუდი, სათამბაქოე, ლაჯია



საწვიე (წვიესაკრავები)



ქალის სახელსაქმო ტაგრუცები



მანდილი, სათაურა, ყელსაბამი



საქალბნე და შიბაიანი თათები (წინდები)



ხევსურთის მაზრებში გავრცელებული მეფის რუსეთის ბეჭდები, ყანიმისა და ყალიბების სხვა ნიმუშები



ს. ამაში გველის მჭამელ გრძნეულ ხოგაის მინდის ნასახლარი, საბეკურად (წმიდა ადგილი) წოდებული. თავის დროზე აქ იხარშებოდა ლუდი ამღელთა სალოცავების სადიდებლად.



ს. ახიელაში რუსული შვეულმფრენის ჭურვებით დაზიანებული ჯარათ ციხის კარი და მარჯვენა სათოფური. 2000 წ.

